





მოთხრობა

თარგმნა თამაზ ჩიქვანაია

მ სასაცილო ბარათმა ყველაფერი ერთბაშად გამახსენა და იმიტომ მივედი იქ.

ერთ დღეს, როგორც იქნა, გადავწყვიტე ჩემი წიგნის თაროები დამელაგებინა. თვითეული წიგნი რაღაც სასიამოვნო მოგონებას მიღვიძებდა — ბევრ მათგანს ხომ საუკუნე იქნებოდა არ გავკარებოდი. ერთი ძველი წიგნი მომხვდა ხელთ, ბავშვური ბატიფეხურით აჭრელებული. იმ წიგნის ფურცლებს, სადაც ბარათი იდო, კიდევები დანაოჭებოდა და დრო-ჟამისაგან ისე გაცრეცილიყო, რომ გადავშალე თუ არა, ხელისგულები რუხი და ოქროსფერი ნაფშხვენით ამეფსო. რატომღაც გამახსენდა ჩემს ბავშვურ სიზმრებში ნანახი ფერიების ბზინვა-კაშკაში, ცხადში რომ იმედი გამიცრუეს, როდესაც საბალეტო წარმოდგენაში ვიხილე მოგვიანებით.

ბავშვობაში ყველაზე მეტად ეს წიგნი მიყვარდა, ალბათ მარტო მე არ მყვარებია, რადგან აქ ჭკუის სასწავლებელი, ხან კიდევ საკმაოდ თავშესაქცევი ამბებია მოთხრობილი. ეს ამბები ისე ახლოს მიმჭონდა გულთან, რომ ვეღარ ვითმენდი, ვინმე მოზრდილი ადამიანის მუხლებზე არ მოგკალათებულიყავი და ისევ და ისევ არ მეკითხა მისთვის: — რატომ? რატომ ხდება ასე?

რა გინდა, სულო და გულო, ამ წიგნში რომ არ ყოფილიყო! უმაღლური ვაჟები, შვილის მოვალეობა რომ დავიწყნიათ; უცოდველი ქალწულები, მოტაცებულები და მერე უიმედოდ მიტოვებულები ვერაგი მაცდუნებლების მიერ, ლამაზმანები, საკუთარი ნებით სახლიდან რომ გაპარულან, მერე კი შერცხვენილები და გაუბედურებულები დაბრუნებიან მშობლიურ კერას; ნაზი, საოც-



რად ნაზი ქალიშვილები, მდიდარ მოხუცებს რომ მიჰყვებიან ცოლად, ოღონდ ავადმყოფი შშობლები იხსნან სილატაკისა და სასოწარკვეთილებისაგან... რატომ ხდება ასე? — დაჟინებით ვკითხულობდი მე. მაგრამ არკი მახსოვს, რას მეუბნებოდნენ პასუხად. და აი, ახლა ამ დაფლეთილი წიგნიდან გამოცურდა და ჰაერში აფარფატდა ძველი ბარათი. ზედ ამილამიას ბავშვურ ხელს მსხვილი ასოებით გამოეყვანა: „ნუ დაივიწყებ შენს მეგობარს. მოდი ჩმთან ამ ნახატით“.

ბარათის მეორე მხარეს გეგმაა დახაზული. ასო X-თან ბილიკი იწყება. X ალბათ სწორედ ის მეორხია, სადაც სიყმაწვილეში, სკოლის მოსაწყენ ერთფეროვან ცხოვრებას გარიდებულნი, ხშირად მოვიკალათებდი ხოლმე და თავდავიწყებით ვკითხულობდი. მაშინ მეგონა, ეს წიგნები ჩემი დაწერილია-მეთქი. გახა შეშფოთლო მეფიქრა, რომ მეკობრეები, მეფის შიკრიკები ან ეს პატარა, გულადი ბიჭუნები, ჩემზე ბევრად პატარები, შეუჭირვებლად რომ დაჰყავდათ ნიჩბიანი კარტაპები სამხრეთ ამერიკის უშველებელ მდინარეებზე, ჩემი მოგონილი კი არა, სხვისი წარმოსახვის ნაყოფი იყო?

ისულგანაბული დავეკვრებოდი ხოლმე ძელსკამს, თითქოს ჯადოსნური უნაგირი არისო, და ისე ჩავიძირებოდი საოცრებათა სამყაროში, რომ პირველ ხანებში არც კი მესმოჩემს ზურგს უკან მსუბუქი ნაბიჯების ხმა... ეს ამილამია იყო, ამილამია მოიბრუნდა ხოლმე ხრეშიანი ბილიკით, გაილურსებოდა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ ერთხელ, ცელქობით მოუვიდა ალბათ, მომეპარა და ბაბუაწვერას ბუსუსები ყურზე მომიღიტინა! მივ-

ტრიალდი, ვხედავ, ტუჩები სასაცილოდ გამოუბუშტია და კოპებში რული სულს უბერავს ბაბუაწვერას.

ერთობ დარბაისლური გამომეტყველებით, დიდი მორიდებით მკითხა, რა გქვიაო. სამაგიეროდ თავის სახელს რომ მეუბნებოდა, გაიღიმა. ეს არ იყო ნაძალადევი ღიმილი, თუმცა არც გულუბრყვილო ეთქმოდა. ცოტა უკეთ რომ გავიცანი, მივხვდი, ამილამია ისე იქცეოდა, თითქოს იცოდა, როგორ გაევილო იმ ბეწვის ხიდზე, რომელიც აერთიანებს მიამიტობას, მისი ასაკისათვის რომ არის დამახასიათებელი, და ჩვევებს, ასე ადვილად რომ ითვისებენ ბავშვები უფროსებისაგან. ამ ჩვევებს ისინი მარჯვედ იყენებენ, როცა სტუმრად მიჰყავთ ხოლმე უცხო ოჯახში. საოცარია, მაგრამ ამილამიას არაბავშვური სიღარბისლე იმდენად ბუნებრივი იყო, მისი თანდაყოლილი თვისება გეგონებოდათ, მისი იშვიათი ბავშვური ანცობა კი რაღაც ნაძალადევი, არაბუნებრივი ჩანდა...

ვცდილობ თავი მოვუყარო ჩემს მოგონებებს ამ გოგონაზე, გავიხსენო ყოველი დღე, რათა სრულად აღვიდგინო მისი სახე. მაგრამ რატომ არ მინდა წარმოვიდგინო ამილამია ისეთი, როგორც სინამდვილეში იყო? ის ხომ ძალიან ცოცხალი, ცელქი, ცქრილა ბავშვი იყო, საოცრად ცნობისმოყვარე, მე კი რატომღაც ვცდილობ წარმოვიდგინო იგი ალბომში ჩაკრული ფოტოსურათით უმოძრაო!

ამილამია, როცა იგი შორს არის ჩემგან — პატარა ფერადი ლაქაა ბორცვზე, იისფრად აყვავებული სამყურას ზღვაში. ამ ბორცვის ერთი კალთა მდელიოზე ეშვებოდა, სადაც ჩემი სანუკვარი სკამი იდგა. ამილამია პატარა ფერადი ლაქაა მზისა და

ჩრდილის გარდამავალ ლივლივში...
 ნარბენი, უეცრად გაჩერებულ
 ამილამია — მარაოსავით გაშ-
 ლილი თეთრი ქვედა კაბა, პატარ-
 პატარა ყვავილებით მოჩითული
 მოკლე შარვალი, ბაგე ოდნავ გაბო-
 ბია, ქარისაგან მოჭუტულ თვლებში
 სიხარულის ცრემლი უბრწყინავს.
 აი, ამილამიას ევკალიპტის
 ხის ძირას მოუკალათე-
 ბია — თავი ისე უჭირავს, თითქოს
 ტირისო, უნდა რომ ჩქარა მივირბა-
 ნო მასთან და მივეფერო... ამი-
 ლამია ბალახზე გაგორე-
 ბულა, ხელში ყვავილი უჭირავს
 და თეთრ ფურცლებს აცლის; ასეთი
 ყვავილი ამ ბაღში არ იყო, ალბათ
 სადმე სხვაგან ხარობდა, შეიძლება
 ამილამიას ბაღშიც. მისი უჯრულა
 ლურჯი წინსაფრის ერთადერთი ჯიბე
 მუდამ სავსე იყო ამ თეთრი ფურც-
 ლებით. ამილამია ყურადღებით მაკ-
 ვირდება, როგორ ვკითხულობ, ხელე-
 ბით ჩაფრენია სკამის საზურგეს და
 წამითაც არ მაცილებს ნაცრისფერ,
 გამომცდელ თვლებს. მახსოვს, გო-
 გონას ერთხელაც არ უკითხავს, რას
 კითხულობო, თითქოს ისედაც შეეძ-
 ლო ამოეცნო ყველაფერი, რაც ჩემს
 წარმოსახვაში იხატებოდა... ამი-
 ლამიას ბედნიერი დიმი-
 ლი დასთამაშებს პირისა-
 ხეზე... მალლა ავიტაცე და ჰაერში
 ვატრიალებ, მას კი ეჩვენება, რომ
 ფრინავს და სულ სხვანაირად ხე-
 დავს ახლა ქვეყნიერებას... ამილამია
 ნახევრად შემობრუნებულია და გა-
 მოსამშვიდობებლად მიქნევს ხელს.
 თან თითებს სასაცილოდ ათამაშებს...
 რომელი ერთი გავიხსენო — აი,
 თავდაყირა დამდგარა, ფეხებს იქ-
 ნევს, ყვავილებიანი მოკლე შარვა-
 ლი კი სასაცილოდ ებერება, აგერ
 თავი ჩაუღუნავს და ზედ
 ხრეშიან ბილიკზე წამო-

მჯდარა... ამილამია ბალახზე გა-
 წოლილა, შიშველ მუცელი მზისათ-
 ვის მიუშვერია... ამილამია რაღაცას
 ჩხირკედელაობს, წვიმისაგან დამ-
 ბალ თიხაში ცხოველებს ხატავს,
 ენით ლოკავს რკინის სკამს, ბებერ,
 ნუყრიან ხეებს გულმოდგინედ აც-
 ლის ქერქს, ჩაატქერდება ცისკი-
 ღურს, თვლებს ჭუტავს და რაღაცას
 მღერის, ცდილობს ჩიტებს მიბაძოს
 გალობაში, კრიახებს ქათამივით, სა-
 საცილოდ ყეფს. კრუტუნებს... ვი-
 თომ ჩემთვის აკეთებდა ამას? ასეც
 იყო და არც იყო ასე. ამგვარად იქ-
 ცეოდა იგი ჩემი თანდასწრებითაც
 და ალბათ მაშინაც, როცა მარტო
 რჩებოდა.

ჩემს მეხსიერებას ცალკეული ნა-
 წყვეტ-ნაწყვეტი მოგონებები შე-
 მორჩა ამ გოგონაზე. რადგან მე
 ხომ მის გაბუშტულ ლოყებს, სწორ
 თმას, ხან მწიფე თავთუხის, ხან კი
 შემწვარი წაბლის ფერი რომ გადა-
 კრავდა, მხოლოდ მაშინ ვხედავდი,
 როცა კითხვას მოვწყდებოდი. — ახ-
 ლა, როცა ერთიმეორეს ვუკავშირებ
 ამ ამბავს, ვხვდები, რომ ამილამია
 იმ დროს ჩემს ჯერაც დაუმთავრე-
 ბელ ბავშვობასა და ყურთამდე გა-
 ლებულ საოცრებათა სამყაროს შო-
 რის, მთლიანად მე რომ მეკუთვნო-
 და. როგორც კი წიგნში ჩავრგავდი
 თავს. ცოტა არ იყოს უხერხულად
 იყო შემოჭრილი და ერთგვარ დაძა-
 ბულობას ჰქმნიდა.

მაშინ? მაშინ მე ამაზე არ ვფიქ-
 რობდი. დღენიადაც ამ ჩემი წიგნე-
 ბის გმირი ქალები მეზმანებოდა, დე-
 დოფალსავით რომ შეიმოსებოდნენ
 ხოლმე, რათა ძვირფასი ყელსაბამი
 ეყიდათ უჩუმრად, ანდა კიდევ ის
 ტანკენარი თეთრმკერდიანი ზღაპრუ-
 ლი არსებანი — ქალები თუ სალა-
 მანდრები (ეს ყველაფერი საოცრად
 მალეღვებდა), მდიდრულ სარეცელ-

ზე რომ განრთხმულიყვნენ ხელ-
მწიფეთა მოლოდინში.

თავიდან არავითარ ყურადღებას
არ ვაქცევდი ამილამიას, მერე თან-
დათან შევეჩვიე მის სიანცეს, მის
სიღარბაისლეს, უბრალოდ მის ყოფ-
ნას ჩემ გვერდით და მხოლოდ ამის
შემდეგ მეწვია ეს გაუცნობიერებე-
ლი სურვილი, რომ თავი დამეღწია
ამ უცნაური და ახირებული მეგობ-
რობისათვის. ერთხელ კი, — მაშინ
უკვე თოთხმეტი წლისა ვიყავი, —
მართლა გავბრაზდი ამ შვიდი წლის
გოგონაზე, ვინც ჯერ არ გადამქცე-
ოდა ნაღვლიან მოგონებად და მხო-
ლოდ წარსული იყო, მღელვარე
წარსული. ამილამიასთან მეგობრობა
მხოლოდ ჩემი უნიათო ხასიათით თუ
აიხსნება.

ხელიხელჩაკიდებულები ერთად
დავქროდით მდელიოზე, ერთად ვარ-
ხევდით ფიჭვებს და გირჩებს ვავ-
როვებდით. ამილამია თავისი წინ-
საფრის ჯიბეს გაივსებდა ხოლმე
გირჩებით. ერთად ვაკეთებდით ქა-
ლალდის გემებს, მერე არხში ვუშ-
ვებდით და სიცილ-კისკისით მიგ-
დევდით ნაპირ-ნაპირ. იმ სადამოს
კი მხიარული ყიჟინით ჩამოვრბო-
დით ფერდობზე და უცებ, ზედ
ბორცის ძირში წავიქეციით — ამილა-
მია ჩემს მკერდზე აღმოჩნდა, ტუ-
ჩებზე მისი თმა მელამუნებოდა,
მისი გახშირებული სუნთქვა მესმო-
და ყურში, კანფეტებისაგან გაწები-
ლი ხელები კი კისერზე შემოეჭდო
ჩემთვის. გული მომივიდა და უხე-
შად მოვიცილე. ამილამია მიწაზე
გაგორდა. მწარედ ატირდა, ნატკენ
მუხლის თავსა და ნიდაყვს იხეღდა,
მე კი, ვითომც არაფერიო, წამოვდე-
ქი და ჩემი სკამისაკენ გავემართე.

მაღე ამილამია წავიდა. მეორე
დღეს რომ შემხვდა, უხმოდ გამო-
მიწოდა ბარათი, მიტრიალდა და მხი-

არული სიმღერით კორომისაკენ გა-
იქცა. ვყოყმანობდი, არ ვიცოდი,
დამეხია ბარათი თუ წიგნი შემე-
ნახა... „ძმები გრიმების ზღაპრები“.
უცნაურია, ამ სასაცილო გოგონას
გამო გულმა ისევ საბავშვო წიგნე-
ბისაკენ გამიწია!

ეგ იყო და ეგ, ამილამია ბაღში
აღარ გამოჩენილა. რამდენიმე დღის
შემდეგ არდადეგები დამეწყო და
ქალაქიდან გავემგზავრე, ხოლო რო-
ცა დავბრუნდი, სასწავლებლად სხვა
კოლეჯში გადავედი. ასე რომ იმ
დღის მერე აღარ მინახავს.

და აი, მე კვლავ მოვედი აქ, ამ
მივიწყებულ ბაღში — ვათვალისწინებ
ფიჭვებს, კარგა ხანს ვჩერდები ევკა-
ლიპტის ხის ძირას და მზად ვარ
უარყო სინამდვილე, რაც ახლა, ოც-
ნების საბურველი რომ შემოეცალა,
ასე უცხოდ და უბადრუკად გამო-
იყურება. რა პატარაა ეს კორომი! მე
კი ისეთი მახსოვდა აქაურობა, რო-
გორც მხოლოდ ჩემს უსაზღვრო
წარმოსახვას თუ შეეძლო დაეხატა
ჩემთვის. როგორ დავიჯერო, რომ
აქ, ამ ბაღში, ჟანგიანი რკინის ღობე
რომ აქვს შემოვლებული და აქა-აქ
თუ მოჩანან ბებერი, მოუვლელი
ხეები, იბადებოდნენ, საუბრობდნენ
და კვდებოდნენ მიშელ სტროგოვი,
ჰეკლბერი ფინი, ლედი უინტერი,
ჟენევიევა ბრაბანტელი. ბაღის მთა-
ვარი და ერთადერთი ვაიმორთულო-
ბა ცემენტის სკამია; მის დანახვაზე
გავიფიქრე, რომ ჩემი მშვენიერა,
მწვანედ შეღებილი რკინის სკამი
არასოდეს არ არსებულა. იგი უბრა-
ლოდ განუყოფელ ნაწილად იქცა
იმ გამუდმებული ბოდვისა, ჩემს მო-
გონებებში რომ შემოიჭრა. ახლა
ბორცვს აღარ იკითხავთ? ნუთუ ამ
საცოდავი ბეჭობიდან ეშვებოდა ჩემ-
თან ამილამია ყოველდღე? სად
არის ის ციცაბო ფერდობი, საილა-



ნაც ხელიხელჩაკიდებულები ჩამოვირბენდით ხოლმე? ერთი პატარა გორაკია, ეს არის და ეს, ალაგ-ალაგ რომ შემორჩენია ბალახი. სულ ტყუილად ცდილობს ჩემი ჯიუტი მეხსიერება სხვაგვარად დამიხატოს იგი.

„...მოდის ჩემთან ამ ნახატით“. ესე იგი უნდა გადავჭრა ბალი, შემდეგ გვერდი ავუარო კორომს, სამიოდე ნახტომით ჩავივრბინო გორაკი, გავიარო თხილნარი — აი აქ, ნამდვილად აქ კრეფდა გოგონა თეთრ ყვავილებს, — გამოვადო ჭრიალა კუტიკარი და უეცრად გავიხსენო, მოვისაზრო, რომ ქუჩაში ვარ, გავიგობოლოს და ბოლოს, რომ ბავშვობის ეს უზრუნველი დღეები რაღაც სასწაულით ანადგურებდნენ, ახშობდნენ ქალაქის გაუთავებელ ხმაურს, აფერხებდნენ ყოველი მხრიდან მოწოლილი საყვირების ხმასა და მოტორების გრილს, ქალაქის ყრიმულს, ამქვეყნიურ ვაებასა და ლანძღვა-გინებას. სად არის ახლა ის ჯადოსნური მაგნიტი? ამ წყნარ ბაღში თუ ციებცხელებიან, ხმაურიან ქალაქში?


ველოდები, როდის გამიხსნას გზას შუქნიშანი და გადავდივარ ქუჩის მეორე მხარეს, თან თვალს არ ვაცილებ წითელ შუქს, მოძრაობა რომ შეაჩერა. ხელახლა დავყურებ ამილამიას ბარათს. სწორედ ეს უხეიროდ დახაზული გეგმაა ის მაგნიტი, ყველა ჩემს ახლანდელ მოქმედებას რომ განსაზღვრავს! ამის გაფიქრება საგონებელში მაგდებს. ჩემი ცხოვრება ხომ — სიყმაწვილის სამარადეთამოდ გარდასულ დღეთა შემდეგ — მუდამ მკაცრ წესრიგს ემორჩილებოდა. და აი, ახლა ოცდაცხრა წლის კაცს, — დიპლომიან ახალგაზრდას, კარგი თანამდებობისა და გვარიანი შემოსავლის პატრონს,

უცოლოს, ცოტათი გაბეზრებულს მდივან ქალებთან ურთიერთობით, ქალაქგარეთ ან ზღვის პირას გასეირნებაც კი რომ აღარ მანიჭებს სიამოვნებას, — დაკარგული მაქვს უმთავრესი მიზანი ცხოვრებისა, როგორც ოდესღაც იყო ჩემთვის ჩემი წიგნები, ბალი და ამილამია.

ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვები ამ უშნო, ვიწრო ქუჩას. დაბალი სახლები — განიერი, გისოსიანი ფანჯრებითა და მძიმე, საღებავდამსკდარი კარებით — უხალისოდ მიჰკვირვან ერთიმეორეს. მოსაწყენ ერთფეროვნებას აქ სალესი ქვის ზუზუნნი და მეწაღის ჩაქუჩის კაკუნი არღვევს. ღობის მიღმა ბავშვები თამაშობენ. ჩემს სმენას მხიარული მუსიკა და ბავშვების სიცილი წვდება. წამით ვჩერდები, ვტკბები ამ საამო ხმებით და ბუნდოვანი იმედი იღვიძებს ჩემს გულში; იქნებ აქ, ამ მოთამაშე ბავშვებში ამილამიას მოვკრა თვალი? იქნებ ის დაუდევარი, — ყირაზე გადასვლის მეტი რომ არაფერი იცის, თითქოს ცირკში იყოსო, — აივნის მოაჯირზე ჰკიდია თავდაყირა და ყვავილებით მოჩითულ მოკლე შარვალს ქარი უფრიალებს, წინსაფრის ჯიბიდან კი ჩემთვის ასე ნაცნობი ყვავილის თეთრი ფურცლები სცვივა?!

...პირველად ვცდილობ წარმოვიდგინო ოცდაორი წლის ქალიშვილი და მეცინება: თუკი ამილამია ისევ იმ სახლში ცხოვრობს, უეჭველია, სიცილადაც არ ეყოფა ჩემი მოგონებები. მაგრამ ალბათ აღარც ახსოვს ჩემთან ერთად ბაღში გატარებული დღეები.

ჩვეულებრივი სახლია: მძიმე სადარბაზო კარი, ორი გისოსიანი ფანჯარა, შიგნიდან დარბებით ჩარაზული. მხოლოდ ერთი სართულია, მაღლიდან მოაჯირი დაუშენებიათ. ეს მოაჯირი ერთგვარი საფარველია,



უცხო თვალისაგან ის ოჯახური საიდუმლოებანი რომ დაფაროს, რაც ბანხეა გამოფენილი: თოკზე გაკიდული თეთრეული, წყლით სავსე ვეება გეჯები, პატარა ოთახი მოახლისათვის და გალია.

სანამ ზარის ღილაკს დავაჭერ ხელს, ვცდილობ თავიდან მოვიშორო ყველა იმედი. სისულელეა! ამილამია აქ არ არის. რატომ უნდა ცხოვრობდეს თხუთმეტი წელიწადი ერთსა და იმავე სახლში? ამილამია ყოველთვის შეძლებული ოჯახიდან გამოსული, კარგად აღზრდილი გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ასაკისათვის შეუფერებელი დამოუკიდებლობითა და დაუდგრომელი ხასიათით გამოირჩეოდა. ამ უბანმა კარგა ხანია დაკარგა თავისი პირვანდელი სახე; რაღაც მიყრუებული და გაპარტახებული მეჩვენა. ჰოდა, ამილამიას მშობლებიც ალბათ სხვაგან გადაბარგდნენ საცხოვრებლად. ახალი მაცხოვრებლებილა თუ მეტყვიან მათ მისამართს.

ზარის ღილაკს ხელი დავაჭირე და ველოდები. კიდევ დავრეკე. აჰა, ბატონო, სრულიად გაუთვალისწინებელი გარემოება: სახლში არავინ არის. რაღა ვქნა? მოვიხდომებ კი ოდესმე ჩემი პატარა მეგობრის მოძებნას? ალბათ არა! ხომ არ შეიძლება ხელახლა გადავშალო ჩემი ბავშვობისდროინდელი წიგნი და ისე, სულ რომ არ ველი, ვიპოვნო ამილამიას ბარათი! ალბათ ისევ ყოველდღიურ საქმიანობაში ჩავიძირები და დავივიწყებ ამ წამიერ შემთხვევას, რომელსაც არასოდეს არ ექნებოდა ჩემთვის დიდი მნიშვნელობა, ასე მოულოდნელი რომ არ ყოფილიყო.

ვრეკავ. კარზე ვაყურადებ... ვაკვირვებისაგან გავშტერდი: კარს მიღ-

მა ვილაყის ხრინწიანი ნაწყვეტი-ნაწყვეტი სუნთქვის ხმა მოსმის, ვილაყამ ისე ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლო თან. კარის ღრიჭოში ძველი თამბაქოს მძიმე სუნმა გამოატანა.

— დილა მშვიდობისა. თუ არ შეწუხდებით, მითხარით...

ჩემი ხმა გაიგონა თუ არა, ვილაყ მძიმე ნაბიჯით მოშორდა კარს. ისევ ვაჭერ ხელს ზარის ღილაკს და ვყვირივარ:

— ვინ არის მანდ? გააღეთ კარი. რა მოხდა? თქვენ რა, არ გესმით?

არავინ მპასუხობს. ისევ და ისევ ვრეკავ, რაც ძალი და ღონე მაქვს, მაგრამ ამაოდ, ცოტათი მოვცილდი კარს და თვალით ძებნა დავუწყე, იქნებ სადმე პატარა ღრიჭო აღმოვაჩინო-მეთქი, გეგონება, ეს დამეხმარებოდა. თვალეებით ჩავაცივდი ამ ჩარაზულ, მოჯადოებულ კარს, თან უკან-უკან ვიხევდი, ვიდრე ჩემდა უნებურად ქვაფენილზე არ აღმოვჩნდი. ვილაყამ შიშისაგან შეჰკივლა ხმამაღლა და ღროზე გამომაფხიზლა; შეკივლებას მანქანის საყვირის ვაბმული დაუნდობელი ხმა მოჰყვა. გაოგნებული თვალეებს ვაცეცებ, ვცდილობ დავინახო ადამიანი, ვინაც ნაღდ სიკვდილს გადამარჩინა, მაგრამ მხოლოდ ავტომობილს ვხედავ, სწრაფად რომ ეფარება თვალს. რატომღაც ქუჩის ბოძს ვეხვევი; ეს შიშისაგან კი არ მომდის, უფრო საყრდენ წერტილს ვეძებ — ამ წუთას ვგრძნობ, როგორ ამოძრავდა ძარღვებში გაყინული სისხლი და როგორ მიაწყდა გახურებულ, გაოფლიანებულ კანს.

დიახ, აი ის სახლი, რომელიც იყო, ან უფრო სწორად, უნდა ყოფილიყო ამილამიას სახლი. მოაჯირს მიღმა, ნამდვილად ვიცი, გარეცხი-

ლი თეთრეული ფრიალებს. რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰკიდია იქ — პერანგები, პიჟამოები თუ ბლუზები... მაგრამ უეცრად თვალი მოგკარი სწორედ იმ უჯრულა, ლურჯ წინსაფარს, ნელა რომ არხევს ქარი.

* *

უძრავი საკუთრების აღმრიცხავ განყოფილებაში მითხრეს, რომ მიწის ეს ნაკვეთი ეკუთვნის ბატონ რ. ვალდივიას, რომ მას სახლი გაქირავებული აქვს. — ვის მიაქირავა? — ეს მათ არ იციან. — ვინ არის ეს ბატონი ვალდივია? — განყოფილებაში გატარებულია, რომ ის კომერსანტია. — სად ცხოვრობს? — თქვენ თვითონ საიდან ბრძანდებით? — ცნობისმოყვარედ შემეკითხა ქალიშვილი. ამ კითხვამ ცოტა შემაკრთო. ცუდადაა საქმე. ესე იგი, სულაც არ ვგავარ დარბაისელ, თავდაჯერებულ ადამიანს. ეტყობა, მთელი დამის მოუსვენარმა ძილმა თავისი გაიტანა: მღელვარება და დაღლილობა გამომყოლია. ბატონი ვალდივია... ქუჩაში გამოვდივარ. მაღიზიანებს, მაცოფებს ეს გაცრეცილი მზე, სქელ ბურუსს რომ ამოფარებია — ამის გამო აცხუნებს ასე მწარედ. ალბათ უფრო იმიტომ მაღიზიანებს, რომ ძალიან მინდა გრილ ბაღში ვიყო ახლა. ასეა კი? მე ხომ კარგად მესმის, რაც არ უნდა სასაცილო იყოს ეს, რომ უბრალოდ მინდა ვიცოდე, ცხოვრობს თუ არა ამილამია იმ სახლში, სადაც რატომღაც არ შემიშვებს. კარგი იქნებოდა ამომეგდო თავიდან ეს აზრები, და რაც შეიძლება ჩქარა, რადგან შეიძლება ამან კიდევ არა ერთი შფოთიანი დამეგამატარებინოს. ჰო, ეკიდა, ნამდვილად ეკიდა სახურავზე სწორედ ის

წინსაფარი, რომლის ჯიბეც მუდამ სავსე იყო თეთრი ყვავილის ფურცლებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახლში კვლავინდებურად ცხოვრობს შვიდი წლის გოგონა, თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის წინათ რომ ვიცნობდი! იქნებ ამილამიას შვილი ჰყავს? რა თქმა უნდა! რატომ არ შეიძლება, რომ ოცდაორი წლის ამილამია დედა იყოს და აცნევდეს თავის ქალიშვილს ზუსტად ისევე, როგორც თვითონ იცვამდა, ყიდულობდეს მისთვის ისეთსავე სათამაშოებს და (ვინ იცის?) სეირნობდეს კიდევ მასთან ერთად იმავე პარკში, თვითონ რომ სეირნობდა ოდესღაც. ამ ფიქრებში გართული მივუახლოვდი სახლს, დავრეკე ზარი და დაველოდე, როდის გავიგონებდი ხრინწიან სუნთქვას, მაგრამ არა, კარს მიღებს შავებში ჩაცმული ქალი, შავ მოსასხამში რომ გახვეულა და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. ასე ორმოცდაათი წლისა იქნება, ოდნავ გაჭაღარავებული თხელი თმა კეფაზე აქვს დაბლუჯავებული. პირისახეზე ფერუმარილის ნიშანწყალი არ ეტყობა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეს ქალი კარგა ხანია გამოეთხოვა ახალგაზრდულ ოცნებებს. მის თვალებში, ახლა მე რომ მომჩერებთან, იმდენი გულგრილობა იგრძნობა, ყინულივით ცივი გეგონებათ.

— რა გნებავთ?

— თქვენთან ბატონმა ვალდივიამ გამომავზავნა, — ვახველებ და ხელით თმას ვისწორებ. ხელჩანთა უნდა წამომელო და მაშინ ჩემს როლსაც უკეთ გავითამაშებდი.

— ვალდივიამ? — გულგრილად და წყნარად გაიმეორა ქალმა ჩემი ნათქვამი.

— დიახ, დიახ! ამ სახლის პატრონმა...

განა შეიძლება რაიმეს მიხვდე, როცა ამ ქალის ამოუცნობ პირისახეს უყურებ? რა დაჟინებული, შეუვალი გამოხედვა აქვს.

— აა, სახლის პატრონმა?

— შეიძლება?

მგონი, უხეირო კომედიებში ხდება ასე: დაზღვევის აგენტები ჩქარობენ ზღურბლზე ფეხის გადადგმას, რომ კარი ცხვირწინ არ მიუხურონ. მეც სწორედ ასე ვიქცევი. ქალმა გზა მიტია და ოთახში შემაძღვა, მხოლოდ მსახურის სადგომად რომ გამოდგებოდა. საღებავგაცილილ კარს ვხედავ, ნახევრად შემინულს, ნახევრად ხისას; მორჩილად ვუხვევ იქით და ეზოს მოყვითალო ფილაქანზე მივაბიჯებ. დაწინაურებულ ქალბატონს ვეკითხები:

— აქეთ?

ქალბატონი თავს მიქნევს. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ხელში ძველებური კრიალოსანი უჭირავს და განუწყვეტლივ მარცვლავს. ბავშვობის მერე ასეთი კრიალოსანი აღარსად მინახავს. სიამოვნებით ვეტყობდი ამას, მაგრამ მან ისე პირქუშად შეაღო კარი, რომ მაშინვე ლაპარაკის ყოველგვარი სურვილი დამეკარგა. ვიწრო, წაგრძელებულ ოთახში შევდივართ. დიასახლისმა დარაბები გამოაღო, მაგრამ ოთახში მაინც ბნელა; ალბათ ფაიფურის ქოთნებში ჩარგული მცენარეები არ უშვებენ შუქს. ოთახი თითქმის ცარიელია: ძველი დივანი და სარწევლა. თუმცა არც ეს მცენარეები მადარდებს და არც ავეჯის უქონლობა. ქალმა დივანზე მიმითითა: დაბრძანდითო! თვითონ სარწევლაში მოკალათდა.

— ბატონი ვალდივია ბოდიშს იხდის, რომ ვერ მოახერხა თქვენი მონახულება.

ქალი ისე მიყურებს, თვალს არც კი ახამხამებს. უცებ ჩემ გვერდით, დივანზე გადაშლილ კომიკების ჟურნალს მოვკარი თვალი.

— მოკითხვა შემოგითვალათ.

მე გავჩუმდი, იქნებ რაიმე მიპასუხოს-მეთქი, მაგრამ ქალი ისევ ისე გულგრილად ქანაობს წინ და უკან. ვიღაცას, როგორც ჩანს, წითელი ფანქრით, ერთიანად აუჭრელებია ჟურნალი.

— ბატონმა ვალდივიამ მთხოვა გადმოგცეთ, რომ ცოტათი თქვენი შეწუხება მოუხდება, რამდენიმე დღის საქმეა, მეტის არა...

ჩემი თვალეები ისევ ოთახს ჩხრეკენ.

— აუცილებელია თქვენი სახლის გადაფასება... საადგილმამულო აღწერისათვის... თუ არ ვცდები, ის აღარ შეუფასებიათ მას შემდეგ, რაც... დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

აჰა! ეს ფანქარი კი არა, პომადია. ავერ ისიც, სარწევლას ქვეშ გდია. ქალი კი თავისთვის იღიმება. მე ამას ვგრძნობ მისი თითების უილაჯო მოძრაობაზე, თითქოს კრიალოსანს ეფერებაო. სწორედ ხელებმა გაცეს ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილის, მის პირისახეს რომ არც კი შეჰხებია. ამჯერადაც დუმილით მიპასუხა.

— თხუთმეტი წელი იქნება?

ნეტავი თავი მაინც დაექნია ან მოღუშულიყო! არა, არც კი ირხევა... მაგრამ მის თხელ, ფერმკრთალ ტუჩებზე წითელი პომადის კვალიც კი არ არის.

— თქვენ, თქვენი ქმარი და...

ქალი დაჟინებით მომჩერებია, პირისახეზე ისეთივე გულგრილი გამომეტყველება აღბეჭდია, ოღონდ უფრო გამომწვევი, თითქოს მაქეზებსო.

რამდენიმე წამით ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. დიასახლისი კრიალოსანით ერთობა, მე კი წინ გადავიწიე, ხელებით მუხლებს დავეყრდენი და წამოვდექი...

— მაშ, დღეს სალამოს საბუთებით დავბრუნდები...

ჩემი ქალბატონი უხმოდ მეთანხმება, იღებს იატაკიდან პომადას, შემდეგ ყურნალს და მოსასხამის ქვეშ ინახავს.

სალამოა. დილას აქეთ არაფერი შეცვლილა. პირველსავე ციფრებს, რაც კი მაგონდება, რვეულში ვიწერ. თავი ისე მიჭირავს, ვითომ მართლა მაინტერესებდეს ძველი ფიცრების ხარისხი, სახლის საერთო ფართი. ქალბატონი ისევ სარწეველაში ქანაობს და თითებით კრიალოსანს მარცვლავს. ოხვრით ვამთავრებ სასტუმრო ოთახის აღწერას და დიასახლისს ვთხოვ სხვა ოთახებიც მაჩვენოს. იგი თავისი გრძელი ხელებით სარწეველას სახელურებს ეყრდნობა და დგება. მკვეთრი მოძრაობით მოსასხამს ისწორებს გამხდარ მხრებზე, ყურთამდე აღებს კარს და სასადილო ოთახში გავყავარ. ავეჯი აქ შედარებით მეტია, მაგრამ ეს რკინისფეხებიანი მაგიდა და ოთხი მონიკელებული სკამი მუშამბაგადაკრული დასაჯდომებით, უფრო საცოდავი სანახავია, ვიდრე ის ძველებური დივანი და სარწეველა, ძველი ღირსების ნაშთი რომ შემორჩენია. გისოსებიანი, დარაბებმიხურული ფანჯრებიდან ალბათ ზოგჯერ სინათლე შემოდის და ანათებს სასადილოს შიშველ კედლებს. მაგიდაზე ეულად დგას პლასტმასის ხილის ლარნაკი, ზედ შავი ყურძნის აკიდო და ორიოდე ატამი დევს. გულისგამაწვრილებლად ბზუიან ბუზები და ამ

ლარნაკს აწყდებიან. დიასახლისი ჩემ უკან დგას, გულხელი დაუკრეფია და ისევ ისეთი ალუშფოთებელი თვალებით შემომყურებს. დროა, მხნეობა მოვიკრიბო და ცოტა შევცვალო მოვლენათა მსვლელობა. ცხადია, რომ ეს ოთახები ვერაფერს შეტყვიან იმაზე, რისი გაგებაც ასე ძალიან მინდა.

— რა იქნება, სახურავზე რომ ავიდეთ? — ვეკითხები მე, — იქიდან ხომ უფრო ადვილია საერთო ფართის დადგენა.

ქალის თვალებში ძლივს შესამჩნევი ელდა გაკრთა.

— რა საჭიროა, — როგორც იქნა ამოღერდა, — შენობის საერთო ფართი მშვენივრად იცის... ბატონმა... ვალდივიამ...

როცა ამბობდა, „ბატონმა ვალდივიამ“, ორჯერ შეისვენა. ამან მაგრძნობინა, რომ ქალბატონი შეშფოთებულია, ეს დამცინავი კილოც სხვა არაფერია, თუ არა თავდაცვის საშუალება.

— დარწმუნებული არა ვარ, — ვცდილობ გავიღიმო, — ჩემთვის უფრო მოსახერხებელია ზევიდან დავიწყო და არა... — ნაძალადევი ღიმილი თანდათან ჩამომცილდა პირისახიდან.

— არა, კეთილი ინებეთ და ისე მოიქეცით, როგორც მე გეტყვით, — კბილებში გამოსცრა ქალმა და ხელები ჩამოუშვა. მკერდზე ვერცხლის დიდი ჯვარი ჰკიდია.

ვცდილობ ღიმილი შევიკავო, თან იმის გაფიქრებასაც ვასწრებ, რომ ამ ჩაბნელებულ ოთახში მეტად უაზროდ ვიქცევი; მაინცდამაინც კარგი მსახიობი ვერ გამოვდექი. სასწრაფოდ ვუბრუნდები რვეულს და თავაუღებლად ვავსებ უაზრო ციფრებით. უკვე ვცდილობ, რაც შეიძ-



ლება მალე მოვიცილო თავიდან ეს ვითომდაც დავალებული სამუშაო. ლოყები მიხურს, ყელი გამიშრა, ვგრძნობ, რომ მიმიხვდნენ ეშმაკობას. რვეულის ფურცელი სულელური ნიშნებით, კვადრატული ფესვებით, ალგებრული ფორმულებით ავაჭრეღე და, ბოლოს და ბოლოს, ჩემს თავს ვეკითხები: რა მიშლის ხელს. რატომ პირდაპირ არ ვიკითხავ ამილამიას ამბავს? არ ვიცი, მაგრამ გუმანით ვგრძნობ, რომ ამ გზით, თუნდაც ამომწურავი პასუხი მივიღო, სიმაართლეს ვერ გავიგებ. ჩემი გამხდარი, სიტყვაძუნწი მასპინძელი იმდენად შეუჩნეველი არსებაა, ქუჩაში რომ შემხვედროდა, ალბათ ზედაც არ შევხვდავდი, მაგრამ აქ, ამ გამოცარიელებულ სახლში, ძველი, ღარიბული ავეჯით რომ გაუწყვიათ, ამ ქალის სახე არ იკარგება როგორც ქუჩაში, არ ითქვიფება სხვა სახეებში, აქ იგი თავად არის საიდუმლო.

ასეთია პარადოქსის ბუნება, და რადგანაც ამილამიაზე მოგონებებმა ფიქრისა და ოცნების საღერღელი ამიშალა, ბოლომდე მივყვები, არ დავარღვევ თამაშის წესებს, ამოვწურავ მთელ მის შესაძლებლობებს და არ დავიხვევ უკან, სანამ სიმაართლეს არ გავიგებ, თუნდაც რომ ეს სიმაართლე, რასაც უხილავ საფარველქვეშ მალავს ეს კრიალოსნიანი ქალბატონი, ძალზე უბრალო და ნათელი, ყველასათვის ხელმისაწვდომი და ჩვეულებრივი იყოს. მეტისმეტად ხომ არ გავაკვირვე ჩემი ქცევით ეს თავაზიანი, მაგრამ ჯიუტი დიასახლისი? იქნებ ასეც არის, მაგრამ ვის შეუძლია ჩემსავით დატკბეს ჩემი მონაგონის ლაბირინთებში? ბუზები კი ისევ ბზუილით დასტრიალებენ თავს ხილის ლარნაკს. ერთ ადგილას ატამს კანი აქვს გადაცლილი და

ისინიც სწორედ იქ ეტანებიან, ახლოს მივდივარ მაგიდასთან, თავი რვეულში მაქვს ჩარგული, ვითომ რაღაც გამოანგარიშებით ვიყო გართული, — ატმის ბუსუსიან კანს წვრილი კბილების კვალი ამჩნევია. ვცდილობ არ გავიხედო ქალბატონისკენ, ისე მიჭირავს თავი, თითქოს რაღაცას ვანგარიშობ. ეტყობა, ატამი ისე ჩაუკბეჩიათ, რომ თითითაც არ შეხებიან. დავიხარე, უფრო უკეთ რომ შევათვალეო ატამი. ხელებით მაგიდას დავეყრდენი, ტუჩები გამოვწიე, თითქოს მინდა მეც ისევე, ხელშეუვლებლად ჩავკბიხო. დაბლა დავიხედე, ზედ ჩემს ფეხებთან ახალი კვალი შევამჩნიე: ცუდად შეღებულ ხის იატაკს ორი მუქი ხაზი ატყვია, ასეთ კვალს რეზინის სალტეები ტოვებს. კვალი მაგიდის კიდემდე მიდის, მერე კი თანდათან უფერულდება და ოთახის სიღრმეში უჩინარდება...

რვეული ხმაურით დავხურე.

— განვაგრძობთ, ქალბატონო?

ღმერთო ჩემო! ქალი დგას, ხელეები ახლა სკამის საზურგეზე დაუწყვია, სკამზე კი მხრებში მოხრილი კაცი ზის, მაგარი სიგარეტის ბოლისაგან წარამარა ახველებს, და ისე იყურება, თითქოს ვერაფერს ვერ ხედავსო: დასიებული, დანაოჭებული ქუთუთოები ბებერი კუს კისერს მიუგავს და ლამის უფარავს თვალებს. თუმცა ვგრძნობ, რომ ამ თვალებს ჩემი პატარა მოძრაობაც კი არ გამოპარვიათ. დაუდევრად გაპარსული ლოყები, ღრმა ნაოჭებს რომ დაუსერავს ერთიანად, დონდლოდ ჩამოჰკიდებია მაღალ ყვრიმალებზე. მომწვანო-მონაცრისფრო ხელები ილღიაში ამოუჩრია. ტანთ უხეში შალის პერანგი აცვია. მისი აჩეჩილი,

ჯრუზა თმა რუხი ზავსით მოფენილ ნავის ძირს მიაგავს. გაუნძრევლად ზის და მძიმედ, ხრინწიანად სუნთქავს (ამით თუ მიხვდები კაცი, რომ შენს წინ ცოცხალი არსებაა). შემოსასვლელი კარის ღრიჭოებიდან სწორედ ეს სუნთქვა შემომესმა.

სულელურად ვბუტბუტებ: „საღამო მშვიდობისა“, და მაშინვე წასასვლელად ვემზადები. ყველაფერი გადამაფიწყდა: ამილამია, გამოანგარიშებანი, ბორბლების კვალი, ამოუცნობი საიდუმლო, ამ ასთმით გატანჯული მოხუცის გამოჩენამ თავგზა ამიბნია. ისევ ვიმეორებ, საღამო მშვიდობისა-მეთქი, ამჯერად უკვე გამომშვიდობების ნიშნად. კუს ნილაბზე უღმობელი ღიმილი გამოიხატა. გეგონება, ყოველი ნაკვთი რეზინისაგან ან ძველი, გახუნებული მუშაობისაგან იყოს გაკეთებული. კაცმა ხელი გამოიშვირა და შემაჩერა.

— ვალდივია ოთხი წლის წინ გარდაიცვალა, — მოგუდული და ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

ამ გაძვალტყავებულ ხელის ტყვეობაში მოქცეულმა გავიფიქრე, თვალთმაქცობას უკვე აზრი აღარ აქვს-მეთქი. ცვილისა და რეზინის სახეები მღუმარედ მითვალთვალებენ. მიუხედავად ამისა, შემძლია უკანასკნელად ვიეშმაკო. თითქოს საკუთარ თავს ველაპარაკებო, ისე წარმოვთქვა ერთი სიტყვა:

— ამილამია...


ღიახ! ახლა აღარავინ ითვალთმაქცებს. ხელი, ასე მტკივნეულად რომ ჩამფრენოდა მხარში, უეცრად მოეშვა და, ახლა აკანკალებული და უმწეო, ქალბატონის ცვილის ხელისაკენ მიიწევს, ის კი პირველად ამ ხნის განმავლობაში აშკარად გამოიხატავს თავის ადელვებას: ტირის,

დაკოდილი ჩიტის თვლებით მიყურებს, მაგრამ მშრალი, გულსაკლავი სლუკუნის მაინც არ ცვლის მის პირისახეზე შეყინულ სიმკაცრეს. აი, თურმე რა ყოფილა! მე რომ ურჩხულები მეგონა — ორი საცოდავი, მარტოხელა, უბედური არსება ყოფილა, ძლივძლივობით რომ უმკლავდება მღელვარებას. ისე საბრალოდ ჩაფრენიან ერთიმეორეს, რომ სარცხვილისაგან ვიწვები. ნუთუ ჩემმა აგზნებულმა წარმოსახვამ იმისთვის მომიყვანა ამ ცარიელ სასადილო ოთახში, რომ შეურაცხვეო ცხოვრებისაგან გარიყული ორი ადამიანის წმინდა საიდუმლო? ამის შესახებ ალბათ არც უნდა მეკითხა და არც მელაპარაკა. არასოდეს შემზიზღებია ჩემი თავი ასე ძალიან! ხმის ამოდებაც რომ ვეღარ მოვახერხებ? ახლა რაღა ვქნა? მივიდე მათთან? მივეფერო? დავაწყნარო ქალი? იქნებ ბოდიში მოვიხადო ასეთი ბრიყული საქციელის გამო? არა, ამას უკვე აზრი აღარა აქვს... პიჯაკის ჯიბეში ჩემი „გამოანგარიშებებით“ აჭრელებულ რვეულს ვინახავ. ეშმაკსაც წაუღია ჩემი სულელური აღმოჩენები: კომიკების ჟურნალი, პომადა, ჩაკბეჩილი ატამი, ბორბლების ნაკვალევი, ლურჯი, უჯრულა წინსაფარი. უმჯობესია, ხმა არ ამოვიდო, უბრალოდ ავდგე და წავიდე.

მაგრამ ისევ ის ხრინწიანი ხმა ჩამესმის.

— თქვენ მას იცნობდით?

„იცნობდით“. წარსულ დროში ნახმარი ეს ზმნა — ესენი ალბათ ყოველდღე ხმარობენ მას — ყველა ჩემს იმედს ერთბაშად აცამტვერებს. ესეც სიმართლე! „თქვენ მას იცნობდით?“ რამდენი წელია? რამდენი წელია ქვეყნიერება ამილამიას გარეშე არსებობს? ჩემს საცოდავ, უძლურ



მეხსიერებაში იგი დიდი ხნის წინ ჩაიფერფლა და მხოლოდ გუშინ აღსდგა. დიდი ხანია ნეტავ, მის ნაცრისფერ, ფიქრიან თვალებს აღარაფერი უკვირთ, აღარ ციაგებენ სიხარულისა თუ აღტაცებისაგან? დიდი ხანია, მისი ტუჩები წყენისაგან აღარ დაბუსხულან ანდა სიხარულის ღიმილი აღარ გაჰკარებიათ?

ასე ხვდებოდა ამილამია ყოველივეს, რაც თავის სიცოცხლეში უნახავს და შეხვედრია, სიცოცხლეში, რომლის დასასრულსაც ალბათ იგი ვერძნობდა.

დიახ, ჩვენ ერთად ვთამაშობდით პარკში... დიდი ხნის წინათ.

— რამდენი წლის იყო მაშინ? — მიღებული ხმით მეკითხება მოხუცი.

— ასე შვიდი წლის... დიახ, შვიდის.

ქალმა ხელები ზეადმართა მლოცველივით და შემზარავად შეჰკვივლა.

— როგორი იყო, ბატონო? მოგვიყვით, მოგვიყვით, თუ ღმერთი გწამთ.

თვალებს ვხუჭავ.

— ამილამია, — ეს მხოლოდ ჩემი მოგონებებია. მისი წარმოდგენა შემოიძლია მხოლოდ იმ საგნებთან ერთად, თან რომ მოჰქონდა, ეხებოდა, პარკში პოულობდა. დიახ... აი, ახლაც ვხედავ, როგორ ეშვება ბორცვიდან. არა, სულაც არ არის ბალახ-შემოძარცული ის პატარა გორაკი; ნამიან სამყურას დაუფარავს იქაურობა. ამილამია წინ და უკან ღარბოდა, თავისი პატარა ფეხებით ბილიკი გაუკვალა ფერდობზე და იქიდან, მაღლიდან მიქნევდა ხელს. მერე თავქვე დაეშვებოდა, თან მუსიკა მოაცილებდა, დიახ, დიახ, ჩემი თვალების მუსიკა, ჩემი ყნოსვის ნა-

თელი ფერები, ჩემი სმენის გემო, სურნელება ჩემი შეხებისა... ჩემი ზმანებებისა... გესმით? იგი ჩემკენ მოფრინავდა, ქარი უფრიალებდა თეთრ კაბასა და ლურჯ, უჯრულა წინსაფარს... სწორედ იმას, მაღლა რომ გიკიდიათ.

მათი ხელების შეხებას ვგრძნობ, თვალები კი ისევ დახუჭული მაქვს.

— როგორი იყო, ბატონო, მოგვიყვით, მოგვიყვით...

— ამილამიას ნაცრისფერი თვალები აქვს, მისი თმის ფერი იცვლება ხეთა ჩრდილში და სინათლეზე, როცა მზის ათინათი დასთამაშებს...

— აქეთ-იქიდან ამომიღგნენ, ფრთხილად მივყავარ ორივეს. მოხუცი კაცის ქოშინი მესმის და თანაბარი ფაჩუნნი ჯვრისა, ქალის მუცელზე რომ ქანაობს.

— მოგვიყვით, მოგვიყვით, გეთაყვა...

— ხშირად მოირბენდა ხოლმე ჩემთან, თვალებში სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა...

თვალს არ ვახელ. ახლა მაღლა ავდივართ... ორი, ხუთი, რვა, ცხრა, თორმეტი საფეხური. ორი წყვილი ხელი მიბიძგებს ზევითკენ.

— ევკალიპტის ძირას უყვარდა ჯდომა; იჯდა და წნელისაგან რალაცას წნავდა, ხან კი თავს მაჩვენებდა, ვტირივარო, ჩქარა რომ არ წავსულიყავი...

კარის ანჯამები ჭრიალებს, სუნი, სუნი ერთბაშად სპობს ყველაფერს, ყოველგვარ შეგრძნებას ანადგურებს და როგორც დიდი მოგოლი, ისე ჯდება ჩემი წარმოსახვის ტახტზე. მძიმეა ეს სუნი დაჭედილი სკივრით, სხეულში ისე დაგივლის, როგორც აბრეშუმის ფარდების შრი-

ალი, ელვარეა, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი, და შემკულია, როგორც თურქი ფაშას კვერთხი. ვგრძნობ, რომ ხელები შემიწვეს. მაგრამ ახლა ჩუმი, დაქინებული ქვითინის ტყვეობაში ვექცევი.

ნელა ვახელ თვალს. დე, ჯერ ჩემი წამწამების ბადემ, ჩემი თვალების გუგამ აღიქვას ეს პაწაწინა ოთახი, ათასნაირ სურნელს რომ აფრქვევს. ოთახი სავსეა ვარდისფერი ყვავილის ფურცლებით.

ყვავილების დანახვა აქ იმდენად მოულოდნელია, იმდენი ძალაა მათში, რომ ცოცხალ არსებებს ჰგვანან. რაოდენ ნაზია ეს იელი, რა გულსაკლავად დარდიანია ეს შროშანი, რა საეკლესიო-სადღესასწაულო იერი აქვთ გარდენიებს, რაოდენ გულსამრევია ტუბეროზების მოტკბო სუნის! პატარა, უსარკმელო სენაკი ცვილის სანთლებითაა განათებული. ყვავილებისა და ცვილის მძაფრი სუნი თანდათან მაფხიზლებს, არეულ თვალეში სინათლე მიბრუნდება და სანთლებს იქით, უწესრიგოდ მიმოხეულ ყვავილებს შორის, ძველი სათამაშოებით სავსე ყუთს ვხედავ: სხვადასხვა ფერის რგოლები, დაჩუტული ბურთები, დამპალ ალუჩას რომ დამგვანებიან, ფაფარდაგლეჯილი ხის ცხენები, გორგოლაჭები, უთმო, თვალეზდათხრილი თოჯინები, ჩრჩილისგან დაჭმული ძაღლები, სახტუნაოები, მინის ლარნაკები ზედ მიმხმარი კანფეტებით, გახვრეტილი რეზინის ბატები, ნახმარი ფეხსაცმელები, სამი ბორბალი, არა — ორი, მაგრამ არც ერთი არაა ველოსიპედის: ორი პარალელური ბორბალი, ტყავის მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ნატით გაწყობილი... პირდაპირ კი — ზელითაც შეიძლება მივწვდე — ლურჯ ყუთებზე პატარა კუბოა შედგმული, ირგვლივ ქაღალ-

დის ყვავილები აქვს შემოვლებული; ეს უკვე სიცოცხლის ყვავილებია — მიხაკები, მზესუმზირები, ყაყაჩოები, ტიტები, მაგრამ ისევე, როგორც ის ყვავილები — სიკვდილის ყვავილები, ესენიც აუცილებელია, საჭიროა აქ, სადაც გამაბრუებელი, შმოტიანი სითბო დგას. მოვერცხლილ კუბოში, შავი აბრეშუმის ზეწარზე და თეთრი ატლასის ბალიშზე ნათელი, უძრავი სახე ასვენია — ვარდისფერი საღებავით შეფერილი. ირგვლივ მაქმანი შემოუვლიათ, წარბები უწვრილესი ფუნჯით დაუხატავთ; თვალეზი დახუჭული აქვს, ხოლო ლოყებზე ნამდვილი, ხშირი წამწამების ჩრდილი ეფინება. ისეთივე ფუნთუშა, დაქლაქა ლოყები აქვს, როგორც მაშინ, პარკში რომ ვხედავდი ხოლმე. ტუჩები ბრაზიანად დაუხუტრცავს. ასე იცოდა მაშინაც, ტუჩებს დაბუშტავდა ხოლმე, ვითომ გაბრაზებული იყო, რომ ყველაფერი მიმეტოვებინა და მასთან მეთამაშა. ხელები მკერდზე აქვს დაწყობილი. ყელზე კრიალოსანი ჰკიდია, ზუსტად ისეთი, დედამისს რომ ეჭირა წელან.

თვალცრემლიანმა მოხუცებმა მუხლი მოიყარეს.

ზელს ვიწვდი და თითებით ჩემი ბავშვობის მეგობრის ფაიფურის სახეს ვეხები. რა ცივი თვალეზი, წარბები, რა ცივი ბაგე აქვს თოჯინა-ღაღოფალს, ყველაზე რომ მბრძანებლობს, ვინაც ამ სიკვდილის საუფლოშია. ფაიფური, ბამბა და ცვილი. „ნუ დაივიწყებ შენს მეგობარს, მოდი ჩმთან ამ ნახატით“.

სწრაფად ვაცილებ ზელს მიცვალეზულ თოჯინას. პირისახეზე ჩემი თითების ანაბეჭდი რჩება. ცვილისა და საზიზღარი ტუბეროზების სუნისაგან გული მერევია. ზურგს ვაქცევ

მკვდარ თოჯინას, ზურგს ვაქცევ მკვდარ ამილამიას. ქალბატონი მხარზე ხელს მადებს. თვალები გაფართოებულია, ხმა კი ისევ ისეთი მშვიდი და უსიცოცხლო აქვს:

— ნულარ მოხვალთ აქ, ბატონო. თუ თქვენ მართლა გიყვარდათ ამილამია, ნულარ მოხვალთ.

ოდნავ ვეხები ამ ქალის ხელს, ბინდბუნდში მოხუცს ვხედავ; საცოდავად მოხრილა, ლამის მუხლებში ჩაურგავს თავი. გამოვრბივარ სენაკიდან, სწრაფად ჩავრბივარ კიბეზე და ჰა, როგორც იქნა, ქუჩაში გამოვედი.

* *

გავიდა ალბათ ერთი წელი, ყოველ შემთხვევაში ცხრა-ათი თვე მაინც. იმ უცნაურ კერპთაყვანისცემაზე მოგონებები ისე აღარ მაწამებს, როგორც ადრე. დამავიწყდა ყვავილების სუნიცა და ცივი თოჯინას სახეც. ნამდვილი ამილამია დამიბრუნდა და ისევ ბედნიერად თუ არა, ჯანმრთელად მაინც ვივრძენი თავი. ბაღმა, ანცმა გოგონამ, ბავშვობის დროინდელმა წიგნებმა გამოდევნა ჩემი შეხსიერებიდან იმ ნადვლიანი შეხვედრის ყველა წვრილმანი. სიცოცხლის ხატება ყველაფერს ამარცხებს. აწი აღარასოდეს დაფშორდები ჩემს ნამდვილ ამილამიას, სიკვდილის საზიზღარი ნიღაბი რომ დაამარცხა. წარმოიდგინეთ, ერთხელ გავბედე და გადაფურცლე უჯრედებიანი რვეული, მოგონილი ციფრებით რომ ავაჭრელე ამილამიას სახლში. და უეცრად, როგორც მაშინ, რვეულიდან ფარფატი გადმოვარდა ამილამიას ნაჯღაბნი ბარათი. მისი სახლისაკენ მიმავალი გზის გეგმაც ზედვება დახაზული. ბარათი ავიღე, ღიმილით დავაცქერ-

დი. უცებ გავიფიქრე, საცოდავ მოხუცებს ალბათ გაუხარდებათ, ეს ბარათი რომ მივუტანო-მეთქი.

ვიცვამ პიჯაკს და სტვენა-სტვენით ვიკეთებ ფერად ყელსახვევს. მე მგონი, ურიგო არ იქნება, სტუმრად რომ მივიღე მათთან.

ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდები ჩემთვის ნაცნობ ერთსართულიან სახლს. უეცრად წამოწინწკლა, პაერში წვიმის სასიამოვნო სუნი დატრიალდა. თითქოს ჩაყვითლებული ფოთლებიც გამოცოცხლდნენ. ყველგან გაიღვიძა სიცოცხლემ, მტვერშიც კი.

ზარის დილაკს ხელს ვაჭერ. წვიმამ მოუმატა და ამიტომ ხელახლა ვრეკავ. კარს მიღმა წრიპინა ხმა ისმის:

— მოვდივარ!

ახლა ალბათ ისევ კრილოსნიანი ქალბატონი გამომეცხადება.

პიჯაკის საყელოს ვისწორებ. კარი იღება:

— რა გნებავთ? რა კარგია, რომ მოხვედით!

საგორავ სავარძელში კუზიანი გოგონა ზის, ხელს ყურის ბიბილოზე ისვამს და ტანჯულ პირისახეზე საცოდავი ღიმილი ეხატება. გოგონას მკერდზე დიდი კუზი აქვს. კაბა აცვია — კაბა კი არა, რაღაც ფარდაა, თეთრი ჩვარი, მის დამახინჯებულ სხეულს რომ ფარავს, მაგრამ ჩემთვის კარგად ნაცნობი წინსაფარი მის ჩაცმულობას ერთგვარ სიკეკლუტეს სძენს.

პატარა კუზიანი ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს და საჩქაროდ უკიდებს. სიგარეტის ბოლოზე მოწითალო-ნარინჯისფერი პომადის კვალი რჩება. მშვენიერი, ნაცრისფერი თვალები თამბაქოს ბოლისაგან ეჭუტება. ხელით ისწორებს წვრილად დახვეულ თავთუხისფერ თმას, მოწითალო ფერი რომ დაჰკრავს, და



დაჟინებით მომჩერებია გამომცდელი, ნაღვლიანი თვალებით. მალე მის გამოხედვაში მოლოდინი შიშმა შეცვალა.

— არა, კარლოს, წადი და არასოდეს არ მოხვიდე!

ეზოდან მოხუცი კაცის ჩახრინწული ხმა ისმის, ეტყობა, სულს ძლივს ითქვამს:

— სად ხარ? დაგავიწყდა, რომ კარი არ უნდა გააღო? დაბრუნდი, შე ეშმაკის ნასხლექო! გინდა კიდევ გაგწკებლონ?!

წყალი წურწურით ჩამომდის შუბლზე, ლოყებზე, ტუჩებზე. პატარა, აცახცახებული ხელებიდან სველ ფილაქანზე კომიკსების ჟურნალი ეცემა.

□

ესტონურიდან თარგმნა აპირან კალაქმე

ჩ ი რ ა ლ დ ა ნ ი

ს აშინელმა სიცივემ გამო-
აღვიძა. კბილს კბილზე
აცემინებდა. საბანი შეიკეცა, მაგ-
რამ ვერ იქნა და ვერ გათბა.
ან რა გაათბობდა! საბანი რომ ეგო-
ნა, ზეწარი ყოფილა. თანაც სლიპსა
და ყინულივით ცივ რალაცაზე იწვა.
საცოდავად მოიბუზა, მხრებზე ხე-
ლები შემოიხვია, მაგრამ არც ამან
უშველა — ორი ხელით მთელ სხე-
ულს ხომ ვერ ჩაიხუტებდა. თვალე-
ბი დააჭყიტა. ირგვლივ ისე ბნელო-
და, თვალთან თითს ვერ მიიტანდა
კაცი. ზეწრიდან ხელი გამოაცოცა
და საწოლი მოსინჯა. თურმე ქვასა-
ვით მაგარ მაგიდაზე წოლილა!
ელდანაცემივით წამოჯდა, მხრებზე
ზეწარი მოიხვია და ფეხები ძირს
ჩამოაცურა, მაგრამ ცემენტის ცივ
იატაკს რომ შეახო, უმალ ისევ მა-
გიდაზე შესკუბდა. ტანში სიცივემ
დაუარა, აძაგძაგდა. გონიც მოიკრი-

ბა თანდათან, მაგრამ სად ვარო,
ერთხანს არ უფიქრია, მიხვდა, რომ
ახლა აქაა და არა სხვაგან. მერე
ერთბაშად გაუელვა თავში: არა, მა-
ინც სად ვარო. ცივი, ქვასავით მაგა-
რი მაგიდა, თხელი ზეწარი, ცემენ-
ტის ცივი იატაკი... ფუი ეშმაკს!

არა! ამ მაგიდაზე მეტი ვერ გა-
ჩერდება, არც უთავბოლო ფიქრი
უშველის რასმე... კაცმა თავს ძალა
დაატანა, ისევ ჩამოაცურა ფეხები,
ცემენტის ცივ იატაკზე დადგა და
მხრებზე ზეწარი მოიხვია. მერე
ცალი ხელი წინ გაიშვირა და
ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. ცემენ-
ტის იატაკმა ფეხის თითები წაუყინა.
უეცრად ხელი რალაცაზე მოუხვდა.
კედელი! ცემენტის ცივი კედელი!
თუმცა არა, სამკუთხედსა ჰგავს,
მგონი, ჭერიდან ჩამოდის... თალი
ყოფილა! კიდევ გადადგა ნაბიჯი, კი-
დევ... აჰა, ისევ თალი, აი მეორეც...

ერთბაშად შეაყრეოლა და უკან დაიხია.

სიბნელეში ხელებს აფათურებდა, საკუთარ მაგიდას ეძებდა, მიაგნო კიდევ. მაგიდაზე შეხტა და გაყინული ფეხები თათრულად მოირთხა. რა ექნა, ციოდა.

მაგიდა! მისი მაგიდა!.. ფუი, ეშმაკს! როდის აქეთ გახდა ეს მაგიდა მისი... კი, ნამდვილად აქ იწვა... მისი მაგიდა, მისი კუთხე! როგორ ცივა, რა წყვდიადია, რა სამარისებური სიჩუმე ღვას... არა! ასე არაფერი გამოვა. რომ გაიგო და გაერკვიო, უნდა წამოდგე, უნდა იბოდიალო ამ წყვდიადში, კარგად დაფიქრდე, მოისაზრო... ვინ იცის, იქნებ სწორედ მისთანა უკუწი წყვდიადში მიაგნეს ადამიანებმა ყველა აღმოჩენას...

ისევ ჩამოხტა მაგიდიდან. ახლა სხვა მიმართულებით გაემართა. ფრთხილად მიაბიჯებდა. ფეხშიშველი იყო და ცემენტის ცივ იატაკზე ფეხს რომ დაადგამდა, იკრუნჩხებოდა. არადა ისე როგორ გაეგლო, იატაკზე ფეხი არ დაედგა. ფეხებმაც თითქოს ერთმანეთის სიყვარული და ხათრი დაჰკარგეს — იატაკზე წამითაც აღარ უნდოდათ დაყოვნება. რაღაცას წამოედო. წინ გაშვერილი ხელი დაბლა დახარა და მოაფათურა: მაგიდა! აგერ მეორე, მესამე, მეოთხე... კაცი ფრთხილად მიიწევდა სიბნელეში. ახლა მისი ხელები ამ მაგიდების ზედაპირზე დაფათურობდნენ.


მაგიდები... ცივი, სხვისი მაგიდები!.. თუ მის ირგვლივ ამდენი მაგიდაა, რაღა მაინცდამაინც იმ მაგიდაზე იწვა და არა აქ?!. კაცი ხელების ფათურით მიაბიჯებდა წინ და საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. მაგრამ იმდენად დაუფლებოდა სურვილი — გამოერკვია, რა იყო მის თავს, იმაზე აღარც უფიქრია, ამ

სიბნელეში ის ჩემი მაგიდაც არ დავკარგო. აი კიდევ ერთი მაგიდა... სდექ! კვლავ მოუფათურა ხელი... კი, აქ რაღაც დევს! კი, კი, ვილაცა წევს ზეწარში გახვეული! მადლობა ღმერთსო, გაუფელვა თავში. გაუმართლა. მას ხომ უყვარდა ადამიანები, მით უმეტეს ახლა, მარტოობის ჟამს.

მაგრამ ეს ზეწარში გახვეული კაცი გაუნძრევლად წევს ამ უცხო და ბნელ კუნძულზე. არა უშავს, წელან ხომ თვითონაც ასევე უღრტვინველად იწვა. ახლა კი ღვიძავს, დადის, მოქმედებს, გრძნობს. სხვების გაღვიძებაც შეუძლია... ჰოი, რა შვება მოჰგვარა ამ დიდებულმა აზრმა!

კაცმა გაბედულად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. კიდევ ერთი მაგიდა. ამჯერად ცარიელი. აი, მეორე მაგიდა... აქაც წევს ვილაცა ზეწარში გახვეული! შემდეგ ისევ ცარიელი მაგიდა, შემდეგზე ისევ ვილაცა წევს! აი, ისევ ცარიელი, აი, ისევ ვილაცა წევს! ესეც შენი გეომეტრია! მაშასადამე, კუნძული დასახლებულია თითო-თითო მაგიდის გამოტოვებით. აღმოჩენა თუ გინდა ესაა! ამ წყვდიადში მანაც აღმოაჩინა რაღაცა.

გაყინულ ფეხის თითებს უკვე ვეღარ გრძნობდა. ცარიელ მაგიდაზე ჩამოჯდა. საკუთარი მაგიდისაკენ გული არ მიუწევდა. ვერც მიაგნებდა, თუმცა რაღაც უხილავი ძაფები მაინც იმ მაგიდასთან აკავშირებდა... მორჩა! მეტი ბოდიალი საჭირო აღარაა. ახლა უნდა იფიქროს: თუ მის გარდა ამ ბნელ კუნძულზე კიდევ ხუთი, ექვსი კაცია, ხომ შეიძლება მეტიც იყოს? ასი, ათასი, უთვალავი და უანგარიშო. ჰკუთას თუ დაატანს, ასეა, კანონზომიერება ასე ბრძანებს. არადა, სხვები წამოდგნენ, იარონ, ეძებონ სხვა კანონზომიერება. კისერიც უტეხიათ!



საქართველოს ენციკლოპედია

ახლა ძალის მოკრებაა საჭირო, სიცივემ არ დასჯაბნოს. მან უნდა იხსნას საკუთარი თავი, იხსნას ყველა.

ნეტავ რამ დაადუმა და გააქვავა ეს ხალხი! წამოწოლილან უღარდელად მხარტეძოზე და ხმას არ იღებენ!..

ალმოჩენის სიხარული თანდათან მიიღია და კაცი ისევ შიშმა აიტანა. მაინც რატომ წევს ეს ხალხი ასე უღრტვინველად! ვითომ ამით რისი თქმა უნდათ! იმისი ზომ არა, — ჯერ შენსავით ჭკუაზე არ შევშლილვართო. არა! მან უნდა გაადვიძოს და იხსნას ეს ხალხი! რაღაც არ უნდა დაუჭდეს!

აკანკალებული, ერთ ზეწარში გახვეულს დაეძგერა და დაუღრიალა:

— ადექი, ადამიანო, მე შენ გეუბნები!

მაგრამ ის ადამიანი არც განძრეულა, ისევ მშვიდად იწვა. ამ სამარისებურ წყვილადში კაცი საკუთარმა ხმამ შეჰზარა. ახლა მეორე მაგიდას მიავნო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ადექი-მეთქი! ხმა გაიღე, ადამიანო!

მერე სხვა მაგიდებიც მოძებნა, აქ მწოლიარენიც შეანჯღრია ყვირილითა და ღრიალით. შიგადაშიგ თაღებს ეჯახებოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. შიშითა და სიცივით ატანილი აქეთ-იქით აწყდებოდა. ვინ იცის, ამ სიბნელეში ვის რამდენჯერმე ეცა, ვინ კი სულაც გამორჩა. მას ახლა კანონზომიერება კი არა — სასოწარკვეთილება აღრალა. სასოწარკვეთილების გამო იყო, ნადირივით აქეთ-იქით რომ აწყდებოდა, ზეწარში გახვეულ უძრავ სხეულებს წამოდგომას ევედრებოდა და ემუდარებოდა. ვინაიდან გრძნობდა, რომ თვითონაც ამ ხალხის ნაწილია, სისხლი სისხლთაგანი

და ხორცი ხორცთაგანი მათი უცხალხი სჭირდებოდა ახლა, უინათოდ ყოფნა არ შეეძლო. ამ წყვილადსა და სიცივეში მარტოსულობა კარგს არაფერს უქადდა. მაგრამ ჰოი საშინელებავ! — სასო დაჰკარგა, ამ ხალხის გაღვიძების იმედი უკვე აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ თავს იმითლა იმშვიდებდა, არ შეიძლება ამ კუნძულზე მხოლოდ უტყენი და უძრავნი არსებობდნენო. არამც და არამც! ახლა სწორედ ამ ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველ ნათელ კანონზომიერებას უნდა ეხსნა იგი განსაცდელისაგან. ისევ აყვირდა:

— ადამიანებო, სად ვართ ჩვენ?!

— საადავაართჩვევენ! — მოესმა დამცინავი ნახმევი და ამან კიდევ უფრო დააფრთხო, კიდევ უფრო მეტი ძალით ააღრიალა:

— ხალხო, ყური მიგდეთ, ვერ მიცანით, თქვენი შვილი ვარ! დავიკარგე, მიშველეთ! — თვალები ცრემლით აევსო, — მე თქვენ მიყვარხართ! მე თქვენ...

მოულოდნელად განათდა. კაცი შიშით შეხტა და თვალები დახუჭა. ამ წყვილადში ელნათურის მჭრქალი შუქი თვალისმომჭრელ სინათლედ მოეჩვენა. მალე სინათლეს თვალი შეაჩვია და კართან მოკლექურჭიანი მოხუცი შეამჩნია.

— რას ღრიალებ, შენი... — შეუკუროთხა მოხუცმა, — ჩქარა შენს მაგიდაზე დაწექი!

„ერთი ამას დამიხედეთ, როგორ შემომიტიო! თითქოს აქ ჩემი სახლი და საწოლი იყოს!“ — გაიფიქრა კაცმა. ფეხები გაყინული ჰქონდა და მაგიდაზე ასვლა იქნებ ჭკვიანურიც იყო, მაგრამ ეს ხომ ნიშნავდა, მოხუცის ბრძანება შეესრულებინა. მან ხომ არ იცის, ვინ არის ეს მოხუცი და რა უფლება აქვს მას უბრძანოს. ამიტომაც შეეკითხა:



— ვინ ხარ შენ, აქ რომ მბრძანებლობ?

— ვინა ვარ და თქვენი დარაჯი ვისაც ყველამ უნდა გამიგონოთ, — ჩაგონებით უთხრა მოხუცმა.

— კი მაგრამ ჩვენ ვინა ვართ?

— ვინა ხართ და მკვდრები. მაშასადამე, ჩუმადაც უნდა იყოთ. მკვდრებიო?! რაო, რაო?!

— რომ არ გავჩუმდეთ?

— ნუ გეშინიათ, გაგაჩუმებთ! — მშვიდად მიუგო მოხუცმა და საჩვენებელი თითი დამტუქსავად დაუქნია.

მკვდრებიო?! როგორ თუ მკვდრებიო! კაცი ამ აზრს ვერაფრით ვერ შერიგებოდა.

— თუ ასეა, პირველად რად არ იწერ? — ჰკითხა კაცმა და გაყინულ ფეხებში ძალა რომ არ გამოცლოდა, ბატონით ხან ერთ ფეხზე დგებოდა და ხან მეორეზე.

— ახლა ძველი დრო ნუ გგონია. სხვა ხერხს ვიღონებთ, — დინჯად, საეჭვოდ ჩაილაპარაკა მოხუცმა დარაჯმა.

მკვდრებიო! მართალს კი ჰგავს, ხომ იცი! აგერ ესენიც ხომ გაუნძრევლად წვანან! რაც ამათ ეჯაჯგურა... არც განძრეულან... ვაითუ? მაგრამ თვითონ რა შუაშია? თვითონ ხომ ცოცხალია? აკი სხვების გაღვიძებასაც ლამობდა... არა! ეს მოხუცა შეიძლება ყველაზე სამართლიანი და გონიერიც იყოს, მაგრამ ახლა რომ ნამდვილად მიქარავს, ლაპარაკი არ უნდა.

— მე მკვდარი არა ვარ! — შეპლრილა კაცმა, — მკვდარი თუ ვარ, როგორ ვლაპარაკობ, დავდივარ?... — თავი იმართლა და სხვა მაგიდებს გადახედა. ზეწარში გახვეულნი მშვიდად იწვნენ და, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებდნენ. მერე საკუთარ თავზე დაიხედა, — თვითონაც თეთრ ზე-

წარში გახვეული იდგა, იგრძნო, რომ თავი უნდა დაეცვა, ემართლებინა.

— ასე ყველა იტყვის...

— ყველა იტყვისო?! — კაცმა ირგვლივ მიმოიხედა. კი, კი, ეს ნამდვილი საცხედრე იყო. მაგიდებზე ზეწრებში გახვეული მიცვალებულები იწვნენ. მაგრამ ეს რა წამოაყრანტალა ამ მოხუცმა — ასე ყველა იტყვისო! მაშ ვიღაცა წინათაც ამტკიცებდა, ცოცხალი ვარო და არ დაუჯერეს?! ეს მოხუციც იმიტომაც ასე არხეინი და გულგრილი. ვაითუ ვერც მე დავამტკიცო, გაიფიქრა კაცმა და ისევ შებღავლა:

— მე აქ შეცდომით ვარ მოყვანილი!

— Tohoo pele! ¹ შეცდომითო? — დარაჯს ხმაში ბზარი გაერია, კართან დადგმულ საკანცელარიო მაგიდის უჯრიდან ქაღალდი ამოიღო, სათვალე გაიკეთა და ქაღალდი შუქზე მიიტანა.

— მე-14 მაგიდა. მოქალაქე. ვინაობა უცნობია. ხედავ? სახელიც არა გქონია.

— როგორ თუ არ მქონია!

დარაჯმა ხელი ჩაიქნია.

— მოწყდი თავიდან... ძალიან არ მეპიტნავენა შენი ვინაობა... ჩქარა შენს მაგიდაზე აძვერი. აწ ჰკვიანებმა გაარკვიონ შენი ვინაობა.

— ცოცხალი ვარ, მე შენ გეუბნები! — იყვირა კაცმა და მოხუცისაკენ გაიწია. დარაჯს ხელში ნაღდი საბუთი ეჭირა და, რა თქმა უნდა, კიდევ სჯეროდა მისი.

მოხუცმა უკან დაიხია. კაცი ეცა და ქაღალდი წაართვა. ქაღალდზე კი შავით თეთრზე ეწერა: „ნაპოვნია სადგურის მახლობლად, ტროტუარზე...“ სიკვდილს ეჭიმის ხელმოწერაც ადასტურებდა.

¹ ერთი ამას დამიხედეთ! (ესტ.).

— დილით გაგიტანენ და გაგკვეთენ. უყარე მერე კაკალი, — დინჯად აუხსნა მოხუცმა.

სადგურის ახლოსო? ეს რაღაც ნამდვილსა ჰგავს, რაღაცა ენიშნა თითქოს.

— როდის მიპოვებს?

— გუშინ, კარგა შებინდებულზე. მანდ რიცხვიც სწერია, — ავღებულად უბასუხა მოხუცმა.

კარგა შებინდებულზე... ახლა კი ღამეა, მაშასადამე, ამ საცხედრეში არცთუ ისე დიდი ხნის მოყვანილია! სადგურთან ახლოს... ჰოო... სადგურის რესტორანი, თავბრუხვევა, ჭკვიანური საუბარი... გულის რევა... ხალხი. საცხედრე... მე-14 მაგიდა... და-რა-ჯი!

— მე მთვრალი ვიყავი, თქვენ კი მკვდრად ჩამთვალეთ, ხომ! — შეჭბდავლა კაცმა და თვალები დააბრიალა. მოხუცისათვის ეს ახსნა-განმარტება არაფერსაც არ ნიშნავდა.

— მთვრალი იყავი, მაშ? მანქანით მოგიტანეს, გაგხადეს, გაგბანეს. კრინტიც არ დაგიძრავს, ახლა კი სიმთვრალეს იგონებ, არა?! აგერ აქ ექიმმა მოაწერა ხელი. კაცს უმაღლესი დაუმთავრებია, შენზე უკეთ იცის, ვინაა მთვრალი და ვინ მკვდარი. გასწი ჩქარა შენს მაგიდაზე!

მოხუცის თავდაჯერებულმა სიტყვებმა კაცი ცოტა არ იყოს დააბნია.

— ვნახოთ, ვინ ვის დაუმტკიცებს! — წარმოთქვა კაცმა. ამ სიტყვებმა დარაჯი მოთმინებიდან გამოიყვანა:

— შენ ვიღაცა ოხერი ხარ, იცი, რას გეტყვი? მე აქ თვრამეტი წელია ვმუშაობ და შენზე უფრო ეშმაკი მკვდრებიც მინახავს... ასე რომ...

ახლა კი გაფითრდა კაცი. რაო, რაო?! შენზე უფრო ჭკვიანი

მკვდრებიც მინახავსო? ღნერთო, ნუ შემწლი... ნუთუ მართლა, ნუთუ წინათაც... კი ბატონო, დამნაშავეა, ამდენს რომ ლოთობს, უგონოდ რომ თვრება, მაგრამ ამისთვის განა უნდა გაჰკვეთონ! უეცრად საკუთარი ცხოვრება დაუდგა თვალწინ: გუშინდელი ღღე, სამსახური, ოჯახი, ქალაქი, თოვლი, გამვლელები, ტრანზისტორები, ღრუბლები... ამ გახსენებამ სისხლი აუმღვრია. ნუთუ ძალად დასტოვებენ აქ... რატომ? რისთვის? ასეთი რა შესცოდა მამაზეც იერს!

— გამიშვი აქედან, თორემ! — გიჟივით წამოიყვირა კაცმა.

— არ შემიძლია, — ხელები გაშალა დარაჯმა, — მიცვალებული რომ დამაკლდეს, რას იტყვიან... საბუთი აქაა, მკვდარი კი არა. არ მკითხავენ, სად წაიღეო! რა ვუბასუხო? ვინ რას დამიჯერებს. დაეჭვდებიან, გამამტყუნებენ, მით უმეტეს, რომ არც ისე დალაგებული სიკვდილის ცნობა ფაქვს. ახლა ალბათ შენს მკვლელს დაეძებენ.

— მე აქ სიცივე გამყინავს, სიბნელე გადამრევს და მართლა მოგკვდები, — კბილების ძაგდავით წარმოთქვა კაცმა. ახლა დარაჯი უფრო დააკვირდა კაცს, თითქოს შეეცოდა კიდევ, ყოველ შემთხვევაში ძველებურად თავდაჯერებულს აღარ ჰგავდა.

— კარგი, მოგიტან რამე ჩასაცმელს. ჩირაღდანსაც მოგიძებნი, — თქვა დარაჯმა და ამოიოხრა. გრძნობდა, რომ რაღაც უკანონოსა და უცნაურს სჩადიოდა.

დარაჯი ფავიდა. კაცმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა. ახლა მან ნათლად წარმოიდგინა, როგორ აფათურებდა ხელებს ამ სიბნელეში, როგორ ეძიებდა გილაგებოდა ზეწარში გახვეულ მკვდრებს და გული შეუქანდა. ერთი

წუთიც აღარ შეეძლო ახლა აქ დარჩენა. საწყალი უტყვი მკვდრები! თვითონ — ერთი გზადაკარგული საზიზღარი ლოთი... არა! ჩქარა შორს აქედან!

საცხედრიდან გიჟივით გამოვარდა, დარაჯს დაეძგერა, მისთვის გამზადებული რაღაც შალის ნაჭერი და ჩირალდანი წაჰგლიჯა და საავადმყოფოს ეზოში გავარდა. საავადმყოფოს დიდი ჭიმკარიც სამადლოდ ღიად დაუხვდა და პირდაპირ ქუჩაში ამოჰყო თავი. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. გაირბინა ქუჩა, მოედანი. ტანზე შემოხვეულ ზეწარს ქარი უფრი-

ალებდა. ცალ ხელში ანთებული ჩირალდანი ეჭირა. სახტად დარჩენილი დარაჯი პირდაღებული იდგა. იცოდა, რომ უნდა გაჰკიდებოდა, დასწეოდა, დაეჭირა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულიყო. ქალაქს მშვიდად ეძინა, ჩირალდნიანი კაცა კი თოვლში ფეხშიშველი გარბოდა.

— სდიე ახლა შენ ამ ფეხშიშველა გიჟს... თვრამეტი წელია ვმუშაობ და... ამის შემდეგ კიდევ მეტყვიან, მკვდრებს ადამიანურად მოეპყარო, — თავისთვის ბტუბუტებდა დარაჯი და შორს მოკიაფე ჩირალდანს ბრაზმორეული გაჰყურებდა.


რკინიგზის სადგური

ნაშუადღევი იყო. რკინიგზის სადგურის დარბაზში მალალი კაცი შემოვიდა. მას საკმაოდ გამოხუნებული პიჯაკი ეცვა და განიერი ყელსახვევი ეკეთა. მალალმა კაცმა მწვანე ზურგჩანთა ბინძურ იატაკზე ფრთხილად დადო და ახლოს მჯდომ მგზავრებს სთხოვა, მეორე სკამზე გადაჯექითო. მერე თავისუფალი სკამი ერთ კუთხეში მიათრია, მწვანე ზურგჩანთიდან წიგნი ამოიღო, სკამზე შედგა და ხმამალლა კითხვას შეუდგა.

იგი პირველად ახლოს მჯდომმა მგზავრებმა შეამჩნიეს და პირდაღებულნი მიაშტერდნენ. მალე მისი ხმა მთელ დარბაზში ისმოდა. სადგური კი თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მგზავრები მიდი-მოდიოდნენ, დარბოდნენ, ბაასობდნენ, ჰყვიროდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ვინც მატარებელს დიდი ხანია უცდიდა, იმათ დარბაზის ყველაზე მოხერხებული ადგილები დაეკავები-

ნათ. ზოგი ჭამდა, ზოგი მზესუმზირას აკნატუნებდა. ზოგსაც ეძინა. ვილაცამ პატარა ბიჭს ზედ იატაკზე მოაფისინა. სადგურის ბუფეტში ყავად წოდებულ თბილ წყალსა და ძველ ფუნთუშებს ჰყიდდნენ.

ჩვეულებრივი სადგურის ჩვეულებრივ დარბაზში ლოდინით გაბეზრებულ მგზავრთათვის ხმამალლა მკითხველი კაცი, რა თქმა უნდა, დიდი მოულოდნელობა გახლდათ. ამ უცნაურ კაცს იქნებ გაერთო და გამოეცოცხლებინა კიდევ ისინი, მაგრამ ეს ამბავი კიდევ ეუცხოვათ და კიდევ ეჩოთირათ მგზავრებს. ასეთი რამ ჯერ არავის ენახა. მატარებელს ახლად ჩამოყოლილ მგზავრებსაც კი ვერ დაეფართა გაკვირვება. ზოგი მათგანი დარბაზში წამით შეყოვნდებოდა, ყურს მიუგდებდა, ნეტა რამე ამბავს ხომ არ აცხადებენო, და ისევ გზას განგარძობდა. ეს იყო ჩვეულებრივი მხატვრული ნაწარმოები, აღსავსე ფანტაზიით, სა-



ინტერესო თავგადასავლებით, ლირი-
ული გადახვევებით, სიყვარულით,
ვნებით... მოსაწყენი და ცოცხალი
ამბები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ამ
კაცის მაღალი ცივი ხმა ჰყვებოდა
სიყვარულზე, სათავგადასავლო ამ-
ბებზე... სადგურის ამ ორომტრიულ-
ში ნაწარმოებს ყველა თავისებუ-
რად აღიქვამდა. ზოგი უკვე შეჩვე-
ოდა ამ ამბავს და ყურადღებით უს-
მენდა იმ კაცს. ზოგმა, ვინ იცის,
იქნებ მატარებელზეც დაავიანა.

უმეტესობა მაინც მიიჩქაროდა, არ
ჩერდებოდნენ. მით უმეტეს, რომ
სკამზე შემდგარი კაცი ისეთს არა-
ფერს კითხულობდა, ცხოვრებას მისი
წყალობით ფასი და აზრი შეცვლო-
და. მაგრამ სადგურზე იყვნენ ისე-
თებიც, ვინც ამ ამბავმა სხვაგვარად
ააღელვა და დაინტერესა...

დარბაზში ორი ლურჯხალათიანი
დამლაგებელი ქალი შემოვიდა. მათ
იატაკზე დაყრილი მტვერი სვე-
ლი ტილოთი დღეში ორჯერ უნდა
მოეწმინდათ, ანუ მიეთითხნ-მოე-
თითხნათ. დამლაგებლებმა ის კაცი
შეამჩნიეს თუ არა, ერთმანეთს გა-
დახედეს. „აქ რაღაც ამბავიაო!“ —
გაიფიქრეს უმაღლ.

— ნახა რა აღსარების საკითხავი
ადგილი! — თქვა ერთმა. მეორე
დამლაგებელი უფრო გამბედავი გა-
მოდგა, იმ კაცს მიუახლოვდა და
მკაცრად უთხრა:

— აქ რა ამბავია?!

მაღალ კაცს მისთვის იოტისოდენა
ყურადღება არ მიუქცევია. იგი ახლა
ერთ სახუმარო ადგილს კითხულობ-
და და ღიმილს ვერ იკავებდა. გამ-
ბედავმა დამლაგებელმა ნაბიჯით
უკან დაიხია, მარცხენა ხელი თეძო-
ზე შემოიღო, თვალები დააბრიალა
და მთელი ხმით შეჰყვირა:

— ძირს! ეს სკამი აქ დასაჯდომად
დადგეს და არა... ძირს!!!

მაღალი კაცი სკამიდან მშვიდად
ჩამოვიდა. კითხვა არ შეუწყვეტია.
პირისახეზე ისევ ღიმილი ეკერა.
დამლაგებელმა სკამი თავის ადგილ-
ზე მიათრია და დარბაზს გამარჯვე-
ბული იერით გადახედა. სამწუხა-
როდ, მისთვის ყურადღება არავის
მიუქცევია. არც ტაში და ქება-
დიდება გაიმეტა ვინმემ. გამბედავი
დამლაგებელი არა ცხრებოდა. ჯიბრ-
ზე არა და არ უსმენდა იმ კაცს. მან
იცოდა, რომ ასე თუ ისე აქაური
ხელმძღვანელობის წარმომადგენე-
ლია და არა უბრალო მგზავრი, ვი-
საც შეუძლია ვიღაც მაწანწალის აღ-
სარება ისმინოს.

დამლაგებლები დიდად განათლე-
ბულნი არ გახლდნენ, მაგრამ იმდენი
კი ესმოდათ, რომ ეს ამბავი უწყესრი-
გობად ჩაეთვალათ. გულში თავ-
ბედს იწყევლიდნენ, ამის აღმკვეთი
კანონი რად არ ვიცითო. ამიტომაც
პირდაპირ სადგურის მორიგესთან
მიიბრინეს და ერთხმად მოახსენეს:

— იქ, მოსაცდელ დარბაზში, ერ-
თი კაცი ხმამაღლა კითხულობს!

სადგურის მორიგემ წითელი ქუ-
დი შეისწორა, კეფა მოიქექა და
მკაცრად იკითხა:


— რას კითხულობს?

— არ ვიცით, — უპასუხეს დამ-
ლაგებლებმა.

— ვინ არის, თუ იცით?

— არც ეგ ვიცით.

სადგურის მორიგე ჩაფიქრდა. ჩა-
ფიქრდებოდა, აბა რას იზამდა, როცა
ასეთი უცნაური რამ ხდებოდა! ქუ-
დი კიდევ ერთხელ შეისწორა, კაბა-
ნეტის კარი გამოაღო და დარბაზში
გაიხედა. დარბაზის ერთ კუთხეში
მართლაც იდგა ვიღაც ახმახი და
წიგნს ხმამაღლა, დიახ, ხმამაღლა კი-
თხულობდა! სადგურის მორიგე კარს
მოეფარა. მას ახლა ბევრი რამ უნდა
ეფიქრა. ხუმრობა ხომ არაა! ასეთი



ამბის მომსწრე იგი არასოდეს ყოფილა, რამე უნდა ილონოს, რალაც მოიმოქმედოს, წესრიგი დაამყაროს. პირველ რიგში დამლაგებლები დაამშვიდა — თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, აქ ყველაფერს მე გავარკვევო, დაჰპირდა. მერე იფიქრა, იფიქრა და, ვერაფერი ჭკვიანური რომ ვერ მოიფიქრა, ისევ წესრიგის დამცველს დაურეკა.

წესრიგის დამცველი ისეთივე ალუშფოთველი ვილაც გახლდათ, როგორც ყველა ჩვეულებრივი მილიციელია მთელ მსოფლიოში. ბილიარდის პარტიის დასრულება მაინც გეცლია, ისეთი რა მოხდაო, ჰკითხა მორიგეს.

სადგურის მორიგემ რაც შეიძლება მშვიდად მოახსენა:

— იქ, მოსაცდელ დარბაზში, ერთი კაცი წიგნს ხმამაღლა კითხულობს. გთხოვთ გაარკვიოთ, რაშია საქმე.

— ახლავე! — უპასუხა მილიციელმა და დარბაზისაკენ გაემართა. იგი გრძელ სკამებს შორის მშვიდად მიაბიჯებდა და, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს სჩვევია, მცდელობით თვალთ იყურებოდა აქეთ-იქით. დარბაზში მილიციელის გამოჩენისთანავე მგზავრებს ჩურჩულმა გადაურბინა, ბარგი მისწი-მოსწიეს, ზოგმა ფეხი ჩამოიღო სკამიდან, ვილაცამ დაჭმუჭნილი გაზეთის ნახევი სანაგვე ყუთში ჩააგდო. მილიციელმა იმ კაცს დინჯად შემოუარა. მერე მრავალმნიშვნელოვანი მზერა მიაპყრო და მის მოპირდაპირე სკამზე ჩამოჯდა. მგზავრებმა ახლა მილიციელს მიაშტერეს თვალი. იგი გულხელდაკრეფილი იჯდა და წიგნის ხმამაღლა მკითხველს მიჩერებოდა. ერთადერთი, ვისაც პირწმინდად არაფერი შეუმჩნევია, ეს წიგნის ხმამაღლა მკითხველი გახ-

ლდათ. იგი ახლა ერთ საინტერესო ამბავს კითხულობდა: ნაწარმოების გამირი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, ხსნა კი არსაიდან ჩანდა. წიგნის მკითხველი დიდად განიცდიდა ამ ამბავს, ჩქარ-ჩქარა კითხულობდა და ხელებს იქნევდა.

წესრიგის დამცველმა ვერა და ვერ მოუნახა საბაბი, რომ ეს კაცი დამნაშავედ ეცნო და ხელჩასავლებ საბუთად გამოეყენებინა. ჰოდა, იჯდა ასე ერთხანს, ვიდრე თავი უხერხულად არ იგრძნო. მგზავრები მის აქ ყოფნას შეეჩვივნენ, აღარ ჩურჩულებდნენ, თითქოს ველარც ამჩნევდნენ. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს პატარა ბიჭი იყო და მატარებლის მოსვლამდე უცნაურ ძიას უსმენდა. დინჯად წამოდგა და ისევ სადგურის მორიგესთან დაბრუნდა.

— ვერაფერი მიზეზი მოვუნახე, როგორ დავაპატიმრო? არ ჩხუბობს, არ ყვირის, არ იფურთხება, სკამზე ფეხს არ დგამს, არც შარვალი უვარდება და არც იქაურობას აქოთებს, ვშმაკმა დალაზვროს!


სადგურის მორიგეს უამრავი საქმე ჰქონდა, ამიტომ წიგნის ხმამაღალი მკითხველი კიდევ გადავიწყებოდა. ამ ამბის გახსენებაზე შუბლი შეიჭმუხნა, ყურმილი აიღო და მილიციელს დაბნეული თვალებით მიაშტერდა.

— მაშასადამე, არ ჩხუბობს, არ ყვირის, არ იფურთხება, ხომ? — ყოველ შემთხვევისათვის იკითხა მან.

— დიახ, — მიუგო მილიციელმა.

სადგურის მორიგემ რკინიგზის იურისტს დაურეკა და ჰკითხა:

— როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ კაცი არ ჩხუბობს, არ ყვირის, არ იფურთხება, მაგრამ დგას მოსაცდელ დარბაზში და წიგნს ხმამაღლა კითხულობს?



იურისტმა სადგურის მორიგეს სამჯერ გაამეორებინა შეკითხვა. თავის მხრივ სადგურის მორიგესაც სამჯერ დასჭირდა იურისტის გაურკვეველი პასუხის მოსმენა. უცხო სიტყვებით შემკულ წინადადებებს, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაუგო და ყურმილი დაჰკიდა. მერე ისევ შეისწორა ქუდი და კეფაც მოიქექა, ეტყობა, ისევ მისი გადასაწყვეტია ეს ამბავი. ავდგები და მივალ, ფიქრობდა იგი, მივალ და ვეტყვი: — „მეგობარო, თუ ღმერთი გწამს, ნუ კითხულობ ასე ხმამაღლა... წაბრძანდით, ჩემო ბატონო, მთავარ მოედანზე, აქედან ორ ნაბიჯზეა, ის სხვების უბანია, დადექი და იკითხე, შე დალოცვილო, რამდენიც გინდა. შეიძლება მეც მოვიდე და გისმინო...“ მაგრამ საკუთარმა ნააზრევმა თვითონვე დააფრთხო: რომ ჰკითხოს იმ კაცმა, რა განსხვავებაა, აქ ვიკითხავ თუ სხვაგან, მაშინ რა ქნას? ბიჭი ხარ და უპასუხე! თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი — დგას ეს უპატრონო და კითხულობს, მერე რა?.. მაგრამ რომ არ კითხულობდეს, ის არ ჯობია?

ფიქრით თავი უსკდებოდა მორიგეს. მერე ისევ იქვე მდგომ მილიციელს მიუბრუნდა:

— რა ვქნათ ახლა, ვის დავურეკო?

— არ ვიცი, — დინჯად უპასუხა მილიციელმა, — ვფიქრობ, ვფიქრობ და არც ერთი მუხლი არ ესადაგება. იქნებ ქალაქის ხელისუფლებამ იღონოს რამე.

სადგურის მორიგეს თვალები გაუბრწყინდა. ეტყობა, იმედი მოეცა. თუ კაცი ხარ, ვინმე მოიყვანეო, სთხოვა მილიციელს.

რკინიგზის მილიციელი ორი კაცის თანხლებით დაბრუნდა.

— ჩვენთან, დარბაზში ერთი კაცი

ხმამაღლა კითხულობს... — მოხსენა მომსვლელთ სადგურის მორიგემ.

— წიგნს! — დაუმატა მილიციელმა.

ახალმოსულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— საზოგადოებრივ წესრიგს თუ არღვევს? — იკითხა ერთმა.

— ეს ძნელი დასადგენია, — მხრები აიჩეჩა მორიგემ.

— ამხანაგებო, ეს თქვენი უბანია, — თქვა მეორემ, — ეს კაცი რომ ქალაქის შუაგულში ხმაურობდეს, მაშინ ჩვენ მივაქცევდით ყურადღებას და ყველაფერსაც დავადგენდით.

— იქნებ როგორმე ქუჩაში გავიტყუოთ... — უჩურობდა მორიგეს რკინიგზის მილიციელმა.

ახლად მოსულებმა შუბლი შეიჭმუხნეს.

— შორიდან მაინც შეათვალიერეთ, იქნებ რამე გვიჩიოთ, — სთხოვა სადგურის მორიგემ.

— ჭკუაზე თუ არის? — იკითხა ერთმა.

— ჩემი აზრით, არ გაგვიძალიანდება, — დაამშვიდა სადგურის მორიგემ.

— განათლებულ კაცსა ჰგავს, წიგნებს კითხულობს, — ჩაურთო სადგურის მილიციელმა.

— თუ ასეა, რატომ გამოგვიძახეთ? — გაიკვირვეს ახალმოსულებმა.

— იმიტომ, რომ ჩვენ ვერ დავაპატიმრეთ, მიზეზი ვერ მოვუწახვით.

— მერედა ჩვენ რა შუაში ვართ? მით უმეტეს, თქვენი უბანია.

— რა იცი, რას კითხულობს... — გაუბედავად ჩაილაპარაკა რკინიგზის მილიციელმა.

— ოო... ეს ჩვენ არ გვეხება, ასეთ შემთხვევაში სხვები ერევიან.

სადგურის მორიგე ერთხანს ჩა-

ფიქრებული იდგა, მერე ახალმოსულთ მიუბრუნდა:

— შეგიძლიათ წაბრძანდეთ, ბოდიში, რომ შეგაწუხეთ.

კაცები უხმოდ გავიდნენ.

— თქვენც შეგიძლიათ წაბრძანდეთ, — მიმართა მორიგემ მილიციელს. მილიციელმა შვებით ამოისუნთქა და ხელი ისე მოიქნია, თითქოს ბილიარდის ბურთს ჯოხი ჰკრაო.

მარტო დარჩენილი მორიგე ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე დარბაზისაკენ გაემართა. წიგნის ხმა-მალლა მკითხველის ახლოს ცარიელ სკამზე ჩამოჯდა, დარბაზს გადახედა და სმენად იქცა.

მგზავრები გულიანად ხარხარებდნენ. ის კაცი ერთ სასაცილო ამბავს კითხულობდა, თვითონაც ეცინებოდა. მარცხენა ხელს აქეთ-იქით იწნევდა...

„უნდა დავრეკო! — სინანულით გაიფიქრა მორიგემ, — აბა მე რა ვიცი, ამ სასაცილო ამბის მიღმა რა იმალება... იქნებ რამე აკრძალულიც იყოს... იმ კაცებმაც ხომ თქვეს, ასეთი რამ სხვების საქმეაო. ჰოდა, იმ სხვებმა იმტვირინ თავი. არა, ბედი არ უნდა ყველაფერს! რალა მაინცდამაინც ჩემს მორიგეობაზე უნდა მოხდეს ყველაფერი, — ფიქრობდა მორიგე. — ეშმაკმა დალახვროს, დარბაზში ხომ ათასნაირი ჭკუის ხალხი ზის. ვინმე რომ ადგეს... დამასწროს და... არა, ეს არ მარგია, მერე საქმეს ისე შეატრიალებენ, თითქოს სულაც ჩემი ნებართვით კითხულობდეს. უნდა დავრეკო! შარია... შვილების პატრონი კაცი ვარ!“

იგი სწრაფად წამოდგა და ტელეფონს მიაშურა.

სულ მალე მორიგის კაბინეტში სამი კაცი გაჩნდა. მათ სამოქალაქო

ტანსაცმელი ეცვათ. ასე რომ მოსაცდელ დარბაზს სამი მგზავრი შეემატა, წიგნის უცნაურ მკითხველს განსაკუთრებული ყურადღებით რომ უსმენდნენ. ერთმა მათგანმა თავიც მოიმძინარა.

მორიგის კაბინეტში განუწყვეტლივ რეკავდა ზარი. მალე მორიგის მაგიდაზე გაჩნდა უამრავი ფოტოსურათი, სხვადასხვა ცნობა... ბოლოს ისეთივე წიგნიც მოიტანეს, ის კაცი რომ კითხულობდა.

გამოირკვა, რომ ეს წიგნი ჩვეულებრივი წიგნი იყო. მაგრამ სადგურის მორიგე ვერც ამ ცნობამ დაამშვიდა. რადგან ის კაცი მაინც კითხულობდა, კითხულობდა და კითხულობდა!...

— რა ვქნათ? — იკითხა სადგურის მორიგემ.

ამჯერად ახალმა კაცებმა იგი დაამშვიდეს, თუ საჭირო იქნება დაგეხმარებითო, განაცხადეს. ჯერჯერობით კი მშვიდად იყავით, ყველაფერს გამოვარკვევთ, რაც შეგვიძლიაო.

ახალი კაცები წავიდნენ. მორიგემ არ იცოდა, რომ მოსაცდელ დარბაზში დარჩა კაცი, ვისაც ხელში ისეთივე წიგნი ეჭირა, როგორსაც წიგნის მკითხველი კითხულობდა, გულდასმით უსმენდა და, თუ იგი რამეს გამოტოვებდა ან დაამატებდა, წითელი ფანქრით ნიშნავდა.

...სადგურის მორიგე ისევ დაღონებული იყო. დალახვროს ეშმაკმა, — ფიქრობდა იგი, ძნელია მორიგეობა ისეთ ადგილზე, როგორიც სადგურია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი.

მორიგემ რკინიგზის მთავარ სამმართველოში დარეკა, რაც შეიძლება მშვიდად და დაწვრილებით მოახსენა ყოველივე.

— მაშასადამე, კითხულობს... ვისი ნებართვით? — იკითხეს სამმართვე-



ლოდან. სადგურის მორიგემ ამოიხ-
ვნეშა:

— არ ვიცი... უნებართვოდ... გა-
ურკვეველია.

ცოტა ხნის შემდეგ რკინიგზის
მთავარი სამმართველოდან დარეკეს
და მორიგეს აცნობეს:

— ჩვენ ვითათბირებთ, რაღაცას
გადავწყვეტთ.

მორიგემ შვეებით ამოისუნთქა.
მხრებთან თითქოს ლოდი მოსცილ-
და... სწორად მოვიქეცი, ყველას
რომ ვაცნობე, ფიქრობდა იგი.

სამუშაო დღე დასასრულს უახ-
ლოვდებოდა. კაცი ისევ ზმამალლა
კითხულობდა. სადგურის მორიგე კა-
ბინეტიდან უთვალთვალებდა. ამ კა-
ცის ცივი, მაღალი ზმა აოცებდა,
აფხიზლებდა, მოსასმენად განაწყობ-
და მგზავრებს.

როცა სადგურის მორიგეს შემ-
ცვლელი მოუვიდა, მორიგემ მას
ყველაფერი აუხსნა და სთხოვა, თუ
რამე ისეთი მოხდა, მაშინვე შინ
დამირეკო.

ღამის სამ საათზე მას მართლაც
დაურეკეს და შეატყობინეს, წიგ-
ნის მკითხველი ეს-ესაა დარბაზიდან
გავიდაო.

— საით წავიდა?

— არ ვიცი, საით, — იყო პა-
სუხი.

— როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით
წავიდა?

— ალბათ წიგნი დაასრულა.

— ოჰ, კიდევ კარგი. მადლობა
ღმერთს! მაშასადამე, მშვიდობაა.

სადგურში მართლაც მშვიდობა
იყო. ღამის მორიგე ჩაძინებულ
მგზავრებს გრძელი ჯოხით აღვიძებ-
და. სადგურში ძილი აკრძალული
იყო, რა თქმა უნდა, მგზავრთა სა-
სარგებლოდ — მატარებელზე არ
დაავიანდეთო.

სადგურის მორიგემ დილით რკი-

ნიგზის მთავარ სამმართველოში და-
რეკა და გახარებულმა აცნობა, თათ-
ბირის ჩატარება საჭირო არ არის,
წიგნის მკითხველმა ღამის სამ სა-
ათზე სადგური დასტოვაო.

სამმართველოდან კი აცნობეს, ამ
საქმესთან დაკავშირებით უკვე შე-
იქმნა კომისია და დაწყებულ საქმეს
შუა გზაზე ვერ მივატოვებთო.

— კომისია რაღა საჭიროა, თუკი
ის კაცი წავიდა, — გულწრფელად
გაიკვირვა სადგურის მორიგემ.

— ეს კომისიის საქმეა! — უბა-
სუხეს სამმართველოდან, — დღეს
არ არის, შეიძლება ხვალ მოვიდეს!

— სწორია, — გაიფიქრა მორი-
გემ. — გუშინამდე ასეთი რამ არ
მომხდარა, ხვალ, ვინ იცის, რა მოხ-
დება.

ნაშუადღევს სადგურში ისევ გა-
მოცხადდა ის ახმახი კაცი, მოსაც-
დელ დარბაზში გუშინდელ ადგილზე
დადგა და ახალი წიგნის კითხვას შე-
უდგა. ისევ გაოცდნენ და აჩურ-
ჩულდნენ მგზავრები. ზოგი უსმენ-
და, ზოგიც გარბოდა. დარბაზში
დღეს ახალი მგზავრები იყვნენ, სუ-
რათი კი იგივე იყო. ერთი სიტყვით,
რკინიგზის სადგური თავისი ჩვეუ-
ლებრივი ცხოვრებით ცხოვრობ-
და.

სადგურის მორიგეს დღესაც დამ-
ლაგებლებმა აცნობეს წიგნის მკი-
თხველის გამოჩენა. მორიგემ შუბლ-
ზე იტყიცა ხელი და მწარედ ამოიგ-
მინა. მილიციელი, ვისაც არავინ
ჰყავდა ისეთი, ბილიარდი რომ ეთა-
მაშა, სადგურის მორიგის კაბინეტში
იჯდა. წიგნის მკითხველის ხსენება
სულაც არ გაჰკვირვებია, პირიქით,
ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდაო, გა-
ნაცხადა.

— ვითომ რატომ? — გაუკვირდა
სადგურის მორიგეს.

— ეს კაცი ხვალაც მოვა. შეიძლე-

ბა ყოველდღე იაროს, — მრავალ-
მნიშვნელოვნად განაცხადა მილიცი-
ელმა. მორიგემ ისევ ამოიგმინა.

— რატომ, რატომ?

— ფსიქიური დაავადებაა...

სადგურის მორიგე გაოცებული
შეჰყურებდა მილიციელს.

— იდეა ფიქსი... სამყაროს შეცვ-
ლა... სხალხო განათლება და სხვა
და სხვა, — მშვიდად ჩამოთვალა მი-
ლიციელმა. ამ ჩვეულებრივი მილი-
ციელის უჩვეულო გამჭრიახობით
გაოგნებულმა სადგურის მორიგემ
რკინიგზის მთავარ სამმართველოში
დარეკა.

— იგი ისევ აქაა!

— ძალიან კარგი! — უბასუხეს
სამმართველოდან.

გუშინდელ კაცებსაც დაურეკა.
მათ უბასუხეს, მაგ კაცის დაბრუნება
კარგა ხანია ვიცით და მეტი ცნობე-
ბი საჭირო არ არისო.

...ასე გავიდა რამდენიმე დღე.
მწვანე ზურგჩანთიანი კაცი ახალ-
ახალ წიგნებს კითხულობდა: ზოგჯერ
ძველსაც იმეორებდა. იქ კი, რკინი-
გზის მთავარ სამმართველოში ამ
საქმესთან დაკავშირებით შექმნილი
კომისია გაცხოველებულ მუშაობას
განაგრძობდა. უნდილობას იჩენდნენ
მხოლოდ მგზავრები. ასეც უნდა ყო-
ფილიყო. ისინი მხოლოდ მსმენელნი
გახლდნენ.

სადგურის მორიგეს ხშირად ურე-
კავდნენ, ატყობინებდნენ კომისიის
მუშაობის შედეგებს.

კომისიამ დაადგინა, რომ მოსაც-
დელ დარბაზში ხმამაღლა კითხვას
თავისი უარყოფითი და დადებითი
მხარეები ჰქონდა. ამ მოვლენას
დადებითი მხარე გახლდათ: მგზავრ-
თა კულტურული გართობა, განათ-
ლების წინსვლა, მხატვრული ლიტე-
რატურის ხალხში გატანა, გავრცე-
ლება.

კომისიამ შემდეგი გადაწყვეტილე-
ბა მიიღო: 1) თუ მოსაცდელ დარ-
ბაზში წიგნების ხმამაღალი კითხვა
მავნე მოვლენად ჩაითვლება, ამას
თაობაზე შემუშავებულ უნდა იქნას
ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის
შესაფერისი ზერხები. 2) თუ ეს მოვ-
ლენა დადებითად იქნება შეფასებუ-
ლი, ამ შემთხვევაში საჭიროა ერთი
ახალგაზრდა მუშაკის გონივრული
წინადადების თანახმად (რისთვისაც
ეს ახალგაზრდა დააჯილდოვეს და
კომისიის საპატიო წევრადაც აირ-
ჩიეს), მგზავრებს მოაშორონ თვით-
მარქვია საეჭვო წიგნის მკითხვე-
ლები და შეურჩიონ უფრო შესაფე-
რი ხალხი.

გავიდა რამდენიმე თვე, ვინემ შე-
საბამის რეპერტუარს დაამტკიცებ-
დნენ, ვინემ მხატვრული კითხვის სა-
განგებო ოსტატებს მოამზადებდნენ.

მწვანე ზურგჩანთიანი კაცი კი ამა-
სობაში კითხულობდა და კითხუ-
ლობდა. კითხულობდა ისე, როგორც
შეეძლო, რა თქმა უნდა, არა რო-
გორც ოსტატი. მას უკვე მუდმივი
მსმენელებიც ჰყავდა, ისინი არსად
არ მიემგზავრებოდნენ. ასე რომ გა-
გრძელებულიყო, მოსაცდელ დარ-
ბაზში მგზავრების ადგილი აღარ
დარჩებოდა. მხატვრული კითხვა
რომ სხვაგან მოეწყობოთ, არც ეს იქ-
ნებოდა სწორი, მაშინ ხომ მგზავრე-
ბისათვის კითხვა არ გამოვიდოდა.
ბოლოს გადაწყდა, მოსაცდელ დარ-
ბაზში მსმენელებად მხოლოდ მგზავ-
რები დაიშვებოდნენ.

ბოლოს და ბოლოს ყველაფერი
რიგზე იყო. მთავარი კომისიის დად-
გენილებით პირველი კითხვა სწო-
რედ იმ დარბაზში უნდა დაეწყობოთ,
სადაც თვითმარქვია წიგნის მკითხვე-
ლი იდგა, რათა ამ თავისებური შე-
ჯიბრებით განედევნათ მეტოქე.

მაგრამ სწორედ საქმის დაწყების

წინ მოხდა მოულოდნელი რამ — მწვანე ზურგჩანთიანი კაცი სადღაც გაქრა, გაქრა უეცრად, ისე რომ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

სადგურის მორიგემ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა რკინიგზის მთავარ სამმართველოს. გაოცდნენ, ახმაურდნენ, დაუწყეს ძებნა მწვანე ზურგჩანთიან კაცს. უნდოდათ ძალით მოეყვანათ, მეცნიერულად მომზადებული მეტოქის გვერდით დაეყენებინათ, დაემარცხებინათ და ისე განედევნათ ეს თვითმარქვია. მაგრამ ამაოდ, მწვანე ზურგჩანთიანი კაცი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. აბა რა ფასი ექნებოდა მუშაობის დაწყებას მეტოქის გარეშე!

გამოხდა ჟამი. დაიშალა კომისი-

ები. ქვეყანაზე იბადებოდა ბევრი ახალი და საინტერესო რამ. რკინიგზის მთავარ სამმართველოში იქმნებოდა ახალი კომისიები ახალ და ახალ საქმეებზე. მწვანე ზურგჩანთიანი კაცი უკვე აღარავის ახსოვდა. მოსაცდელი დარბაზი თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მგზავრები ისხდნენ და ელოდნენ, მიდი-მოდიოდნენ, ხუმრობდნენ, ლაპარაკობდნენ ცხოვრებაზე, იგონებდნენ ძველ დროს. მშვიდობა იყო. სადგურის მორიგეც ბედნიერად გრძნობდა თავს. უჩვეულო არაფერი არ ხდებოდა. ღამის დარაჯი მგზავრებს გრძელი ჯოხით ალვიძებდა. არავის ახსოვდა, რომ სწორედ აქ, ამ დარბაზში ერთ დროს ხმამაღლა კითხულობდნენ წიგნს.

□



კ მ მ ე რ მ ს ი

ი ლ ი ა დ ა

ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მიხეილშვილმა

ქება მეორე

განთიადისას მაცნე ეოსი ეწვია ოლიმპოს, როცა ატრიდმა თავი მოუყარა თმასუჭუჭა აქაველებს, მეფეს ლაშქრის გამოცდა სწაღდა. როგორც აშლილი სკა გამოცვივდება ფულუროდან და გუნდ-გუნდად მოედება ველს, მტევნებივით აიხორხლება შტოებზე, ასე მოდიოდა ურიცხვი ჯარი. მიწა აკვნესდა ფერხთა ქვეშ. მიწყნარდა ხალხის გუგუნი და აგაჰმნონმაც მიმართა ლაშქარს:

„დანაელებო, არესის მსახურნო! ცხრა წელი გავიდა, ომს კი ბოლო არ უჩანს. იქნებ დავუბრუნდეთ სანუკვარ ცოლ-შვილს, გავიქცეთ სამშობლოსკენ? ჩვენ ვერ დავამხობთ ღვთაებრივ ტროას!“


ნოტოსი და ევროსი რომ ააბობოქრებს ზღვის ტალღებს ან ზეფიროსი გადაურბენს აბიბინებულ ჯეჯილს და დაბლა ხრის თავთუხებს, ისე აღელდა და ამოდრავდა ლაშქარი. ხომალდებს შეესივნენ, შინისკენ უწევდათ გული.

ასე გაექცეოდნენ ბედისწერას და ომს, ჰერას რომ არ მიემართა ათენასთვის:

„ამას რას ვხედავ, ზევსის ასული! ნუთუ პრიაშოსს უნდა შერჩეს გამარჯვება და არგიველმა ელენემ, რომლისთვისაც ტროაში ამდენი დანაული დაეცა, სამშობლო ვედარ იხილოს? ტკბილი სიტყვით შთააგონე აქაველებს, ნუ დატოვებენ ბრძოლის ველს“.

ათენა ოდისევსს ეწვია. ქალღმერთის მიერ შთაგონებულმა ჭკუაუხვმა ოდისევსმა ხან თხოვნით, ხან მუქარით დაიყოლია აქაველნი.

* გავრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4.



მხოლოდ თერსიტე არ ცხრებოდა. იგი ხომ შემთხვევას არ გააცდენდა, ბასილევსთათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. უსახური იყო, ელამი, კოჭლი, კუზიანი, მხრებდაწურული, თავწოწოლა, ქაჩალი, თან ყიამყრალი. სძულდა ოდისევსიც, სძულდა პელიდიც, ახლა კი ატრიდს ლანძღავდა:

„რაღა გაკლია, აგამემნონ? საგანძური სპილენძით აგივსია, ურიცხვი მხევალი გყავს... განა კვლავ ვინდა ოქრო, ახალი ხარჭა გწადია, რომ მასთან სიყვარულით დატკბე ერთ ჩარდახს შეფარებული? ვაი, რომ ლაჩრები ვართ, აქაველნი კი არა, დიაცნი უნდა გვერქვას! მარტო დაეტოვოთ, ხალხო, იგი ტროაში და ნახავს, უჩვენოდ რის მაქნისია! მან ხომ უმამაცეს აქილევსს ნაღველი მოსტაცა!“

განრისხებულმა ოდისევსმა კვერთხი ჩასცხო და ხმა გააკმენდინა. შეშინებული და აქვითინებული დაემხო თერსიტე. მეომრებმა ხარხარი დააყარეს. შემდეგ გმირმა კვლავ გაამხნევა ხალხი და ქალკანტის მისნობა მოაგონა: ჩვენ ხომ მეათე წელს გვიწინასწარმეტყველა მან გამარჯვება და ეს დღეც შორს არ არისო.

მხედრობა აღტაცებული ყიჟინით შეხვდა ოდისევსის სიტყვას.

ღუთავბრივმა ნესტორმა ურჩია აგამემნონს, ლაშქარი რაზმებად დაჰყავი, უნდა იცოდე, რომელი რაზმი გამოიჩენს ბრძოლაში თავსო.

აქაველებმა ღმერთებს ზვარაკი შესწირეს. ზევსმაც მიიღო აგამემნონის ზვარაკი, მაგრამ მის ლოცვა-ღაღადისს ყური არ ათხოვა. ოლიმპიელი ატრიდს დიდ განსაცდელს უმზადებდა. საერთო ღრეობის შემდეგ ბასილევსები ერისმთავრის ბრძანებით რაზმების დაწყობას შეუდგნენ. ათენა ალაფრთოვანებდა მებრძოლებს.

საზარი კოცონი რომ აბრიალდება მთის თხემზე, უსიერ ტყვეს გადაბუგავს და შორეთს ააელვარებს, ისე ლაპლაპებდა მეომართა თორან-მუზარადი, გარს იფრქვეოდა სხივოსანი სპილენძის ბრწყინვალეობა და, ეთერს გაცილებული, ზეცას ემსხვრეოდა. მებრძოლთა გუგუნში მათ ფერხთა ქვეშ აკენესდა ხეობა.

ახლა კი, მუზებო, ოლიმპიელო ქალღმერთო, ყოვლისმცოდნეო, გვიამბეთ, ვინ იყენენ დანაეღთა ბელადები! თქვენი შემწეობით ჩამოვთვლი ხომალდებს და მათ მეთაურებს (ჩამოთვლილია აქაველთა და ტროელთა რაზმები).

ჰექტორმა და ოდისევსმა გადაზომეს ასპარეზი და წილი ჰყარეს — თუ ვის უნდა ეტყორცნა პირველად ოროლი. წილი პარისს ხვდა, პარისი და მენელაოსი აღიჭურვნენ, გაიკეთეს საბარკულები, სამკლაურები, აბჯარ-ბექთარი, მოლაპლაპე მუზარადები დაიხურეს. გააფთრებულნი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. პარისმა ძალუძად ტყორცნა ოროლი, მაგრამ სპილენძის ბუნაკი მენელაოსის ფარში ჩაერჭო და ვმირა ვერ დააზიანა. მენელაოსის ოროლმა კი გააპო ფარი, ჯავშანშიც გააღწია, პარისს ქიტონიც გაუსია, მაგრამ ვმირი გვერდზე გახტა და სიკვდილს გადაურჩა. მახვილი მოუქნია მენელაოსმა, მაგრამ პარისის მუზარადზე გადაემსხვრა. ხელდახველ მიეჭრა, მეტოქეს რომ ჩაიქანზე ცხენის ძუისაგან გაკეთებული ჯიდა უთრთოდა, იმაზე სტაცა ხელი და დაითრია. ასე მიათრევედა დანაელებთან და დიდებასაც მოიხვეჭდა, რომ კვიპროსელ აფროდიტეს არ ეშველა: ბურუსი მოახვია პარისს, გაიტაცა და სანთიობოში შეიყვანა. შემდეგ ელენე მონახა და ქმართან დაბრუნება ურჩია. ქალმა იცნო ქალღმერთი და საყვედურით მიმართა: „სასტიკო კვიპროსელო, განა კვლავ ვინდა შემაცდინო? იქნებ ფრიგიაში ან მეონიაში გეგულება ჩემთვის ახალი საქმრო? თუ ასე გიყვარს აღექსანდროსი, დათმე ოლიმპო, დაუმშვენე მას სარეცელი. პარისიც მაშინ ან ცოლს გიწოდებს, ან მხევალს!“ მაგრამ აფროდიტეს მუქარით შეშფოთებული ელენე დაჰყვა ღმერთქალის ნებას. „ნეტავი მენელაოსთან ბრძოლაში დაღუპულიყავიო“, — მწყრალად მიმართა მან ქმარს. პარისმა უპასუხა, რომ მენელაოსმა იგი ქალღმერთ ათენას დახმარებით სძლია. მალე მისი გამარჯვების ჯვრიც დადგება. „დღეს გულს ისეთი ალი მიწევას, როგორც არ მქონია იმ ბედნიერ დღეს, როცა სპარტიდან გამოვიტაცე. ცეცხლს მიკიდებს შენი სურვილი“. ელენე მორჩილად დაჰყვა პარისის ნებას.

ამ დროს მენელაოსი ამაოდ ეძებდა ანაზღად გამქრალ პარისს. არავინ იყო ისეთი, მეტოქის ასავალ-დასავალი ეჩვენებინა. მხედართმთავარმა აგამემნონმა კი ხმამაღლა განაცხადა: „ყველამ იხილა მენელაოსის გამარჯვება. ტროელებმა დაე დაგვიბრუნონ ელენე და აღთქმული საგანძური!“ აქაველებმა ყიჟინით მოუწონეს სიტყვა.

ქება მისავე

ერთუროთის პირისპირ განლაგდნენ მეტოქენი, არგიველთა და ტროელთა ლაშქარნი. თანამე-
მამულეთ გამოეყო ალექსანდროსი, ბრძოლად იწვევდა ყოველ აქაველს. მენელაოსს როგორც კი
შეესმა მისი საბრძოლო ყიჟინა, მყის გადასწყვიტა შერკინებოდა შეურაცხყოფელს. აბჯარასხმუ-
ლი ატრიდი სწრაფად გადმოხტა საომარი ეტლიდან. პარისს ფერი ეცვალა მის დანახვაზე და
ტროელთა რიგებს მიეფარა. განრისხებულმა ჰექტორმა ვერ მოითმინა ძმის სიმხდალე და შეს-
ძახა:

„შენ მხოლოდ სახე გამშვენებს მამაცური, მექალთანე და მშიშარავ! რატომ არ შეეგებე
აბჯაროსან მენელაოსს, მაშინ გაიგებდი, როგორი ვაჟკაცის ცოლი მოგიტაცნია!“

შეგულიანებული პარისი დაეთანხმა ჰექტორს, რომ მენელაოსს შერკინებოდა და ტროელთა
და აქაველთა დავასაც ამით ბოლო მოღებოდა. ჰექტორმა სიტყვით მიმართა აქაველებს და ამცნო
პარისის გადაწყვეტილება. მენელაოსმა მიიღო გამოწვევა. გადაწყდა, ზვარაკი შეეწირათ ღმერ-
თებისთვის აქაველთაც და ტროელთაც. შემდეგ პარისისა და მენელაოსის ორთაბრძოლას უნდა
გადაეწყვიტა, ვის დარჩებოდა მშვენიერი ელენე, ხოლო მეომარ მხარეებს ზავი უნდა დაედოთ.

ქალღმერთმა ირისმა პრიამოსის ასულის ლაოდრიკეს იერი მიიღო და ელენეს ეწვია, რომე-
ლიც ამ დროს ხალიჩას ქსოვდა და ზედ ტროელთა და დანაელთა ომი აესახა. ფეხმალმა ირისმა
აუწყა ელენეს პარისისა და მენელაოსის ორთაბრძოლის შესახებ.

აღელვებული ელენე გაემართა სკაიას ბჭისკენ, იქ მსცოვანი ტროელები იხსდნენ,
რომელთაც უკვე ბრძოლის ძალა აღარ შესწევდათ, მაგრამ ბჭობაში ბადალი არ ჰყავდათ. მშვენი-
ერი ელენეს დანახვისას მოხუცი ერთუროთს ფრთოსან სიტყვას ეუბნებოდნენ: „არა, შეუძლებე-
ლია გაამტყუნო აქაველნი და ტროელნი, რომ ამდენ ჭირ-ვარამს უძლებენ, ამდენ სისხლს ღერი-
ან მშვენიერი ქალისთვის. ჭაშმარიტად უკვდავ ქალღმერთებს ვჯიბრება მშვენიერებით იგი...“

მოხუცმა პრიამოსმა აღერსით მიიხმო რძალი და თხოვა ეჩვენებინა მისთვის აქაველთა მხე-
დართმთავრები. ელენემ კოშკიდან გააცნო მას აგამემნონი, აქაველთა მხედართმთავარი, ლაერტის
ძე ოდისევსი — ითაკის ჭკუაუხვი მეფე, ტელამონის ძე აიანტი — დანაელთა ბურჯი, კრეტელი
ილომენევსი.

ამ დროს პრიამოსს შეატყობინეს პარისისა და მენელაოსის გადაწყვეტილება. მოხუცი შეძ-
რწუნდა, მაგრამ ეტლი სწრაფად შეაკანშინა და ანტენოროთან ერთად სკაიას ბჭეს გასცდა, გავი-
და ციხე-ქალაქიდან... მსცოვანმა მეფემ აქაველთა და ტროელთა რიგებს შორის გაიარა. მას მა-
მაცი მეუფე აგამემნონი და ბრძენი ოდისევსი შემოეგებნენ. ფიცის დასადებად ყველაფერი მზად
იყო. აგამემნონმა ღმერთებს შელაღადა:

„ღიადო ზევსო, ყოვლისმხედველთ პელიოს, მდინარეებო, დედამიწავ და თქვენც — ქვეშეთის
სულნო, მოწმედ ეყავით ჩვენს ზენაარს! თუ პარისი ვაიმარჯვებს, მას დარჩება ელენე, ხოლო
აქაველები დატოვებენ ტროას. თუ ძლევს მენელაოსი, იგი ცოლს დაიბრუნებს, ტროელნიც საკად-
რის საზღაურს გადაუხდიან დანაელებს და ომიც შეწყდება“. ამ სიტყვებით აგამემნონმა მრისხა-
ნე სპილენძი ყელში ჩასცა სამსხვერპლო კრავებს. ყველამ აავსო ღვინით თასები და ლოცვა
აღაუღინა. აქაველნი და ტროელნი ასე ამბობდნენ: „სახელოვანო ზევსო და უკვდავო ღმერთებო!
ვინც წმინდა ფიცს გადაუხვევს, ტვინი დასთხიოს შავ მიწაზე და მის ცოლს უცხოტომელი ეხვე-
ოდეს!“

მოხუცმა პრიამოსმა მოუწოდა ტროელებს და აქაველებს აღთქმა შეესრულებინათ. „მე კი, —
განაცხადა მან, — ძალა არ მეყოფა საყვარელი შვილის ორთაბრძოლას ვუყურო, ილიონში დავ-
ბრუნდები. მხოლოდ ზევსმა იცის, ვის უწერია ღღეს აღსასრული“.

ქება მითოსა

კრონიდის ოქროს სასახლეში იხსდნენ ღმერთები
და ბაასობდნენ, დედოფალი ჰებე ნარნარად
ოქროს ფიალით ურიგებდა უკვდავებს ნექტარს.



ერთურთს ეტყოდნენ სადღეგრძელოს და ტროის მხარეს
 5 გადასცქეროდნენ, როცა ზევსმა ინება ჰერას
 გაწიწმატება, დამცინავად ჩაუარაკა:
 „მენელაოსის მოკავშირედ ორ ქალღმერთს ვხედავ:
 ჰერას არგიველს და ათენას ალალკომენეს,
 მაგრამ ორივე შორს ბრძანდება, შორით უმზერენ
 10 და ეს ამშვიდებთ. აფროდიტე კი მომღიმარი
 თან ახლავს რჩეულს, ბედს სწევს ხოლმე. ახლაც დაიხსნა
 მოყმე, სიკვდილის მოლოდინით ათრთოლებული,
 თუმც აშკარაა, რომ დაჯაბნა მენელაოსმა.
 აბა რას იტყვით, როგორ გნებავთ დამთავრდეს საქმე?
 15 ისევ აღვაგზნოთ ბრძოლის ცეცხლი, შუღლი საზარი,
 თუ ორ ტომს შორის სანუკვარი ზავი დამყარდეს?
 უკეთუ ყველას სიამოვნებს მათი მშვიდობა,
 არ დაინგრევა პრიამოსის ქალაქიც მაშინ
 და შინ წაიყვანს მენელაოს ლამაზ ელენეს!“

ამოიოხრეს ათენამ და ჰერამ. ქალღმერთნი
 გვერდი-გვერდ ისხდნენ, ტროელთათვის ავს იზრახავდნენ,
 მაგრამ პალადა ჩუმად იყო, მრისხანე სიტყვით
 ზევსს არ მიმართა, თუმც ბორგავდა მის სულში ბოღმა.
 ჰერამ ვერ შეძლო დაოკება მძვინვარე რისხვის:
 25 „ჰოი, სასტიკო კრონიონო, რა ბრძანებაა —
 რატომ არაფრად ჩამითვალე მოწადინება?
 ქანცი გაუწყდათ ცხენებსაც კი, როს ჯარი დავძარ
 პრიამოსის და მისი მოღვმის გადასათქერად.
 ჰქმენ, რაცა გნებავს! ამით ყველა ღმერთს ვერ აამებ!“

მრისხანედ უთხრა ქალღმერთს ზევსმა ღრუბელთმქუფრავმა:
 30 „ბოღმით აღვსილო! პრიამოსმა და მისმა მოღვმამ
 რა ბოროტება შეგამთხვიეს, რომ გწყურის მიწყვი
 გაცამტვერება ილიონის, სვიან ქალაქის?
 შენ რომ შეგეძლოს შეაღწიო გალავნის შიგნით,
 35 ცოცხლად შთანთქავდი პრიამოსსაც, მის ნაშიერთაც
 და ყველა ტროელს, დაიცხრობდი მაშინლა ბოღმას!
 ჰქმენ, რაცა გნებავს! რაც არ უნდა მწარედ ვიდავოთ,
 ჩემ და შენ შორის არ იელვებს მტრობის სახმილი.
 ერთს კიდევ გეტყვი, დაიხსომე, გულს ჩაიბეჭდე:
 40 როს რისხვით გზნებულს მსურს დავლევო ციხე-ქალაქი,
 სამშობლო კაცთა, გულის შენის მაამებელთა,
 თავისუფლება მომეც, რისხვას ნუ გამინელებ!
 გითმობ ამ ქალაქს, თუმცა გული მეთანადრება.
 მანათობელ მზის და ხომლიან ცის კამარის ქვეშ
 45 რაც ქალაქი ჩანს, მოკვდავთაგან დასახლებული,
 ყველაზე მეტად ილიონი გულს ეფონება,


პრიამოსი და სპა შუბოსან პრიამოსისა.
მარადლე იქ ჩემს საკურთხეველს ზორვა შვენოდა,
ზედაშე, კვამლი და ყოველი, რაც ღმერთს ეკუთვნის“.

- 50 ზევსს კვლავ მიუგო დედოფალმა ხარისთვალეზამ:
„ყველაზე მეტად ქვეყნად ვეტრფი სამ ციხე-ქალაქს,
არგოსს, სპარტას და მიკენს ფართოფოლორცებიანს.
იავარყავი, თუ შეგძულდა, ყველა მათგანი.
არ დავიფარავ არც ერთს და არც შენ გაგიდგები.
- 55 რა უნდა მწარედ გულს მიკლავდეს მათი მოსპობა,
ძალა არ შემწევს მრისხანების, მძლავრზე ძლიერო!
მაგრამ ამაოდ დაიხარჯა ქალღმერთის გარჯა?
მეც ხომ ღმერთი ვარ, ვით შენ! მოდგმით ჩვენ ხომ ერთნი ვარ!
მე, უძველესსა ქალ-ღვთაებას, კრონოსის ასულს,
- 60 გული სავსე მაქვს სიამაყით, დად და მეუღლედ
შენ რომ გეკუთვნი, შენ — მეუფეს ყველა უკვდავის!
მაგრამ დავეხსნათ შულს, შევრიგდეთ, ერთურთს შევეუნდოთ,
მე — შენ და შენ კი მე დამითმე და ყველა ღმერთმა
ჩვენვე მოგვბაძოს!.. მაშ, უბრძანე ახლავ ათენას
- 65 ჩაებას ტროელთ და აქაველთ სისხლისმღვრელ ომში.
ისე მოიქცეს, რომ ტროელებს დაარღვევინოს
პირველად ფიცი აქაველთა გასაწბილებლად“.

- ასე მოუბარს დაეთანხმა უკვდავთა მამა,
ფრთიანი სიტყვა მიაგება ქალღმერთ ათენას:
- 70 „სწრაფად ეწვიე ტროელთა და აქაველთ ბანაკს,
ისე მოიქეც, რომ ტროელებს დაარღვევინო
პირველად ფიცი აქაველთა გასაწბილებლად“.

- ქალღმერთს, ისედაც მოწადინეს, გული მიეცა,
ოლიმპოს მთიდან გადმოიჭრა, როგორც მთიები,
კრონოსის ძე რომ სასწაულად მოუვლენს ხოლმე
- 75 ზღვას მინდობილ სპას, ან მხედრობას — მტერს შერკინებულს
და ნაპერწკლები სცვივა ვარსკვლავს აურაცხელი...
იმ ვარსკვლავივით მოსწყდა ზეცას მაშინ ათენა,
განცვიფრებული შესცქეროდა ტროელთ მხედრობა
- 80 და სპა საბარკულმშვენიერი აქაველების.
ასე ეტყოდნენ მებრძოლები ერთიმეორეს:
„კვლავ საძულველი, სისხლისმღვრელი ატყდება ომი,
ანდა მშვიდობას დაამყარებს ელვისმტყორცნელი, —
ლაშქართა შორის ბრძოლის საქმე მას ეკითხება“.

- 85 ასე ამბობდნენ ტროელნიც და აქაველებიც,
როცა ქალღმერთი მოევლინა ტროელთა ლაშქარს —
ლაოდოკოსის სახე ჰქონდა — ანტენორიდის



- და კითხვა-კითხვით დაეძებდა ღვთიურ პანდაროსს.
მალე იხილა ლიკაონის მამაცი შვილი.
- 90 გარს მოჯარვოდა ფაროსანთა რაზმი პანდაროსს —
აისეპოსის ხეობიდან მოსულ მოყმეთა.
მივიდა ღმერთი და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
„ხომ გამიგონებ, ლიკაონის გულადო ვაჟო?
ხომ შეგიძლია მენელაოსს დასცე ისარი?
- 95 ტროელთ მადლობას და დიდებას მოიხვეჭე უმაღლ,
ყველაზე მეტად დაგიმადლის ალექსანდროსი,
განძით აგავსებს, თუკი ნახავს, რომ მენელაოს —
ატრევსის ძე და სიქადული ღმერთის არესის,
ისრით ჭდებული დასაწვაად კოცონზე აჰყავთ.
- 100 გაბედე, ძლიერ მენელაოს სახელოვანი!
ჯერ ფიცი დასდე, რომ ლიკიელს ვერცხლისმშვილდოსანს
მსხვერპლად შესწირავ ნორჩ ტარიგთა ას ზვარაკეულს,
თუ ძელეიეს ციხე-ქალაქს დაუბრუნდები“.
- 105 ასე უბრძანა და უვნურის გული ალაგზნო,
ყრმამ მოიმარჯვა მშვილდი ფეხმალ ქურციკის რქისა,
რომელს ოდესღაც მონადირემ ჩასაფრებულმა
კლდიდან ასხლეტილს განუწონა მკერდში ისარი.
გულგანგმირული ტინს დაასკდა ქურციკი უმაღლ.
თექვსმეტ მტკაველზე აღმართოდა საბრალოს რქები.
- 110 სწორედ ისინი შეაერთა რქების ოსტატმა,
მშვილდი გამართა და ოქროთი მოავარაყა.
ელვარე მშვილდი დაუმიზნა, დაბლა დასწია.
რაზმი მშვილდოსანს აეფარა დიდი ფარებით,
რომ აქაველებს, არესის ძეთ, არ წინა-ესწროთ,
- 115 სანამ დასცემდა მენელაოსს, ძეს ატრევსისა.
კაპარჭს ახადა სუფი, მხოლოდ ერთი დაამტრო
ისარი, შავი სატანჯველის წყარო ფრთიანი,
მყისვე გაჭიმულ ლარს მოარგო და აღთქმა მისცა
ვერცხლისმშვილდოსან აპოლონ-ღმერთს, ლიკიას შობილს, —
- 120 შემოგწირავო ნორჩ ტარიგთა ას ზვარაკეულს,
თუ ძელეიეს ციხე-ქალაქს დაუბრუნდები.
მძღავრად მოზიდა ისრის ბოლო და ხარის ძარღვი,
ძუძუსთავს ძარღვი ზედ მიადო და მშვილდს — ბუნიკი.
როგორც კი შუა გაიდუნა მშვილდი, რქის ჭახანს
ლარის ზუზუნი თანვე მოჰყვა, ისარი ბასრი
- 125 მყისვე გაფრინდა, მტრების სიკვდილს დაზარბებული.
მაგრამ არ დაგთმეს, მენელაოს, დიდმა ღმერთებმა,
მომნიჭებელმა ნადავლისა, ასულმა ზევსის.
გადაგეფარა, დაუშალა სიკვდილის მომგვრელს
შეხება შენი. აგაცილა, ვით ნაზმა დეღამ,
- 130 ბუზს რომ აუქშევს ხოლმე ტკბილად ჩაძინებულ შვილს.
იქით მიმართა მან სპილენძი, სად ოქროს ბაღთა

კრავდა წელსარტყამს და ორმაგი ელავდა თორნი,
ბასრი ფრთოსანი მყის დაეჭლო ატრიდის სარტყელს,
135 გააპო კიდევ წელსარტყამი ულამაზესი,
ჯავშანიც უცხოდ მოკაზმული გაფლითა უმაღლ,
რვალის ქამარშიც გააღწია, სხეულს ისრისგან
რომ იფარავდა, ვერ გაუძლო სპილენძის ფენამ
ბუნიკის ძალას, გაიკაწრა მეომრის კანი
140 და ჭრილობიდან ამოხეთქა წითელმა სისხლმა.

ძოწით რთავს ხოლმე ფინიკიურ სპილოს ძვალს ქალი
მეონიელი — ცხენთა მდიდრულ საყბურისთვის,
ხოლო პატრონი შინ ინახავს. ბევრ მხედარს უნდა
ხელში ჩაიგდოს, მაგრამ განძს ვერ დაუფლებია,
145 ცხენის და მხედრის სახელოვან, მეფურ სამკაულს.
და შენც ასევე, მენელაოს, ძოწისფერ სისხლით
აგიფორაჯდა თეთრი თემო, ლამაზი ფეხი.

მამაცთ მეუფე აგამემნონს თავზარი დასცა
ძმის ჭრილობიდან მომჩქეფარე სისხლის ნაკადმა,
150 შედრკა არესის სანუკვარი მენელაოსიც,
როცა იხილა ჩაჭედილი ღვედი ისრისა.
მაგრამ კვლავ გული სიმამაცით აევსო ვაჟკაცს.
აგამემნონმა შეაშველა ძმას ხელი ოხვრით,
სპაც იქვე იდგა ნაღვლიანი. ალერსით უთხრა:
155 „ძმაო, ძვირფასო, მე გაგწირე, როს ფიცი დავდე,
აქაველთ გამო შეგარკინე ტროელთ მხედრობას.
მათ კი შენ დაგჭრეს, დაარღვიეს აღთქმა ღვთიური!
რალა ფასი აქვს ზენაარს და ზედაშეს, ზვარაკს,
ან ერთგულების ნიშნად ნები ნებს რად დაერთო,
160 თუ აღთქმას აღარ აღასრულებს ღმერთი მაღალი,
თუმც გვიან, მაგრამ მაინც მოთხოვს აღთქმის საზღაურს,
შვილების, ცოლის და საამო სიცოცხლის ფასად!
ჩემს სულს ღრმა რწმენა დაეუფლა და გული მითქვამს,
რომ ილიონის ბჭე ოდესმე განადგურდება,
165 პრიამოსიც და სპა შუბოსან პრიამოსისა.
მაღლივმეუფე კრონიონი, ეთერის მკვიდრი, ,
ტროელთა თავზე აიგიდას მოიქნევს საზარს,
გაუტანლობით გულგამწყრალი. ასე იქნება!
მაგრამ მე მომკლავს მწუხარება, ო, მენელაოს,
170 თუ სულთმობრძავი აქა ჰპოვებ სიცოცხლის სამანს!
მელის უწყალოდ გაწბილებულს უწყლო არგოსი,
აქაველებსაც სამშობლოში დარდი დასერავს.
ჩვენ აქ დავტოვებთ პრიამოსის, ტროელთ საამოდ
ლამაზ ელენეს. შენი ძვლებიც დაინაცრება
175 შორეულ ტროის მიწა-წყალზე დაშლილ-დაფშვნილი.

მაშინ ტროელიც გულზვიადი ამაყად იტყვის,
 მენელაოსის საძვალეზე ფეხით შემდგარი:
 „ასემც იყრიდეს ხოლმე მტრის ჯაფრს აგამემნონი!..
 ამაოდ ჩვენკენ წამოასხა სპა აქაველთა
 180 და კვლავ გაუდგა სამშობლოს გზას დაცლილი გემით,
 აქ კი დატოვა უპატრონოდ მენელაოსი!“
 იტყვის და მაშინ ჩემს ფერხთა ქვეშ გაიპე, მიწავ!“

დაღვრემილს გული გაუმაგრა მენელაოსმა:
 „მხნედ იყავ, შიშის ზარს ნუ დასცემ აქაველთ ლაშქარს.
 185 ვერ მომაყენა სასიკვდილო დარტყმა სპილენძმა,
 იგი დააცხრო მოოჭვილმა ქამარმა, ბალთამ
 და წელსარტყამმა, გაჭედელმა ოსტატთა მიერ“.
 მაშინ მიუგო გმირს მეუფე აგამემნონმა:
 190 „თუკი ასეა, მენელაოს, ძვირფასო ძმაო,
 ახლავ გასინჯავს ნაჭრილობევს ქველი მკურნალი
 და მწარე ტკივილს დაგიაშებს მისი მალამო“.

თქვა და მიმართა ტალთიბიოსს, ღვთაებრივ მაცნეს:
 „ო, ტალთიბიოს, მახაონი მახლე ახლავ,
 ასკლეპიოსის ძე, მკურნალი სახელოვანი.
 195 ნახოს ატრევსის ვაჟი, ქველი მენელაოსი,
 ტროელ მშვილდოსანს თუ ლიკიელს რომ დაუჭრია
 მათდა საამო-სასახელოდ, ჩვენს სადარდელად“.

დაემორჩილა სიტყვას მაცნე და შეერია
 იგი სპილენძის ქიტონიან აქაველთ ლაშქარს.
 200 ხალხს რომ გახედა, დაინახა მხნე მახაონი,
 იდგა და ირგვლივ ფაროსანთა სპა მოსჯარვოდა,
 ცხენმრავალ ტრიკეს მხრიდან მასთან ერთად მოსული.
 გვერდით დაუდგა და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
 „გასწი, მახაონ, აგამემნონ მოგიხმობს ახლავ,
 205 ნახე ატრევსის ძე, სვიანი მენელაოსი,
 ტროელ მშვილდოსანს თუ ლიკიელს რომ დაუჭრია,
 მათდა საამო – სასახელოდ, ჩვენს სადარდელად“.

მისმა ნათქვამმა აუმღვრია სული მახაონს.
 მსწრაფლ გაიარეს აქაველთა სპა უთვალავი,
 210 მიადგნენ დაჭრილ ატრიდს ნათელკულულებიანს
 და კეთილშობილთ, მის გარშემო ერთად თავმოყრილთ.
 მათ შორის იყო მენელაოს, ღმერთის სადარი.
 მკურნალმა სცადა მკვრივ თორნიდან ისრის აგლეჯა,
 მძლავრად მოსწია, გაელუნა ფხა ისარს ფრთიანს,
 215 გაირღვა თორნი მოელვარე და წელსარტყამი,
 მჭიდროდ ნაჭედი მესპილენძე ოსტატთა მიერ.


გასინჯა, ფრთხილად გამოსწოვა სისხლი დაისრულს,
შემდეგ მკურნალმა დააფინა დაჭრილს მალამო,
მამამისისთვის ქველ ქირონს რომ უსწავლებია.

220 როცა ბელადნი მენელაოსს თავს ევლებოდნენ,
ფარ-შიმშიერიან ტროელთა სპა ბრძოლად დაიძრა.
კვლავ აღიჭურვა და აღინთო სრულად ლაშქარი.
იქ ვერ ნახავდი აგამემნონს უქმად ჩათვლემილს,
შემკრთალს, შედრეკილს, დარწყლულელებულს ბრძოლის გნიასით:
225 ომს ესწრაფოდა სახელის და დიდების მომტანს.

რვალით ელვარე ეტლი დათმო, გაუშვა რაში —
ძლივს ამაგრებდა მოჭიხვინე ცხენს მეჯინიბე
ევრიმედონტი, ძე პეირად პტოლემეოსის.
უბრძანა ახლოს ყოფილიყო, სანამდის ლაშქარს
230 შემოივლიდა და საომრად სპას დააწყობდა.
ფეხდაფეხ გაჰყვა მებრძოლთ რიგებს აგამემნონი.
სადაც კი შეხვდა სწრაფცხენიან დანაელ მებრძოლს,
უფრო ალაგზნო საბრძოლველად მგზნებარე სიტყვით:
„ო, არგიველნო! სიმამაცე მოიხმეთ შმაგი!
235 დიადი ზევსი არ იქნება ვერაგთა შემწე,
ფიცის გამტეხთა, პირველ ჩვენთა შემგინებელთა!
დაიჩეხება ხმლებით მათი თეთრი სხეული,
საყვარელ ცოლებს და ძუძუთა ბავშვებს მოვტაცებთ,
ხომალდზე დავსხამთ, როცა ქალაქს მოვუღებთ ბოლოს!“


240 და თუ ნახავდა — ბრძოლას ვინმე თვალს არიდებდა,
არ დაინდობდა, შესძახებდა განრისხებული:
„გაი, სირცხვილი, არგიველნო! თქვე უბადრუკნო,
მხდალი შველივით რას გაშეშდით ზარდაცემულნი?
ველზე გაჭრილნი შედგებიან ხოლმე მაშვრალნი
245 და მათ ძარღვებში არ ბოგინობს სული და ძალა.
თქვენც ასე დგახართ და აყოვნებთ ბრძოლის დაწყებას.
განა მოელით, სანამ მოვა ყველა ტროელი
ჩვენს ხომალდებთან, აქაფებულ, თეთრ ზღვის კიდეზე,
რომ იქ გაიგოთ, თუ რა ხეირს დაგაყრით ზევსი?“

250 ასე უვლიდა, ამხნევებდა მებრძოლთა რიგებს.
მიადგა კრეტელთ, როცა განვლო მხედართა დასი.
იდომენევსთან იღვნენ, ბრძოლად ემზადებოდნენ.
მათი ბელადი ტახსა ჰგავდა გამძვინვარებულს,
იქვე ფალანგებს ალაგზნებდა ყრმა მერიონე.
255 მათი შემყურე აგამემნონ აივსო ლხენით
და იდომენევსს ტკბილი სიტყვით მიმართა მოყმემ:
„გმირო, ცხენმრავალ დანაელთა მხედრობის დასში




- 260 ომშიც, საქმეშიც მუდამ მყავხარ გამორჩეული,
ზეიმის ჟამსაც, როცა მწდენი შუშხუნა ღვინოს
შეუზავებენ მონადიმე არგიველთ ხოლმე.
და წინამძღოლნი თმახუჭუჭა აქაველების
შექცევით სისძისს, მაგრამ შენი ფიალა
მიწყვიტ სავსეა: სვამ ჩემსავით, რაც გულს სწყურია.
გასწი ამაყად, ვით ყოველთვის, მტერთან საომრად!“
265 პასუხად უთხრა კრეტელების მხედართმთავარმა:
- „ატრიდო, მარად გიერთგულებ რჩეულ მეგობარს,
ყოველთვის ფიცი მომიცია, მტკიცედ დამიცავს.
ნუ დაყოვნდები, გაამხნევე სხვა აქაველნიც.
შევუდგეთ ბრძოლას! წმინდა ფიცი გატეხეს ტროელთ,
270 პირველად მათვე ელის ტანჯვა, განადგურება,
ვინც ფიცი დაგმო, შეურაცხვეყო მუხანათურად!“
- ასე ამბობდა და გაცილდა გულმხნე ატრიდი,
სპა გაიარა და მიაღვა გმირ აიანტებს.
ბრძოლის თადარიგს შედგომოდნენ ლაშქარმრავალნი.
275 როგორც სერიდან ხელავს ხოლმე მწყემსი შავ ღრუბელს,
ზღვაზე დაფენილს, ზეფირი რომ მიერეკება,
შორიდან შავი ეჩვენება, მჭვარტლივით შავი,
ზღვის ზემოთ მსრბოლი და ქარიშხლის წინამორბედი.
შეძრწუნებული მწყემსი ფარას მღვიმეში სდევნის, –
280 სწორედ იმ ღრუბელს ჰგავდნენ სპანი აიანტისა,
სისხლისმღვრელ ბრძოლას ესწრაფოდნენ ხშირნი ფალანგნი
და ფარ-შუბი შეემართათ მრისხანედ მალლა.
მათი შემყურე აღფრთოვანდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვა მიაგება რჩეულ მოყმეებს:
285 „ჯაჭვისპერანგა არგიველთა ქველხო ბელადნო,
აიატებო! არ გიბრძანებთ ხალხსი ანთებას
ბრძოლის სახმილით, თქვენ ისედაც აქეზებთ ლაშქარს.
ზევსო მამაო, ათენავ და მძლეო აპოლონ!
ყველას ძარღვებში სიმამაცე რომ ჩქეფდეს მსგავსი,
290 ძირს განირთხმოდა პრიამოსის ციხე-ქალაქი,
გმირთა მარჯვენით ნაცარტუტად იავარქმნილი“.
- ასე უთხრა და გაემართა სხვათა მოხილვად.
შეხვდა ნესტორი პილოსელი, ტკბილმოუბარი,
რაზმებს აწყობდა, საბრძოლველად სულს აღუნთებდა.
295 თან პელაგონი, ალასტორი და ქრომიოსი
ახლდნენ წინამძღოლს, ჰაიმონიც, მეფე ბიანტიც.
მხედრები თვისი ეტლებითურთ წინ დააყენა,
მათ უკან ბევრი გულუმხნესი იდგა ქვეითი –
ბრძოლის ბურჯები. ხოლო მხდალნი შუა მოექცნენ,

- 300 რათა ებრძოლათ იძულებით ან თვისი ნებით.
თავდაპირველად მხედრებს მისცა რჩევა მოხუცმა
მწკრივს ნუ დაშლითო, რია-რია ნუ ირევითო:
„არვინ მარულა არ გამართოს წინასწარულად,
წინ არ გაიჭრას ტროელებთან შებმის მსურველი
305 და არც ჩამორჩეს: ამით თქვენს თავს დააუძლურებთ.
ვინც თვისი ეტლით შეეხლება ეტლს შემხვდურისა,
შუბი იმარჯვოს წამახული, ხსნა ჰპოვოს ამით.
ასე ვანგრევდით ჩვენც გაღავნებს, ციხე-ქალაქებს,
ასე შემოგვრჩა გონება და სული ძლიერი“.
- 310 დინჯად ურჩევდა სპას მოხუცი მრავალნაცადი.
მისი შემყურე აღფრთოვანდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვა მიაგება გულმხიარულმა:
„ნეტავი, ნესტორ, რაც გული გაქვს, ისე გერჩოდეს
მუხლები მოხუცს, შეგერჩენოდა ცინცხალი ძალა!
315 მაგრამ სიბერე მოგრევია! სხვებს მორეოდა,
შენ კი, ნეტავი, კვლავ გებრწყინა ჭაბუკთა შორის!“
- ატრიდს ნესტორმა უპასუხა გერენიელმა:
„ენა ვერ იტყვის, როგორ მინდა ისეთი ვიყო,
როგორიც მაშინ, როცა ვძლევედი ერევთალიონს!
320 ერთად ყოველი ღმერთს კაცთათვის არ ემეტება:
მაშინ ჭაბუკი ვიყავ, ახლა მთრგუნავს სიბერე.
და მაინც შევძლებ გავამხნევო სიტყვით მხედრობა,
აი, პატივი ერთადერთი, რაც რჩება მოხუცს.
დაე ბოძალი უმრწემესმა მხედრებმა ტყორცნონ.
325 ჩემს შემდეგ შობილთ, თვისი ჯანის იმედი რომ აქვთ“.
- ასე ამბობდა და გაცილდა გულმხნე ატრიდი.
ნახა მენესთევს პეტევსის ძე, მძლე მეომარი,
უქმად მდგომარე ათენელთა რაზმიც იხილა,
იქავე იყო ჭკუაუხვი გმირი ოდისევს,
330 გარშემო – სპანი ბრძოლანაცად კეფალენელთა,
უქმადვე იდგნენ, არც სმენიათ ომის გნიასი.
ამ დროს ფალანგნი ბრძოლით ერთურთს ელეწებოდნენ
ტროელ მხედართა – სწრაფმსროლელთა და აქაველთა.
შემოეშველა აქაველთა ახალი ტალღაც,
335 დასცხო ტროელებს და გაჩაღდა ბრძოლა საზარი.
უქმად რომ ნახა სპა, განრისხდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვით ერისმთავრებს ასე მიმართა:
„პიტევსის ძეო, ღვთაებრივი მეფის მემკვიდრევ,
შენც, ვერაგული ნიჭითა და ხრიკით სავსეო,
340 ნეტავ ვიცოდე, რას ელით და რას იმალებით?
უპირველესად თქვენ შეგფერით გაიზიაროთ



- მეწინავეთა ხვედრი — ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმა,
თქვენ კი პირველნი მობრძანდებით ხოლმე ნადიმზე,
როს უხუცესთა წვეულება ელით აქაველთ.
- 345 იქ გეამებათ შებრაწული ხორცის ნაჭერი,
ღვინით შექცევა, გულს რამდენიც გაუხარდება,
აქ კი უყურებთ სეირს ყველა, თუნდ აქაველთა
ათი ფალანგი თქვენზე აღრე მტერს შეერკინოს“.
- მყის ჭკუაუხვმა ოდისევსმა მიმართა მეფეს:
350 „ატრიდო, ეს რა სიტყვა დასცდა შენთა ბაგეთა?
შენ ამბობ — ბრძოლას გავერიდეთ? თუ აქაველნი
ტროელთ მხედრობას თავს დავატებთ არესის რისხვას,
ნახავ, თუ გინდა მონაწილე გახდე ბრძოლისა,
რომ ტელემაქეს მამა ტროელ მეწინავეთა
355 შორის იქნება! ამათა ეგ საყვედური!“
- შენიშნა ვაჟკაცს განრისხება აგამემნონმა,
უკან წაიღო თვისი სიტყვა და ასე უთხრა:
„ლაერტის ძეო, ჭკუაუხვო, ქველო ოდისევს!
მე არც საყვედურს მოგახსენებ, არცა გიბრძანებ.
360 კარგადაც ვიცი, გული გიცემს კეთილშობილი,
კეთილმზრახველი და ჩემსავით ერთს ფიქრობ შენა!
მაგრამ ისწრაფე! მო, შევრიგდეთ, რაც მოხდა, მოხდა!
რაც ცუდი ითქვა, უკვდავებმა გადაგვავიწყონ!“
- ასე უთხრა და გაემართა სხვათა მოხილვად.
365 ნახა ტიდიდი დიომედე უმამაცესი,
ცხენებთან იდგა, თვალისმომჭრელ, ბრწყინვალე ეტლთან,
იქავე იყო სთენელოსიც, კაპანევსის ძე.
მათაც მრისხანედ მიუვარდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვით საყვედური უბრძანა მწარე:
370 „ცხენთა მხედვნიელი ტიდევისის ძევ, რა გაცახცახებს?
ბრძოლის სარბიელს ნირწამხდარი მისჩერებიხარ!
ჩვევად არ ჰქონდა ტიდევისს შიშით ასე წახდენა,
ყველაზე უწინ შეებმოდა ხოლმე მტრის ლაშქარს.
ასე ამბობენ, მე მის ბრძოლას არ მოვსწრებივარ,
375 მაგრამ — ნუ იტყვი — თურმე, ვერვინ შეედრებოდა.
ოდესლაც სტუმრად და არა მტრად მიკენს გვეწვია,
პოლინიკესთან ერთად სწადდა სპათა თავმოყრა
ღვთაებრივ თებეს გალავანთა დასალაშქრავად.
ითხოვეს ჯარი სახელოვან მოკავშირეთა.
380 დაპირდნენ, თხოვნის შესრულებაც უნდოდათ, მაგრამ
უცბად საზარი სასწაული ანიშნა ზევსმა.
მყისვე გაგვშორდნენ. როს დაბრუნდნენ. ველს ამწვანებულს
ეწვივნენ ისევ — სანაპიროს ასოპოსისა.

- იქიდან ელჩად გააგზავნეს აქაველებმა
385 ტიდევსი თებეს, სად კადმოსელთ შეხვდა ვაჟკაცს,
ქველ ეტეოკლეს სასახლეში მოქეიფეებს.
ნამგზავრი იყო მხნე მხედარი, მაგრამ არ შედრკა,
მარტო რომ დარჩა კადმოსელთა მრავალთა შორის.
გამოიწვია საბრძოლველად და ყველა მოყმე
390 ადვილად სძლია, შეეწია ათენა ვაჟკაცს.
ბოლმით აღივსნენ კადმოსელნი მოჯირითენი
და გაბრუნებულს იღუმლად ყრმა ორმოცდაათი
მყის დაადევნეს ორი მეფის მეთაურობით.
ესენი იყვნენ მაიონტი ჰაიმონიდი
395 და უძლეველი პოლიფონტი ავტოფონტის ძე.
მაგრამ ტიდევსმა მათაც ავი ხვედრი არგუნა:
ყველა დახოცა, ერთს აჩუქა სიცოცხლე მხოლოდ:
შინ გააბრუნა მაიონტი ღვთაების ნებით.
ასეთი იყო გმირი ტიდევს, მაგრამ ძე შეხვდა
400 ომში უმწეო, ბჭობაში კი მამაზე მჭევრი“.
- ასე თქვა, მაგრამ დიომიდემ არ უპასუხა,
რიდით ისმინა დასარიდალ მეფის ყვედრება.
ვერ მოითმინა ახოვანმა კაპანევსის ძემ:
„სიცრუეს ამბობ, თუმც სიმართლეც იცი, ატრიდო,
405 გვეამაყება, რომ მამებზე გულუმხნესნი ვართ:
ზევსის იმედით შვიდბჭიანი თებეც დავლეწეთ,
თუმცა არესის გალავანთან მცირე სპა მოგვეყვა,
ღვთის სასწაული გვწამდა, ზევსის იმედიც გვქონდა.
ჩვენი მამები უგნურებას გადაჰყვნენ მხოლოდ.
410 მამათ დიდებას ჩვენს დიდებას ნუ შეადარებ!“
- რისხვით შეხედა დიომიდემ და შეედავა:
„აი დედასა!.. იყუჩე და ყური დამიგდე!
მე ბრალს ვერ დავდებ, როს ატრიდი ასე ალაგზნებს
ლაშქარს საბარკულმშვენიერი დანაელების.
415 დიდება — ბელადს, თუკი ძლევენ აქაველები
ტროელთა ლაშქარს და ილიონს იავარყოფენ,
ვაებაც ბელადს უნდა ერგოს, თუ დაგვამარცხეს!
გვიჯობს, ვისწრაფოთ, გავიხსენოთ ზნე სამამაცო!“
- ბრძანა და მყისვე ძირს გადმოხტა მალალ ეტლიდან,
420 დაიჟღერიალა იარაღმა და სამკერდულმა,
უმძლავრეს მტერსაც ძრწოლას ჰგვრიდა ბრძოლად გაჭრილი.
- თითქოს მქუხარედ ეხეთქება ზღვაური ნაპირს,
ზვირთი ზვირთს მისდევს, ზეფიროსით აგორებული,
ზღვის შუაგულში აქოჩრილი, გრუხუნით კლდეზე



- 425 დაშლილ-დაფშვნილი, როს კლდის უკან ნელი ტყლაშუნით
ტალღა და ტალღა მარილიან ქაფს მოიყენებს.
ასე მიჰყვება დანაელთა ფალანგი ფალანგს,
ბრძოლად ისწრაფვის, ბელადების ბრძანება ისმის,
თვით მეომარნი კრინტს არ სძრავენ, საკითხავია —
430 ამდენ ხალხს მკერდში დახშობია ბგერა ყოველი?
ჩუმად მიდიან და მორჩილად, აბჯარი ბრწყინავს
ჭრელი, მდიდრული, საოცარი. მწყობრად მიდიან.
ამ დროს ტროელნი ცხვრებსა ჰგვანან. მდიდრის ფარეხში
ბევრია ცხვარი, იწველება რძე, მიწყვი ისმის
435 მათი კიკინი საპასუხოდ კრავთა კიკინის.
ასეთი იდგა ღრიანცელი ტროელთ ლაშქარში.
ერთი არ ჰქონდათ ოღონდ ბგერა, სხვადასხვა იყო
ენა სხვადასხვა მიწა-წყლიდან შეკრებილ ხალხთა.
მათ ალაგზნებდა თვით არესი, ამათ — ათენა.
440 საშინელება, შიში გაჩნდა, შუღლი — ერისი,
დაა არესის, მეგობარი კაცთამმუსვრელის.
თავდაპირველად ძლივს დახობავს, რომ იგრძნობს ძალას,
თავით ცას სწვდება, ტერფებით კი მიწას ეხება.
ხალხს დაერია, მძვინვარებას თესავდა ირგვლივ,
445 ბრბოში დაძრწოდა ამრავლებდა მომაკვდავთ კვნესას.
რომ შეხვდნენ სპანი შერკინებად შეღერებულნი,
შეასკდა შუბი შემხვდურთა შუბს, ტყავს მოხვდა ტყავი,
მებრძოლთა ძალა დაიძაბა რვალით მოსილთა.
ფარები ფარებს შეელეწნენ, ატყდა ჭახანი.
450 ძლევის ყიჟინას შეერია მომაკვდავთ კვნესა,
ხმა მძლეველთა და ხმა ძლეულთა, სისხლმა იჩქეფა.
ვით ღიდროობის ჟამს გადმოქუხს ორი მდინარე
და გაშლილ ველზე შეახეთქებს ტალღებს ბობოქარს,
სათავეს იღებს მთიდან, ჩადის თვით უფსკრულამდე.
455 მათი შხუილი შეაშფოთებს მწყემსს მთის მწვერვალზე, —
სწორედ ასე შორს ღრიანცელი ისმოდა ბრძოლის.

- 460 ანტილოქოსმა მეწინავე ტროელი დასცა —
თალისიადი ექებოლოს, განგმირა შუბით
სქელფარფლიანი ჩაჩქნის სალტე, შუბლი გაუპო,
ძვლებში ჭახანით გაეჩხირა რვალის ბუნიკი,
გადაეფარა მყის წყვდიადი მეომრის თვალებს.
გმირი მაღალი გოდოლივით ძირს დაენარცხა.
მყის ფეხში სტაცა მოკლულს ხელი ელეფენორმა,
ქალკოდონტის ძემ, დიდსულოვან აბანტთა მეფემ,
465 ისრებს არიდა, საბარკულთა აძრობა სცადა,
მაგრამ მცირე ხანს შერჩა მხოლოდ მოწადინება:
გვამის წამთრევი აგენორმა დიდსულოვანმა
როგორც კი ნახა წახრილი და ფარ-დაშვეებული;

დასცა ბოძალი სპილენძისა, დაძრა მოძალე.

- 470 სული აღმოხდა გმირს, ბრძოლა კი უფრო გაჩაღდა,
ერთურთს ვით მგლები, ტროელნი და აქაველები
შეჭიდებოდნენ და კაცი კაცს აღარ ინდობდა.
- 475 აგერ აიანტ ტელამონის ძეს განუგმირავს
ანთემონის ძე, ახალგაზრდა სიმონისიოს,
იგი მშობელმა სიმონტის ნაპირთან შობა,
როს იდას მთიდან ბარში თავის არვეს ეწვია.
სიმონისიოს იმად ერქვა. მაგრამ ყრმამ დედა
ვერ გაახარა: მოკლე იყო მისი სიცოცხლე,
შუბით შუაში შეუწყვიტა ტელამონიძმა.
- 480 წინ მიიწევდა, როცა მკერდში შუბმა უწია,
მარჯვენა ძუძუს განეწონა, გაძვრა ბეჭიდან.
მიწას დაასკდა მოყმე, როგორც ვერხვი მთრთოლვარე,
ნოტიო ველზე ამოზრდილი, ნასათუთევი,
ზწორი, ხასხასა, ნეტარებით რტოებგაშლილი.
- 485 ვერხვი, მეეტლე რომ შეარჩევს, ელვარე რკინით
მოჭრის და მოხრის ეტლის ბორბლად, მტვერში მიაგდებს,
უწყლოდა ხმება ხოლმე მშობელ მდინარის პირას.
სიმონისიოს ასე ეგლო ჯავშანახსნილი
აიანტისგან. მას კი ამ დროს პრიამეს ვაჟმა
- 490 ყრმა ანტიფოსმა შუბი სტყორცნა ორომტრიალში,
მაგრამ აუცდა, ოდისევსის მეგობარს ლევკოსს
ზედ საზარდულთან მოხვდა, როცა გვამს მიათრევდა,
მყის გაუვარდა, დაენარცხა მოკლული მოკლულს.
რისხვთი აინთო ოდისევსი მეგობრის გამო,
- 495 მეწინავეებს გამოეყო, შემართა შუბი,
მიმოიხედა, მოელვარე ოროლი სტყორცნა,
ტროელთა სცადეს აეცდინათ დარტყმა მოყმისა,
ის კი ამოდ არ გარჯილა: დასცა ოროლი
პრიამოსის ბუშს დემოკონტს, აბილოსიდან —
- 500 ფეხმსუბუქ ცხენთა საძოვრიდან შინ დაბრუნებულს.
შურისმგებელმა ოდისევსმა შუბი აძგერა
ზედ საფეთქელზე, მეორე მხრით გავიდა შუბი,
გადაეფარა მყის წყვდიადი მეომრის თვალებს.
ზათქით დაეცა, აზრიალდა მძიმე ჯავშანი.
- 505 ჰექტორმა უკან დაიხია, ტროელთ რაზმებმაც.
არგიველებმა შეუყივლეს, გვამნი გაძარცვეს,
კვლავ წინ გაიჭრნენ. გაგულისდა აპოლონ ღმერთი,
ტროელთ აღმგზნები პერგამოსის ბჭიდან ჰყვიროდა:
„წინ, მეომრებო! ნუ დაუთმობთ არგიველთ ბრძოლას,
- 510 ქვის მკერდი არ აქვთ და სხეული მტკიცე რკინისა,
სპილენძის დარტყმა აინუნში რომ არ ჩააგდონ.

ლამაზთმიანი თეტიდას ძე აქილევსიც ხომ
გვერდით არა ჰყავთ, გულის დამღრღნელ რისხვით მოცული“.

- 515 ასე გრგვინავდა ღმერთი, მაგრამ ზევსის ასული
ტრიტოგენია აღაგზნებდა აქაველთ ლაშქარს,
იქ გაჩნდებოდა, სადაც შემდრკალ რაზმს შენიშნავდა.
ამარინკოსის ძეს დიორესს უმუხთლა ბედმა,
წიბოიანი ლოდი მოხვდა მარჯვენა წვივში:
520 თრაკიელთ მეფემ ტყორცნა ხელით — აინოსიდან
ტროას მოსულმა იმბრასიდმა — გმირმა პიროსმა.
მუხლზე ძარღვები გადაუჭრა, ძვალი დაღეწა,
პირქვე დაამხო უტიფარმა ქვამ დიორესი.
მთრთოლვარე ხელნი მეგობართა მხარეს განართხო
ყრმამ სულთმობრძავმა, გაუქროლა მკვლელმა პიროსმა,
525 მუცელში შუბი აძგერა და სულ გამოშიგნა.
გადაეფარა მყის წყვდიადი მეომრის თვალებს.
პიროსს თოანტმა სტყორცნა შუბი ეტოლიელმა,
მკერდში, ძუძუსთან, შიგ ფილტვებში გავიდა შუბი.
სწრაფად მიეჭრა, გამოგლიჯა ბასრი ოროლი,
530 იშიშვლა ხმალი მოოჭვილი გმირმა თოანტმა,
დასცა, გააპო, ამოართვა სული მომაკვდავს.
ბექთარის აცლა ვედარ შეძლო, შუბი შემართეს
და შეუტიეს გრძელთმიანმა თრაკიელებმა.
თუმც მძლავრი იყო და ვეება, ძალგულოვანი,
535 მაინც აჯობეს, უკუმიდგა, გაცლა არჩია,
ასე სისხლიან ველზე ეგდო ერთურთის გვერდით
თრაკიელთა და ეპეიელთ შუბით მოკლული
ორი ბელადი, სხვაც მრავალი იმათ გარშემო.

- 540 ვერვინ იტყოდა ძვირს საგმიროთ ამა საქმეზე,
ვინც უვნებელი მტრის ბასრ მახვილს გაღურჩებოდა,
ვისაც ათენა დაიხსნიდა ბრძოლის ველიდან,
მძვინვარე ისარს ააცდენდა ომის თვითმხილველს.

იმ დღეს მრავალი აქაველი, ბევრიც ტროელი
ერთურთის გვერდით დამხობოდა სისხლიან მიწას.



წლების მანძილზე შარლ ბოდლერის (1821—1867) შემოქმედებას არ რგებია წილად კრიტიკის ერთმნიშვნელოვანი ანდა ერთსულოვანი შეფასება. მისი პოეზიის თვალსაჩინო აღიარებას წარმოადგენს 1970 წელს მოსკოვში გამოცემული „ბოროტების ყვავილების“ სრული რუსული თარგმანი. ამ აკადემიურ გამოცემას რედაქციისაგან წამმდვარებული აქვს წინასიტყვაობა, სადაც ბოდლერს „საფრანგეთის ლიტერატურის კლასიკოსს“ უწოდებენ.

საქართველოში ბოდლერის პოეზიის გადმოღებასა თუ შეფასებას თავისი ისტორია აქვს. ამ ისტორიას ამშვენებენ პაოლო იაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის, ტიცციან ტაძიბისა და ვალერიან გაფრინდაშვილის სახელები. ოღონდ დღემდე, თუ არ ვცდებით, ჩვენში ბოდლერის მარტოოდენ პოეტური მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშები ითარგმნებოდა, „საუნჯის“ წინამდებარე ნომერი კი გვერდიგვერდ გვთავაზობს ბოდლერის ლექსებსა და კრიტიკულ წერილებს.

მკითხველი გაეცნობა „ბოროტების ყვავილებიდან“ ამოღებულ ოთხ ლექსს. ამ კრებულს ხსნის ლექსი „მკითხველს“. აქ ახლებურადაა წარმოდგენილი ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა. არც ერთსა და არც მეორეში ბოდლერი ფარისევლობას არ ინდობს.

1959 წელს მოქანდაკე ერნსტ კრისტიანს თაბაშირის მცირე ფიგურა გაუტანია პარიზის სამხატვრო გამოფენაზე. თავის „სალონებში“ ბოდლერმა შემდეგნაირად დაახასიათა ეს ნაწარმოები: „იგი შიშველ ქალს წარმოგვიდგენს... მნახველს თეატრალური და მოტკბო ღიმილით რომ ეგებება. მოქნილადაა გადმოცემული მსუბუქი სამოსის ნაკვეთები; ლამაზი თავი ქალს თითქოს ძლიერ მკერდზე მიუბჯენია. მაგრამ, თუკი ერთ ნაბიჯს მარცხნივ ან მარჯვნივ გადადგამთ, ალეგორიის საიდუმლოს, იგავის მორალს აღმოაჩენთ: მე ვგულისხმობ აცრემლიანებულსა და ქანცმიხდილ ნაკვეთებს, უკან გადახრილ თავს. თავდაპირველად თქვენი მზერა ნიღაბს მოუჯადოებია, უნივერსალურ ნიღაბს, თქვენს თუ ჩემს ნიღაბს. ესაა მოხდენილი მარათ, რომლითაც მარდი ხელი მთელს სამყაროს უმაღლეს ადამიანის ტკივილსა და სინდისის ქენჯნას“. ამ შთაბეჭდილებიდან დაიბადა ლექსი „ნიღაბი“.

მორალური სიმახინჯისაგან თავშესაფარს ბოდლერი სილამაზეში დაეძებს. სიმახინჯეს კი აარიდებს თავს, მაგრამ თან აღმოაჩენს, თურმე სიცოცხლესაც გამოვეცალეო. ამ მწარე



განცდით წერს ბოდლერი „სილამაზის საგალობელს“ და პირად დღიურშიც ჩაინიშნავს: „ვიპოვე სილამაზის, ჩემი სილამაზის განსაზღვრება. იგია მგზნებარე და სვედიანი...“

კრიტიკული წერილები „ვიქტორ ჰიუგო“, „თეოფილ გოტიე“, „პეტრუს ბორელი“, „გუსტავ ლე ვაჟასერი“ და „ლევონტ დე ლილი“ ხუთივე „რომანტიკული ხელოვნების“ იმ განყოფილებიდანაა ამოღებული, რომელსაც ეწოდება: „ფიქრები რამდენიმე ჩემს თანამედროვეზე“.

ვიქტორ ჰიუგოს პოეზიის ჩრდილში გაიზარდნენ მისი უმცროსი თანამედროვენი და აჟად თუ კარგად იხსენიებდნენ მის გაკვეთილებს. ჰიუგოსადმი თავისი დამოკიდებულება ჰქონდა ბოდლერსაც: არც ხელალებით კრიტიკული, არც მორჩილად მოზიარე. ორივე პოეტის მსოფლალქმისა და პოეტური მრწამსის სხვაობა თვალში გეცემათ. ნაკლებად საჩინოა, თუმცა კი ნამდვილად არსებული, მათი სიახლოვე. ამ სიახლოვეს გვიდასტურებს ზოგიერთი ჰიუგოსური თემა ბოდლერთან და ნარკვევები „ვიქტორ ჰიუგო“, „განწირულნი“. პირველი მათგანი ამჯერად ქართულად ითარგმნა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ „ბოროტების ყვავილზე“ ვიქტორ ჰიუგოს სიკეთისა და ძლიერების შეერთებას უწონებს. თუნდაც აქედან ჩანს, რომ არც ბოდლერისთვის არის უცხო ბოროტების დასამხობად სიკეთის მოხმობა.

ბოდლერი დამოუკიდებელი გონების მოაზროვნეა. მას სიამოვნებს გავრცელებული შეხედულების გაბათილება. „ესთეტიკურ ღირსშესანიშნაობებში“ კრიტიკოსმა უმართებულოდ ჩათვალა ვიქტორ ჰიუგოსა და ეჟენ დელაკრუას შორის გარეგნული ნიშნებით გავლებული პარალელი. ასევე უპირისპირდება იგი თეოფილ გოტიეზე არსებულ წარმოდგენას, რომლის თანახმად გოტიე ცივი, ალუშფოთველი ოსტატია. თუმცა ეს აზრი არც თუ მთლად უსაფუძვლოა, ბოდლერის ნარკვევი გვეხმარება „მინანქრებისა და კამეების“ ავტორის შემოქმედებაში ვნებათა დელვის ნაკვლევი აღმოვაჩინოთ. თვით თეოფილ გოტიეს ესოდენ ვნებიანი დაცვა „ბოროტების ყვავილების“ გრძნობით გამთბარ ზოგიერთ ლექსს გვაგონებს.

პეტრუს ბორელი ეგრეთ წოდებული „მცირე რომანტიკოსია“. ბოდლერის მსგავსად, ბორელსაც მთელი არსებით სძულდა ბურჟუა და ამ სიძულვილის შესატყვისი ფსევდონიმიც მოუშარჯვია: „ლიკანთროპი“, ანუ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი, ვისაც ერვენება, ძველად ვიქეცო. (ამ განწყობილების მონათესავეა, სხვათა შორის, მათაკოვსკის „პოეტური ლიკანთროპიაც“: „Я волком бы выгрыз бюрократизм...“).

თუკი პეტრუს ბორელის შემოქმედება დღემდე ცოცხალ ლიტერატურულ პროცესშია ჩაბმული, იგივე ვერ ითქმის პოეტ გუსტავ ლე ვაჟასერზე, ვისი სახელის მოძებნაც ჭირს ლიტერატურულ ენციკლოპედიებში. მისადმი მიძღვნილი ბოდლერის წერილიც უფრო მეგობრის გულთბილი გახსენებაა.

ლევონტ დე ლილის დიადსა და ამაყ პოეზიას ბოდლერმა უხვად მიუზღო კუთვნილი. ლევონტ დე ლილთან, ისევე როგორც თეოფილ გოტიესთან, ბოდლერს აერთიანებს სილამაზის კულტი, დახვეწილი და სრულყოფილი ფორმა.

ბასტონ ბუაჩიძე

წიგნიდან „ბოროტების ყვავილები“

მ ა ი თ ხ ვ ე ლ ს

სიძვა, სიძუნწე, სისულელე და შეცდომები
ეუფლებიან ჩვენს გონებას, აწრთობენ სხეულს;
სინდისის ქენჯნას, ვით ტილი სჭამს მათხოვარს ეულს,
ჩვენ ვასაზრდოებთ სასოებით და მონდომებით.

ცოდვა ურჩია, სინანული ჩვენია მზდალი —
ძვირად ვაფასებთ საკუთარი ცოდვების მხელას



და სიხარულით ვუბრუნდებით ჭაობებს ხელად,
გვწამს: ბილწმა ცრემლმა ჩამოგვრეცხა ცოდვების კვალი.

ჩვენი სიავის სასთუმალთან სამგზის ძლიერი
სატანა დგას და უნანავებს ჩვენს აღმაფრენას,
მიწყვივ აორთქლებს ნებას ჩვენსას, გონსა და ენას
აღქიმიკოსი განსწავლული და ნიჭიერი.

ეშმაკს უპყრია ხელთ სადავე ჩვენი ვნებების
და გვხიბლავს მიტომ სისაძაგლე ყველანაირი,
თამამად ვსუნთქავთ ჯურღმულების მყრალი ჰაერით
და ჯოჯოხეთში გზას მივიკვლევთ სვენებ-სვენებით.

როგორც ბებერი ბოზის ძუძუს ნატანჯ-ნაწამებს
ვინმე საბრალო ვიგინდარა ლოშნის და ჟღლიძავს,
ვიპარავთ გზად და გამალებით ვწურავთ ვით ლიმონს
სიამოვნების უნეტარეს, იღუმალ წამებს.

ალოღებულნი, ვით ძატლები, როგორც მკბენარნი
თავში ღრეობენ დემონები წივილ-კივილით,
სუნთქვასთან ერთად, უხილავი და ყრუ ტკივილით
ფილტვებში ჩაგვდის ჩვენ სიკვდილის ჩუმი მდინარე.

თუ ძალადობამ, დანამ, შხამმა, ცეცხლმა და ალმა,
დღემდე ვერ შესძლო მოეხატა საამურ ხედით
ერთი უბრალო ქარგა ჩვენი საბრალო ბედის,
ვაგლახ, რომ ჩვენს სულს სითამამე ჰკლებია ალბათ.

მაგრამ მათ შორის, რაც კი ყმუის, ღმუის და ღნავის,
მაიმუნია ის თუ ძალღი, აფთარი, მგელი,
ლომი თუ ვეფხვი, გველეშაპი ან კიდევ გველი,
ბიწიერების კიდობანში ყველაზე ავი

ერთი რამ არის — უსახური, ბოროტი, ტრელი,
არც ხტის ზედმეტად, არც ხმაურობს, სიჩუმეს იცავს,
სიამოვნებით დაანგრევდა ის დედამიწას,
რომ მთქნარებაში ჩაეყლაპა ქვეყანა მთელი;

— მოწყენილობა! უნებლიე ცრემლს ღვრის უსასო,
სახრჩობელაზე ოცნებობს და ეწევა უკას*.
ჩემო მკითხველო, იქნებ იცნობ ამ ნატიფ როკაპს?
მოთნე მკითხველო, ჩემო ძმაო და ჩემო მსგავსო.

* უკა — ინდური ჩიბუხი, ნარგილეს მსგავსი.

* * *

მიყვარს, ო, მიყვარს გულახდილი ძველი დროება,
როს თებეს თნევდა ქანდაკების მოოქროება.
მაშინ ქალი და კაცი ყველა იყო ჯანსაღი,
უზაკველი და უდარდელი; ტკბებოდნენ ლაღი
ცხოვრებით; ზეცის და მზის ალერსს იყო ჩვეული
მათი ლამაზად ჩამოქნილი, კობტა სხეული.
მაშინ კიბელეს გულუხვს, სვიანს და ნაყოფიერს
არ მიაჩნდა, რომ დედამიწას ვამძიმებთ ძლიერ.
მაგრამ ძუ მგელი, ამქვეყნიურ სინაზით სავსე,
სამყაროს შავი ძუძუებით ასმევდა სასმელს.
კაცს კი ძალოვანს ეამაყა ჰქონდა უფლება
ღიაცით, ვისაც სწამდა მისი ხელისუფლება.
ქორფა ნაყოფი შეურყვნელი, ხის მსხმოიარის
ისაკლისებდა ნაჭრილობებს და ნაიარევს,

პოეტი ღღეს თუ მოინდომებს, რომ დაინახოს
ეს თვითმყოფადი სილამაზე და უფრო ახლოს
მივა იქ, სადაც კარგად მოსჩანს გაშიშვლებული
აღამიანი, უსათუოდ დასწყდება გული.
წარმოუდგება თვალწინ ბნელი და შემზარავი
უშნო სურათი სატირელი და გულსაკლავი:
ტანი, რა ტანი! სასაცილო სახე — ნილაბი,
მოხრილი მხრები, კუზი, ღიბი, ორფა ნიკაპი;
გეგონება, რომ ანგარების ღმერთის კარნახით
გამოუზრდიათ ყმაწვილები რკინის არტახით.
ქალები — ვაგლახ! — სანთელივით ფერწასულები
გარყვნილებაში ჩაძირულნი... და ასულები —
მემკვიდრეები დედათ თვისთა ბიწიერების,
სისამაგლეში მარდები და ნიჭიერები.

რაც მართალია, მართალია — გაცვეთილ ერებს
გვაქვს სილამაზე, არ ჰქონიათ რომელიც ძველებს —
გულთა წყლულების რომ აჩნია სახეს ნიშანი,
სილამაზეა უსათუოდ ის კაემანის.
მაგრამ გვიანი მუზის განცდა, ფიქრი და მოთქმა
ხელს ვერ შეგვიშლის ვერასოდეს ავადმყოფ მოღვმას,
ჩვენს სიყმაწვილეს მოწიწებით რომ ვსცეთ თაყვანი.
მიწყვივ გვახსოვდეს უწმინდესი სიყრმის აკვანი,
თვალბუხუყუნა სიყმაწვილე — ანკარა წყარო,
ცასა და მიწას რომ ედება, ღელავს და ხარობს,
სილაყვარდენი ზეციურნი და ფრინველები,
სიმღერა ტკბილი, სურნელება მინდორ-ველებს.

ნ ი ლ ა ბ ი

აღორძინების ხანის ყაიდის ალეგორიული ქან-
დაკება.

ერნსტ კრისტოფს, მოქანდაკეს.

ფლორენციული მადლით ცხებულს, შეხედეთ ზინათს;
ამ დაკუნთულსა და მთრთოლვარე სხეულში ძალის
და სილამაზის — ღვთიურ დათა სიუხვე ბრწყინავს,
ეს ქალი მართლაც სასწაულის ნაწილი არის.
წარმტაცს და ძლიერს ღვთაებრივად, მშვიდს და უწყინარს,
შვებას და ღზენას უფლისწულის და მღვდელთმთავარის,
მდიდრულ სარეცელთ მეუფება ხვდომია წილად.

შეხედეთ ღიმილს, დახვეწილს და მეტყველს მრავალის,
თვითკმაყოფილი ჟინით ბაგეს რომ უთამაშებს.
ან მის დამცინავ გამოხედვას, ნაზს და უძრახველს,
მშვენიერ სახეს, ჰაეროვანს, გაზის მარმაშებს;
ყური მიუგდეთ გამარჯვებულ სხეულის ძახილს:
„ვნება მიზიდავს, სიყვარული კი მაგვირგვინებს!“
შეხედეთ კარგად! ამ ქმნილებას უდიდებულესს
მომხიბვლელობას ვერაფერი დააკარგვინებს;
და ზნე-კეთილი კიდევ მრავალს მოიგებს გულებს.

ო, ხელოვნების მკრეხელობავ საბედისწეროვ!
ქალი, რომელიც სიყვარულის იყო დასტური,
უცებ ალქაჯად გადაიქცა? არ დაიჯეროთ!

ნილაბი იყო ეს, ნილაბი მისი მაცდური,
პირისახეზე მას სიყალბის ადევს ნათელი,
გამოხედვა აქვს საშინელი და გამგმირავი.
შეხედეთ კარგად! აი, მისი სახე გულწრფელი,
მისი ცრუ სახით დაჩრდილული და მომღურავი.
მე მათრობს შენი ტყუილები და სულს მძინარეს,
გადმოხეთქილი შენს თვალთავან აზრჩობს ვედრება.
ო, საცოდავო სილამაზევ! დიდი მდინარე
შენი ცრემლების შეწუხებულ გულში მეღვრება,

— რაღა ატირებს სილამაზეს, ზვიად ქმნილებას?
ადამის მოდგმას ხომ ატარებს თავის ნებაზე?
რა უსაშველო ჭირი ეცა ან რა ინება?

— ტირის, ის ტირის, რომ იცხოვრა ამ ქვეყანაზე;
და რომ კვლავ ცოცხლობს. და დასტირის ყველაზე უფრო,
ყველაზე უფრო დიდ შიშის ზარს ის სცემს, რომ მხოლოდ
გუშინ კი არა დღესაც ცოცხლობს და, რომ საწუთრო
მუდამ აცხოვრებს მას ისევე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ.

სილამაზის საგალობელი

ქვესკნელით მოხვალ თუ ზესკნელის ხარ დანაკარგი,
ო, სილამაზევ, ღვთაება ხარ შენ უგვირგვინო!
შენს თვალეში სჩანს ჩვენი ყოფის ყველა ავ-კარგი,
თუ შეგედრება, შეგედრება მარტოდენ ღვინო.

რიჟრაჟს და დაისს შენს თვალეში დაუდევთ ბინა
და ქარიშხლიან საღამოთა სურნელი აგდის,
ჯადოს მიაღმევეს კოცნით შენი ტუჩების პინა,
გმირს და ლაჩარს ზდის. მის კვარცხლბეკზე კი ბავშვი ადის.

მოციქული ხარ ჯოჯოხეთის თუ ცის მნათობი,
ალტაცებული ბედი დაგდევს, როგორც ფინია;
უბედურებას და სიხარულს სთეს და ერთობი,
მეფობ და შენთვის ყველაფერი არაფერია.

გვაძებს გაღვილი შენებური სიცილ-ქირქილით,
შიშია შენი სამკაული გამორჩეული,
უსაყვარლესი სათამაშო არის სიკვდილი
და აჟღარუნებ ამ ჟღარუნებს მთელი სხეულით.

თვალდავსებული შენი შუქით მოჰქრის ფარვანა
შენსკენ და იწვის, ეს სინათლე მაინც ახარებს;
თავგანწირული მოტრფიალე ფარვანასთანა.
მომაკვდავსა ჰგავს, რომ შეჰხარის სამარის კარებს.

გინდ ცისა იყავ, გინდ ჯურღმულის, მე არ დავეძებ,
ო, სილამაზევ, საშინელო და გულუბრყვილოვ!
შენი ღიმილი თუკი სურვილს გამიათკეცებს
უსასრულობა საკუთარი თვალით ვიხილო.

ღვთის თუ ეშმაკის, ანგელოზი ხარ თუ სირენა,
არას დავეძებ, დედოფალო, ჩემო ღვთაებავ!
თუკი ეს თრთოლვა, ბრწყინვალება და სურნელება
შემიმსუბუქებს წუთისოფლის ჭირს და ვაებას.

ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ცეცხლაძე

□

ვიქტორ ჰიუგო

I

რა ხანია ჩვენს შორის აღარაა ვიქტორ ჰიუგო. ვიგონებ იმ დროს, როცა იგი ხშირად ტრიალებდა ხოლმე ხალხში. მრავალჯერ გადავყრივარ ხმაურიან დღესასწაულებსა და მიმართებულ, მყუდრო ადგილებში მოსიარულეს და ვეკითხებოდი ჩემს თავს, როგორ ახერხებდა გულმოდგინე მუშაობას ეს მეოცნებე და მობოროტად აღამიანი? ამ აშკარა შეუთავსებლობას გასაგებს ხდის მისი ცხოვრების ზომიერება და ძლიერი სულიერი წყობა, რაიც საშუალებას აძლევდა ეშრომა სიარულის დროს, უფრო სწორედ, მას ხომ არ ძალუძდა უქმად სიარული. იგი განუწყვეტლივ მუშაობდა ყველგან, დარსა თუ ავდარში, ბრბოში გარეული, ხელოვნების წმინდა ტაძრებში თუ ქუჩაში გამოტანილ დამტვერილ წიგნთა რიგებს აყოლილ-ჩაყოლილი. და თავისი ფიქრიანი, დინჯი იერით თითქოსდა შესთხოვდა ბუნებას ღრმად აღბეჭდილიყო მის თვალეში შემდგომ მოსაგონარად.

იმ დროს იგი სრული დიქტატორი გახლდათ ლიტერატურისა და სწორედ იმ ხანებში შევხვედრივარ მას ედუარდ ურლიაკის საზოგადოებაში, რომლის მეშვეობითაც დავუახლოვდი პეტრუს ბორელსა და ჟერარ დე ნერვალს. მე იგი შევიცანი ვითარცა ნამეტნავად ლბილი, ძლიერი, თავის თავში დაჯერებული ადამიანი, მუდამ რომ ხელმძღვანელობდა რამდენიმე ურყევი აქსიომისგან შემდგარი დაჯამებული სიბრძნით. ვიქტორ ჰიუგომ არა მარტო თავის წიგნებით, არამედ პირადი ცხოვრების მაგალითითაც დიდი ხანია ცხადყო დიდი გემოვნება წარსულის ძეგლების, მოჩუქურთმებული ავეჯის, ფაიფურის ნაკეთობების და ყველაფერი იმ იდუმალებსადმი, რაც გარდასულ დროთა შემამკობელია. კრიტიკოსი, რომელიც გვერდს აუხვევს ყოველივესა ამას, ვერ იწოდება ჭეშმარიტ კრიტიკოსად, რადგანაც პლასტიკაში გამოსახული მშვენიერისა და უჩვეულოსადმი სიყვარული არა მარტოდენ ნათელყოფს ვიქტორ ჰიუგოს ლიტერატურულ რაობას, მის რევოლუციურ ანდა, უფრო სწორად, განმაახლებლურ ლიტერატურულ დოქტრინას, არამედ იგი წარმოგვიდგება კიდევ ვით უნივერსალური პოეტური ხასიათის აუცილებელი დანამატიც. კარგზე კარგია, ასკეტიზმით შეპყრობილი პასკალიოთხ შიშველ კედელს შორის რომაა გამოკე-

ტილი, სადაც მარტოდენ ჭილის სკამები უდგას; საუცხოოა, როცა სენროკის რომელიღაც კიურე (სახელი არ მაგონდება) საჯარო ვაჭრობაზე აგზავნის მთელ თავის ავლა-დიდებას ფუფუნების მოყვარულ პრელატთა სავალალოდ. ამაზე დიდებული რამ რაღა იქნება! მაგრამ როცა შევცქერი ქონებით წელმავარ მწერალს, რომელიც არად მიიჩნევს ყველაფერ იმას, რაც ახარებს თვალს და ახალისებს გუნებას, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ლამის ვიფიქრო, ეს მწერალი შორსაა-მეთქი სრულყოფისაგან.

თუკი გადავხედავთ ჰიუგოს ბოლოდროინდელ ლექსებს, ჩვენ დავინახავთ, რომ ის იგივეა მარად და მარად, ფიქრიანად მოარული, მარტოსული, ოღონდაც ცხოვრების მოტრფიალე, მეოცნებე და მაძიებელი გონების ადამიანი. ეს კია, მისი ნაბიჯი და თვალთამზერა აღარ არის მიმართული დიდი ქალაქის ხეებითა და ყვავილებით მოსილი შემოგარენისა, სენის სანაპიროებისა და აჟივლებულ ბავშვთა გუნდებისაკენ. პოეტი დემოსტენესავით ესაუბრება ქარსა და ტალღებს. უწინ ხალხით აფუთფუთებულ ადგილებში ბორიალობდა, დღეს კი თავისი ფიქრებით დასახლებულ უდაბნოში დაეხეტება. ასეთი ადამიანი უმეტეს დიდებულ და გამორჩეულ იერს იძენს. ოცნება მისი კაშკაშად აფერადდა, ხმა ვაძლიერდა, გაღრმავდა, ოკეანის ხმაურს შეეტოქა. და ორთავ სახით იგი განცხადდება, ვითა შთაჭვრეტის მოარული ქანდაკი.

II

ამ უამს მოწვენილნი სინანულით იგონებენ ლიტერატურისათვის იმ ბედნიერ ხანას, რომლის მაგვარს ალბათ ველარც მოესწრებიან. იმ დროს კი ვიქტორ ჰიუგო ის კაცი გახლდათ, ვისაც ყველა მიმართავდა რჩევისათვის და ვისი სიტყვაც კანონი იყო. არავის მეუფება არ ყოფილა ამაზე უმეტეს კანონიერი, ბუნებრივი, აღიარებული, ისე ურყევი, რომლის წინააღმდეგ წარმოუდგენელი იყო რაიმე ჯანყი. როდესაც წარმოიდგენ, თუ რა იყო ფრანგული პოეზია ჰიუგომდე და როგორ გაახალგაზრდავდა იგი მისი გამოჩენის შემდეგ, როცა ფიქრობ იმაზე, როგორი კნინი იქნებოდა ეს პოეზია ჰიუგოს გარეშე, რაოდენი იდუმალი და ღრმა გრძნობა დაშთებო-

ჩვენ კი ვუწყით, რომ სიმბოლოთა ბუნდოვანება მხოლოდ ფარდობითია, სულიერი სიწმინდის, კეთილსინდისიერებისა და სულის ბუნებრივი ნათელხილვის თანახმად. ანდა სხვა რა არის პოეტი (ამ სიტყვას ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ), თუ არ განმმარტებელი და ამომცნობი. არც ერთი დიდი პოეტი არ იხმარს იმგვარ მეტაფორას, შედარებას, რაიც მათემატიკური სიზუსტით არ მიესადაგება თანადროულ გარემოებას, რამეთუ იგი შედარება, მეტაფორა და ეპითეტი მოპოვებულია მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური ანალოგიის ამოუწურავი წიაღიდან. ახლა ვიკითხავ, ჩვენი ქვეყნის, თუნდ ყოველი ხალხის პოეტთა შორის მიაგნებთ კია ჰიუგოს მიერ ნახილვებ ადამიანურ და ღვთაებრივ ანალოგიათა ბადალს რასმე? ბიბლიაში ნახსენებია ერთი წინასწარმეტყველი, რომელსაც უფალმა უბრძანა შეეჭამა წიგნი. არ ვუწყი, როდის მოასწრო ვიქტორ ჰიუგომ იმ ენის ლექსიკონის დახვრა, რომელზე სამეტყველოდაც იგი მოწოდებული იყო, იმას კი ვხედავ, მისი ბაგეებიდან ღაღადყოფილი ფრანგული ლექსიკა ფერადოვან, მელოდიურ, მიმოძრავ სამყაროდ რომ იქცა. არ ვიცი, რა ისტორიული გარემოებებით, ფილოსოფიური ფატალურობით, თუ ვარსკვლავთა მიმოქცევის რაგვარი ძალებით იშვა ჩვენ შორის ეს ადამიანი, და ეს არც წარმოადგენს ჩვენს ამოცანას. მიზეზი ამისა იქნებ სულ უბრალოა, გერმანიას ხომ ჰყავდა გოეთე, ინგლისს შექსპირი და ბაირონი და საფრანგეთსაც სავსებით კანონიერად უნდა ჰყოლოდა ვიქტორ ჰიუგო. ისტორია მოწმობს, რომ ყოველი ხალხი თავის მხრივ პოეზიითა თუ მახვილით ესწრაფოდა მსოფლიოს მპყრობელობას. გარეგანი სამყაროს შთაგრძნობის ამ უმაგალითო ფართო ნიჭისა და ასევე მძაფრი შექმნების უნარის გამო ვიქტორ ჰიუგოს ჩამოუყალიბდა განსაკუთრებულად პოეტური, ზედმიწევნით მაძიებელი, იღუმალებით მოცული ხასიათი, დედა-ბუნებისაებრ ყოვლისმომცველი და ჩამძიებელი, ერთსა და იმავე დროს მშვიდიცა და შფოთიანიც. ვოლტერს იმდენად მცირე რამ უჩნდა იღუმალად, რომ სათვალავშიც არაა ჩასაგდები. ოღონდ ვიქტორ ჰიუგო ვოლტერისებრი შემართებით არ კვეთს საგანთა გორდიასის კვანძს. მისივ ნატიფი გრძნობები მოახილვებენ პოეტს უფსკრულებს. იგი ყველაფერში ხედავს იღუმალებას და მართლაც იღუმალება ხომ ყველგან სუფევს. აქედან წარმოიშვება ის შიშნეული გრძნობა, ჰიუგოსეულ ზოგიერთ გამორჩეულ პოემას რომ მსჭვალავს. სტრიქონებდახუნძლული ლექსე-

ბი, ბორგნეულობა და ზავთიანობა, ეს მოჯარება მეხით დატენილი სახეებისა, განტოლოვილი ქაოსის სისწრაფით რომ გადაიქროლებენ, ეს აპირობებს სიტყვათა უხშირეს გამეორებას, იმ სიტყვათა, რომელთა წილხვედრია გამოსახონ მომაჯადოებელი წყვედიანი ანდა იღუმალების გამოუცნობი ნილაბი.

III

ასე რომ ვიქტორ ჰიუგო მართოდენ დიდი როდია, იგი უნივერსალურიცაა. რარივ ვრცელია მისი შემოქმედება! მისი ხელოვნება მიუხედავად ერთიანობისა და კომპაქტურობისა მრავალწახნაგოვანიცაა. ვერ გეტყვით, აღმომიჩნდებიან თუ არა მხატვრობის მოყვარულთა შორის მომხრეები, მე კი ბრაზი მერევს, როცა პეიზაჟისტს, ანიმალისტს ანდა ყვავილთა მხატვარს (რაგინდ სრულყოფილნი არ უნდა იყვნენ ისინი), იმგვარი პათოსით მოიხსენიებენ, რაიც მხოლოდ უნივერსალურ, ანუ ჭეშმარიტ მხატვრებს თუ შეჰფერით, ისეთებს, როგორებიცაა რუბენსი, ვერონეზე, ველასკესი ანდა დელაკრუა. ვგონებ, მხატვრის სახელს ვერ ამართლებს ის ფუნჯის ოსტატი, რომელსაც არ ძალუძს ხატოს ყველაფერი. გამოჩენილი ადამიანები, რომელთა შესახებ ახლანან ვლახარაკობდით, სრულყოფილად გამოსახავენ იმა ყოველს, რასაც გამოსახავს თვითეული სპეციალისტი, უფრო მეტიც, მათ გააჩნიათ წარმოსახვისა და შემოქმედების უნარი. თუკი მოისურვებთ განმიმარტოთ ჭეშმარიტი მხატვრის რაობა, მართოდენ ერთი რომელიმე სრულყოფილი უნარი ან სიუჟეტი ვერ მიიპყრობს ჩემს გულისყურს. ჩემში წამსვე აღიძვრის ყველა უნარების უცილობელი სრულყოფის მოთხოვნა. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზე საერთოდ და კერძოდ პოეზიაზეც. ვისაც არ ძალუძს გამოსახოს ქოხები და სასახლეები, სინაზე და გულქვაობა, ვიწრო ოჯახური თანაყოფნა და ყოვლისმომცველი მოწყალეობა, მცენარეულის შნოიანობა და ხუროთმოძღვრების საოცრება, ყოველი, რაც ეგზომ სათუთია ან არადა მკაცრი, და შემზარავი, შინაგანი აზრი და გარეგნული სიმშვენიერე ყოველგვარი რელიგიისა, ცალკერძ თვითეული ერის მორალური და ფიზიკური სახე, ყოველი ხილული თუ უხილავი, ცა და ქვესკნელი, ჩემი რწმენით ვერ იწოდება ჭეშმარიტ პოეტად, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, რამეთუ მას არ დაჰყოლია ღვთიური ნაპერწკალი. ერთზე იტყვიან, შინაური ანდა სალო-

ნის პოეტიკა, მეორეს სიყვარულის პოეტად შეასახელებენ, მესამეს კი ზეიმთა და საგმირო საქმეთა აღმწერელს დაარქმევენ, ოლონდაც რა უფლებით საზღვრავენ ასე რიგად თვითეულის ტალანტის მნიშვნელობას? შეგიძლიათ კი დაგვისაბუთოთ, რომ მას, ვინც უმღერა დიდებას, არ ძალუძს სიყვარულს შეახსას ხოტბა? თქვენ ამით ხომ აცნინებთ პოეზიის ცნების საყოველთაო მნიშვნელობას. თუ თქვენ უბრალოდ არ გინდათ თქვათ, რომ პოეტი მისგან დამოუკიდებელმა ზოგიერთმა გარემოებამ გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია, მაშინ მე მუდამ მეგონება, რომ თქვენ ეხებით ვინმე უბადრუკ ნაკლოვან პოეტს (სულერთია რარიგ ნიჭიერიც არ უნდა იყოს იგი თავის სფეროში).

ო! ვიქტორ ჰიუგო ვერ იგუებს ამგვარ დაყოფას, რადგან მისი გენია უსაზღვროა, იგი თვალსა გვჭრის, გვაჯადოებს და თითქოსდა თვით ცხოვრებით შემოგვგარსავს. პაერეთის მჭვირვალობა, ცის თალი, ხის გამოსახულება, ცხოველის გამომზერა, სახლის სილუეტი, ყოველივე ეს მის წიგნებში აღწერილია ღირსეული პეიზაჟისტის საკადრისად. მას ყველაფერში შეაქვს სიცოცხლისეული თრთოლვა. ჰიუგოს ვერც ერთი მარინისტი ვერ შეედრება ზღვის აღწერაში. ზღვის მსერავი, ანდა მის აბობოქრებულ შუაგულში შეჭრილი გემები სხვა რომელიმე მხატვრის გემებზე მეტად გამოსახავენ მძაფრ ბრძოლას და ნების სიშმაგეს, ხის, რკინის, თოკისა და ტილოსაგან შეკრული გეომეტრიული და მექანიკური მანქანის ამ იღუმალ თვისებებს. ესაა ადამიანის მიერ შექმნილი საზარი ურჩხული, რომელსაც ქარი და ზვირთები ღამაზად მიაჩვენს.

რაც შეეხება სიყვარულს, ომს, ოჯახურ სიხარულს, ღარიბთა ვარამს, ეროვნულ ზეიმებს, ყველაფერს, რაც ადამიანისათვის მეტად დამახასიათებელია და რაც შეადგენს უანრული, ისტორიული ამბების მხატვრის სფეროს, ამ მხრივ რას ვნახავთ ვიქტორ ჰიუგოს ღირსეულ ლექსებზე უფრო კონკრეტულსა და მდიდრულს? ადგილი რომ გვქონოდა, შესაძლო იყო გაგვეანალიზებინა მორალური ატმოსფერო, მის პოემებში რომ სუფევს და რაიც ცხადლივ გამომდინარეობს ავტორისეული ტემპერამენტიდან. ჩემი აზრით, ეს ატმოსფერო აშკარად თანაბარი სიყვარულითაა გამოჭოლილი ყოველივე ძალზე ძლიერისა და ყოველივე ძალზე სუსტის მიმართ, და ის რაც მიიზიდავს პოეტს ამ ორი უკიდურესობისადმი, თავის ახსნას პოეებს ერთადერთ ამოსავალ წერტილში: ესაა საერთოდ ძლიერება და პოეტის ბუნებრივი ძალმოსილებაც. სიძლიერე

რე აჯადოებს და ათრობს მას. იგი მისკენ მიისწრაფის, ვითა რაღაც მშობლიურისაკენ... ძმური მიზიდულობა. მას წარიტაცებს უსაზღვროების ყოველი სიმბოლო, ზღვა თუ ცა, ძალმოსილების აწ გარდასული მატარებელი. პომეროსის ანდა ბიბლიური გოლიათები, პალადინები, რაინდები, გიგანტური, საზარი ცხოველები. იგი ეალერსება ყველაფერ იმას, რაიც ჩლუნგ ვისმე მარჯვენს აუთრთოლებდა. მას უსაზღვროება თავბრუს არ ახვევს. ამასთანავე პოეტი მუდამ თანამგრძნობ მეგობრად გვევლინება (და ამის სათავე ისევ სიძლიერეში უნდა ვეძიოთ): მამობრივი მიზიდულობა ყოველივე სუსტისა, მარტოსული-სა, სევდით გასენილის და დაობლებულის მიმართ, ძლიერ ადამიანს, რომელიც მმად შეიცნობს ყოველივე ძალმოსილს, თვისივე შვილებად ესახება ყველა, ვინც მფარველობას და ნუგეშისცემას საჭიროებს. სწორედ ამ სიმტკიცესა და რწმენაში, ძლიერება რომ ანიჭებს მათ მფლობელს, იღებს სათავეს სამართლიანობის და მოწყალების სულისკვეთება. ცოტა ვინმეს თუ შეუნიშნავს ის ხიბლი სიკეთისა ძალის მიმართ გარდამომავალი, რითაც ასე ცხადლივაა გაჯერებული ჩვენი პოეტის ქმნილებები. კოლოსის ღიმილი და მის მიერ დადენილი ცრემლი თითქმის ღვთაებრივ თვითკმაყოფაზე მიგვანიშნებს. ვნებისადმი მიძღვნილ, ავხორცული წადილისადმი მღერადი სევდით გამსჭვალულ მის პატარა პოემებსაც კი ორკესტრის მუდმივი აკომპანიმენტივით თან გასდევს მოწყალების მოტივი. იგი მამაცაა და მფარველიც თვისივე საყვარლისა. აქ საქმე ეხება არა სამოძღვრებო მორალს, რომელსაც თავისი პედანტურობით და დიდაქტიკური კილოთი ძალუძს წარახდინოს ლექსის ყველაზე მშვენიერი ადგილები, არამედ მორალს შთაგონებულს, რომელიც ისე უნილავად შეიჭრება პოეტურ ქსოვილში, ვით მოუხელთებელი ფლუიდები შეაღწევენ ხოლმე სამყაროს ნებისმიერ საგანში... მორალი როდი განლავთ ამ ხელოვნების მიზანი. იგი გათქვევფილია მასში, ვითარცა ცხოვრებაში, და პოეტი თავისი ბუნების სისავსისა და სვავრიელობის გამო უნებურად გვევლინება მორალისტად.

IV


ნამეტურობა, უსაზღვროება — ესაა ვიქტორ ჰიუგოს ბუნებრივი გარემო. ეს გარემოცვა მისთვის მშობლიურია. ჭეშმარიტად სასწაულებრივია ის გენიალობა, რითაც აღწერდა იგი ადამიანის გარსმოქარველ ესოდენ სი-



საზარღეს. მაგრამ იგი მარტოღონ ბოლო
წლებში დასწყვა მეტაფიზიკის ზევაველენას,
იმ მეტაფიზიკისა, რომელითაც ვაჭოლილია
ყოველი ეს საგანი; ცნობისწადილი მრავალი
და მრავალი სფინქსის მიერ დევნილი თიდი-
ბოსისა. თუმცა ვისღა არ ახსოვს პოეტის მი-
ერ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაწერილი
„ოცნების ბილიკი“. პიუგოს ქმნილებათა უმე-
ტესობა ცხადყოფს, რარიც ბუნებრივად და
ფართოდ ვაშაღა ფრთები მისმა ნიჭმა, და
სწორედ ამ მიზეზისა გამო იშვა ეს ჯადო-
ქმნადი პოეტი. შეიძლება ითქვას, სწორედ
ამ წუთიდან მეოცნებე პოეტის წინაშე უფ-
რო სწირად წამოიჭრებოდა კითხვები და
მისთვის ბუნების ყოველი მხარე მუდამ პრობ-
ლემებით დატვირთული ჩანდა. როგორ მოხ-
და, რომ პირველხამამ დუალიზმი წარმოშვა და
ბოლოს ამა ქვეყნის ურაცხავ მკვიდრთა წიად
გარდასახა? ამოუცნობი იღუმალეებაა! რი-
ცნებების ამ უსასრულ ოდენობას ძალუმს კი
ხელახლა მოკრებს თავდაპირველ ერთიანო-
ბაში? ამოუცნობი იღუმალეებაა!

პოეტის უკანასკნელ ნაწარმოებებში მო-
ზავებულა შთაგონება სწორედ იმგვარი,
ცის ჭვრეტა რომ ჰბადებს. რომელ სიუჟეტ-
საც არ უნდა განშლიდეს პოეტი, იქ მუდამ
ცაა გაბატონებული და ურყევ თაღად ამალ-
ლებული; იქედან გარდმოდის შარავანდიანი
იღუმალეება, ცად ბრწყინავს იგი, მოგვიხმობს
მიმკვლევ ოცნებისაკენ და სწორედ იმ მაღა-
ლი თაღიდან განაფრთხობს იღუმალეება ამ
ოცნებას. ევა! ამოდ რომ დი დაშვრნენ ნიუ-
ტონი და ლაპლასი, ოდონდაც დღესდღეობით
ასტრონომიული ჭეშმარიტებანი როდია ისე
რიგად სარწმუნო, რომ ოცნებამ ვერ შეძლოს
დაბუდეება ამყამინდელ სწავლულთა მიერ ჯერ
კიდევ მიუგნებულ უღრანში. და ამიტომაც
აზრი პოეტისა გვაღად სეტიალობს დამატრო-
ბელ პიებათა დაბირინთში. არ არსებობს
ყველა დროისა და ყოველგვარი ფილოსოფი-
ისათვის ამადველბული ან საღათ პრობლე-
მა, პოეტის ნაწარმოებებში რომ არ დამკვიდ-
რებულიყო. ვარსკვლავთა ან სულთა სამყარო
დასაზღვრულია თუ უსაზღვრო? უწყვეტად
ვლინდება არსებობა დიდსა თუ მცირეში?
იგი, რაიც არსებათა უსაზღვრო გამრავლე-
ბად მიგვიჩნევია, სომ არაა მარტოღონ წი-
ული მოძრაობა, სიტოცხდეს რომ უბრუნებს
იმავე არსებებს, დროსა და სივრცეში და-
უმკვიდრებელთ უზენაესი და ყოვლისმომცვე-
ლი კანონის მიერ? მატერია და მოძრაობა
ხომ არაა მარტოღონ ამოსუნთქვა ანდა ჩა-
სუნთქვა ღვთისა, რომელი უამით სიტოცხდეს
მიანიჭებს სამყაროებს, უამით კი შთანთქმავს

მათვე? სიმრავლე სომ არ იქცევა ოდესმე რა-
იმე ერთიანობად და სომ არ აღჩნდებიან ახა-
ლი სამყაროები, აღმოცენებულნი ღმერთის
ფიქრით, რომლის ერთადერთი ნეტარება და
დანიშნულება ქმნადობაა, და სომ არ შეცვლი-
ან ეს ასაღანავი ჩვენსა და ჩვენს გარემომ-
ცველ ცის თაღზე გამოვიდებულ სამყაროებს?
და ამ ჩვენთვის უცნობ, მომიჯნავე სამყარო-
თა დანიშნულებისა და მორალური გათავისე-
ების მრავალი ვარაუდი სომ არ იბოვებს ბუ-
ნებრივ ადგილს პოეზიის უსაზღვრო საუფ-
ლოში? მნათობთა, ვარსკვლავთა, თანავარ-
სკვლავედებისა და მზეების ერთდროული და
თანამიმდევრული, წელი ან უცაბედი, მომ-
თავერებული თუ უბოლოო ჩასახვა, აღმოცე-
ნება, აღვსება და ამოფრქვევა, ეს ყოველივე
ხომ არაა მხოლოდ ღმერთის არსებობის სა-
ხენი, ანდა მისი სიკეთით და სიმართლით
გამზადილი იმ სულთა საჭურჭლები, რო-
მელთა წურთნა და თავისთან წელიწად მიახ-
ლოება განუსაზღვრავს მას? იმ სამყაროებს,
რომელთა მარად შევისწავლით და რომლებიც
შესაძლოა ჩვენთვის მარადვე შეუცნობი
დარჩნენ, ნეტავი თუ აქვთ სამოთხის, ჯოჯო-
ხეთის, სალხინებელის, ჯურღმულებისა თუ
სასახლეების ანდა სხვა რამ დანიშნულება?
ვფიქრობ, არცთუ უჩვეულო იქნებოდა და
არც პოეტური ვარაუდის სამძღვრებს გა-
დაცდენილი ის მოსაზრება, რომ ულოდნელ
ფორმებად ნაირქმნადი ახალი სისტემები და
ჯგუფები, გაუთვალისწინებელ კომბინაციათა
ამთვისებულნი, დაუდგენელ კანონთა დაქვემ-
დებარებულნი, აღამიანის გეომეტრიული
ფარგლისთვის მეტისმეტად ვრცელ და რთულ,
ნაირგვარ, საოცარ ახირებათა მბაძველნი,
სავსებით შესაძლოა მომავლის ჩანასახად იქ-
ცეს და მერმე აღმოცენდეს. მე ვხმარობ ამ
სიტყვას ვარაუდი, რომელიც საგმოდ ზუსტი
გამომხატველია მთელი პოეზიის ექსტრამეტ-
ნიერული ხასიათისა. სხვა პოეტის ბელში,
გარდა ვიქტორ პიუგოსი, მსგავსი თემები და
მსგავსი საუფეტები ძალზე იოლად შეიძლე-
ბოდა მოგვედგნოდა დიდაქტიკური სახით,
რაცი ჭეშმარიტი პოეზიის ყველაზე დიდი
მტერია. დექსად გადმოსცე ყველასათვის
ცნობილი კანონები, რომელთა მიხედვითაც
მოძრაობს მორალური ანუ ვარსკვლავთა სამ-
ყარო, ეს ნიშნავს, აღწერო ის, რაც უკვე
ამოხსნილია და რაც ერთიან მორჩილებს მეც-
ნიერის ტუდესკობს ანდა ფარგალს, ეს ნიშნავს
იმას, რომ დავიყვანოთ ყველაფერი მეცნიე-
რების ამოცანამდე, ხელეყოთ ამ კანონთა
ფუნქციები და გავართულოთ ტრადიციული
მეტყველება ამჯერად ზედმეტი და მეტად სა-



ფრთხილთ რითმათა ორნამენტაციით. ეს კია, გატაცება ყოველგვარი ოცნებით, რომელსაც შთაგვაგონებს ცხოვრების მიწიერი თუ ციურ-რი უსასრულო სახილველი, განლაგთ ხელ-შეუსხები უფლება ყოველი ადამიანისა, გერ-ძოდ პოეტისა, რომელიც მოწოდებულია ამაღ-ლებული (პროზისა და მუსიკისაგან განსხვა-ვებული) ენით გადმოგვეცეს ცნობისწადილს გადაგებული კაცობრიობის უთვალავი მარა-დიული ვარაუდები. არსებულის აღწერისას პოეტი ვინდებდა და უთანაბრდება დამომ-ღვრელს, მარტოდენ შესაძლოს აღწერისას შთება იგი ერთგული თავისი დანიშნულები-სა. იგი გვევლინება იმ ზოგადმაგედრებულ, მგოდებულ და მსასოებელ სულად, რომელს უამი-უამ მონიჭება ხოლმე განჭვრეტის ძალი.

V

ვიქტორ პიუგოს უზადო გემოვნების კიდევ ერთი ახალი დასტურია მისი უკანასკნელი ნაწარმოები, რომლითაც პოეტმა დიდად გვა-ამა. მხედველობაში მაქვს „საუკუნეთა ლეგენ-და“. გამონაკლისს წარმოადგენს ერთა ცხოვ-რების განთიადი, ოდეს პოეზია ერთდროუ-ლად ხალხთა სულისა და ცოდნის გამოსახვა იყო. ლექსად დაწერილი ისტორია არღვევს ორთავე უანრის — ისტორიისა და პოეზიის გამგებულ კანონთ, რომლებიც განაგებენ ორ-თავე უანრს — ისტორიისა და პოეზიას. ესაა ორივე მუზის პატივაცრა. ვრცელ კულტურულ პერიოდებში, სულიერ სამყაროში ხდება შრო-მის დანაწილება, რაც განამტკიცებს და სრულყოფს თვითეულ მათგანს, და, ეპიური პოემის შექმნის მოსურნე, ისეთი პოემისა, უფრო ახალგაზრდა ერებს რომ ესადაგება, პოეზიის მაგიური ზეგავლენის დაკნინების საშიშროების წინაშე აღმოჩნდება თუნდაც იმ მიზეზით, რომ ეს ნაწარმოები უსაშვე-ლოდ გრძელი იქნებოდა და ამავე დროს ის-ტორიისაც მოაკლდებოდა დიდი წილი იმ სიბრძნისა და სიმკაცრისა, რასაც მისგან ითხოვენ მომწიფებული ერები. ნაყოფი ამი-სა უმეტესად ფუყეა და საცინარი. ერთმა ფრანგმა ფილოსოფოსმა ირწმუნა, რომ შე-საძლოა გვერდი აუქციო წარსულის სინატი-ფეს, არც მისი ხანგრძლივი შესწავლით შეი-წუნო თავი და უბრალოდ ჩააყენო ლექსი პო-ეტური თეზისის სამსახურში. უნდა ითქვას, მიუხედავად ამ ფრიად დასაფასებელი ძალის-ხმევისა, ნაპოლეონი ჯერ კიდევ ისტორიის კუთვნილებაა და ადრეა მისი ლეგენდად ქცევა. ადამიანს, თუნდაც გენიალურს, არც

უფლება აქვს და არც ძალი შესწევს საუკუ-ნეები უკან გადაანაცვლოს ხელოვნურად. მსგავსი იდეა შესაძლოა მხოლოდ ფილოსო-ფოსის, ნობლერის, ცხოვრებისაგან განდგომი-ლი ადამიანის გონებას წარმოეშვა. ვიქტორ პიუგო თავის პირველ ნაწარმოებებში ცდი-ლობს ლეგენდარულ პიროვნებად დასახოს ნაპოლეონი, თუმცა იგი მისი თანამედროვე, პირწავარდნილი პარიზელია, მღელვარე და მეოცნებე ბუნებისა. პოეტი ხატავს მერმინ-დედ შესაძლო ლეგენდას და ავტორიტეტუ-ლად განზე ტოვებს ახლორე წარსულს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „საუკუნეთა ლეგენ-დას“. ვიქტორ პიუგომ შეთხზა ერთადერთი იმგვარი ეპიკური პოემა, რაიც შეეძლო შე-ექმნა თავის დროის ადამიანს იმუამინდელი მკითხველებისათვის. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, ამ ნაწარმოების შემკვრელი ლექსები ძირითადად მოკლეა და ზოგიერთი მათგანის სიმოკლეს კი არანაკლებ თვალში საცემია, ვიდრე მათა ძალმოსილება. ეს უკვე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, მოწამე თანა-მედროვე პოეზიის ყველა შესაძლებლობის შეცნობისა. გარდა ამისა, სურდა რა შეექმნა თანამედროვე ეპიკური ანუ იმგვარი პოემა, რომლის სათავე ანდა, უფრო სწორად, საბაზი ისტორია გახლავთ, პოეტი არც ერთხელ არ დასესხებია ისტორიას არაფერს სხვას, გარდა ერთისა, რაც მისდა სასარგებლოდ სავსებით კანონიერად შეეძლო მიეღო. მხედველობაში მაქვს ლეგენდა, მითი, იგავ-არაკი, ეროვნული ცხოვრების თავმომყრელი, ვით უძირო ჭა, სად დანთქმულა ხალხთა სისხლი და ცრემლი. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი არ უმღერდა ერთ რომელიმე ერს, ერთი რომელი-მე საუკუნის ვნებათაღელვას. პოეტი მყის აიჭრა ისეთ ფილოსოფიურ სიმაღლეზე, საი-დანაც მაძიებელი, მრისხანე თუ გრძნობიერი მზერით ძალუბდა ერთიან მოენილა კაცობ-რიობის ევოლუცია. ვითარის სიდიადით გა-ლალა მან ჩვენ წინაშე საუკუნეები, თითქოს და კედელს გამოღწეული მოლანდებები, ვი-თარის გრძნეულებით დაძრა ისინი, შესაფე-რად შემოსილნი, ჭეშმარიტი სახით მომზი-რალნი, თავისებური ნაბიჯით მავალნი, ყო-ველივე ეს თვალნათლივ ვიხილეთ. რარიგ ამაღლებული, დახვეწილი ხელოვნებით, რო-გორი უკრძალველობით აუდგა ფენი ამ ჯა-დოსანმა საუკუნეებს და აამეტყველა ისინი, ეს ცხადზე ცხადია. ერთი მინდა განსაკუთ-რებით აღვნიშნო: ეს ხელოვნება მხოლოდ ლე-გენდების გარემოცვაში თუ განვითარდებოდა ნებისად (თავი რომ ვანებოთ ამ გრძნეულ ნიჭს) და რომ სწორედ ეს არჩევანი აიოლებ-



და სანახაობის ევოლუციას. შორეული გადასახლებიდან, საით მიპყრობილია ჩვენი თვალი და ყური, საყვარელი და პატივსაცემი პოეტი შეგვეჩვიანათ თავისი ახალი პოემებით. ბოლო ხანს მან დაამტკიცა, რომ, რანაირადაც არ უნდა იყოს სინამდვილეში დასაზღვრული პოეზიის სფერო, გენიოსი უფლებამოსილად წარშლის ყოველ მიჯნას.

რაგვარი ახალი სერსებით გააცხადებს შემოთქმულს მომავალში პოეტი, ბუფონადა იქნება (ამას სასხვათაშორისოდ ვამბობ), მარადი სიმზიარულე, ზებუნებრიობა, ზღაპარი თუ სხვა რამ საოცრება? მოჰმადლებს კი ყველა ამათ ისეთსავე ცხად ნიშატს, სხვა საგ-

ნებისათვის რომ მიუნიჭებოდა ადრე? ანდა დაანათლებს კია სხვა რამ ახალსა სიბლს? ეს კრიტიკამ არ უწყის.

კრიტიკას, რომელსაც უკვე ჰქონია ამის არა ერთი საბუთა, მხოლოდ ეს შეუძლია დამაჯერებლად და იოტისოდენ შეუცდომლად განაცხადოს — ვიქტორ ჰიუგო ერთ-ერთი იმ იშვიათ მოვლენათაგანია, ლიტერატურულ მშობაში გატილებით ძნელად რომ იპოვებინ, ვიდრე სხვაგან, რომელთაც წლები სულ ახალსა და ახალს ძალებს ჰმატებენ და რომელნიც რადაც სასწაულით სამარის კარამდე ვლიან მუდამი განძლიერებისა და გაახალგაზრდაების გზით.

თეოფილ გოტიე

გოდება სულისა ყოველთვის უაზროა, ოღონდ იგი ამაღლებულია სწორედ ამ უაზრობისა გამო. Quia absurdum*.

სიცოცხლის სუნთქვა ვსთხოვე სიყვარულს, სიცოცხლის მომცემს, მაგრამ ამაოდ.

რას საჭიროებს რესპუბლიკელი? სიმხნევეს, დაშნას, პურს ცოტაოდენს. მხნეობას — შურისმისაგებლად, დაშნას — მტრებისთვის, პურს კი — ძმათა დასაპურებლად.

ასე ათქმევინა პოეტმა სულეთში გარდასულ ღონ-უჟანს, რომელიც ითხოვდა ფარდა ახლოდა სიცოცხლის საიდუმლოს.

აი, „კარმანიოლას“ შინაარსი. აი, უაზრო და ამაღლებული გოდება. ამის შინაგვარს სხვაგვარად აღნაგ სულშიაც იპოვით. გადაშალეთ თეოფილ გოტიე. მამაც და სიყვარულით დამთვრალ სატრფოს სურს გაიტაცოს მხდალი და გაუბედავი გულისსწორი, რომელიც უარზეა, რადგან უდაბნო უჩრდილოა, უწყლო და სავსეა განსაცდელით. როგორია ქალის პასუხი? ძალზე გულითადი:

უპირველეს ყოვლისა მე შინდა დავამტკიცო, რომ თეოფილ გოტიეს, მისი პოეზიის ავკარგს სულაც რომ არ შევეხოთ, გააჩნდა ის თვისება, რომელსაც მისთვის მუდამ იშურებდნენ ყბედი კრიტიკოსები: გრძნობიერება. რამდენგზის და რა ჯადოქმნილი ენით გამოუხატავს სინაზისა და მელანქოლიის სინატიფე! არ ვუწყი რატომ, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ კეთილინება შეესწავლა ეს მშვენიერი ყვავილები. მე ვერა ვხედავ სხვა მიზეზს, გარდა ფრანგების თანდაყოლილი ზიზღისა სრულყოფილებისადმი. ურიცხვ ცრუმორწმუნეთაგან, რითაც ასე მოაქვს თავი საფრანგეთს, გამოვაკერძოებთ ქუჩად მოარულ იდეას, ჩვეულებისამებრ წინ რომ უბღვის ვულგარული კრიტიკის დანაწესს. კერძოდ, რომ ძალზე კარგად დაწერილი ნაწარმოები თითქოს გაცლილი უნდა იყოს გრძნობებისაგან. ეს გრძნობიერება თავისი ხალხურობით და ბუნებრივობით განსაკუთრებით იზიდავს ბრბოს. ეს წესთაგამრიგენი კი თვლიან, რომ ამ „კარგ ნაწარმოებებს“ ბრბო ვერ ჩაწვდებო. ესეც უნდა ითქვას, რომ აღიარებული ფელეტონისტი* თეოფილ გოტიე ნაკლებადაა

ეს წამწამები ჩრდილს დაგიგებენ, ჩავთვლემთ ჩემი თმის საფარველში, ვითა კარავში. გადავიხვეწოთ.

ბედნიერებამ შეაკროთ გული, თუ გზაში წყალი ვერ მოვიძიე, ცრემლი სვი ჩემი სინარულისა. გადავიხვეწოთ.

ამ პოეტს მრავლად მოეძებნება სხვა ამგვარი მაგალითები:

*) მრწამს, რადგანაც უაზრობაა (ლათ.). ტერტულიანე.

* ფელეტონისტი — მწერალი, რომელიც ჩვეულებრივ გაზეთში ბეჭდავს ნაწარმოებს გაგრძელებებით.



ცნობილი, როგორც რომანისტი ანდა მოგზა-
ურობათა აღწერელი. როგორც პოეტი კი
საესებით უსახელოა, მისი ლექსები ნაკლებ
პოპულარულია მიუხედავად მათი ღირშესა-
ნიშნობისა.

ვიქტორ ჰიუგო ერთ-ერთ თავის ოდაში პა-
რისს მედარ ქალაქად გვისახავს. ერთმანეთ-
ზე დაჯობილი გვიმსი ნანგრევები წყალს
გადაუღვავს, წყალს, რომელიც ზრიალა სი-
ღებს შეჩვეტიებია და ამჟამით მისტანებია მო-
ჩურჩულე, დაქინდრულ ღერწმინას. და იგი
მეკალმე ამ ზაფრიან და დიდებულ ზმანებაში
მთლანდავს სამ ძეგლს, მთელ ჩვენს ისტორიას
თვალწინ რომ დაგვიყენებს. აბა ერთი წუთით
წარმოვიდგინოთ ფრანგული მკვდარ ენად.
ახალი ერების სკოლაში რა შეისწავლიან
ოღვსლაც წარჩინებული ფრანგი ხალხის ენას,
რომელ ავტორს გამოარჩევენ ეს მომავლისი
პროფესორები და ლინგვისტები ფრანგული
ენის პრინციპებისა და მშვენიერების შესაგრძნო-
ბად? და სად მოიძიებენ ამას? გრძნობათა
კაპერნაუმი* თუ თქვენ მიერ გრძნობე-
ბად წოდებულ სფეროებში? თქვენთვის სა-
ყვარელი ნაწარმოებები ხომ მათი არასრულ-
ყოფილების გამო იქცევიან გაუგებრად და
ახალ ენაზე ძნელად გადმოსაღებად. აბა ამ
შეცდომებისაგან და აღრევებისაგან კარგს
რას უნდა მოველოდეთ? თქვენ, დღევანდე-
ლობით რომ ამაყობთ, აგრე შორეულად მი-
გაჩნიათ ეს ეპოქა. მე კი წინასწარ გგრძნობ,
მწიანს და მჯერა იმ სისარულისა, რასაც მი-
ანიჭებს რომელსამე მშვენიერების მოთაყვა-
ნე სწავლულს მის მიერ მიკვლეული ლექსი
თეოფილ გოტიესი. აა, როგორი ყოფილა ტემ-
მარტი ფრანგული ენა! ენა საკადრისი ოდენ
საღუჭი და მაღალი სულიისა! რა სიამეს მო-
პვერის მის თვალს ეს ნატიფი, ყოველმხრივ
შემეული ლექსები და ჩვენა მშვენიერი ენის
ჯერაც შეუცნობ წიაღში შეღწევა და მისი
შეფასება. და როგორ დიდებას მოიხვეჭს გო-
ნაერი მთარგმნელი, რომელიც შეეჭიდება ამ
დიდსა პოეტს, ვისი უკვდავობაც თანამედრო-
ვთა მეხსიერებაზე უფრო სანდო ალაგასაა
დაცული. სიტყვბღღღღ უმაღურებას იმეიდა
გარემოცველთაგან, დიდხანს მოუხდა ღოღი-
ნი, ასწილ მივსლო დაბოლოს. შორსმჭერეტი-
ლი მკვლევარები ნათელყოფენ იმ დიტერა-
ტურულ კავშირს, რომელიც ჩვენ გვაერთია-
ნებს XVI საუკუნესთან. თაობათა ისტორიას
შუქი მოეფანა. ვიქტორ ჰიუგო ვრცლად ის-
წავლება უნივერსიტეტებში, ოდონდაც ყო-

ველმა მწიგნობარმა იცის, რომ ჰიუგოს
ბრწყინვალე ლექსებს გოტიეს პოეზიის
და დაერთოს. ზოჯერ შენიშნავენ, მისი
ხელოვნებისათვის მეტწილ უცხო ენთუნიას-
მით ატაცებული პოეტი, პოეტი ძვირფასი, სინ-
დისიერი და დაუნჯებული, ამ ენთუნიასის
არაოდეს გასცდენიაო. სსგანი ამბობენ, რომ მან
განაძლიერა კიდევ ფრანგული პოეზია, ბევრი
შესძინა მას, გააძლიერა მისი ლექსიკაც, და
ამასთანავე არაოდეს დაურღვევია ყველაზე
მკაცრი კანონები იმ ენისა, რომელზე მეტყვე-
ლებაც წარმოშობის გამო მართებადა.

იღბლიანი ადამიანი! შესაშური ბედისა! იგი
ეტრფოდა და ვძიებდა მხოლოდ მშვენიერე-
ბას. და როცა გრტესკული ან უგვანო რამ
მოხვდებოდა თვალში, ძალუბდა იქაც გამოე-
ნახა იდუმალი და სიმბოლური მშვენიერება.
ბედისწერასავით ძალუში, იშვიათი ნიჭით და-
ჯილდოვებულმა ამ ადამიანმა ყოველგვარი
ძალდატანებისა და ზედმეტი გარჯილობის
გარეშე დაგვანახა ბუნების ყველა მხარე, ყო-
ველი კუთხე, მის მიერ შეთვისებული თვითე-
ული ფერი და გამოსახა ის შინაგანი აზრიც,
მთელ იმ საგნებში რომ ბუდობს, რომლებიც
ადამიანის თვალს მოსცემიან საჭვრეტად.

მისი ხელოვნება ორსახოვანია და ამავე
დროს ერთიანი. მისთვის იდეა და ექსპრესია
სულაც არაა ორი ისეთი წინააღმდეგობრივი
რამ, რომელთა შერწყმა შესაძლოა მარტო-
დენ დიდი ძალისხმევით ანდა ლაჩრული და-
თმობით. შესაძლოა მხოლოდ თეოფილ გო-
ტიეს კუთვნილებად ჩაითვალოს მაღალფარ-
დოვნებას ასე გარიდებული გამონათქვამი:
„არ არსებობს გამოუთქმელი აზრები!“ თე-
ოფილ გოტიესათვის მომავალში რომ მიმეზ-
ლო საკადრისი, ამისათვის წარმოვიდგინე სა-
ფრანგეთი აღგვილად პარისაგან მიწისა. უნ-
და გითხრათ, როს ადამიანის გონება თავისი
ნებით უარყოფს სინამდვილეს, მაშინდა თუ
ჩაწვდება სამართლიანობის ცნებას. მაღლა
აღწეული მოგზაური ხომ უკეთესად არკვევს
შემოგარენის მოხაზულობას. არა მსურს ულ-
მობელ წინასწარმეტყველთა მაგვარად შევძა-
ბო: „ასლო არს უამი!“ ჩემი მეგობრების სა-
დადებლადაც კი არა და არ მოეუხმობ რაი-
ნე აგზულობას. ეს იგავი იმად შევთხზე, რათა
ჩლუნგ და თვალღამღვარ გონებათათვის გამე-
ადეაღვინა ამ სურათს წარმოდგენა. ვანა
შესაძლოა რომელსამე ამჟამინდელმა წიარს-
მხედველმა ვერ განჭვრატოს, რომ ერთ მშვე-
ნიერ ღღღს თეოფილ გოტიეს მომხსენიებენ
დაპრიუერის, ბიუფონის, შატობრიანის
გვერდით, ვათა გამორჩეულ და იშვიათ დიდ-
ოსტატს ენისა და სტილის.

* კაპერნაუმი — ადგილი, სადაც არეულადაა
მიმოყრილი საგნები.

პეტრუს ბორელი

არსებობს სახელები, მთარულ ანდაზასავით რომ გაგრცვლდებიან. 1859 წლისათვის თუკი რომელსამე პატარა გაზეთს სურდა გაეყილა სკანდალური ან ბუნდოვანი ლექსი, თუნდ რომანი, საკმარისი იყო ამასთან დაკავშირებით ეხსენებინა პეტრუს ბორელი და ამით უკვე ყველაფერი იყო ნათქვამი. განაჩენი გამტანადი იყო, ავტორი მაწასთან გასწორებული.

პეტრუს ბორელი, ანუ შამპაგერ ლე ლიკანტროპი, ავტორი „რაფსოდების“, „იმორალური თხზულებების“ და „შადამ პიუტიფარისა“, იყო რომანტიული ცნის ერთ-ერთი მანათობელი ვარსკვლავი. დღეს კი ვისდა ახსოვს ეს შუქნამქრალი მნათობი, ანდა ვინაა უფლებამოსილი თამამად მოეხსენიოს იგი. „მე“, — ვიცოდი თავად, მეღვას მსგავსად, „მე“ — და მორჩა, გათავდა. ედუარდ ურლიაევი, მისი ამხანაგი, მოურიდებლად აქედგებდა, ოღონდ ურლიაკი ერთი პატარა სოფლები ვოლტერის გახლდათ, რომელიც ვერ იტანდა ვერანაირ ზედმეტობას, განსაკუთრებით კი გადაჭარბებას ხელფინების სიყვარულში. მარტოღენ თეთფილ გოტიე, თავისი ფართო მსოფლმხედველობის წყალობით, სინარულით რომ აღიქვამდა გარემომცველი სამყაროს მრავალფეროვნებას, თუნდაც სდომოდა, ვერა და ვერ უგულვებელყოფდა რასმე საინტერესოს, წარმტაცს და ლიკანტროპის უცნაური გამონაგონი მას სასიამო ღიმილსა ჰგვრიდა.

ლიკანტროპი მართლაც ზედგამოჭრილი სახელია! რომელმა ფერიათ თუ დემონმა დაატყვევა ეს მგელკაცა, გინა მაქცია, მელანქოლიის უსიერ ტევრში. რომელმა ავსუღმა გათვალა იგი აკვანშივე — საძრანისი ყოფილიყვეო. არსებობს სულიერ სამყაროში რალაც იდუმალი, უიღბლობა რომ ჰქვია, და ჩვენთაგანიც ვერავინ გადაუვა განგებას, იმ ღვთაებას, რომელს ძნელად თუ მივწვდებით და რომელსაც ჰაბებსა და ლამებზე უმეტეს ჰმოსავს უცოდველობა. პეტრუს ბორელმა ჭეშმარიტად ებიური ტალანტი გამოავლინა შადამ პიუტიფარის ზოგ სტენაში (კერძოდ ნაწარმოების დასაწყის სტენებში), სადაც აღწერილია მთავარი მოქმედი პირის მამის იმგვარი პირუტყვი ღოთობა, ჩრდილოეთის ხალხს რომ მოსდგამს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის სტენა, სადაც ცხენს ოდესღაც პატივანდილ დედასთან, ჯერაც რომ არ გადაყრია გულისღან ეს დარდი, მოაქვს ბრძო-

ლაში მამაცურად დაცემული ძვირფასი ვაჟიშვილის, ვენუანსის* გვამი, ვაჟიშვილისა, ვისაც იგი ასეთი გულწოდგინეობით უწერგავდა შურისმაძიებლობას, დიდებულია ჯურღმულის საშინელებათა აღწერაც. აქ იგი მათიურენსაც კი არ უღებს ტოლს და ამიტომაც ხშირად მიფიქრია, როგორ მოხდა, რომ პოეტმა, რომელმაც შადამ პიუტიფარს წაუშმძღვარა ეგოდენ უჩვეულო, მკვეთრი ყდერადლობის, სიმძაფრის გამო თათქმის პრიმიტიულად დაფერნილი პოემა, ზოგ ადგილებში გამოიჩინა ესოდენი დაუდევრობა და ასე აიგდო სიტყვა. თუ რატომ, ზუსტად ვერ განვიმარტავთ. შემძლია მიგითითოთ მხოლოდ სიმბტომებზე. აი ისინიც: არაჯანსაღი მიდრეკილება, წინააღმდეგობის შექმნა ისევ წინააღმდეგობის გულისათვის, სვლა ყოველგვარი დინების საპირისპიროდ საკუთარი და სწვისი ძაღის ანგარიშგაუწველად. ყოველი ადამიშვილი რომ მარჯვნივ ხრის ასოებს, სოლო ბორელი პირუტყვ, მარცხნივ აწვევდა მათ. ასე რომ ზედმიწევნით გამოყვანილი მისი ნაწერი ჰგავდა ტყვიის ჯერით მოცველილ ფეხოსანთარავს. კიდევ მეტიც, მას ისე ეძნელებოდა ყოველგვარი სამუშაო, რომ მოკითხვის ან ფულის გაღარიცხვის უბრალო პარათის შედგენაზეც კი სულ ცოტა ორი-სამი საათი იმტვრევდა თავს. წანაშალებსა და ჩასწორებებს რომ ვინდა დაემებს. დაბოლოს, ის უცნაური ორთოგრაფია, რომლითაც აჭრელებულია „შადამ პიუტიფარი“, სხვაგვარად მიჩვეულ მკითხველის თვალს ეკლად ესობოდა. აქ ბორელი აღწევს ლიტერატურული ჯამბაზობის მწვერვალს. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ გახლავთ მაღალი საზოგადოებისათვის კანონდებული ორთოგრაფია, რომელსაც ვოლტერის და ბატონ ერდანის მზარეული ქალებიც კი მისდევენ. ოღონდაც ესაა ძალზე ნაირგვარი ორთოგრაფია, შემთხვევას რომ არ უშვებს ხელიდან ეტიმოლოგიის ნათლად წარმოსაჩენად. გულისტკივილის გარეშე ვერ წარმოშიდგენია ის მომქანცველი ბრძოლები, ავტორს რომ გადაუტანია ამ ხელნაწერების გამომცემლებთან თავისი ტიპოგრაფიული ოცნების განსახორციელებლად. ასე რომ ბორელს არა მარტო მკითხველთა ზნეობის შელანგა უყვარდა, არამედ გულზე ხვთქავდა კიდევ მათ თავისი წერის მანერით.

* ვენუანსი — შურისძიება (ფრანგ.).



ბევრი უთუოდ გაიკვირვებს, თუ რატომ ვუთმობთ ადგილს ჩვენს ვალერეაში ისეთ ნიჭს, რომელიც თავად არ მიგვაჩნია სრულყოფილად. ამას ჩავდივართ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნიჭი, რაგინდ არასრულყოფილი, ტლანქი და მყვირალა ყოფილიყო, ხანდისხან მაინც ცას ააწვდენდა რიზიანსა და სწორად გამიზნულ ბგერას, არამედ იმიტომაც, რომ მან ჩვენი საუკუნის ისტორიაში ითამაშა არცთუ მცირე როლი. ის ხომ ლიკანტროპად* იყო დაბადებული. პეტრუს ბორელის გარეშე რომანტიზმში დიდი ხარვეზი გაჩნდებოდა. ჩვენი ლიტერატურული რევოლუციის პირველ ფაზაში პოეტური წარმოსახვა ძირითადად წარსულს მიმართავდა. ის უმეტესად დაფერილი იყო მელოდიური და სენტიმენტალური ნოსტალგიით. შემდგომ მელანქოლია უფრო გამოიკვეთა, ხისტი გახდა და მიწიერი. მიზანტროპული რესპუბლიკანიზმი შეუერთდა ახალ სკოლას და პეტრუს ბორელი იქცა Bousingots ან Bousingo-ს ყველაზე მზვაობარ და პარადოქსულ გამოვლინებად. გამართლებულია ჭოჭმანი ამ სიტყვების მართლწერაში, რაც მოდიოდა ან სხვა გარემოებითაა გამოწვეული. ამ რესპუბლიკურ და ლიტერატურულ ნიჭში, დემოკრატიული და ბურჟუაზიული მიმართულების საპირისპიროდ, რაიც შემდგომში ასე სასტიკად გვორგუნავდა, ღვიოდა არისტოკრატიული, უსახლგრო და უღმობელი ზიზღი მეფისა და ბურჟუაზიისადმი, და სიმპატია ყველაფრისადმი, რაც ხელოვნებაში გამოიხატებოდა ფერებისა და ფორმების სიჭარბით, რაიც მძაფრი იყო, პესიმისტური და ბაირონული. მას ახასიათებდა აგრეთვე საკვირველი

დილეტანტიზმი, რაიც აიხსნებოდა მხოლოდ იმ აუტანელი გარემოებებით, მის უწინაარსო და შფოთიან ახალგაზრდობას რომ დაეხედა. რესტავრაცია რომ დიდებით დამკვიდრებულიყო, მაშინ რომანტიზმი არ გამოეყოფოდა მონარქიას და ზომიერი პოლიტიკური ოპოზიციის, დელაროშის მხატვრობის, დელავინის პოეზიისა და აგრეთვე შუალედური გზის მიმდევარი მეუის მოძულე ეს ახალი მიმართულებაც ვეღარ იარსებებდა.

გულწრფელად უნდა ვაღიარო, თუგინდ ყბადასაღები გავხდეთ: ყოველთვის სიმპატიით ვიყავი გამსჭვალული ამ საბრალო, პატივმოყვარეობითა და ცთომილებით აღსავსე მწერლისადმი, ვინაც ვერა და ვერ ეზიარა გენიოსობას. ძალუძდა კი უამიყამ დაექუნა, შეექმნა დახვეწილი მონახაზები და ისეთი სახეები, რომელთა უცნაური იერი და საქციელი აკნინებდა მათ ბუნებრივ სიდიადეს. მას მოსავდა განსაკუთრებული ელფერი და გემოვნება Sui generis*. ბორელს რომ მოენუსხნე, ამისათვის მარტოდენ მისი სითამამეც კმაროდა, თანაც მას ჭკუის დაკარგვამდე უყვარდა ლიტერატურა, ღღეს კი გარს გვასვეია ენადაშაქრული და გაქნილი მწერლები, რომლებიც მზად არიან გროშის ფასად გაყიდონ მუზა.

როცა გასულ წელს ვამთავრებდი ამ, შესაძლოა, ზომაზე მეტად პირუთენელ წერილს, შევიტყვე, რომ პოეტი ეს-ესაა გარდაცვლილიყო ალჟირში, სადაც იგი განეშორა ყოველგვარ ლიტერატურულ საქმიანობას. იქნებ თავგზა აებნა, იქნებ შესძავდა ყველაფერი?! და „ტაზარენიც“, პირზე რომ ევერა ყველას, გამოუცემელი დარჩა.

გუსტავ ლე ვაკასერი

რა ხანია აღარ შევხვედრივარ გუსტავ ლე ვაკასერს, მაგრამ ფიქრი ხშირად სინარულით გადამაწვდენს იმ დროს, როცა მას დღენიადაგ ვნახულობდი. მახსენდება, რამდენჯერ წავსწრებივარ თითქმის შიშველს, ერთმანეთზე დახორგილ სკამებზე ყირას რომ ჭიმავდა და ხიფათს არ ეპუებოდა. ის მეცადინობდა,

როგორმე გაემგორებინა პროფესიონალთა ცნობილი ილეთები. პოეტი გამოშიტყდა, ძალმოქნილობის ტრფიალი ვიყავ და გულით მილხენია, როცა სხვისთვის ტოლი არ დამიდიო. ბაქიობა შორს იყო მისგან, ვერც ვაგლანად დასცინებდი. ამიტომაც ვუქებდი გულალალობას და საკუთარი ბუნებისადმი უღალატობას... მე ვიცნობ ასეთ ამაღლებულ და იშვიათი ბუნების ადამიანებს, ერთმანეთისადმი მოჯიბრეობა რომ მოსდგამთ, საზოგადოების კერპად ქცეული ტორეროებისა და

* ლიკანტროპი — ბერძნ. ლიკოს — მგელი, ანტროპოს — ადამიანი. ჭკუას გადამცდარი კაცი, რომელსაც თავისი თავი მგლად ერვენება.

* Sui generis — თავისებური.

მსახიობების დაგვარად. გუსტავ ლე ვაგასერს ყოველთვის ხიბლავდა ძალოვანება და ძლიერ-და დიაცთა ცთუნებას. მას იზიდავდა ყოველ-გვარი დაბრკოლება. ის ითვრებოდა სიტყვების თამაშითა და მათ წიაღში ჩაძიებით. სხვა მუსიკისა არა სწამდა, თუ არ ნაირგვარი რითმებისა. მრავალსახოვანი ბუნებისა იყო, თანაც სავსებით მიაშიტი. არაოდეს მიხილავს აგრე გულდია და მაღალფარდოვანებისაკენ ესოდენ მიდრეკილი ნორმანდიელი.

პიერ კორნელი, ბრეზეფი, სირანო კრძალ-ვასა და მოწიწებას აღძრავდა მასში. ვაგასერი ხომ არ განეკუთვნებოდა იმათ რიგს, ვინაც ნაკლებადაა მიდრეკილი სიტყვაკაზმული ხვეულებისა და არსის გამოვლენისადმი, პიროტექნიკური ყვავილივით რომ სჩვევია ამო-ფეთქვა. წარმოადგინეთ დიდად დახვეწილი გემოვნება, გულისა და გონების სინატიფე, ამასთან ღრმა და ყოველმხრივი განათლება, და გვეცნობა ხატი თავის მშობლიურ კუთხეს დიდხნობით შენიშნული პოეტისა, ჩვენ შო-

რის მაინც რომ მყოფობს და ძველებურად ფოლადივით მქლერ და ეღვიორე ხტრიქონებსა სჭედს. „ვირ ე ლე ვირუა“ მცირე რამ შე-დეგურია. იგი ბრწყინვალე ნიმუშია იმ შესა-ნიშნავი გონებისა, რომელს მარჯვე მოკეჭნა-ვეს შევადრით, გონებისა, რომლისთვისაც სულაც არაა უცხო ოცნება და მელოდიური რჩევა. კვლავაც ვიტყვით, ვაგასერი მართლა ფართო თვალსაწიერის ადამიანია. ნუ დავი-ვიწყებთ, იგი შესანიშნავ მოსაუბრედ ითვლე-ბა იმ ხანასა და იმ ქვეყანაში, სად მასლათი აწ გარდასული ხელოვნებაა. მიუხედავად მისი სიფიცხისა, ვაგასერის ნაუბარი ღრმა და სა-ფუძვლიანია, საზრდოს მომცემი, შთამაგო-ნებელი.

ვაგასერი უფლებამოსილია, მსგავსად ტა-ნის მოქნილობისა, იამაყოს თავისი სხარტი გონებით, რომლის მეოხებითაც მას ძალუძს ყოველივე შეიცნოს, შეიგრძნოს და შეაფასოს, ისიც კი, რაიც ერთი შეხედვით მისი ბუნები-სათვის უცხოა.

ლეკონტ დე ლილი

მე ხშირად დაგვიტხივარ ჩემ თავს და ვერ მიმიღია პასუხი იმისა, რად ვერ შემატეს კრეოლებმა ლიტერატურას რაიმე თავისებუ-რება, რად არ დაატყვეს ჩანაფიქრისა და ძლიერი შთამბეჭდაობის დალი. თითქოსდა ქალთა მოდგმისაებრ ყოფილიყვნენ გაჩენილ-ნი ჭვრეტისა და სიამისათვის. იგივე სისათუ-თე, სინაზე მათი იერისა, გაოგნებულად მომზირალ თვალთა სავერდოვნება, უცნაური სივიწროვე მაღლა აზიდულ შუბლისა. ყო-ველივე ეს ძალზე მიმზიდველია, ოდონდ სწორედ ამაში ილანდება შრომისა და ფიქ-რიანობის მოპირისპირე არსება. დათენთი-ლობა, საღმიანობა, მიბაძვის თანშობილი უნარი, რომელიც, უნდა ითქვას, ზანგებსაც გააჩნიათ, ყოველთვის ანიჭებს კრეოლ პო-ეტს, რაგინდ მიმზიდველიც არ უნდა იყოს იგი, ერთგვარად პროვინციულ იერს. მათ შორის საუკეთესოთაც კი ეს დალი აძევს.

ბატონი ლეკონტ დე ლილი პირველი და ერთადერთი გამონაკლისია მათ შორის, ვი-საც კი ოდესმე შევხვედრივარ. მისი მსგავსი სხვა ვინმე რომ გამოჩნდეს კიდევ, იგი მაინც გამორჩეული იქნება თავისი საოცარობითა და სიძლიერით. მისი შესანიშნავი, გონებისწამ-ლები აღწერები ბავშვობის მოგონებებზე რომ არ იყოს შექმნილი და ზოგჯერ რომ არ ააშ-

კარავებდეს მის წარმოშობას, ვერასგზით შე-ვიტყობდით, რომ იგი იშვა ვულკანებით სავ-სე, კეთილსურნელებით გაუღენთილ კუნ-ძულზე, სად პაერის სიამით ლბილად ნა-ნანავები სული ადამიანისა დღითიდღე ივიწ-ყებს აზროვნებას. ბატონი ლეკონტ დე ლი-ლის გარეგნობა თავისთავადაა უარყოფა მო-არული წარმოდგენისა, თითქოსდა პოეტი თავის ნიჭს კრეოლურ წარმოშობას უნდა უმაღ-ლოდეს. მძლავრი შუბლი, დევური თავი, ცი-ვი და ნათელი თვალეზი ჩვენში ძალმოსილე-ბის შეგრძნებას იწვევს. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების გარდა, პირველ ყოვლისა, რაც თვალ-ში მოგხედება, ესაა იქედნურად მომღიმარე პირი, რომელსაც განუწყვეტლივ დასთამაშებს ირონია. დაბოლოს, რათა უფრო ცხადყოთ მისი სულისა და ასევე გარეგნული იერის შეუთავსებლობა მის კრეოლურ წარმოშობას-თან, მივუთითებთ იმაზე, რომ პოეტის სა-ფუძვლიან და გულისხმიერ სჯა-ბაასს ყო-ველთვის ერთვოდა იქედნურობა, რაიც ამ ადამიანის სიძლიერეზე მიუთითებდა. ამ-რიგად, იგი იყო არა მარტო სწავლული ან მჭვრეტელი და მომადლებული პქონდა არა მარტოდენ პოეტური ხედვა, რის გამოც ძალუძდა ყოველ საგანში ამოეჩინა პოეტუ-რი თვისება, არამედ იგი დაჯილდოებული



იყო პოეტისათვის იშვიათი საღი გონებით, ამ სიტყვის გავრცობილი და საუკეთესო გაგებით. თუკი მოკიდხარობის და ოინბაზობის თვისება აშკარად არა სჭვივის მის პოეტურ ნაწარმოებებში, იმიტომ რომ ეს უნარი მაღული უნარია.

ლევონტ დე ლილი, გვევლინება რა ჭეშმარიტ და ღრმად მოაზროვნე პოეტად, ვერ ითმენს ცნებების აღრევას და მან იცის, რომ ხელთვნება ყველაზე ძლიერ შედეგს მხოლოდ მსხვერპლის გაღებით აღწევს. ამ მსხვერპლის ფასი კი მიზნისდა შესაბამისად ან დიდია ან მცირე.

მე ვმეცადინობ განესაზღვრო, თუ რა ადგილი უჭირავს ჩვენს საუკუნეში ამ ძლიერ, გულდინჯსა და უძვირფასეს პოეტს. მისი პოეზიის განმასხვავებელი ნიშანია ინტელექტუალურ-არისტოკრატიული შეგრძნებები, რაც საკმაოდ იქნებოდა ავტორის არაპოპულარობის ასახსნელად, თუმცადა საფრანგეთში ხომ არაპოპულარულია ყოველივე ის, რაც რამენაირ სრულყოფისაკენაა მისწრაფული. თვისი თანშობილი ფილოსოფიური ალღოთი და მხატვრული აღწერის უნარით იგი მაღლა დგას სალონის მკვიდრ, სეუდით გათანგულ ადამიანებზე, ალბომის ჩრჩილებზე, მათ ხომ ყოველივე ფილოსოფიაც და პოეზიაც დაყვანილი აქვთ ყმაწვილ ქალთა ყალბ განცდებამდე. ზოგიერთებს სურდათ გაეტოლებინათ არი შეფერის სიმტკნარე ანდა ჩვენი ფარისევლების გაცვეთილი სახეები კორნელიუსის ნაპერწკ სახეებთან. ერთადერთი პოეტი, ვისი შედარებაც ლევონტ დე ლილთან მართებული იქნებოდა, ესაა თეოფილ გოტიე. ორივეს ერთნაირად უყვარს მოგზაურობა. ორივენი ბუნებით კოსმოპოლიტები იყვნენ. ორივეს უყვარს გარემოს შეცვლა და თავიანთი ფიქრის შებურვა მუდამ ცვალებადი საფარველით, რომელსაც დრო-ჟამი განმარცხავს და ფანტავს მარადიულობაში. ოღონდ თეოფილ გოტიე დეტალებს ანიჭებს ნამეტურ რელიეფურობას და კაშკაშა შეფერილობას, მაშინ როცა ლევონტ დე ლილი ყველაფერს აფუძვნებს ფილოსოფიურ ჩონჩხზე. ორივე ტრფიალია აღმოსავლეთისა და უდაბნოსი და ხიბლავთ სიმშვიდევ, ვითა მშვენიერების არსი. ორთავე ესენი თავიანთ პოეზიას მოპყენენ შუქს. თეოფილ გოტიე უმეტეს სხივოსანია, ლევონტ დე ლილი კი — უფრო მცხრალი. ორივენი არაფრად აგდებენ ყბედობას და იოლად არ ეგებებიან ტყუილის მახეში. არსებობს კიდევ ერთი, ოღონდ სულ სხვა ყალიბის ადამიანი, ვინაც შესაძლოა ლევონტ დე ლილს ამოუწყენოთ გვერდით. ეს განსაკუთრებული

ერნსტ რენანი. მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც მათ ერთმანეთისაგან მიჯნავს, ამ შედარების სისწორე მოაზროვნისათვის მაინც ცხადი იქნება. პოეტში, ისევე, როგორც ფილოსოფოსში, მე ვჭვრეტ მგზნებარე, ოღონდ არა ამოჩენებულ ცნობისწაღილს რელიგიებისადმი და ყოვლისმომცველი სიყვარულის სულისკვეთებას, არა კაცობრიობისა საერთოდ, არამედ სხვადასხვა ფორმებისა, რითაც ადამიანმა ეპოქისა და ჰავის მიხედვით შექმნა სიყვარული და ჭეშმარიტება. ორთავე ამათთვის უცნობა უაზრო ურწმუნოება. თუ მისი მეტნაკლებად სრული კრებულის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ლევონტ დე ლილის პოეზიის მიზანდასახულობა ასეთნაირად წარმოგვიდგება: პოეტი ცდილობს დახვეწილ ლექსებში თანმიმდევრულად და ცხადლივ დაგვიხატოს ღმერთის თაყვანისცემის ნაირგვარი ფორმები და ის განსხვავებული გზები, რომლებითაც კაცობრიობა დასაბამიდან დღემდე ეძიებდა მშვენიერებას.

მისი პირველი სალოცავი საბერძნეთი იყო, და მისი პოემებიც, როგორც კლასიკური სილამაზის გამომძახილი, არ გამორჩენიან მცოდნეთ. შემდგომ მან შექმნა ციკლი ლათინთა მიბაძვით, რომელიც მე უფრო მეტად მომწონს. ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ჩემი ლტოლვა ამ საგნისადმი შემოქმედებს ჩემს მსჯელობაზე, და რომ ჩემი გატაცება რომაული სამყაროთი ხელს მიშლის კითხვისას მთლიან შევიგრძნო ბერძნულ პოეზიას ნაზიარები მისი ლექსები.

მისმა სიყვარულმა მოგზაურობისადმი იგი თანდათან გაიზიდა ნამეტურ იღუმალი, მშვენიერებით მოცული ქვეყნებისაკენ. დიდია ის წვლილი, მან რომ შეიტანა აზიური რელიგიების აღწერაში, სადაც მძლავრ ნაკადებად ააზავთა თავისი მართებული ზიზღი უფერული საგნებისა და ცხოვრებისეული ზერელობისადმი. ამ აღწერებში სჭვივის უსაზღვრო სიყვარული მარადიული და მედეგი ღვთაებრივი არარასადმი. ხანაც უეცარი ახირებით მიაშურებდა დათოვლილ სკანდინავიას და მოგვითხრობდა იუდეველთა შუქმოსილი ყრმის მიერ დამსობილ და ნისლივით განფანტულ ჩრდილოეთის ღვთაებათა შესახებ. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო გარეგნული სიდიადე და გონების სიძლიერე, რაიც ლევონტ დე ლილმა ნაირგვარ სიუჟეტებში გამოავლინა, მე მის ნაწარმოებებში მაინც იმ ახალ ძარღვს მივიჩნევ უპირატესად, მხოლოდ მისთვის რომაა ნიშნადი და სხვა არავისთვის. ასეთი რივის ნაწარმოებები იშვია-



თია, და პოეტი შესაძლოა იმიტომაც არ მის-
დევლა ამ უანრს, რომ იგი მეტიხმეტად მი-
სეული გახლდათ. მე ვგულისხმობ ისეთ ლექ-
სებს, სადაც რელიგიისა და აზროვნების თან-
მიმდევრული ფორმების გვერდის ავლით პო-
ეტი აღწერდა სიღამაშეს ისეთად, როგორადაც
იგი წარმოუდგებოდა მის მეტად თავისებურ
თვალს. შთამბეჭდავი, მომწუსხავი ძალი ბუ-
ნებისა, ცხოველის სიღამადე მოძრაობასა თუ
მოსვენებულ მდგომარეობაში, ქაღის სიაზი-
ზე მზით განებიერებულ მიღამოებში, დაბო-
ლოს ღეთებრივი სიმშვიდე, უღამნოსა და
ოკეანის შემსარავი სიღამადე. აქ ლეკონტ ღე
ღილი ოსტატიცაა და დიდოსტატიც. მის ძლე-
ვამოსილ პოეზიას აქ თავისი თავის გარდა
სხვა მიზანდასახულობა არ გააჩნია. პოეზიის
ჭეშმარიტი მოყვარულები მისვდებიან, რომ
მე მხედველობაში მაქვს ისეთი ნაწარმოებები,
როგორიცაა „მღამადებლები“, „სპილოები“
„მთულემარე კონდორი“, „ღე მანში“. ამ
მართლაც მიუწვდომელ შედევრს, საღ იღუმა-
ლი ხიბლიანობით ნათობს და ბრწყინავს
ტროპიკული ანდამატი და მაგია, ბაღალი არ
მოეძებნება საბერძნეთსა, იტალიასა, ესპა-
ნეთსა ანდა სამხრეთის რომელსამე სხვა
ქვეყანაში.

კიდევ დავუმატებდი ორიოდ სიტყვას. ლე-
კონტ ღე ღილი თავისი აზრების ბატონ-პატ-
რონია. მაგრამ ეს არაფრად ეღირებოდა, რომ
არ შეძლებოდა მათი ჩაქსოვა თავის ნა-

სეღავში. მისი ენა ყოველთვის ამალღებუღია,
ძლიერი და დამაჯერებელი, მყვირალა ფრა-
ზებისაგან, ყოველგვარი სიყალბისაგან თავი-
სუფალი. ლექსიკონი მეტად ვრცელია, სი-
ტყუაქმნადობა — დახვეწილი და ზუსტად შე-
სატყვისი პოეტის ამ მეტად თავისებური გო-
ნებისა. მისი რიტმი ძვერს ძალუშად და და-
მარწმუნებლად, და ჩანვიც აუღერებუღია
ალტის გაშლილი და ღრმა ხმინობით. რითმა
ზუსტია, შედმეტ გეკლუტობას თავღაღწეული.
იგი ესატყვისება სიღამაშისათვის აუციღებელ
პირობებს და იმ იღუშად და წინააღმდეგობ-
რივ სიყვარულს, როგორადაც ელტვის აღამი-
ანის გონება გაცების გრძნობას და სიმეტ-
რიას. თავშიც მოგახსენეთ, რომ არაპობულა-
რობას იგი იოტის ოღნავადაც არ გაუნაწყე-
ნებია. პოეტის ფიქრის გამომახიღით ვიტყო-
ღი: აბა რას შესძენდა ეგ სახეღის განტქმა
მის რწმენას საკუთარი თავისაღში. მისთვის
საკმაოა აღიარონ მსოღღდ მათ, ვინც ღირ-
სეულად მიუჩნეღია. ლეკონტ ღე ღილი ხომ
ისეთი სუღის აღამიანთა მოღგმას ეკუთვნის,
რომლებიც იმგვარი დარბაისღური ზინღით
გამსჭვალულან ყოველგვარი სიმღამბღისაღმი,
რომ საჭირღდ არ სთღღიან და არც კადრუ-
ღობენ ამის გამოტქმას.

ფრანგულიღან თარგმნეს
მღღმერ ბიღრბამემ და
ბიღრბი ღოღაკემ



რუსულიდან

თარგმნა რამაზ კობიძემ

3 ეტერბურგში რომ ჩაველი, ჯელენინის კლინიკური ინსტიტუტის კურსებზე ჩავეწერე: ეს ინსტიტუტი დახელოვნების მოსურნე ექიმებისთვის საგანგებოდ გახლდათ დაარსებული. მაგრამ ცოტა ხანს რომ ვიარე, დავრწმუნდი, ეს ბევრს ვერაფერს შემძენდა. საქმე აქ ისევე იყო აწყობილი, როგორც უნივერსიტეტში, — ჩვენ ისევ სხვებს მივჩერებოდით, მეტი არაფერი. მე კი სხვებისთვის საკმაოდ მქონდა ნაყურები. ეს ამბავი დიახაც სასარგებლო იყო იმ ექიმებისთვის, ვისაც უკვე დამოუკიდებლად ემუშავნა და ბევრი გადასაჭრელი საკითხი დაგროვებოდა. ჩვენ კი, ახალბედა ექიმებს იგი დიდს არაფერს მოგვცემდა. ჩვენთვის ხელსაყრელი ახლა საავადმყოფოები უფრო იყო, სადაც გამოცდილი ხელმძღვანელების მეთვალყურეობით ვიმუშავებდით. ჰოდა, დავიწყე შესაფერისი ადგილის ძებნა. ჯამაგირს არ დავეძებდი, — ოღონდაც შიმშილით არ მოვმკვდარიყავი და თავშესაფარი მქონოდა. ფული სულ არ გამაჩნდა. ყველა საავადმყოფო მოვიარე და ყველა მთავარ

ექიმთან ვიყავი. ყველგან ცივი, თავაზიანი, მოწყენილი გამომეტყველებით მისმენდნენ და მპასუხობდნენ, ადგილები არ გვაქვს და საერთოდაც ტყუილად გგონია, თითქოს რომელიმე საავადმყოფოში ჯამაგირიან ადგილზე მოხვედრა შეიძლებოდესო. მალე თვითონვე დავრწმუნდი, თუ რა გულუბრყვილო იყო ჩემი ოცნებები. ყოველ საავადმყოფოში ათეულობით ექიმი მუშაობდა უჯამაგიროდ და ხუთი-ათი წელიწადი ელოდებოდნენ ორდინატორის ადგილს, რომ მათხოვრული ჯამაგირი მიეღოთ. უმრავლესობას ამის იმედიც კი არა ჰქონდა და მხოლოდ იმის შესაძენად მუშაობდნენ, რაც მათთვის სკოლას უნდა მიეცა, მაგრამ არ მისცა.

ხელი ჩავიქნიე და საავადმყოფოში „შტატგარეშე თანამშრომლად“ მოვეწყვე. ძალიან მიჭირდა. საღამოობით შარვალს ჩამოძენძილ ძაფებს ვაჭრიდი და პირდაღებულ ფეხსაცმელებს შავი ძაფით ვაკერებდი. ავადმყოფებისთვის ულუფების გამოწერისას შურით გულზე ვსკდებოდი, — ჩემი ერთადერთი საქმელი ჩაის ძეხვი იყო. მაშინ გავიგე ის ამბავი, რაც წინათ გაუგებრად მეჩვენებოდა, — რომ კაცი შეიძლება შიმ-

დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 4, 1976 წ.

შილის ნიადაგზე გალოთდეს. ახლა დუქანს რომ ჩავუვლიდი, რალაც ძალა შიგნით მეზიდებოდა. მეგონა, უდიდეს ნეტარებას ვეზიარები, თუ გაჩახახახებულ, გემრიელი საჭმელებით სავსე დანლთან მივალ და ერთ-ორ ჭიქა არაყს გადაგკრავ-მეთქი. საოცარი იყო, რომ მე, ნახევრად მშიერს, ვისაც სასმელი არ მიყვარდა, ახლა სწორედ არაყი მიზიდავდა და არა საჭმელი. მანეთიანს რომ ვიშოვიდი, ცდუნებას ვეღარ ვუძლებდი და გამოვთვრებოდი ხოლმე. არც მანამდე და არც შემდეგ, როცა საჭმელი სანატრელი აღარ მქონდა, არაყს არასოდეს მივძალავებდი.

საავადმყოფოში ბევრს ვმუშაობდი. იმაშიც დავრწმუნდი, რომ ჩემი შრომა საავადმყოფოს ნამდვილად სჭირდებოდა, ხოლო ის „თავაზი და პატივი“, მე რომ ვითომდა დამედეს და „ნება დამრთეს“, იმ მეწარმის თავაზიანობა იყო, თავის მუშებს „ლუკმაპურს რომ აძლევს“. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მუშაობის საზღაური ლუკმაპური კი არ იყო, არამედ მხოლოდ მუშაობის ნებართვა. მორიგეობის შემდეგ დაღლილ-დაქანცული რომ დავბრუნდებოდი შინ და თავს იმაზე ვიტყვდი, რვა კაპიკად ნოყიერი სადილი როგორ მეყიდა, გაბორბლება და სასოწარკვეთილება მიპყრობდა ხოლმე: ნუთუ ამდენი ჯაფა იმის უფლებასაც არ მაძლევს, მაძლარი მაინც ვიყო; უკვე ვნანობდი, რომ დამოუკიდებელ მუშაობას თავი დავანებე და პეტერბურგში ჩამოვდი. ბილროტი ამბობს: „მხოლოდ სრულიად უსინდისო ექიმი მისცემს თავის თავს ნებას, დამოუკიდებლად ისარგებლოს იმ უფლებებით, რასაც მას დიპლომი აძლევს“. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? ჩვენ — ექიმები? არა! თვითონ გვაგდებენ ამ დღეში და საზღაურიც თვითონვე გაიღონ!..

საავადმყოფოს გარდა კლინიკური ინსტიტუტის ზოგიერთ კურსებზე დავდიოდი, ვმუშაობდი სხვა საავადმყოფოებშიც ყველგან თვალნათლივ ვრწმუნდებოდი, თუ სამედიცინო სამყაროში რა ცოტა მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს საექიმო დიპლომს, თუნდაც აღჭურვილს იმ „უფლებებითა და უპირატესობებით, რაიც კანონით ამ წოდებას ენიჭება“. საავადმყოფოში ყოველ ჩემს დანიშნულებას, ყოველ დიაგნოზს კარგა ხნის მანძილზე მკაცრად ამოწმებდა უფროსი ორდინატორი. სადაც არ უნდა მემუშავნა, ავადმყოფის მკურნალობის და მით უმეტეს ოპერაციის უფლებას მხოლოდ მას შემდეგ მაძლევდნენ, როცა საქმით დავუმტკიცებდი, დამოუკიდებლად მუშაობა შემიძლია-მეთქი. დიპ-

ლომს არავინ არაფრად ავლებდა. ნაღველინის სამედიცინო დაწესებულებაში შენობის შესწავლის მსურველ ექიმს პირველი სამი თვის მანძილზე მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ მშობიარე გამოიკვლიოს და ოპერაციებს უყუროს. სამი თვის შემდეგ იგი colloquium-ს¹ აბარებს და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება, რომ მორიგე ასისტენტის ხელმძღვანელობით ოპერაცია ჩაატაროს... განა შეიძლება ჩვენი „უფლებების“ უფრო მეტად უგულველყოფა? დიპლომი სრულუფლებიან ექიმად მთვლის, კანონი მავალდებულებს, ბებიქალის გამოძახებისთანავე მძიმე მშობიარეს მივაშურო. აქ კი იმის უფლებასაც არ მაძლევენ, რომ დამოუკიდებლად ვამშობიარო ვინმე, თუნდაც უიოლესი მშობიარობა იყო; და, რაღა თქმა უნდა, სავსებით სწორადაც იქცევინან.


„მე მოვიტხოვ, — წერდა 1874 წელს ცნობილი გერმანელი ქირურგი ლანგენბეკი, — რომ ყოველი ექიმი, ვისაც ბრძოლის ველისაკენ მოუწოდეს, ისევე სრულყოფილად ფლობდეს ოპერატიულ ტექნიკას, როგორც მეომრები საომარ იარაღს...“ მართლაც ვის მოუვა აზრად, საომრად გავზავნოს ჯარისკაცები, არასოდეს თოფი რომ არ სჭერიათ ხელში და მხოლოდ ნანახი აქვთ, თუ სხვები როგორ ისვრიან? ექიმები კი არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ცხოვრებაშიაც დამოუკიდებელი ახალწვეულები არიან და ისიც კი არ იციან, იარაღი როგორ დაიჭირონ ხელში.

ყველა ქვეყნის სამედიცინო პრესა მთელ ძალ-ღონეს ხარჯავს, რათა ამ გაუგონარ უსამართლობას ბოლო მოეღოს, მაგრამ ამაოდ... რატომ? მე ეს ვერა და ვერ ამიხსნია... ვის არ აძლევს ხელს იმ ამბის შეგნება, რაოდენ აუცილებელია ექიმის პრაქტიკული მომზადება? რა თქმა უნდა, არც საზოგადოებას და არც თვითონ ექიმებს, რომელნიც გაუთავებლად ჩასჩინებდნენ ამ საზოგადოებას: „ჩვენ ხომ თქვენზე ვსწავლობთ, გამოცდილებას ხომ თქვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად ვიძენთ!..“

VI

საავადმყოფოში გულმოდგინედ ვმუშაობდი და უფროსი ამხანაგი ექიმების ხელმძღვანელობით თანდათანობით გამოცდილებასაც ვიძენდი.

¹ გასაუბრება (ლათ.).



როცა საქმე სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების დანიშვნას ეხებოდა, ყველაფერი იოლი და უბრალო იყო: მე ვნიშნავდი, თუ რა ვნით და საშუალებით უნდა ემკურნალათ და თუ ეს არასწორი გამოდგებოდა, უფროსი ამხანაგები მიმითითებდნენ და მეც ჩემს შეცდომას უმაღლ ვასწორებდი, სულ სხვანაირად იყო საქმე იქ, სადაც გარკვეული ტექნიკური, ოპერატიული ხერხების ათვისება იყო საჭირო. მარტო მითითება აქ არა კმაროდა. როგორც გამოცდილი ხელმძღვანელიც არ უნდა ვყავდეს, მთავარი მაინც შენა საკუთარი გამოცდილება და უნარია. ოპერაციის საიმედოდ გაკეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ჩვევა გააჩნია, მაგრამ როგორ შეიძენ ამ ჩვევას, თუ ოპერაციები შენ თვითონ, თუნდაც გამოუცდილმა არ გააკეთე.

ოთხმოციან წლებში ამერიკელმა ოდვაციერმა ბავშვების ხორხის სახელათო შევიწროების მკურნალობის ახალი ხერხი გამოიგონა. ეს შევიწროება უმთავრესად ყელჭირვების დროს ხდება ხოლმე. მანამდე ასეთი შევიწროებისას ტრაქეოტომიას მიმართავდნენ: ავადმყოფს სასუნთქავ ყელს წინიდან უჭრიდნენ და ჭრილში მილაკს უდგამდნენ. ამ სისხლიანი ოპერაციის დროს, რაც ასე აფრთხობდა ავადმყოფის ახლობლებს, საჭირო იყო ქლოროფორმია და რამდენიმე ექიმის დახმარება. ოდვაციერმა ასეთი ხერხი გამოიგონა: დასტაქარი ბავშვს პირში უყოფს მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს და იმით ხორხის ქვედა სრტილს აწვება, მარჯვენა ხელით კი, საგანგებო ხელსაწყოს მეშვეობით, ამ თითის გაყოფებით ბავშვის ხორხში ლითონის თავგანიერი მილაკი შეჰყავს და ამ მილაკს ხორხში სტოვებს. მისი განიერი თავი ხორხის იოგებს აწვება და ამიტომ მილაკი სასუნთქ ყელში აღარ ცურდებოდა. როცა საჭირო აღარ არის, მილაკს ხორხიდან იღებენ.

ეს ოპერაცია, რასაც ინტუბაცია ეწოდება, ხშირად გასაოცარ შედეგს იძლევა — ბავშვს სულის ხუთვა ეხსნება. დიფტერიის დროს ამ ხერხს ახლა ხშირად მიმართავენ, ნაცვლად ტრაქეოტომიისა, რასაც მაშინდა აკეთებენ, როცა ინტუბაცია არ შეეღობა. ასეთი შემთხვევები კი შედარებით იშვიათია.

ერთი სიტყვით, ეს ოპერაცია საოცარ შედეგებს იძლევა, უბრალოა და უმტკივნეულო, ოღონდაც... მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გამოცდილი ხელი აკეთებს. ძალიან დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ შეშინებული, აყვირებული ბავშვის მტკივნეულ ხორხ-

ში მილაკი მსუბუქად და უწყალებლად ჩაატყრო.

დიფტერიის განყოფილებაში ჩემი ამხანაგის სტრატონოვის ხელმძღვანელობით ვმუშაობდი. არაერთხელ დავსწრებივარ, როცა იგი ინტუბაციას აკეთებდა: თვითონაც არაერთხელ გამიკეთებია ინტუბაცია გვამებზე. ბოლოს სტრატონოვმა შემომთავაზა, ეს ოპერაცია სამიოდე წლის დოცენტვანობურშტული, მშვენიერ ლურჯთვალებიანი ბიჭუნასათვის გამიკეთებინა: იგი მძიმედ, ხრინწიანად სუნთქავდა და საწილში მოუსვენრად წრიალებდა; პირისხე გულურჯებული ჰქონდა. ბავშვი საოპერაციოში გადაიყვანეს, ტახტზე დააწვივნეს და ხელები შეუკრეს. სტრატონოვმა მას პირში გამაფართოებელი ჩაუდგა, მოწყალების დამკვი თავი დაუჭირა. მე ხელსაწყოს შევყვანა დავიწყე. ჩემს თითებქვეშ ბატარა, რბილი ხორხი ფართხალებდა და სხდებოდა. ბოლოს მომეჩვენა, რომ ხორხში შესასვლელი ვიპოვე, მაგრამ მილაკის ბოლო რაღაცას მიეჭინა და აღარ იძვროდა. უფრო ძლიერ დავაწექი, მაგრამ მილაკი მაინც არ შედიოდა.


— არა, ნუ აწვებით, ძალით აქ ვერაფერს გახდებით, — მითხრა სტრატონოვმა, — სახელური შევით ასწიეთ და მილაკი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეიყვანეთ.

ინტუბატორი გამოვიღე და ყველაფერი თავიდან დავიწყე. ხორხს დიდხანს ვაწვებოდა მილაკის ბოლოთი, ბოლოს მილაკი შევიდა და გამყოლი გამოვიღე. აქოშინებულმა, გაწამებულმა ბავშვმა კი მილაკი იმწამსვე სისხლიან ლორწოსთან ერთად გადმოაფურთხა.

— თქვენ მილაკი საყლაბავ მილში შეიყვანეთ და არა ხორხში, — მითხრა სტრატონოვმა, — ჯერ ხორხის სარქველი მოძებნეთ, აქეთ გამოსწიეთ და მილაკი ჩასუნთქვისას შეატყურეთ. ძალას ოდნავადაც ნუ დაატანთ.

გაწითლებულმა და გაოფლიანებულმა სული მოვითქვი და ისევ შევუდექი საქმეს, თან ბავშვის გადმოკარკლულ, გაწამებულ თვალებს მშერას ვარიდებდი. ბავშვს ხორხი გაუხივდა და მილაკის შეყვანა ახლა უფრო გაძნელდა. მილაკის ბოლო სულ რაღაცას აწვებოდა და ვერც მე ჩავიკალი იმის სურვილი, რომ ეს წინააღმდეგობა ძალით დამეძლია.

— არა, არ შემიძლია! — ვთქვი ბოლოს და გამყოლი გამოვიღე. სტრატონოვმა მილაკი აიღო და სწრაფად შეუყვანა ბავშვს



პირში. ბავშვი აბორგდა, თვალები გადმო-
კარკლა, სუნთქვა ერთი წამით შეეხუთა.
სტრატონოვმა პატარა სრახნს ხელი დააჭირა
და გამყოლი მარჯვედ გამოაძრო. მაშინვე
სუნთქვის დამახასიათებელი, სულას ბერვა-
საგით შუილი მოისმა: ბავშვს ხველება აუტ-
ყდა და მილის ამოვლება სცადა.

— არა, შე ყაჩაღო, ახლა ველარ ამოვ-
ლები! — ჩაიციხა სტრატონოვმა და ბავშვს
ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

ხუთი წუთის შემდეგ ბიჭუნას მშვიდად
ეძინა. იგი თანაბრად და თავისუფლად სუნ-
თქავდა.

დიდი გასაჭირი დამიდგა. ინტუბაცია
უხათუოდ უნდა შემესწავლა. მაგრამ არა-
ვითარი ახსნა-განმარტება არა მშველოდა,
ჩემი წინასწარი ვარჯიში გვამებზე დიდად
არაფრად გამომდგომია. პირველად მხოლოდ
კვირანახვერის შემდეგ მოვახერხე მილის
ხორხში შეყვანა. მაგრამ ამის შემდეგაც
კარგა დიდხანს არ ვიყავი დარწმუნებული,
რომ ბოლომდე მივიყვანდი საქმეს. ისიც
მომხდარა, რომ მეც გავწამებულვარ, ბავშ-
ვიც გამიწამებია, ბოლოს კი მაინც ასისტენ-
ტი მომიწვევია და მილაკიც იმას ჩაუდ-
გამს.

ეს ყველაფერი ძალიან ძნელი ასატანი
გახლდათ, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. ოპე-
რაცია ისე სასარგებლო იყო, ისე ადვილად
ამარცხებდა იგი სიკვდილს... განსაკუთრებუ-
ლი ძალით ამას ახლა ვგრძნობ, როცა მთელი
სიძნედეები გადავლახე და როცა შემიძლია
ინტუბაცია ყოველგვარ გარემოებაში ჩავატა-
რო. ამას წინათ, ღამით მორაველობისას ხუ-
თი წლის გოგონასათვის ინტუბაციის გაკე-
თება მომიხდა. წინაღობით მასთვის მილი
ჩაუდგამთ, მაგრამ გოგონას იგი ამოუხველე-
ბია. ავადმყოფი საოპერაციოში შემოიყვანეს.
მე ხელსაწყობის მომზადება დავიწყე. ფერ-
დაკარგული, ოფლით შუბლშეცვარული გო-
გონა მესასთუმლეს მუხლებზე უჭდა და
ისეთი გაწამებული, კაეშნიანი გამომეტყვე-
ლება მქონდა, მხოლოდ იმ ადამიანებს რომა
აქვთ, ვისაც ხული ეხუთება. ხელსაწყო-
ების დანახვაზე გოგონას ამდგრეული თვა-
ლები ოდნავ გაუბრწყინდა. მან პირი თვი-
თონვე გაშიღო და გაუბედავად, იმედის თვა-
ლით მომაჩერდა. გული ტკბილად ამიტოკ-
და. მილაკი ხორხში სწრაფად ჩავუდგი და
ჩემი სიმაჩვიით მევე კმაყოფილი დავრჩი.

გოგონა ტახტზე ავიდა და დაჯდა. მანერს
ხარბად ისუნთქავდა. ლოყებზე ვარდისფე-
რი დაედო, თვალები ბედნიერად უბრწყინ-
ნავდა.

— ხომ კარგად სუნთქავ? — ეკითხე მას.
თავი ხმაამოუღებლად დამიქნია.

— აბა, ექიმს მაღლობა მოახსენე, უთ-
ხარი: გმაღლობთ! — მოწყალების დამ გაუ-
ღიმა და თავი დააბრეგინა.

— გმაღლობთ! — წაიჩურჩულა გოგონამ,
წარბები ასწია და აღერხით შემომხედა.

სამორიგეოში მივბრუნდი და დავწექი.
მაგრამ დიდხანს არ დამეძინა. გაღიმებული
მივჩერებოდი სიბნელეს, თვალწინ გოგონას
ბედნიერი სახე მედგა და მისი სუსტი ჩურ-
ჩული მესმოდა: „გმაღლობთ!“

ღიან, ასეთი წუთები მიმსუბუქებენ გან-
ვლილი გზის გახსენებას და ასე თუ ისე მა-
რიგებენ მას. სხვაგვარად არ შეიძლება, პირ-
ველი არ ყოფილიყო, არც მეორე იქნებოდა,
მაგრამ რაში ენაღვლებათ პირველთ მათი წა-
მების ფასად შეძენილი სხვისი კეთილდღე-
ობა? რამდენი ასეთი წამების, რამდენი და-
ღუბული სიცოცხლის მოწამე და მიზეზია
ყოველი ექიმი თავისი ცხოვრების გზაზე!
„ჩვენი წარმატებების გზა გვამების გროვაზე
გაღისო“, — ნადვლიანად აღიარებს ბილ-
როტი ერთ კერძო წერილში.

განსაკუთრებით ნათლად მახსოვს ჩემი
პირველი ტრაქეოტომია. ეს მოვონება კოშ-
მარად მექცა და იგი მთელი ჩემი სიცოც-
ხლის მანძილზე თანა მდევს.

ტრაქეოტომიის დროს ჩემი ამხანაგების
ასისტენტად ბევრჯერ ვყოფილვარ და ეს
ოპერაცია გვამებზეც ბევრჯერ გამიკეთებია.
ბოლოს მეც მომანდევს ტრაქეოტომიის გა-
კეთება იმ გოგონასთვის, ინტუბაცია რომ
აღარ შეელოდა. ერთმა ექიმმა ავადმყოფს
ქლოროფორმი მისცა; მეორე — სტრატო-
ნოვი, ასისტენტობას მიწვედა და ყოველ
წამს მზად იყო მოსახმარებლად.

როგორც კი გოგონას თეთრ, ფუნთულა
ყელზე დანა დავუსხვი, მაშინვე მივხვდი, რომ
მდედვარებას ვერ დავიოკებდა. ხელები
ოდნავ შეკანკალებდა.

— ნუ დეღავთ, ყველაფერი კარგად მი-
ღიან, — მშვიდად მითხრა სტრატონოვმა, —
აგერ, ფარისებური ჰირკვალიც! აბა ბლავ-
ვი ბოლოთი შეიყვანეთ ზონდი... ასე, კარ-
გია!

როგორც იქნა, ზონდით მივწვდი ტრა-
ქეას, აჩქარებით გავხიე ფაშარი ბაღურა და
შავი, დაჭირჭვებული ვენები მოვაცილე.

— ფრთხილად, ეგრე ნუ აწვალებთ, —
მითხრა სტრატონოვმა, — ასე ხომ ტრაქეას
რგოლები დააზიანეთ! ნუ ჩქარობთ!

ტრაქეას ელუვი, სრტილივანი რგოლები
თანაბრად მოძრაობდნენ ჩემი თითის ქვეშ.



ტრაქეა კაუჭით დავამაგრე და გავკვეთე. ჭრილიდან სუსტი სტვენით გამოვიდა ჰაერის ნაკადი.

— გამაფართოებელი ჩქარა!

ჭრილში გამაფართოებელი შევიყვანე. მადლობა ღმერთს, ახლა გათავდება! მაგრამ გამაფართოებელიდან არ ისმოდა ის დამახასიათებელი შუილი, რაიც გვაუწყებს, ტრაქეადან ჰაერი თავისუფლად გამოდისო.

— თქვენ გამაფართოებელი გვერღვე, შუაკედელში შეგიყვანიათ! — უცბად იყვარა სტრატონოვმა.

გამაფართოებელი გამოვადრე და აღელვებისაგან აკანკალებული ხელებით მეორეჯერ ვცადე შეყვანა, მაგრამ კვლავ ვერ შევძელი. სულ უფრო და უფრო ვიბნეოდი. ღრმა ჭრილობა ყოველ წუთს სისხლით ივსებოდა. მოწყალების და სწრაფად ამშრალვდა დაგორგალებული ბამბით. ჭრილობის ფსკერზე სისხლს გაჭრილი ტრაქეიდან გამომავალი ჰაერი აქაფებდა; თვით ჭრილობა არათანაბარი, საზიზღარი შესახედავი იყო, მის ქვევით პირი დაეღო ჩემი გამაფართოებლის მიერ გაფატრულ შესასვლელს. მოწყალების დას სახეზე ტანჯვა ეწერა და ტუჩებს იკბენდა. მესასთუმლე ქალს გოგონას ფეხები ეჭირა და თავდახრილი იჯდა, რათა არაფერი დაენახა...

სტრატონოვმა გამაფართოებელი გამომართვა და მისი შეყვანა თვითონ სცადა. მაგრამ ჭრილი დიდხანს ვერ იპოვნა. როგორც იქნა, დიდი ჯაფის შემდეგ გამაფართოებლის შეყვანა მოახერხა. გაისმა შუილის ხმა. გოგონამ დაახველა და ტრაქეადან სისხლიანი ლორწოს წვეთები წამოვიდა. სტრატონოვი დაიხარა და მილაკით ტრაქეადან სისხლის გამოწოვა დაიწყო.

— კოლეგა, არც კი ვიცი, როგორ აგინხნათ, აქ ხომ ყველაფერი გასაგებია, — მითხრა მან ოპერაციის შემდეგ, — ჭრილი სწორედ ტრაქეას შუაში უნდა გააკეთო, თქვენ კი არ ვიცი, როგორ მოახერხეთ და გვერღვე გასჭერით; ან ამოდენა ჭრილი რა საჭირო იყო?

გვამებს კი სწორედ საჭირო სიგრძის ჭრილებს ვუკეთებდი და ვუკეთებდი სწორედ ტრაქეას შუაგულში...

გოგონას ჭრილობის დიფტერიტი გაუჩნდა. შესახვევს დღეში ორჯერ ვუცვლიდით, სიცხე გამუდმებით ორმოც გრადუსამდე ჰქონდა. ვეებერთელა დაჩირქებულ ჭრილობაში მილაკი მჭიდროდ არ ჩერდებოდა. გარშემო მარლის ტამპონებს ვუკეთებდით, მაგრამ მილაკი მაინც ცუდად იდგა. შეხვე-

ვით სტრატონოვი უხვევდა ხოლმე. ერთ-თხელ, ჭრილობა რომ გავსენით, დავინახეთ, რომ ტრაქეის ქსოვილის ნაწილი მკვდარი იყო. ამან საქმე უფრო გაართულა: რაკი მილაკს საყრდენი აღარ ჰქონდა, ჭრილში შეყვანისას იგი ტრაქეას წინა კედელს აწვებოდა და გოგონას სული ეხუთებოდა, სტრატონოვმა მილაკი რიგიანად დააყენა და გარშემო ბამბითა და მარლით გულდასმით ამოავსო. გატანჯულ გოგონას თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ფეხებს განწირულად აფართხალებდა და მესასთუმლე ქალის ხელებიდან გასხლტომას ლამობდა. პირსახე ტირილისაგან ემანჭებოდა, მაგრამ ტირილის ხმა არ ისმოდა: ამ ღრმს ჰაერი ფილტვებიდან მილაკში ამოდის, ხმის სიმებს ვერ აღწევს და ამიტომ ხმის გამოცემა არ შეუძლიათ. ჭრილობა ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ ბავშვს გული ძალიან ცუდად ჰქონდა და შეხვევისას ამიტომ ქლოროფორმსაც ვერ ვაძლევდით.

როგორც იყო, სტრატონოვმა შეუხვია. გოგონა წამოჯდა; სტრატონოვმა გამომცდელად შეხედა.

— მაინც ცუდად სუნთქავს! — მოლუშვით თქვა მან და ისევ მილაკის გასწორებას შეუდგა.

გოგონას სახე აღარ ეჭმუხნებოდა. იგი მშვიდად იჯდა და, თითქოს ჩაფიქრებულაო, სადღაც შორს იყურებოდა. უეცრად რაღაც უცნაური, სუსტი კრაჭუნი მოგვესმა... გოგონას ყბები მაგრად მოეჭირა და კბილებს აკრაჭუნებდა.

— ნიუშა, ნიუშა, ცოტაც მოითმინე, სულ მალე აღარ გეტკინება, — გატანჯული ხმით უთხრა სტრატონოვმა და ლოყაზე ნაზად მოუსვა, ხელი.

გოგონა გაფართოებული, უძრავი თვალებით იყურებოდა კარისაკენ და კბილებს ისევ სწრაფად აკრაჭუნებდა; პირიდან ისეთი ხმა გამოდიოდა, თითქოს შაქარყინულს ღრღნიდესო. რა საშინელი ხმა იყო!... ასე მეგონა, ბავშვმა თავისი კბილები სულ ნამცეცებად აქცია და პირი ამ დაფქვილი კბილების ფაფითა ჰქონდა სავსე...

სამი დღის შემდეგ გოგონა მოკვდა... მე ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ტრაქეოტომიას აღარასოდეს გავაკეთებდი.

მაგრამ ამით განა რას მივალწიე? იმ ამხანაგებს, ვინც მუშაობა ჩემთან ერთად დაიწყეს, მაგრამ ნაკლებად გულჩვილნი იყვნენ, ახლა შეუძლიათ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნონ, მაშინ როცა მე უმწეოდ ხელებჩამოშვებული უნდა ვიდე.

იმ ჩემი პირველი და უკანასკნელი ტრაქედიკომიიდან წელიწადნახევარმა რომ გაიარა, მორიგეობის ღროს საავადმყოფოში მუშა მომიყვანეს. მას ხორხის შევიწროება ჰქონდა. სიფილისის შედეგად შევიწროება ერთი თვის მანძილზე თანდათან ვითარდებოდა და უკვე ორი დღელამე იყო, რაც ავადმყოფს სუნთქვა თითქმის მთლად შეეკრძა. იქნა გამხდარი, მეჩხერი თმა აბურძგვნოდა, პირსახეზე მიწისფერი დაღებოდა, — ხელებით მკერდს ჩაფრენოდა და მძიმედ, ხროტინით სუნთქავდა. მე ჩემი ამხანაგის, ასისტენტი-ქირურგის დასაძახებლად გავგზავნე კაცი და ავადმყოფის საოპერაციოში გადაყვანა ვბრძანე.

ასისტენტმა ავადმყოფი გასინჯა.

— ოპერაცია უნდა გაგიკეთოთ, ყელი უნდა გაგიჭრათ, — უთხრა მან მუშას.

— ჰო, ჰო, ოღონდაც ჩქარა, ღვთის გულისათვის, — გამოუთქმელი ნაღველით წარმოთქვა ავადმყოფმა და თავი დაგვიქნია.

სანამ ხელსაწყოს მოამზადებდნენ, ავადმყოფს უანგბადის ბალიში ასუნთქეს.

— აბა, დაწევი, — უთხრა ექიმმა.

ავადმყოფმა პირველი გადაიწერა, მოსამსახურეებს დაეყრდნო და საოპერაციო მაგიდაზე აფორთხდა. სანამ კისერს მოვბანდით, სულ უანგბადს ასუნთქებდნენ. მინდოდა უანგბადის მილი გამომერთმია, მაგრამ ხელები წაუპოტინა.

— ცოტა კიდევ, ცოტა ჰაერი კიდევ მასუნთქეთ, — ჩახლეჩილი ხმით წაილაპარაკა მან.

— გეყოფა, გეყოფა, ახლავე მოვარჩინო, — უთხრა ექიმმა, — აბა, თვალები დახუჭე.

ავადმყოფმა პირველი ერთხელაც გადაიწერა და თვალები დახუჭა. კოკაინი მივეციოთ და ოპერაციას შევუდევით. ერთი ჭრილი, მეორე ჭრილი, მე კაუჭებით ჭრილობის ნაპირები გადავწიე, ამხანაგმა ბეჭდისებური ხრტილი გახსნა, — ხველებას ჭრილობიდან სისხლიანი ლორწოს წვეთები ამოჰყვა. ამხანაგმა მილაკი შეიყვანა და ჭრილობა შეუხვია.

— მორჩა, — თქვა მან.

ავადმყოფი წამოდგა, ჰაერი ხარბად, ღრმად შეისუნთქა. პირზე სინარულის ღიმილი გადაეფინა და თავი გაოცებით გადააქნია.

— რაო, ძმობილო, ხომ მარჯვედ გავფატრეთ? — გაიცინა ექიმმა.

გარშემო ყველა იცინოდა; იცინოდნენ მოსამსახურეები... ავადმყოფი კი ისევ ბედნიერად იღიმებოდა, რაღაცას უხმოდ ჩურ-

ჩულვებდა და, ჩვენი მეცნიერების სასწაულებრივი ძალმოსილებით გაოცებული, თავს ატრიალებდა.

მეორე დღეს პალატაში მივაკითხე. ავადმყოფმა ისევ ბედნიერი და გაოცებული ღიმილი შემომამგება.

— როგორაა საქმე? — ვკითხე.

მან თავი რამდენჯერმე დამიქნია და ხელები გაშალა, რათა ეჩვენებინა, აი, რა კარგად ვარო... პალატიდან მძიმე გრძნობით შეპყრობილი გამოვედი. მე ხომ მას ვერ დავარჩინდი, საავადმყოფოში ჩემი ამხანაგი ექიმო რომ არ ყოფილიყო, ეს კაცი დაიღუპებოდა.

აი, მაშინ კი ვიფიქრე: არა, ჩემი ფიცი სისულელეა! რა უნდა ვქნათ? ბილროტი მართალს ამბობს, — ჩვენი წარმატებების გზა გვამების გროვანზე გადადისო. სხვა გზა არ არის. უნდა ვისწავლო, მარცხმა არ უნდა შემაშინოს... მაგრამ ყურში კვლავ ჩემი ხელით დაღუპული გოგონას კბილების კრაჭუნის ხმა მესმოდა და სასოწარკვეთილი ვგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი, ახალ ოპერაციას ვეღარ გავბედავდი.

როგორ უნდა მოიქცე ადამიანი ასეთ ღროს? მე ხომ საკითხი არ გადამიწყვეტია, მე მას უბრალოდ გავექეცი. ვთქვათ, პირადღ მე შემეძლო ასე მოქცევა, მაგრამ ყველა რომ ასე მოქცეულიყო, მაშინ რა მოხდებოდა? ერთი ძველი ექიმო, ქალაქ Ne-ს საავადმყოფოს განყოფილების გამგე, მიაშობოდა, თუ რას განიცდიდა, როცა ოპერაციის გაკეთებას ახალგაზრდა ექიმს ანდობდა. „არ ანდო, არ შეიძლება, — იმანაც ხომ უნდა ისწავლოს, მაგრამ როგორ შემიძლია მშვიდად ვიყო, როცა იგი თავის დანას, ეშმაკმა იცის, რას დაადებს და სად გაჭრის?“

ჰოდა, ქირურგიც ოპერატორს დანას გამოართმევდა ხოლმე და ოპერაციას თვითონ ამთავრებდა. ეს ძალიან კეთილსინდისიერი საქციელი გახლდათ... მაგრამ მასთან მომუშავე ექიმებისაგან ბევრჯერ გამიგონია: მის განყოფილებაში მუშაობა არ ღირს, თვითონ კარგი ექიმია, მაგრამ მაგისგან ვერაფერს ისწავლიო; მე მესმის იმ ექიმებისა: ქირურგი, ვინც ასეთი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის ავადმყოფებს, კარგი მასწავლებელი ვერ იქნება. აი, მაგალითად, რას გვიამბობს ერთი რუსი მოგზაური-ექიმი სახელგანთქმულ ლისტერზე, ანტისეპტიკის შემოქმედზე: „ლისტერს ძალიან ახლოს მიაქვს გულთან თავისი ავადმყოფის ამბავი და ძალიან მალლა აყენებს საკუთარ ზნეობრივ პასუხისმგებლობას ყოველი ავადმყოფის



წინაშე. ამიტომაც ღისტერი იშვიათად ან-
დობს თავის ასისტენტებს არტერიის გადას-
ვევას; ყველაფერს, რაც კი უშუალოდ ავად-
მყოფს შეეხება, იგი საკუთარი ხელით აკე-
თებს. ამიტომაც მისი ახალგაზრდა ასი-
ტენტები მსტატობით არ გამოირჩე-
ვიან“.

თუ მხოლოდ ამა და ამ ავადმყოფზე ვი-
ფიქრებთ, სხვაგვარად არც შეიძლება მო-
იქცეს კაცი. იგივე მოგზაური პროფ. ა. ს.
ტაუბერი ასე გვიამბობს გერმანულ კლინი-
კებზე: „ვეებერთელა განსხვავებაა, როცა
ამჟამად ახალგაზრდა ასისტენტს მოუხდე-
ნია და როცა პროფესორის მარჯვე, გამო-
ცდილ ხელს უმოქმედნია. პირველნი ხში-
რად აწიანებენ ქსოვილებს, ნერვებს, ძა-
ლიან მოკლედ მიაჭრიან კუნთებს, არტერია-
ლურ ძარღვებს მათი ბუდეებიდან ძალიან მო-
შორებით ამიშვებენ, — ყველაფერი ეს კი
უარყოფით გავლენას ახდენს ქრილობის
შეხორცებაზე“. მაგრამ არის კი საჭირო იმ
ჭეშმარიტების მტკიცება, რომ თუ გამოც-
დილება არა გაქვს, ვერც გამოცდილი ოპე-
რატორი გახდები? სად არის გამოსავალი?
ექიმის თვალსაზრისით კიდევ შეიძლება
შეურიგდე ამას: „სულ ერთია, სხვა გზა
შაინც არ არის“. მაგრამ როცა თავს იმ
ავადმყოფად წარმოვიდგენ, ვისაც ქირურგი
თავის პირველ ოპერაციას უკეთებს, — ამ
გადაწყვეტილებით დაკმაყოფილება არ შე-
იძლება და ვგრძნობ, რომ რაღაც არ უნდა
დაგდეს, სხვა გზა უნდა გამოინახოს.

ერთ ასეთ გზაზე ჯერ კიდევ ოცდაათიან
წლებში მიუთითა ცნობილმა ფრანგმა ფი-
ზიოლოგმა მაჟანდომ. „ანატომიური თეატ-
რის კარგი ქირურგი, — თქვა მან, — ყოველ-
თვის როდი იქნება კარგი პოსპიტალური
ქირურგი. იგი ყოველ წუთას უნდა მოელო-
დეს საბედისწერო შეცდომას, ვინემ არ და-
ოსტატდება. მსტატობას კი მხოლოდ ხან-
გრძლივი პრაქტიკა შესძენს. არადა, ეს მს-
ტატობა დასაწყისშივე უნდა ვაჩინდეს, მისი
განათლების საქმე უკეთ რომ იყოს მოწ-
ყობა. აქ ყველაზე მეტი დანაშაული
სწავლება სერბს მიუძღვის, რომელსაც
სკოლებში დღემდე მისდევენ: მოსწავდე
მკვდარი ბუნებიდან უშუალოდ ცოც-
ხალზე გადაჰყავთ, იგი იმუდებულაა
გამოცდილება ჰუმანურობის, თავისხავე
მხვავსთა სიცოცხლის ხარჯზე მოხსვეჭოს.
ბატონებო! ხანამ ადამიანს მივადგებოდეთ,
განა არა გყავს სხვა სულიერნი, ვისაც
ჩვენს თვალში ნაკლები ფასი აქვს და ვის-
ზეც დასაშვებია პირველი ცდების ჩატარე-

ბა? მე ვისურვებდი, რომ მასმედიცინო გა-
ნათლებასთან ერთად ჩვენში მოითხოვონ
ცოცხალი ცხოველების ოპერირების ცოდ-
ნაც. ვინც ასეთ ოპერაციებს მიჩვეულია,
მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის სიძნელე-
ები, რის წინაშეც ასე უმწეოა ამდენი ქი-
რურგი“.

მაჟანდის რჩევა ღიახაც ადვილი შესას-
რულებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას
დღემდე არავინ მისდევს. რომელიმე ახალი
ოპერაციის გამოგონებისას ქირურგი ამ
ოპერაციას წინდაწინ უპირატესად ცხოვე-
ლებზე აკეთებს. მაგრამ, რამდენადაც ვიცი,
მთელ მსოფლიოში არსად მოქმედებს წე-
სი, რის მიხედვითაც ახალგაზრდა ქირურგს
ცოცხალი ადამიანის ოპერაცია მხოლოდ მას
შემდეგ მიანდონ, როცა იგი ცხოველებზე
ვარჯიშით საკმაო გამოცდილებას შეიძენს.
ან როგორ შეიძლება ამის მოთხოვნა, როცა
ცოცხალი ადამიანის ოპერაციასაც ყოველ-
თვის როდი უსწრებს წინ საკმაო დახელოვ-
ნება თუნდაც იმავე გვამებზე. ოცდაათიან
წლებში დასცინოდნენ ქირურგს, თუ იგი
ანატომიას სწავლობდა. აი, მაგალითად, რო-
გორ იხსენიებს ქირურგიის პროფესორი
დიფენბახი ახალგაზრდა ფრანგ ქირურგ
ველბოს: ეგ ანატომიური ქირურგიაო.
„დიფენბახის აზრით, — სწერს პიროგო-
ვი, — ეს ქირურგისათვის ყველაზე ურიგო
სახელი იყო“.

ასე იყო ოცდაათიან წლებში, მაგრამ
აი, რას გვამცნობს თანამედროვე ქირურგებ-
ზე ზემოხსენებული პროფესორი ა. ს. ტაუ-
ბერი: „გერმანიაში ქირურგიულ კლინიკებ-
ში ახალგაზრდა ასისტენტები გაკვეთას ჩვე-
ულებრივ მკვდარ სხეულზე კი არ სწავლო-
ბენ, არამედ ცოცხალზე. ვერავინ ვერ უარ-
ყოფს, რომ დანის პირზე აბრჭყვიალებული
თბილი სისხლი, ან ოპერაციის დროს კუნთე-
ბის თრთოლვა უფითარებს ახალგაზრდა ექი-
მებს სითამამეს, მოსაზრებულობას, რწმენას
საკუთარი ძალებისადმი; მაგრამ, მეორე
მხრივ, ვფიქრობ, რომ გამოუცდიელი ხელის
ასეთი ვარჯიში ცოცხალ სხეულზე არაპუ-
მანურია და არ ეთანხმება ექიმის ამოცა-
ნებს“.

ვფიქრობ, მაჟანდის მიერ შემოთავაზე-
ბული წესი ცხოვრებაში რომ მკაცრად და
თანმიმდევრულად გატარდეს, იგი ცოტად
თუ ბევრად იხსნიდა ავადმყოფებს, ქირურ-
გების დახელოვნებას თავიანთი საკუთარი
სისხლი და სიცოცხლე შესწირონ, მაგრამ
იხსნიდა სწორედ რომ ცოტად თუ ბევრად.
განა შეიძლება ქირურგი „საკმაო“ გამოც-

დიდების მქონედ მივიჩნით? ან სად არის ეს საზღვარი?

1873 წელს დიდებისა და გამოცდილების მწვერვალს მიღწეულმა ბილროტმა ერთ თავის ძველ ნაცნობ ქალს მისწერა: „ბევრი ნაობერაციევი ავადმყოფი მყავს და უფრო მეტი საობერაციო. სულ მათზე ვფიქრობ. მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდება და ჩემი უღელიც უფრო და უფრო მძიმდება. ერთი საათის წინ დავტოვე მშვენიერი ქალი, ვისაც გუშინ ოპერაცია გავუკეთე, — საშინელი ოპერაცია.... როგორი თვალებით მომჩერებოდა ამ საღამოს: „ციცოცხლებ?“ ვიმედოვნებ, რომ იცოცხლებს, მაგრამ რაოდენ არასრულყოფილია ჩვენი ხელოვნება! ნეტავი კიდევ მომცა ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ასი წელი—იქნებ მაშინ შემძლებოდა ცოტა რამ... ახლა კი... ჩვენ ძალიან ნელა მივიწვევთ წინ. ჰოი, რა ძნელია მეორისთვის გადაცემა იმისა, რასაც ერთმა უკვე მიაღწია! აღამიანმა ყველაფერი უმთავრესად თვითონ უნდა შეიძლოს“.

ქირურგია ხელოვნებაა და ამიტომაც ყველაზე მეტად შემოქმედებას ითხოვს, ყველაზე ნაკლებად კი ერთფეროვნებას ურიგდება. სადაც ერთფეროვნებაა, იქ არც შეცდომებია; სადაც შემოქმედებაა, იქ შეცდომა ყოველ წუთს მოსალოდნელია. ასეთი შეცდომებისა და მარცხის გრძელ გზაზე ყალიბდება ოსტატი, ხოლო ეს გზა ისევ „გვამების გროვაზე გადადის“... როცა იგივე ბილროტი ქირურგიის ახალგაზრდა დოცენტი იყო, თავის მასწავლებელს, ბაუმს ერთ ავადმყოფზე სწერდა: „ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ ძალით გავუჭიმე ფეხი და აზრადაც არ მომსვლია, რომ ავადმყოფს თემოს თავი გადატეხილი ჰქონდა. გაჭიმვა ანთებულ სახსრისთვის, რა თქმა უნდა, დამლუბველი გამოდგა... გაჩნდა განგრენა და ავადმყოფი მოკვდა... ეს შემთხვევა ფრიად ჭკუის სასწავლებელი იყო: მან დამანახა, თუ რის გაკეთება არ ჰხამს. ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, *entre nous*“¹.

გამოცდილების შეძენის პროცესი ნათლად დაგვისურათა პიროგოვმა თავის „დერპტის ქირურგიული კლინიკის ანალებში“, ოცდაათიანი წლების ბოლოს გერმანულ ენაზე რომ გამოვიდა და დიდი გამომხაურება ჰქონდა. პიროგოვმა გენიოსის გულახდილობით გვიამბო ამ „პრაქტიკოსი ექიმის აღსარებაში“ თავის შეცდომებზე, რაიც კლი-

ნიკის გამგედ ყოფნისას მოსვლია. ის ამბობს, რის თაობაზე ლაპარაკსაც სხვები ვერძო წერილებში, *entre nous* თუ ბელადუნენ, პიროგოვმა მთელ მსოფლიოს ამცნო და ამით საყოველთაო დაბნეულობა და იშავე ღროს მიბადვის სურვილიც გამოიწვია. მის მიერ დახატული სურათი შემადრწუნებელი იყო.

ღიახ, ყველაფერი ეს სრულიად გარდაუვალია და აქედან არავითარი გამოსავალი არ არის. ასეც იქნება: ამ გარდაუვალობის წინაშე სინდისის ქენჯნის ხმაც კი უნდა დაღუმდეს. მაგრამ მე მაინც არასგზით არ დავთანხმდებოდი, რომ ამ გარდაუვალობის მსხვერპლი გავმხდარიყავი. საერთოდ არც ერთ მსხვერპლს არა სწადია მსხვერპლი იყოს... ან რამდენი ასეთი წყეული საკითხია ამ საშინელ მეცნიერებაში, სადაც ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამ, რომ ცოცხალ აღამიანს არ გადააწყდე.

1886 წელს ბუქარესტელმა პროფესორმა პეტრესკუმ ასეთი აზრი გამოთქვა: ფილტვების კრუპოზულ ანთებას დიდი (ჩვეულებრივზე ათჯერ მეტი) ღოჭით შეიძლება ვუმკურნალოთო. მისი მრავალწლიანი დაკვირვებების თანახმად, ასეთი მკურნალობისას სიკვდილიანობა 20—30 პროცენტთან 3 პროცენტამდე შემცირდა. სწულება ისე ქრებოდა, „თითქოს ჯადოსნური კვერთხი აუქნიესო“. პეტრესკუმ პარიზის სამედიცინო აკადემიაში ამაზე მოხსენება გააკეთა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. გამოქვეყნებული შედეგები მართლაც გასაოცარი იყო. ამ ხერხით მკურნალობას სხვა ექიმებიც შეუდგნენ და თითქმის ყველა მათგანი მიღწეული შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

იმ ღროს ფილტვების კრუპოზული ანთებით დაავადებულთა პალატა მებარა. ზემოთ მოყვანილი ცნობებით მოჯადოებული უფროს ორდინატორს მოველაპარაკე და პეტრესკუს ხერხის გამოყენება გადავწყვიტე. სწორედ ცოტა ხნის წინ „ბოტკინის საავადმყოფოს გაზეთში“ ამ ხერხისადმი მიძღვნილი დოქტორ რეპტზამერის წერილი მქონდა წაკითხული. პეტრესკუს იმედები დოქტორს ცოტა გადაჭარბებულად მიაჩნდა, მაგრამ იმას კი აღიარებდა, რომ ზოგი თავისი ავადმყოფთაგანი სწორედ პეტრესკუს ხერხით მკურნალობამ მოურჩინა. ავტორის აზრით, ეს ხერხი შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო როგორც უკიდურესი საშუალება ლოთებისა და მოხუცების სამკურნალოდ, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მძიმე

¹ ჩვენ შორის (ფრანგ:.)



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ბიკენტი ვერსაპი

შემთხვევებში. ამავე დროს რეპტზამერი ამბობდა, რომ სათითურათი მოწამვლის შედეგად მას არც ერთი ავადმყოფი არ მოჰკვდომია.

ჩემს პალატაში მოხუცი მებათქაშე დააწვინეს, იგი წინა დღეს გამხდარიყო ავად. მარჯვენა ფილტვი მთლიანად დაზიანებული ჰქონდა, ბერიკაცი ძალიან აჩქარებულად ხუნთქავდა, კვნესოდა და ბორგავდა. მისმა ცოლმა მითხრა, მთელი სიცოცხლე, ბავშვობიდანვე უზომოდ სვამსო. შემთხვევა სწორედ შესაფერი იყო და ავადმყოფს პეტრესკუს რჩევისამებრ სათითურა დავუნიშნე.

რეცეპტს რომ ხელს ვაწერდი, უნებლიეთ შევჩერდი, — იმდენად უჩვეულო იყო იგი. აი, რა ეწერა შიგ:

Rp: Int jol. Digitalisex 8,0(!) 200,0
DS. ყოველ საათში ერთხელ (!) სუფრის კოვზით.

ეს ნიშნავდა: ორას გრამ წყალში გახსნილი რვა გრამი სათითურა, ხოლო ძახილის ნიშნები, კანონის მოთხოვნები-სამებრ, აფთიაქარისათვის იყო ნავარაუდევო: არასგზით არ შეიძლება, რომ ადამიანს დღელამის განმავლობაში 0,6 გრამზე მეტი სათითურას ფოთოლი მიეცეს. ჰოდა, ძახილის ნიშნები აფთიაქარს ანიშნებდა, ამ გაუგონარი დოზის გამოწერისას ექიმს კი არაფერი შეშლია, არამედ სრულიად შეგნებულად მოქმედებდაო. რეცეპტი რამდენჯერმე გადავიკითხე, — ძახილის ნიშნები გამომწვევად მომჩერებოდნენ და თითქოს მეუბნებოდნენ — დიახ, ადამიანისათვის ეჭვს მეთადე გრამზე მეტი სათითურას მიცემა არ შეიძლება, თუ იმ ადამიანის მოწამვლა არ ვინდა, — შენ კი ნებადართულზე ცამეტჯერ მეტი გამოვიწერიაო.

საავადმყოფოდან გამოსულსაც ის ძახილის ნიშნები სულ თვალწინ მიტრიალებდა; გამახსენდა რეპტზამერის სიტყვები, — არც ერთ შემთხვევაში სათითურათი მოწამვლას ავადმყოფის სიკვდილი არ გამოუწვევიაო. კი მაგრამ ბედმა ეს მწარე ხვედრი, — სათითურათი მოწამვლილი ავადმყოფის სიკვდილის დადასტურება სწორედ მე რომ მარგუნოს? სწორედ იმ სათითურათი, რომლის გამოწერისასაც ესოდენ მეტყველი ძახილის ნიშნები ვიხმარე?

მეორე დღეს ავადმყოფი უარესად გახდა. ჩამქრალ თვალეზს უაზროდ აცეცებდა, ცხვირის წვერი გაუღურჯდა, მაჯისცემა წინანდებურად ხშირი ჰქონდა, გულისცემა კი უჩერდებოდა.

რისი ბრალია ეს ყველაფერი, სათითურასი? ან იქნება არა? ავადმყოფს ხომ სუსტი გული ჰქონდა და ეს მოვლენები შეიძლებოდა იმით ყოფილიყო გამოწვეული, რისი შეჩერებაც სათითურამ ვერ მოახწრო.

— მაგრამ მაინც თუ სათითურას ბრალია? — ამ აზრმა ელვასავით გამკრა.

არა, ეს აზრი უკუვაგდე. ახალი ხერხი აკი ბევრმა ექიმმა სცადა და დაადგინა, კარგად მოქმედებსო. ბერიკაცს სათითურა ისევ გამოვუწერე. ორი დღის შემდეგ ბერიკაცს თავბრუხვევა დაეწყო და მალე გულის უკმარისობით გარდაიცვალა. საავადმყოფოს ჭიშკართან მისი ცოლი დავლანდე: საცხედრედან მომავალს დასიებულ თვალეზზე თავსაფარი ჩამოეწია და რალაცას გაუგებრად ლულულულებდა. სირცხვილითა და შიშით შეპრობილმა გადავიკითხე გარდაცვლილის ავადმყოფობის ფურცელი — ზუსტი აღწერა დღითიღვე გამწვავებული ავადმყოფობისა, ძახილის ნიშნებით აქრელებული რეცეპტები და ბოლოს მორიგე ექიმის ლაკონური მინაწერი: „ლამის ორ საათზე ავადმყოფი გარდაიცვალა...“ ვერა და ვერ გამეგო, რამ დამაკარგვინა გონება ისე, რომ ბერიკაცს ის შეუმოწმებელი, პირდაპირ თავხედური მკურნალობა დავუნიშნე? იქნებ ბერიკაცი ისედაც მომკვდარიყო, მაგრამ შემიძლია კი იმისი თავდებობა, რომ სიკვდილი არ გამოუწვევია სათითურას ზომასზე მეტ რაოდენობას, მე რომ მას სისხლში შევუყვანე? და ეს ჩავიდინე მაშინ, როცა საჭირო იყო ორგანიზმის მთელი ძალების მობილიზაცია სწეულებასთან საბრძოლველად. მალე გაზეთ „ექიმის“ ფურცლებზე დოქტორ რუბელის წერილი წავიკითხე. მას გულდასმით შეუსწავლია საკუთარი თუ პეტრესკუს, მისი მიმდევრებისა და მოწაფეების ცდები და უცილობლად დაუსაბუთებია: „პეტრესკუს ხერხი მრავალ შემთხვევაში აშკარად მავნეა, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიშროოც და მხოლოდ ისღა შემიძლია გირჩიოთ, რომ ეს ხერხი რაც შეიძლება მალე გადაივიწყოთ“.

გადავწყვიტე, ამას იქით ჩემს ავადმყოფებს მხოლოდ მეტყველ შემოწმებული და უეჭველი ხერხებით ვუმკურნალებ-მეტქი. რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი მიმდინარე სამედიცინო ლიტერატურას, მით უფრო ღრმად იკიდებდა ფეხს ჩემში ეს გადაწყვეტილება. ჩემ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშალა. ექიმები გაზეთის ყოველ ნომერში მოგვითხრობდნენ ათობით ახალ საშუალებებზე, და ასე გრძელდებოდა კვირი-

დან კვირამდე, თვიდან თვემდე. მოჭროდა რალაც თავაწყვეტილი, უსასრულო ნიაღვარი და მის დანახვაზე თვალები გიჭრელდებოდა: ახალი წამლები, ახალი დოზები, წამლების შეყვანის ახალი ხერხები, ახალი ოპერაციები და აქვე... ათობით და ათასობით ადამიანის დაღუპული ჯანმრთელობა და სიცოცხლე.


ზოგი ამ სიახლეთაგანი საპნის ბუშტივით გაიღვებდა და მყისვე სკდებოდა ხოლმე, თავის ნაკვალევზე კი თითო-ორთა ცხედარს სტოვებდა. პროფესორი მერინგი ცხოველებს პენტალს ასუნთქებდა და დაასკვნა, რომ ეს ნივთიერება შესანიშნავი დამაძინებელი საშუალება არისო. ამის შემდეგ დოქტორმა ჰოლენდერმა პენტალი თავის ავადმყოფებზე გამოსცადა და ბრწყინვალე შედეგები მიიღო. 1891 წლის სექტემბერში, ჰალეში, ბუნებისმეტყველთა და ექიმთა ყრილობაზე ჰოლენდერმა პენტალზე აღფრთოვანებით ილაპარაკა. „ამჟამად, — განაცხადა მან, — პენტალი არის საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ხანმოკლე ოპერაციების დროს. იგი არ იწვევს ცუდ შედეგებს და მისი გამოყენება სავსებით უხიფათოა“. ნახევარი წლის შემდეგ კი დოქტორმა ჰეგლერმა განაცხადა, ერთ მაგარ ვაჟკაცს პენტალმა სულის ხუთვა დამართა, გაალურჯა და ბოლოს სუნთქვა სულაც შეუჩერაო. ის ვაჟკაცი მხოლოდ დიდი წვალების შედეგად გადაარჩინეს. ამ ამბიდან ორი თვე რომ გავიდა, ოლმიუცში პენტალის ჩასუნთქვის შედეგად გარდაიცვალა ქალი, ვისთვისაც კბილი უნდა ამოეღოთ, დაახლოებით იმავე ხანებში „ინგლისელ სტომატოლოგთა ყურნალმა“ გვამცნო, ათი წუთით პენტალის ჩასუნთქვის შედეგად მოკვდა ოცდაცამეტი წლის ქალი, ვისაც კბილი სტკიოდაო. დოქტორ ზიკს პენტალმა ორი ავადმყოფი მოუყლა — ერთი ჯანსაღი, ძლიერი მამაკაცი და ერთიც ახალგაზრდა ქალი, მხოლოდ მენჯ-ბარძაყის სახსარი რომ ჰქონდა დაზიანებული. სხვაფრივ კი სრულიად ჯანმრთელი იყო... ჰოლენდერის მოხსენების შემდეგ კი სულ წელიწადნახევარმა განვლო. გერმანელი ქირურგების ყრილობაზე პროფესორი ჰურლტი გამოვიდა მოხსენებით სხვადასხვა ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა ხმარების შედეგად შედარებითი სიკვდილიანობის თაობაზე. უამრავი სტატისტიკური ცნობებით მან დაამტკიცა, რომ მაშინ როცა ეთერი, ანოტის ქვეყანგი, ბრომიანი ეთილი და ქლოროფორმი ათასჯერ და ათათასჯერ ხმარე-

ბისას მხოლოდ ერთი ავადმყოფის სიკვდილს იწვევს, პენტალი იწვევს ერთ სიკვდილს ყოველ 199 შემთხვევაშიო. „პენტალით ნარკოზისაგან, — სრულიად საფუძვლიანად დაასკვნა პროფესორმა ჰურლტმა, — თუ აქამდე მოპოვებულ მონაცემებს დავეყრდნობით, ნამდვილად თავი უნდა შევიკავოთ“. და პენტალი უკვალოდ გაჰქრა პრაქტიკიდან.

ან ვის არ ახსოვს კოხის ტუბერკულოზის საზეიმო გამობრწყინება და ბოლოს სამარცხვინო მარცხი? იმ სახელგანთქმულ ტუბერკულოზის ათასობით ტუბერკულოზიანებს თამამად უშხაპუნებდნენ, ორი წლის შემდეგ კი უეჭველად დადასტურდა, რომ მას ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა.

ახეთი იყო იმ ახალ საშუალებათა ისტორია, გამოცდის შემდეგ უვარგისნი რომ აღმოჩნდნენ. სხვა ახალ საშუალებათა ბედი სხვანაირი გამოდგა. გამოცდილებიდან ისინი ძალმოსილნი და აღიარებულნი გამოდიოდნენ, ზუსტად დადგენილი დადებითი ჩვენებებითა და უკუჩვენებებით. მაგრამ მათი გზა მაინც ადამიანის დაკარგულ ჯანმრთელობას და დაღუპულ სიცოცხლეზე გადიოდა.

ბევრი მთიანი ადგილის მცხოვრებლებში გავრცელებული გახლდათ თავისებური ავადმყოფობა — ხორხის ქვემოთ ფარისებური ჭირკვლის სიმსივნე. ჩიყვის მკურნალობის მრავალგვარ საშუალებათა შორის მიმართავდნენ ფარისებური ჭირკვლის სრულ ამოკვეთასაც. ახეთმა ოპერაციებმა ძალიან კარგი შედეგები გამოიღო: ავადმყოფები გამოჯანსაღებული მიდიოდნენ, თუმცა ფარისებური ჭირკვალი სულ აღარ ჰქონდათ (ამ ჭირკვლის დანიშნულება მაშინ სრულიად უცნობი იყო). მაგრამ აი, 1883 წელს ბერნელმა პროფესორმა კოხერმა წერილი გამოაქვეყნა და ახეთი რამ გვამცნო: ჩიყვი ოცდაათობმეტჯერ ამოკვეთეთ და შედეგებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მაგრამ ერთხელ ნაცნობმა ექიმმა ჰითხრა. ერთ ქალიშვილს ვმკურნალობ, ვისთვისაც თქვენ ცხრა წლის წინათ ჩიყვი ამოვიკვეთიათო. ექიმმა კოხერს იმ ქალიშვილის ნახვა ურჩია. და აი, რა ნახა კოხერმა: ავადმყოფს უმცროსი და ჰყავდა; ცხრა წლის წინათ ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ერთმანეთში ვერც გამოარჩევდით. „ამ ცხრა წლის მანძილზე კი, — გვიამბობს კოხერი, — უმცროსი და ჯანდონით სავსე ლამაზ ქალიშვილად გადაქცეულა, ნაოპერაციევი გოგონა კი პატარა, შემაზრუნე. გამო-



თაყვანებულ არსებად“. მაშინ კოხერი და-
ინტერესდა ყველა იმათი ბელითაც, ვისაც
აღრე ჩიყვი ამოკვეთა. ყველა ის 28 ადა-
მიანი, ვისაც ფარისებური ჭირკვალი ნაწი-
ლობრივ ამოკვეთეს, სრულიად ჯანმრთელი
აღმოჩნდა; იმ თვრამეტიდან, ვისაც ჭირკვა-
ლი სავსებით ამოკვეთეს, ჯანმრთელი მხო-
ლოდ ორილა იყო, დანარჩენებს კოხერი ასე
ახასიათებს: „ზრდის შეჩერება, დიდი თავი,
ხორკლებიანი ცხვირი, სქელი ტუჩები, მოუ-
ქნელი ტანი, დაჩლუნგებული აზროვნება. ენა-
ბრგვილობა — და ამავე დროს ძლიერი კუნ-
თები, — ყველაფერი ეს მიუთითებს აღწე-
რილი მოვლენის ნათესაობაზე იდიოტიზმთან
და კრეტინიზმთან“. არადა, ზოგ ოპერირე-
ბულს ჩიყვი თითქმის არაფერს უშლიდა და
ოპერაცია მხოლოდ სილამაზისთვის გაიკეთეს,
შედგვი კი გამოთაყვანება გამოდგა... შემ-
დგომში კოხერის მოსაზრებამ, აღწერილი
ნიშნები ფარისებური ჭირკვლის სრული ამო-
კვეთის შედეგიაო, ბევრი დააქვია, მაგრამ
მიუხედავად იმისა, ახლა ვერც ერთი ქირურ-
გი ვერ გაბედავს ფარისებური ჭირკვლის
სრულ ამოკვეთას, თუ ამ ჭირკვლის დაავადე-
ბა ავადმყოფს სიკვდილით არ ემუქრება.

1884 წელს კოლერმა იხმარა ერთი ყველა-
ზე უძვირფასესი საექიმო საშუალებათაგა-
ნი — კოკაინი, რაიც პირდაპირ გასაოცრად
აუჩუჩებს ადგილობრივ ტკივილებს. ორი წლის
შემდეგ პეტერბურგელი პროფესორი კოლო-
მნინი ერთ ქალს საოპერაციოდ ამზადებდა
და სწორ ნაწლავში კოკაინის ხსნარი შეუყ-
ვანა. უცერად ავადმყოფი გაღურჯდა, კრუნ-
ჩხვები დაეწყო და ნახევარი საათის შემდეგ
გარდაიცვალა, კოკაინმა მოწამლა. პროფესო-
რი კოლომნინი შინ დაბრუნდა, კაბინეტში
ჩაიკეტა და თავი მოიკლა. ახლა კოკაინას
ხმარების პირველი წლების ცნობებს რომ
კითხულობ, გაცდება გიპყრობს, — რა დიდი
რაოდენობით ნიშნავდნენ მას. მაგალითად,
პროფესორმა კოლომნინმა თავის ავადმყოფ
ქალს გრამნახევრამდე კოკაინი შეუყვანა. ასე-
თი რაოდენობით კოკაინის ხმარება მაშინ იშ-
ვიათი როდი იყო. გუშემანი ფიქრობდა,
მოზრდილი ადამიანისათვის კოკაინის რაოდე-
ნობა „ძალიან დიდი“ უნდა იყოს, რომ მო-
მაკვდინებელი გამოდგესო. კოლომნინისა და
სხვების მწარე გამოცდილებამ გვასწავლა,
რომ ეს რაოდენობა, პირიქით, ძალიან მცო-
რეა და რომ არ შეიძლება ადამიანის ორ-
განიზმში ექვს მეთამდე გრამზე მეტი კოკაი-
ნის შეყვანა, ეს კი ოცდახუთჯერ ნაკლებია
იმაზე, რა რაოდენობაც უბედურმა კოლომ-
ნინმა თავის ავადმყოფ ქალს შეუყვანა.

დასკვნა ჩემთვის ნათელი იყო, — ამას
იქით მხოლოდ ის საშუალებანი უნდა მეხმა-
რა, ნამდვილად გამოცდილი და შემოწმე-
ბული რომ იყო და ავადმყოფს არავითარ
ზიანს არ მოუტანდა.

სამიოდე წლის წინათ ერთ ტუბერკუ-
ლიოზიან მასწავლებელ ქალს ვმკურნალობ-
დი. იმ ხანებში ცნობა გამოქვეყნდა, რომ
თითქოს რობერტ კოხმა, ვინც თავის შერ-
ცხვენილ ტუბერკულინზე მუშაობას ისევ
ვანაგრძობდა, ეს წამალი გააუმჯობესა და
ახლა ისე ხმარობსო. ავადმყოფმა რჩევა
მკითხა, ის „გაწმენდილი“ ტუბერკულინი
ხომ არ შევიშხაპუნოო.

— სჯობია მოიცადოთ, — მივუგე მე, —
ჯერ გაირკვეს, ძველ ტუბერკულინს მარ-
თლაც ბევრად სჯობია თუ არა.

მე სავსებით კეთილსინდისიერად მოვი-
ქეცი, მაგრამ ამავე დროს კითხვაც დამე-
ბადა: ვისზე უნდა გაირკვეს ეს ამბავი? სად-
ლაც შორს, სხვაგან, საქმე ისევ ავადმყო-
ფებზე გაირკვევა და თუ საშუალება კარგი
გამოდგა... მე გულდამშვიდებით გამივიყე-
ნებ მას ჩემი ავადმყოფებისათვის, ისევე
როგორც ახლა ვიყენებ ისეთ ძვირფას საშუ-
ალებას, როგორც კოკაინია. მაგრამ რა იქ-
ნებოდა, ყველა ექიმი მართლა ჩემსა-
ვით რომ სჯიდეს?

ჩვენ ჯერჯერობით ძალიან ცუდად ვიც-
ნობთ ადამიანის ორგანიზმსა და მის წარმ-
მართველ კანონებს. ახალი საშუალების გა-
მოყენებისას ექიმს მხოლოდ შეუძლია ივა-
რაულოს, თუ როგორ იმოქმედებს ეს საშუ-
ალება. იქნებ სასარგებლოც გამოდგეს. მაგ-
რამ თუნდაც ამან ზიანის მეტი არაფერი
მოიტანოს, საკვირველი ამაში სრულიად
არაფერი იქნება. ჩვენ თვალდახუჭულნი
ვთამაშობთ და მზად უნდა ვიყოთ ყოველ-
გვარი მოულოდნელი შემთხვევებისთვის. ამ
მოულოდნელობათა შესაძლებლობა ერთ-
გვარად მცირდება იმიტომ, რომ საშუალე-
ბებს წინასწარ ცხოველებზე ცდიან. ეს დი-
დი საქმეა. მაგრამ ადამიანისა და ცხოვე-
ლის ორგანიზმები ერთმანეთისაგან მაინც
დიდად განსხვავდება და ერთის მიხედვით
მეორეზე შეუცდომლად მსჯელობა შეუძ-
ლებელია. და აი, ადამიანს ასე უდგებიან, —
ესა თუ ის საშუალება ან მოუხდება ან,
ყოველ შემთხვევაში, წყენით მაინც არ აწ-
ყენსო. აქ ყოველთვის ალაღბედზე მიდი-
ხარ, შეიძლება ანგარიში შეგვეშალოს. და
თანაც ეს ამბები სწრაფად როდი ირკვევა:
კლინიკური დაკვირვება ძნელი და რთული
საქმეა; ხშირად ხდება, რომ რომელიმე სა-

შუალეზა დიდხანს გგონია სასარგებლო და მერღა ირკვევა, რომ ეს მხოლოდ თვითჩაგონების შედეგი იყო.

ამ მულმივი, განუწყვეტელი რისკის, სიბნელეში თვალდახუჭული სიარულის, შეცდომებისა და მათი უარყოფის გზით შეიძინა მედიცინამ დიდი ნაწილი იმისა, რითაც იგი ახლა სამართლიანად ამაყობს. ეს რომ არ ყოფილიყო, არც წინსვლა იქნებოდა. ამას ადასტურებს საექიმო მეცნიერების მთელი ისტორია.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქალების საკვერცხეების სიმსივნეს შინაგანი საშუალებებით მკურნალობდნენ. ოპერაციული ჩარევა — მუცლის გაკვეთა (ოვარიოტომია) სიმსივნის ამოსაკვეთად ძალიან ცუდად თავდებოდა. ეს ჩანაწერები ნახევარი საუკუნის წინათ რომ გამეკეთებინა, მუცლის გაკვეთას ექიმების მიერ ადამიანებზე მიუტევებელი ცდების მაგალითებად მოვიხსენიებდი. ამ დროს ინგლისში ახალგაზრდა ქირურგი სპენსერ უელსი ცხოვრობდა. მას მუცლის გაკვეთის დროს ქირურგის თანაშემწეობა უხდებოდა და ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა, — ეს ოპერაცია პირდაპირ დაუშვებელიაო. მალე მას წილად ხვდა ქირურგად ემუშავა ყირიმის კამპანიის დროს. იქ მან მუცლის ბევრი ქრილობა ნახა. 1856 წელს ლონდონში რომ დაბრუნდა, სპენსერ უელსს ასეთი ქრილობები უკვე გაცილებით ნაკლებ აშინებდა. ახლა იგი ფიქრობდა, მუცლის გაკვეთას კარგი შედეგების მოცემა შეუძლია, ოღონდ ოპერაციები საქმის ცოდნით უნდა ჩატარდესო. მაგრამ ამ ოპერაციებს ყველანი ისე უხდობლად უყურებდნენ, რომ ექიმები მას „მომაკვდინებლად“ თვლიდნენ. პროკურორები კი აცხადებდნენ, მსგავსი ოპერატორები უსათუოდ სამართალში უნდა მისცენო. ამის მიუხედავად, სპენსერ უელსმა გადაწყვიტა, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ოპერაცია გაეკეთებინა. შემთხვევა მალე მიეცა. ოვარიოტომია ჩაატარა და ნაოპერაციევი ქალი მოკვდა.


„ვფიქრობ, — გვიამბობს სპენსერ უელსი, — ძნელი წარმოსადგენია იმაზე უარესი მდგომარეობა, მე რომ აღმოვჩინდი. პირველი ჩემი ცდა სრული მარცხით დამთავრდა; სხვები კი არა და მეც ამიტანა ეჭვმა, ამ გზით სიარულისას ერთობ ცუდ სახელს დავიგდებ-მეთქი. ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ იყო. საექიმო პრესა ხელაღებით ლანძღავდა ოპერაციას; სამედიცინო საზოგადოებებში მას გადაჭრით გამოდნენ დიდ-

ზე დიდი სახელის მქონენი“. მაგრამ სპენსერ უელსი მაინც განაგრძობდა ოპერაციების კეთებას და სულ უფრო და უფრო უკეთეს შედეგებს აღწევდა; თანდათან შეიცვალა ოპერაციისადმი დამოკიდებულება. უკვე 1864 წელს იგი ყველგან აღიარეს, როგორც სრულიად კანონიერი ოპერაცია, კიდევ ცოტა ხნის შემდეგ კი თანამედროვე ქირურგიის დიდ გამარჯვებად გამოცხადდა.

ეს გვიამბო ოთხმოციან წლებში მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულმა სპენსერ უელსმა — კაცობრიობის ერთ-ერთმა კეთილისმყოფელთაგანმა, ვისი მეოხებითაც ათეული ათასობით ქალის სიცოცხლე გადაარჩა. ვინ გაამტყუნებს მას სითამამისათვის? გამარჯვებულთ არ ასამართლებენ.

სიბერეში შესულ პიროვნებს რომ ზედა ყბის კიბო აღმოაჩნდა, მკურნალმა ექიმმა ვივოდცევმა ბილროტს თხოვა, ოპერაცია გაუკეთეო. მდგომარეობას რომ გაეცნო, ბილროტმა ოპერაციის გაკეთება ვერ გაბედა. „მე აღარა ვარ ის უშიშარი და თამამი ოპერატორი, თქვენ რომ ციურისში იცნობდით, — მოსწერა მან ვივოდცევს, — ახლა საქმე ოპერაციაზე რომ მიდგება, ჩემს თავს მულამ ასე ვეკითხები: მივცემ თუ არა სხვა ვინმეს უფლებას გამიკეთოს ის ოპერაცია, ავადმყოფს თვითონ რომ უნდა გავუკეთო?“ მაშასადამე, ადრე ბილროტი ავადმყოფებს ისეთ ოპერაციებს უკეთებდა, თავის თავზე რომ არ გააკეთებდა? რა თქმა უნდა, კი. უამისოდ ჩვენ არ გვექნებოდა რიგი იმ ბრწყინვალე ოპერაციებისა, ბილროტს რომ უნდა ვუმაღლოდეთ.

გამოსავალი არც ისე იოლი და მარტივი გამოდგა, როგორც მეჩვენებოდა: „ვიხმარო მხოლოდ გამოცდილი საშუალებანი“... სანამდე ამ წესს კანონად მხოლოდ ჩემთვის ვთვლი, სწორედ იგი მიმაჩნია ერთადერთ კარგ შესაძლებლობად. მაგრამ როცა წარმოვიდგენ, რომ ამ წესს შეიძლება ყველამ მისდიოს, მაშინ ვგრძნობ, რომ ამ მოქმედებამ არა მარტო შეიძლება დაღუპოს მედიცინა, არამედ სრულ უაზრობამდეც მიგვიყვანოს. „თქვენ ამბობთ, — წერდა ამას წინათ გარდაცვლილი განთქმული ქირურგი პეანი, — ადამიანებზე მხოლოდ ის საშუალებანი უნდა ვიხმაროთ, რაიც წინდაწინ ცხოველებზე გამოსცადესო. მაგრამ ეს დებულება ხომ თავისთავსვე უარყოფს?.. თუ მედიცინა მისდა საუბედუროდ ამ გზას გაჰყვება, იგი საკუთარ თავს ყველაზე სწორხაზოვანი ემპირიზმისათვის და



ყველაზე დოგმატური ტრადიციისათვის გასწორავს. ცხოველებზე ჩატარებული ცდები მხოლოდ სპეკულატიურ ძიებებს მოემსახურებოდა. ვეტერინალური მედიცინა, რატქმა უნდა, ამ ცდებიდან ბევრ სასარგებლოს გამოიტანდა, ადამიანების მედიცინას კი ისინი არაფრად გამოადგებოდნენ“.

მართლაც, რად გადაიქცეოდა მაშინ მედიცინა? ახალი, ჰერაც გამოუცდელი საშუალებების ხმარება არ შეიძლება; უკვე აღიარებულ საშუალებებზედაც ვერ იტყვი უარს: ის ექიმი, ვინც უარს განაცხადებდა სიფილისის ვერცხლისწყლით მკურნალობაზე, ამ თვალსაზრისით არანაკლებ დამნაშავე აღმოჩნდებოდა, ვიდრე ის, ვინც ამ ავადმყოფობას რაიმე ჰერ არნახული საშუალებებით უმკურნალებდა; ძველის უარყოფას არანაკლები სითამამე ჭირდება, ვიდრე ახლის დამკვიდრებას; არადა მედიცინის ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენი ახლანდელი მეცნიერება ბრწყინვალე, დაღებული შენაძენების მიუხედავად, — მაჟანდის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ყველაზე მეტად საკუთარი დანაკარგების წყალობით გამდიდრდა. შედეგად კი აი, რას მივადებდით: პრაქტიკული მედიცინა სავსებით გაიყინებოდა იმ შორეულ დრომდე, სანამ მეცნიერება ამომწურავად არ შეისწავლიდა ადამიანის ორგანიზმს და სანამ ახალი საშუალებების გამოყენება წინდაწინვე ყოველმხრივ გათვალისწინებული არ იქნებოდა. მაგრამ ადამიანები ხომ ყოველი მხრიდან მოსძახიან მედიცინას: „მოგვეხმარე, გვიშველე! ნუთუ ამაზე მეტი არ შეგიძლია?!“

ძალზე უცნაურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მე ხომ ერთი რამ მინდოდა: არ მიმეყენებინა ვნება ავადმყოფისათვის, ვინც დახმარებისათვის მომმართა. ეს წესი თითქოსდა იმდენად უბრალო და აუცილებელია, რომ მის საწინააღმდეგოდ არაფრის ტქმა არ შეიძლება. მაგრამ მუდმივად მისი მიდევნება უსუსურსა მხდის და ერთ ადგილზე მყინავს.

ყოველ გზაზე ცოცხალი ადამიანი მელოდება. თვალს მოვკრავ თუ არა, — უკანვე ვბრუნდები. რა ტქმა უნდა, ამ გზით სულიერ სიმშვიდეს ვინარჩუნებ, მაგრამ საკითხი ძველებურად გადაუჭრელი რჩება.

ასეა იმ საკითხშიაც, ახლა რომ ვარჩევ. სადაა გამოსავალი? სად არის დასაშვების საზღვარი? არ ვიცი. არადა ეს საკითხები სწორედ ახლა უნდა გადაიჭრას. ბაქტერიოლოგიის შექმნით დასრულდა დიად აღმოჩენათა ხანა მედიცინაში და დროებით სიწ-

უნარე ჩამოვარდა. როგორც მუდამ ხდება ასეთ დროს, თავი წამოჰყო ემპირიამ; პრაქტიკა ლამის ყოველგვარ ახალ საშუალებათა ზღვამ წალეკოს. უსასრულოდ გვთავაზობენ სულ ახალ-ახალ ქიმიურ ნივთიერებებს — ანეზინიო, კოსაპრინიო, ჰოლოკაინიო, კრიოფინიო, მიდროლიო, ფეზინიო და კიდევ ათასობით სხვა. ავადმყოფებს ათასგვარ ბაქტერიულ ტოქსინებსა და ანტიტოქსინებს, ყოველგვარი ცხოველური ორგანოს ნაჟურს უშხაპუნებდნენ, რაიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. იგონებენ მრავალგვარ სისხლიან და უსისხლო ოპერაციებს. შეიძლება ამ წარდგნის შემდეგ ჩვენ ბევრი ძვირფასი საშუალება დაგვრჩეს, მაგრამ ძრწოლა ამიტანს ხოლმე, როცა გავიფიქრებ, თუ რა ფასად იქნება შეძენილი ეს ყველაფერი და გამოუთქმელად მეცოდებიან ავადმყოფები, რომლებიც ხშირად ექიმების რჩევასაც არაფრად აგდებენ და ისე მიისწრაფვიან იმ ქარიშხლისაკენ, როგორც ბებლები სინათლისაკენ.

ერთხელ ბეტერბურგში ახლადჩამოსულ ჩემს მოხუცებულ ბიცოლასთან — გენერლის ცოლთან მისვლა მომიხდა. მან ლაპარაკი თავის ურიცხვ სატკივარზე ჩამომიგდო. გულისძგერა გინდათ თუ ტკივილები გულის კოვზთან, ნერვიული ტიკი თუ მტანჭველი უძილობა, — ყველაფერი იმ ბეჩავსა სჭირდა.

— ჩემმა ექიმმა უძილობის ახალი წამალი გამომიწერა. სულ ახალთახალი! შენ ალბათ ჰერ არც კი გავიგონია. ჰო, რაა შქვია? ქლორალოზი... ქლორალ-ჰიდრატი კი არა, ის გულზე მოქმედებს... ეს კი სულ უვნებელია, ეს სრულყოფილი ქლორალ-ჰიდრატია.

ბიცოლამ კონტა კოლოფი გამომიტანა. შიგ ექიმის მიერ გამოწერილი აბები ეყარა, — და დიდის ამბით რეცეპტი დამანახა.

— ვაი, შე საცოდავო შენა! — გავიფიქრე მე.

VIII

მძიმე გრძნობებით ვიწყებ ამ თავის წერას, მაგრამ რა ვქნა?

მე ვგულისხმობ იმ საექიმო ცდებს, ცოცხალ ადამიანებზე რომ ატარებენ.

თბრობისას შევეცდები ზუსტად მივუთითო პირველწყაროებზე, რათა მკითხველმა მიწოდებული ცნობების შემოწმება შეძლოს. თანაც მხოლოდ ვენერიული დაავადებების ირგვლივ ვილაპარაკებ. მართალია, საჩოთირო თემაა, მაგრამ მაინც მასზე უნ-

და ვილაპარაკო, იმიტომ რომ იგი განსაკუთრებით მდიდარია ამგვარი ფაქტებით. საქმე ის გახლავთ, რომ ვენერიული სნეულებანი მხოლოდ ადამიანთა ხვედრია და ცხოველს არ ემართება. თუ მედიცინის სხვა დარგებში ბევრი საკითხის გადაჭრა ცხოველებზე აცრის გზით შეიძლება, ვენეროლოგიაში ეს შეუძლებელია. აქ უთუოდ ადამიანს უნდა აუცრან. ამან ვენეროლოგები ვერ შეაჩერა. ამიტომ ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს იმ მეცნიერებაში უკლებლივ დანაშაულის კვალი სცხია.

ცნობილია, რომ არსებობს სამი ვენერიული სნეულება: ჰონორეა, რბილი შანკრი და ათაშანგი. დავიწყებ პირველით.


ჰონორეის გამომწვევი დამახასიათებელი მიკროორგანიზმი ნეისერმა 1879 წელს აღმოაჩინა. სანიმუშოდ ჩატარებული ცდების შედეგად მან თითქმის უცილობლად დაამტკიცა, რომ აღმოჩენილი „ჰონოკოკი“ სწორედ ჰონორეის დამახასიათებელი გამომწვევი იყო. თუ ცხოველს მიკროორგანიზმის სუფთა ნაყენს შევუყვანთ და ამის შედეგად ცხოველი დასნეულდა, ამ სნეულებას გამომწვევი ეს მიკრო-ორგანიზმები იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ ცხოველს ჰონორეა არ ემართება, ასე რომ ეს აღმოჩენა ან საექვოდ უნდა დარჩენილიყო ან ადამიანებზე შეემოწმებინათ. თვით ნეისერმა პირველი ამჯობინა. მის მიმდევრებს კი ამდენი კეთილგონიერება აღარ აღმოაჩინდათ. პირველი, ვინც ჰონოკოკი ადამიანს აუცრა, პროფესორ რინეკერის ასისტენტი ექიმი მაქს ბოკარტი გახლდათ. „ბატონი საიდუმლო მრჩეველი ფონ რინეკერი, — წერს ბოკარტი, — მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ვენერიულ დაავადებათა მიზეზების აღმოჩენა მხოლოდ ადამიანების აცრით შეიძლება“. ბოკარტმა ჰონოკოკი ერთ ავადმყოფს აუცრა, ვინაც ბოლო სტადიის პროგრესული დამბლა ჰქონდა. ავადმყოფს მგრძნობიარობა უკვე რამდენიმე თვის წინ დაეკარგა, ნაწოლები ღლითილღე უდიდებოდა და იგი სასიკვდილოდ გადაღებულ იყო. აცრა შედეგიანი გამოდგა, მაგრამ ჩირქი ძალიან ცოტა გამოდიოდა. ჩირქი რომ უხვად გამოსულიყო, ავადმყოფს ნახევარი ლიტრა ლუდი დააღვინეს. „ბრწყინვალე შედეგი მივიღეთ, — წერს ბოკარტი, — ჩირქი უხვად წამოვიდა... აცრიდან ათი დღის შემდეგ ავადმყოფს დამბლა დაეცა და გარდაიცვალა. სხვათა შორის, გაკვეთამ საშარდე არხის და ბუშტის ჰონორული ანთება დაგვიდასტურა, რა-

საც თან ახლდა ბუშტის ქსოვილის ცვლილება; მარჯვენა თირკმელში ჩირქის მრავალი კერა წარმოქმნილიყო, ჩირქში კი უამრავი ჰონოკოკი აღმოჩნდა“.

სუფთა ნაყენის შეყვანის ხერხი, ბოკარტმა რომ გამოიყენა, ფრიალ არასრულყოფილი გამოდგა და ამიტომ ამ ცდებს დიდი მეცნიერული ღირებულება არ ჰქონდა. ჰონოკოკის ნამდვილად სუფთა კულტურა პირველად დ-რმა ერნსტ ბუმმა მიიღო. ამ კულტურის თავისებურება რომ დაემტკიცებინა, ბუმმა პლატინის მავთულის ყუნწით კულტურა ქალის საშარდე არხში შეიყვანა. ხელმეორედ გასინჯვისას ქალის საშარდე და სასქესო არხები ნორმალური აღმოჩნდა. განვითარდა ტიპური ურეტრიტი, რის მკურნალობასაც ექვსი კვირა დასჭირდა. თავისი ნაყენების სხვადასხვა თავისებურებათა გამოსაკვლევად ბუმმა ამავე გზით აუცრა ჰონოკოკი მეორე ქალს. შედეგი ისეთივე მიიღო, როგორც პირველ შემთხვევაში.

შევნიშნავ, რომ ნეგერატმა ოცდახუთ წელზე მეტი ხნის წინათ დაამტკიცა, თუ რა მძიმე შედეგს იძლევა, განსაკუთრებით ქალებში, ის „უწყინარი“ ჰონორეა, რაზედაც უფიცები დღემდე არხენი ღიმილით ლაპარაკობენ. მეცნიერებისათვის კი საკმაოდ აქ დიდი ხანია აღარაფერია. აი, მაგალითად, რას ამბობს ამ საქმის ისეთი გავლენიანი მცოდნე, როგორიცაა ნეისერი: „მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ თავისი შედეგებით ჰონორეა გაცილებით უფრო სახიფათო სნეულებაა, ვიდრე ათაშანგი, და ვფიქრობ, რომ ამაში დამეთანხმება ყველა გინეკოლოგი“. თუმცაღა თავისი წიგნის წინასიტყვაობაში თვითონ ბუმიც ამბობს: „ჰონორეა არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სასქესო ორგანოების მძიმე დაავადებებისა“. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა მას, ასეთი საშიშარი დაავადებისთვის თავისი ორი ავადმყოფი გაეწირა. მართალია, ბუმი აცხადებს, ცდების დროს სასქესო ორგანოების დაავადების თავიდან ასაცილებლად ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არც ერთი იმ ზომათაგანი ბოლომდე სანდო არ არის. ესეც არ იყო, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგი მოჰყვეს საშარდე გზების ჰონორული დაავადებასაც.

ჰონოკოკის კულტივაციის გზაზე შემდეგ ნაბიჯი ექიმმა ერნსტ ვერტჰაიმმა გადადგა. მან შექმნა სუფთა კულტურის მიღება ფირფიტებზე. „იმის დასამტკიცებლად, — წერს ვერტჰაიმი, — რომ ფირფიტაზე მო-



შენებული კოლონია ნამდვილად ნეისერის ჰონოკოკის კოლონიაა, ეს კულტურა ადამიანის საშარდე არხზე უნდა აგვეცრა“. ვერტჰაიმმა თავისი კულტურა ოთხ დამბლადაცემულსა და ერთ იდიოტს, ოცდათორმეტი წლის შ-ს აუცრა. იდიოტ შ-ს ჩირქის უძლიერესი დენა ჰქონდა აცრიდან ორი თვის შემდეგაც. შემდგომში ცდები მას „სათანადო მასალის უქონლობის გამო“ აღარ ჩაუტარებია.

ასეთია ჰონორეის საკმაოდ არასრული ისტორია ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით. რბილი შანკრის აცრაზე ახლა აღარ შეგჩერდები. ჯერ ერთი, თავისი შედეგების მიხედვით ამ აცრებს იმდენი ზიანი არ მოუტანია. მკვლევარი ავადმყოფს წყლულს მხარზე, თეძოზე ან მუცელზე უცრის ხოლმე, ერთი კვირის შემდეგ კი მოუჩინს. მეორეც, რბილი შანკრის აცრის შემთხვევები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათ აღწერას რამდენიმე თაბახი მაინც მოუხდება. ამ აცრებს ატარებდნენ გუნტერი, რიკორი, როლე, ბიუზენე, ნადო, კიულერიე, ლინდგურმი, დე-ლუკა, მანინო, ვ. ბეკი, შტრაუსი, ჰიუბენეტი, ბერენშპრუნგი, დიუკრე, კრეფტინგი, სპიჩკა და მრავალი სხვა.

გადავიდეთ ათაშანგზე. ძალიან შორეულ ამბებს აღარ გავიხსენებ და გიამბობთ მხოლოდ ერთ ამბავს განთქმული ფრანგი მეცნიერის ფილიპე რიკორის დროიდან. რიკორმა თავისი მეცნიერების ბევრი ბნელი საკითხი გადაჭრა და ვენეროლოგიის მთელი შენობა თავიდან ააგო. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეცდომები მასაც ჰქონდა. ერთი ყველაზე სამწუხარო შეცდომათაგინი კი იყო რიკორის მოსაზრება, მეორე სტადიის ათაშანგი გადამდები არ არის. ამ შეცდომის მიზეზი ის გახლდათ, რომ რიკორმა, ვინც ვენერიულ ავადმყოფებს უამრავი აცრა ჩაუტარა, მაინც ვერ გახედა ჯანმრთელი ადამიანი აეცრა. ჰოდა, რიკორის ამ შეცდომის გამომწვეურების ამბავსაც ახლა გიამბობთ.

ერთი პირველთაგანი, ვინც განაცხადა, მეორე სტადიის ათაშანგი გადამდებიაო, დუბლინელი ექიმი ვილიამ უოლესი იყო. ავტორი შესანიშნავი „კლინიკური ლექციებისა ვენერიულ სნეულებებზე“. ეს ლექციები საყურადღებოა იმით, თუ რა გასაოცარი უსირცხვილობით უცრიდა უოლესი ჯანსაღ ადამიანებს ათაშანგს. „აცრას,— გვიამბობს იგი,— სამი ხერხით ვატარებ. ან ლანცეტით ვუჩხვლევთ და ჭრილობაზე

წყლულების ან კონდილომების გამონაყრებს ვადებ; ან კანს ლანცეტით ავუწევ და გაშიშვლებულ ზედაპირს ჩირქში ამოვლებულ საფენით ვფარავ; ან თითზე პირსახოცს დავიხვევ, პაციენტს ხახუნით კანს ავაცლი და გაშიშვლებულ ზედაპირზე ჩირქს ვაცხებ; სამივე ხერხის შედეგი ერთნაირია“. მომდევნო ლექციებში უოლესი დაწვრილებით გვიამბობს იმ აცრებზე, რაიც მან 19-დან 35 წლამდე ასაკის ხუთ ჯანსაღ ადამიანს ჩაუტარა. ყველას თურმე კარგად გამოხატული ათაშანგი განუვითარდა. „მოყვანილი ფაქტები,— ბრძანებს უოლესი ოცდამეორე ლექციაზე,— მხოლოდ ნაწილია, ამასთან სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ფაქტებისა, რომელთა მოყვანაც მე შემიძლია“. ოცდამესამე ლექციაზე იგი ერთხელაც იმეორებს, ის ცდები, რაზედაც აქ გიამბობთ, ჩემ მიერ ჩატარებული ცდების მეტად უმნიშვნელო ნაწილიაო.

„განა შეიძლება,— წერდა ამ ცდების გამო შენებფი,— ველოდოთ კიდევ უფრო მეტ საბუთებს იმის დასადასტურებლად, რომ მეორე სტადიის ათაშანგი გადამდებია? ნუღარ ჩავატარებთ ახალ ცდებს ჯანსაღ ადამიანებზე: უოლესის ცდების შემდეგ ეს სრულიად ზედმეტია. საკითხი გადაჭრილია, მეცნიერება მეტ მსხვერპლს აღარ თხოულობს. და მით უარესი მათთვის, ვინც ცხად, ნათელ ამბებზე თვალებს ხუჭავს“.

მაგრამ ორგია ახლალა იწყებოდა...

1851 წელს ვალერის „შესანიშნავი“, „ეპოქალური“ ცდები გამოქვეყნდა, აი, როგორ აგვიწერს მათ თვითონ ვალერი:

„პირველი ცდა. დურსტი, 12 წლის ბიჭი, საავადმყოფო ფურცელი № 1396. მრავალი წელია თავზე მუნი აქვს. სხვა მხრივ სრულიად ჯანმრთელია, არასოდეს მუწუკები ან საყმაწვილო არა ჰქონია. რაკი იგი მაინც ავად იყო და საავადმყოფოში რამდენიმე თვის კიდევ უნდა დარჩენილიყო, რაკი აღრე ათაშანგი არ ჰქონია, მე იგი ფრიად გამოსადეგად ვცანი აცრისათვის, რაც ნ აგვისტოს ჩატარდა კიდევ. მარჯვენა ფეხის კანი დავუსერეთ და ახალ, სულ ოდნავ გასისხლიანებულ ჭრილობებში ათაშანგიანისგან აღებული ჩირქი შევუყვანეთ. ეს ჩირქი შპატელით ჭრილობაში შევუჭილეთ. შემდეგ ამ ჩირქით გაუდენთილი ძენძი წავახურე და შევუხვიე“... ოქტომბრის დასაწყისში ბიჭს ათაშანგისათვის დამახასიათებელი გამონაყარი გაუჩნდა.

„მეორე ცდა. ფრიდრიხი, 15 წლისა, საავადმყოფო ფურცელი № 5676. ექვსი წე-

ლია მარჯვენა ლოყისა და ნიკაპის მგლურა სჭირს. ათაშანგი არ სჭირვებია და ამიტომ ასაცრელად ვარგისი იყო. აცრა 27 ივლისს ჩავუტარეთ. მარცხენა თეძოს ახალ განასერში ათაშანგიანი ქალის სისხლი შევუყვანე. მერე კი ჭრილობები იმავე სისხლით გაჟღენთილი ძენძით შევუხვიე“. ოქტომბრის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ აცრამ შედეგი გამოიღო.

„ორივე ავადმყოფი, — უმატებს ვალერი, — მე განზრახ ვაჩვენე საავადმყოფოს დირექტორს ბ-ნ რილსს, საავადმყოფოს უფროს ექიმებს (ბემსა და სხვ.) ქალაქის ბევრ ექიმს, რამდენიმე პროფესორს (იაკშს, კუბიკს, ოპოლცერს, დიტრიხს და სხვ.), ჰოსპიტლის თითქმის ყველა ექიმს და ბევრ უცხოელ ექიმსაც. ყველამ ერთხმად დაადასტურა, ათაშანგური გამონაყარის დიაგნოზი სწორიაო, და დაუმატეს, თუ საჭირო გახდა, მზადა ვართ აცრების შედეგების სინამდვილე დაგიდასტუროთ“.

მართლაც, როგორ სრული და ზუსტი... სასამართლოს ანგარიშია, არა? გვამცნეს „ქმედების“ ყველა წვრილმანი. ზუსტად დაასახელეს დაზარალებულები, სახელებით ჩამოთვალეს მოწმეები... პროკურორებს რომ აქ ძიება ჩაეტარებინათ, გამოსაკვლევი სულ ცოტადა დარჩებოდათ.

ვალერის ცდების შედეგად ყველგან იმისი შემოწმება დაიწყეს, მეორადი ათაშანგი გადამდებია თუ არაო.

1855 წელს ბვალციის ექიმთა საზოგადოების ერთ სხდომაზე, როცა ვალერის ცდებზე ლაპარაკობენ, მეორადი ათაშანგი გადამდებია თუ არაო, საზოგადოების მდივანმა შეკრებილებს ერთი იქ არმყოფი ექიმისი წერილის შინაარსი გააცნო. „გარემოებათა საგანგებო დამთხვევამ ხსენებულ ამხანაგს საშუალება მისცა კაცთმოყვარეობის კანონების დაურღვევლად ჩაეტარებინა ცდები იმის გამოსარკვევად. გადამდებია თუ არა მეორადი ათაშანგი“.

მაშ, ასე: აცრა ჩაუტარეს ოცდასამ ადამიანს, მათგან ჩვიდმეტს ათაშანგი დაემართა, — და ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა „კაცთმოყვარეობის კანონების დაურღვევლად“! აი, მართლაც გარემოებათა „საგანგებო დამთხვევა!“ ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ვენეროლოგიაში „გარემოებათა“ მსგავსი „დამთხვევანი“ იშვიათი სულაც არ გახლავთ. ვერავინ გაიგო, ვინ იყო აღწერილი ცდების ავტორი. იმან ამჯობინა, თავისი სამარცხვინო სახელი სამუდამოდ დაემალა და იგი მეცნიერებაში დღემდეც კი

„ბვალციელი ანონიმის“ სახელითაა ცნობილი.

„ამ ორი აღწერილობის კითხვისას, — ამბობს პროფესორი ვ. ა. მანასენი, — არც კი იცი, რა უფრო გაგიკვირდეს: ის ამბავი, თუ რა გულგრილად ელოდება ცდის ჩამტარებელი ათაშანგის განვითარებას, რომ უფრო ნათელი სურათი მიიღოს და რაც შეიძლება მეტ ექიმს აჩვენოს, თუ ის, რა დიდი კაცური მედიღურებით შეჰყარეს ავადმყოფს მისდა დაუკითხავად მძიმე, იქნებ მომაკვდინებელი სენიც კი. ნეტავი მაცოდინა, აუცრიდა თუ არა პროფესორი ათაშანგს თავის შვილს, ეს უკანასკნელი თანახმა რომ ყოფილიყო!“

„აი, როგორ ექცევიან ექიმები ავადმყოფებს, თავიანთი ჯანმრთელობა რომ მიანდევს!“ — იტყვის რომელიმე მკითხველი ამ თავის წაკითხვისას, მაგრამ ეს სრულიად არასწორი დასკვნა იქნება. იმ ასიოდე თუ ორასიოდე ექიმის საქციელი, ავადმყოფებს მხოლოდ საკუთარი ცდების საგნად რომ თვლიან, სრულიადაც არაა საკმარისი ექიმთა მთელი წოდების შესაჩვენებლად; ამავე დროს შეიძლება დავასახელოთ უამრავი ფაქტი, როცა ექიმები ყველაზე სახიფათო ცდებს საკუთარ თავზე ატარებდნენ. მაგალითად, ყველას ახსოვს პეტენკოფერისა და ეშერისის ცდები, როცა მათ ქოლერის ბაცილებების სუფთა ნაყენი გადაყლაპეს, იგივე ცდები ჩაატარეს საკუთარ თავზე პროფესორმა ი. ი. მეჩნიკოვმა, ექიმებმა ვასტერლიკმა და ლატაპიმ, სიფილისის აიცრეს ექიმებმა ბორჯიონიმ, ვარნერიმ, ლინდემანმა და კიდევ ბევრმა, ბევრმა სხვამ. ამ ახალგაზრდა, ჯანსაღმა ადამიანებმა მეცნიერების გულისთვის ჩაატარეს ეს ცდები, და მთელი სიცოცხლე გაიმწარეს. ასიოდე თუ ორასიოდე ასეთი გმირის მაგალითებით იმის მტკიცება, თითქოს ექიმების მთელი წოდება მხოლოდ გმირებისაგან შედგებო, ისევე უსაფუძვლო იქნება, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს უკლებლივ ყველა ექიმი თავის ავადმყოფებს მხეცურად ეპყრობაო.

თუკი მოყვანილი მაგალითებიდან მართლა რაიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება და თუ არის ისეთი რამ, რისი გამართლებაც არ შეიძლება, — ეს გახლავთ ის სამარცხვინო გულგრილობა, რა გულგრილობითაც ხვდებიან მსგავსი მხეცობის აღწერას საექიმო წრეები.

მეცნიერებისათვის მსხვერპლად მიტანილ ავადმყოფთა ნუსხა რაღაც ფარული

ძიების გზებით კი არ მომიპოვებია, — ამ ცდებზე მათი ავტორები ბეჭდვითი სიტყვის მეოხებით ყველას გასაგონად ლაპარაკობენ. თითქოსდა პირველი ასეთი ცდის ჩატარების განმაურებას სრულიად შეუძლებელი უნდა გაეხადა მეორე ასეთივე ცდის ჩატარება; თითქოსდა პირველივე ასეთი ცდების ჩამტარებელი, თავსლაფდასხმული, სამუდამოდ უნდა გაექვევებინათ ექიმების წრიდან, მაგრამ არა, ეს არ მომხდარა. ამჟამად თავაწეული მიაბიჯებენ მეცნიერების ეს თავისებური მსახურნი და მათ არავინ არ ებრძვის — არც მათი ამხანაგი ექიმები, არც სამედიცინო ბეჭდვითი სიტყვა. მრავალი სამედიცინო უსურნალ-გაზეთიდან მე მხოლოდ ერთის დასახელება შემეძლია, ვინც დაბეჯითებით და ენერგიულად იბრძვის ცოცხალ ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარების წინააღმდეგ, — ეს გახლავთ რუსული გაზეთი „ექიმი“. მისი რედაქტორი განსვენებული პროფესორი

გ. ა. შანასეინი გახლდათ. ამ გაზეთის ფურცლები პირდაპირ აჭრელებულია რედაქციის ამგვარი შენიშვნებით: „ისევ დაუშვებელი ცდები!“ „ჩვენ ვერასგზით ვერ გაგვიგია, თუ როგორ ბედავენ ექიმები ასეთი ცდების ჩატარებას!“ „ბოლოს და ბოლოს მართლა იმას ხომ არ ველოდებით, პროკურორები როდის გაგვიმართავენ, სად მთავრდება ნებადართული ცდები და სად იწყება დანაშაულებრივი მოქმედება?“ „ვანადრო არ არის, რომ ექიმები საერთოდ წინ აღუდგენ ასეთ ცდებს, რა ჭკუის სასწავლიც არ უნდა იყოს ეს ცდები თავისთავად?“.

მართლაც რომ ღრია, მართლაც რომ ღრია! მაგრამ ახლა იმის დროც დადგა, რომ საზოგადოება აღარ დაელოდოს, როდის გაინძრევინ თვითონ ექიმები; საზოგადოებამ თავისი წევრები თავად უნდა დაიცვას იმათგან, ვისაც დავიწყებია განსხვავება ადამიანსა და ზღვის თაგვებს შორის.

გაგრძელება იქნება

სამარი ველიკოვსკი

ინტელიგენტის თვითშეგნება


სიტყვას თევსებური ბედი აქვს, სიტყვის ბედში ზოგჯერ მთელი ჩვენი ისტორია იჩენს ხოლმე თავს, — აწ გარდასულიცა და თანამედროვეც — თავისი ქართველებითა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების ჭიდილით.

არსებითმა სახელმა „Intellectuel“ („ინტელიგენტი“¹) ფრანგულ ენაში წარსული საუკუნის დამლევს მოიკიდა ფეხი. თავდაპირველად ეს სიტყვა აშკარა ლანძღვასავით თუ არა — დამამცირებელი მეტსახელივით მაინც ჟღერდა. ამ ახალ-უხალი გამოთქმით იმდროინდელი ნაციონალისტი „პოჩვენნიკები“ „ჭკუის კოლოფების“ — ზოლასი, მაგალითად — გაბიაბრუებას ლამობდნენ, აქიშ გამო, რომ მათ არამცთუ ხმა აღიმადლეს უსამართლოდ მსჯავრდადებული ვიღაც გადამთიელი დრეიფუსის დასაცავად, არამედ ეს მთელი ქვეყნის გასაგონად თავიანთი სინდისის საქმედ აღიარეს და ზნეობრივ, მოქალაქეობრივ, ჭეშმარიტად მამულიშვილურ

მოვალეობადაც კი გამოაცხადეს. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ამ ახალგამოგონილი სავინებელი სიტყვით მხოლოდ უმეტარნი იწონებდნენ თავს. პირიქით — ვანსაკუთრებულ გულმოდგინებას სწორედ განათლებული „პოჩვენნიკები“ იჩენდნენ მწერალ მორის ბარესის მეტაურობით; მორის ბარესისა, ვინც მეტისმეტი თავგამოდებით სცემდა თავყანს ყოველივეს „თავდაცვითა“ და „რკინისებურს“, ვინძლო როგორმე გამოესყიდა თავისი სიჭაბუკის დროიდანვე სავალალო სულიერი სინატიფე.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ამ სიტყვას ფრანგი — და არა მარტო ფრანგი — ობივატელი, საქმოსანი, ჩინ-მედლების მოყვარული პოლიტიკანი და მათი სულიერი წინამძღოლნი — ხშირად სხვათა შორის ფრიად განათლებულნი — ახლაც დაცინვით წარმოსთქვამენ. „ფიქრი, როგორც ხელობა“ (ჟ. სორელი) არც დღევანდელ დასავლეთშია მაინცდამაინც დიდად პატივდებული მომეტებულად თავგამოდებული „ცოფიანების“ თვალში. ფრანგი „ყველის ვაჭრების“ ბელადი პუჟადი არ იყო, სულ ამ ცოტა ხნის წინ რომ იკრიჭებოდა: თევზი თავიდან ყროლდებაო?! თევზის თავი მისი ჭკუით ინტელი-

¹ რუსული სიტყვები „интеллигенция“ და „интеллигент“ უფრო ადრეულია, თუმცა გარეგნულად თითქოსდა უცხოურად ჟღერენ და ძირიც ლათინური აქვთ. (ს. ვ.).



გენცია გახლდათ და ამ ანდაზის მახვილიც უპირველეს ყოვლისა მის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგან — თურმე ნუ იტყვით და — ინტელიგენციას არ სურს იფიქროს „ზემდგომთა“ მითითებების კვალობაზე.

თხუთმეტი წლის წინ, როდესაც ალჟირში გახურებული ომი იყო, ამგვარი ცდუნება უფრო უშუალოდ და გამანადგურებლად იჩენდა თავს მემარცხენე ინტელიგენტების სახლებში შესროლილი პლასტიკური ბომბებით. ახლა მართალია წკეპლა ზურგს უკან აქვთ დამალული და წინ გამოწვდილ ხელში მხოლოდ „კაკა“ უჭირავთ, მაგრამ ბურჟუაზიული წყობის თავგამოდებული დამცველების სულში ძველთაგანვე გამჯდარი ჩვეულება, რომ დემოკრატ ინტელიგენტს მიწყვიტვასალახი ბავშვივით უყურონ და საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სიკვდილად გადააბრალონ სულაც არ არის აღმოფხვრილი და უკუგდებული.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ შეახსენა თავის მკითხველებს მემარცხენე ლიბერალურმა გაზეთმა „მონდმა“. 1974 წლის შემოდგომაზე ამ გაზეთმა რამდენიმე კითხვით მიმართა ფრანგული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს და მიღებული პასუხებიდან ცამეტი გამოაქვეყნა სათაურით: „რად გვჭირდება ინტელიგენტები?“

პირველივე პასუხი — მისი ავტორი გახლდათ ცნობილი ესსეისტი და სტრუქტურულ-სემიოტიკური გამოკვლევების ერთ-ერთი წამომწყები საფრანგეთში როლან ბარტი — მოწმობს, რომ „ინტელიგენტი დღესაც „სამართალშია“ მიცემული და მისი საქმის გამო „ძიება ჯერაც არ დამთავრებულა“. ამგვარი „სასამართლო“ შეიძლება ერთგვარ გამოცოცხლებას იწვევდეს პოლიტიკური თეატრის ქანდარებზე, მაგრამ ამავე დროს დიდ საფრთხეს ჰქმნის — საქმე შეიძლება ფაშიზმამდე მივიდეს. ხომ ცნობილია, რომ ფაშიზმა ყველგან და ყოველთვის უპირველეს ამოცანად ინტელიგენციის განადგურებას ისახავს.

და თუ დღესდღეობით საფრთხე საფრთხედ რჩება და ნამდვილი აფეთქების ხმა თითქოს არსაიდან გაისმის — ეს უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის მშრომელთა მძლავრი დემოკრატიული ბანაკის დამსახურებაა. ჯერ კიდევ დრეიფუსარებმა — ზოლას თანამოაზრებმა — გამოიჩინეს იმის უნარი, რომ სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინათ და მათივე აბუჩად ასაგდებად გამოგონილი სიტყვისათვის „ინტელიგენტი“ საპატიო და სასიქადულო ფლერალობა მიეცათ, თავად ეხმარათ ეს

სიტყვა და ამგვარად — როგორც ეს წმირად ხდება ხოლმე — მტრის ვინცა ქებად გადაქცევათ.

მაგრამ ერთია ამა თუ იმ სიტყვის ფლერალობის შეცვლა და მეორეა თვით ცნების შინაარსის დადგენა; ამ ცნების შინაარსი დღემდე დაუდგენელია. აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც საფრანგეთშიც და სხვა ქვეყნებშიც, სადაც ამ სიტყვამ შეაღწია, გაუთავებლად კამათობენ — გადაწყვეტით კი ვერაფერი გადაწყვეტილია — იმის ირგვლივ, თუ მაინც რას უნდა გულისხმობდეს სიტყვა „ინტელიგენტი?“ რა არის მისი არსება? რა ფარგლებშია მოქცეული ის საზოგადოებრივი ფენა, რომელსაც ინტელიგენცია შეადგენს?

დაბრკოლებას ის გარემოება ქმნის, რომ საზოგადოებრივი ფენა, რისი არსებობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს და ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ადვილი გამოსაცნობია, თვალსა და ხელს შუა ქრება მაშინვე, როგორც კი მის გამოყოფაზე, გამოცალკეებაზე, ერთ რომელიმე სოციალურ ერთობლიობად წარმოდგენაზე მიდგება საქმე. ამისი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თვით ინტელიგენცია არის გათიშული, შემადგენლობა მისი ჭრელია და მსოფლმხედველობა — წინააღმდეგობრივი. კაპიტალისტურ ქვეყნებში პატრონის სწავლულ მრჩეველსა და ქარხანაში მომუშავე, კვალიფიციურ მუშასთან განთავსებულ მის ხელმოცარულ თანაკურსელს შორის ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ ასე ხელაღებით ვერც კი გაუტოლებთ მათ ერთმეორეს. ისევე როგორც დღეს ერთმანეთის გვერდით ვერ დავაყენებთ დრეიფუსსარ ზოლასა და მის მაგინებელ ბარესს. იმ შინაგანი სიჭრელის გაუთვალისწინებლად, კულტურის საკითხებისადმი საერთოდ და კერძოდ ინტელიგენციისადმი მარქსისტების მიდგომით რომ ცნაურდება, საზღვარგარეთელი სოციოლოგების ყოველგვარი მეცადინეობა, ჩასწვლენ საქმის არსს, ფუჭია და უნაყოფო. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგალითად, რომ ინტელიგენტი გონებრივი შრომის მუშაკია; მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ განსაზღვრებას? განა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეები ფიზიკურად შრომობენ? და განა გონებრივი შრომის მუშაკებში ვითომ ისე იშვიათად ვხვდებით დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულ, შემგუებულ და უკულტურო ადამიანებს? განა მარტო ეს ამბავი უკვე სრულიად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ასეთი განსაზღვრება სათუოდ მივიჩნიოთ?

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ხელობის არჩევანი, ყოველგვარი საქმიანობა, ნებისმიერი სამუშაო, — ისეთიც, ათადან და ბაბადან რომ ხელით სრულდებოდა, „თავით“ მუშაობას მოითხოვს, მოითხოვს განათლებას, ცოდნას, გონებრივ განვითარებას; ამგვარ ვითარებაში გონებრივი შრომის მარტოოდენ ინტელიგენტის ნიშანთვისებად გამოცნადებამ, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ამ გონებრივი შრომის წილი მის მოღვაწეობაში, სხვა მახასიათებლებიც თუ არ იქნა მინიშნებული, ისეთ შეუსაბამო მტკიცებამდე შეიძლება მოგვიყვანოს, როგორსაც ფილიპ სოლერსის „მონდის“ რედაქციისადმი ვაგზავნილ პასუხში ვკითხულობთ: „დღეს ყველა ინტელიგენტი ხდება“.

ფილიპ სოლერსის შესვლულებებს ჩვეულებრივ ცოტა თუ ვინმე იზიარებს, მაგრამ ამჯერად ესთეტიკასა და სიტყვიერებაში მემარცხენეობის ამ ნამდვილი ქადაგის ეს უსაშველოდ გაზგაადებული დასკვნა არცთუ მთლად უსაფუძვლო დაკვირვებებს ემყარება:

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გაქანებული და ყოვლისმომცველი ინტელექტუალიზაციის ეპოქაში. იშლება სოციალური ტიხრები, ინგრევა იერარქიული კიბე, არნახული მასშტაბით ვრცელდება იდეები და კულტურა... მით უარესი მისთვის, ვისაც უწინდელი პრივილეგიების დაკარგვისა ეშინია. ინტელიგენტი ამიერიდან არც „განზე“ ღვას და არც „აღზევებულა“, იგი „შუაშია“, ყოველდღიური ცხოვრების შუაგულში, იგი გვაწვდის ინფორმაციას ან გვიხსნის მას, მოქმედებს ერთი სიტყვით. ამიტომაც საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს არსებობდეს რაღაც „სექტა“ ან „კასტა“ ინტელიგენტებისა, მეცხრამეტე საუკუნისეული ილუზიებს გამოკიდებაა და მეტი არაფერი“.

და მართლაც საფრანგეთისა და საერთოდ მთელი დასავლეთის ინტელიგენცია ჩვენს თვალწინ ფრიად მნიშვნელოვან ძვრებს განიცდის. თვალში საცემია მისი რიგების შეუჩერებელი ზრდა, იცვლება თვით ინტელიგენტის შრომითსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა თუ ჩაბმის წესი და ეს ხშირად ფრიად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის თვითშეგნებაზეც. დღევანდელმა ინტელიგენტმა იშვიათად რომ მოახერხოს და შეინარჩუნოს ძველებურა განმარტოებული ყოფა-ცხოვრება. უწინ ის თავის ჩანაფიქრებს მარტო, ყველასაგან დამოუკიდებლად, პირადად მის კუთვნილ სახელოსნოში ანხორციელებდა და შემდეგ სურვილისა და უნარის

კვალობაზე ასაღებდა თავისი შემოქმედების ნაყოფს, გამოგონება იქნებოდა ეს, აღმოჩენა თუ მხატვრული ტილო. ახლა კი მეცნიერება და მნიშვნელოვან წილად კულტურაც უშუალოდ მწარმოებლურ ძალად იქცა და მას ძირითადად, როგორც შემოსავლის წყაროს, ისე უყურებენ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ნივთიერაა ეს შემოსავალი თუ სულიერი, იდეოლოგიური. ამიტომაც, რომ გუშინდელი „თავისუფალი პროფესიის“ ადამიანი დღეს ჩვეულებრივ დაქირავებულ მოსამსახურედ იქცა. იარაღი ამ მეტისმეტად გართულებული ინტელექტუალური შრომისა ხშირად მას არც ეკუთვნის. ის გაერთიანებულია უზარმაზარ შრომით კოლექტივში, სადაც ინდუსტრიული, ნაკადური სისტემა მოქმედებს და თითოეული თანამშრომლის ამოცანა იმდენად დანაწევრებულია, რომ ნელ-ნელა იგი კარგავს საშუალებას თვალყური ადევნოს სამუშაოს მიმდინარეობას თავიდან ბოლომდე. საშემსრულებლო და კვლევითი საქმიანობის ასეთი მკვეთრი გამიჯვნა შემოქმედებითა მუშაობის პირობებს მხოლოდ რჩეულთ. სამსახურში დაწინაურებულ პირთ უქმნის. რიგითი მუშაკები კი სრულიად უგულვებელყოფილნი არიან. აი სწორედ ეს სახელმწიფოებრივ-მონობოლისტური მიდგომა წარმოებისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურისადმი, იდეოლოგიისადმი განაპირობებს იმ ძვრებს, რასაც დღევანდელი დასავლეთის ინტელიგენცია განიცდის.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ასე თუ ისე მოქმედებს ინტელიგენტების გუნება-განწყობილებაზე. მათ მსოფლალქმაზე. დაწინაურებულნი და აღზევებულნი მათ შორის, ასე ვთქვათ, „ზემდგომი“ ინტელიგენცია ბევრითა თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და მსოფლმხედველობას გამუდმებით ითანადროულებს ახალ-ახალი ტექნიოკრატიული მცნებებით. რიგითები კი — დღესდღეობით უკვე მრავლის უმრავლესნი — თანდათანობით უახლოვდებიან დაქირავებულ მშრომელთა დანარჩენ ფენებს და სავსებით იზიარებენ მათს უკმაყოფილებას. 1968 წლის საფრანგეთის „წითელი მაისის“ მერმინდელმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ერთობ მძლავრი ბიძვი მისცა ამ განხეთქილებას. ერთის მხრივ მმართველი წრეები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ შეძლებისდაგვარად გაამაგრონ თავიანთი სულიერი და იდეოლოგიური ვარემოცვა და შეავსონ იგი საქმის მცოდნე, მოხერხებული და საიმედოდ გაწვრთნილ-გახედნილი მრჩევლებით. მეორეს მხრივ კი ხშირად უკვე თითო-ორიოლა

„უძლები შვილი“ კი არა, არამედ ინტელიგენციას, განსაკუთრებით ახალგაზრდების, მთელი ლაშქარი იძვრის და უერთდება დემოკრატიულსა და მუშათა მოძრაობას. მართალია უმრავლესობა კვლავ მერყეობს და ჯერჯერობით ვერ ბედავს ამგვარი ნაბიჯის გადადგმას, უემაყოფილებას გარემომცველი სინამდვილის გამო მარტოოდენ ზნეობრივი პროტესტით გამოხატავს და აშკარა პოლიტიკური არჩევანისაგან თავს იკავებს, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ გულის გულში იხიცი მწვავედ განიცდის ღირებულებათა გადაფასებას. ეს თავს იჩენს იმ გატაცებაშიც, რა გატაცებითაც დასავლელი ინტელიგენტები ცდილობენ ამ ბოლო ხანს თავიანთივე თავის, ადგილისა და მოვალეობის გამო უკვე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და დადგენილი შეხედულებების გადასინჯვას.

სწორედ ამით არის განპირობებული „მონღის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენციების მსგავსი გაუთავებელი აზრთა გაცელა-გამოცვლა და ის მრავალრიცხოვანი შოწოდებებიც, რითაც ინტელიგენტები მიმართავენ ერთმეორეს — ნუ ჩადგებიან „დაკანონებული უწესრიგობის“ სამსახურში, გამუდმებით ეძებეთ ამგვარი ვითარების დაძლევისა და სამართლიანი გარდაქმნების გზები! ესვე აიძულებს მათ ამგვარი „აღმსარებლობისას“ აუცილებლად წარმოაჩინონ და კიდევ ერთხელ დაუწიგონ ერთმანეთს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ნამდვილად საღმურ კულტურას პატიოსანი ადამიანების დამოუკიდებელი აზროვნება ასაზრდოებს და არა — მამებლური ტყუილი; რომ სოციალიზმამდელ საზოგადოებაში ინტელიგენტის დასაბამითგან ბოძებული უფლებაა და აუცილებელი მოვალეობა იყოს შეურიგებელი პროტესტანტი ფიქრით, საქმითა და სიტყვით, რამეთუ სწორედ ეს გახლავთ მისი საქმე ამქვეყნად.

„მე რომ მკითხოთ, — იჩემებს თავის პასუხში ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი გტიაშხალი, — ინტელიგენტი მხოლოდ ის არის, ვინც არც ერთ ფაქტს, არც ერთ იდეას ისე არ მიიღებს, თუ თავად არ გამოსცადა და კრიტიკული თვალთ არ ასწონ-დასწონა. ინტელიგენტი უნდა ააშკარავებდეს ყველა საზოგადოების წინააღმდეგობებს, მათ შორის — იმ საზოგადოებებისაც, რომელსაც თავად ეკუთვნის; უნდა ამხილებდეს ყველა ადამიანს, მათ შორის — თავის თავსაც... ინტელიგენტი, რა თქმა უნდა, ვერ მისწვდება ჭეშმარიტებას, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, რადგან დიდი და

მთავარი ჭეშმარიტება საერთოდ მიუწვდომელია, მაგრამ იგი ვალდებულია მუდამ მზად იყოს მარტივი ჭეშმარიტებების — სამართლიანობის, სიმართლის, თავისუფლების გულისათვის თავის გასაწირად, რათა პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება, მისი დანიშნულება კი ის გახლავთ — წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას“.

სულ ადვილია, რომ შენთვისა და შენი თანამოძმეებისათვის სასურველი მოდელის ასეთი მონახაზების ავტორს სოციოლოგიური თვითმოქმედება დაგწამონ: თუ მხოლოდ მორალური და მსოფლმხედველობრივი ღირებულებების საფუძველზე შეიძლება ადამიანის მიკუთვნება ამა თუ იმ ფენისადმი, თავისი ბუნებით რომ საზოგადოებრივ-ისტორიულია, მაშინ ინტელიგენტი ყოფილა ყველა, ვისაც მე და ჩემი ღრმად პატივცემული მეზობელი დავარქმევთ ინტელიგენტს. მაგრამ რაკი თვით ისეთ მრავალმხრივ გაწაფულსა და განსწავლულ მეცნიერებასაც კი, როგორც სოციოლოგიაა, არ გააჩნია ამაზე უფრო უტყუარი განსაზღვრება ინტელიგენტისა, ამ ნაკლის შევსების ეს ზნეობრივი ალლოთი ნაკარნახევი ცდა უთუოდ საგულისხმოდ უნდა იქნას მიჩნეული. საგულისხმოა და მნიშვნელოვანი ეს ცდა თვით ცნების შინაარსის მიუღვომელი განსაზღვრების თვალსაზრისით თუ არა — იმითი მაინც, რომ ხელს უწყობს ინტელიგენტს თვითგამორკვევაში და ე. ი. ცხოვრებისეული არჩევანის საკითხის სწორ გადაწყვეტაშიც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თვით ამჟამინდელი მიმართულობა ამ ბრძოლაში, ხელისცეცებით დაზუსტებული განსაზღვრებებისა, მათს უმრავლესობას წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ გონებრივი შრომის მუშაკს ინტელიგენტად ხდის შინაგანი მოთხოვნილება, უნარი და გამბედაობა იყოს მუდამ მაძიებელი და შეურიგებელი კრიტიკოსი არსებული ვითარებისა და ეჭვის თვალთ უყურებდეს ყოველივეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მეცნიერებაში, კულტურაში.

„მე პირადად, — თავისებურად ეხმაურება ეტიაშხალს ისტორიულ თხზულებათა ავტორი მარგერიტ იურსენარი, — ინტელიგენტის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მესახება — დაუხატო ჩემს თავსაც და მკითხველებსაც შეძლებისდაგვარად მართალი და სრული სურათი გარემომცველი სინამდვილისა, არ შევეპუო მისი გაღამაზების ან დამახინჯების რაიმე ცდუნებას და, რაც გამეწყობა, გავექცე იდეა-დოგმების კონფორიზმს, რანაირიც არ

უნდა იყოს ის და რომელი ხელისუფლების ან კონტრ-ხელისუფლების მიერაც არ უნდა იყოს ნაქადაგები“.

ამგვარი მოსაზრებები საფრანგეთში, ცხადია, ადრეც ბევრჯერ გამოუთქვამთ. საზოგადოებრივი აზრის დღევანდელმა განსაკუთრებულმა მღელვარებამ უფრო იმაში იჩინა თავი, რომ გაზეთის ფურცლებზე ერთმანეთთან დაუსწრებლად შეხვედრილ ცამეტ სხვადასხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შეხედულებების მქონე ლიტერატორსა და სწავლულს შორის — მემარცხენე პუბლიცისტ ბერნარ კლაველით დაწყებული და კეთილგანწყობილ აკადემიკოს ჟან გიტონით გათავებული — არ აღმოჩნდა არც ერთი, ვისაც, თუნდაც სხვათა შორის, არ აღენიშნოს, რომ ინტელიგენტი (ის, ვინც ნამდვილად ღირსეულად ატარებს ამ სახელს) აუცილებლად უნდა სწევდეს სიმართლის მაძიებელი კრიტიკოსის ჭაპანს. ნიშანდობლივია ისიც, რომ „მისიის“ ნაცვლად ახლა „ფუნქციას“ ამბობენ, „მოწოდებაზე“ კი აღარაა ლაპარაკი, არამედ „დანიშნულებაზე“. განსხვავება აქ მარტო ნაკლებად მაღალფარდოვანი, უფრო უწყინარი და საქმიანი სიტყვების არჩევანში კი არ არის — სტილისტიკის ცვლაში თვით შინაარსისეული აზრის მონაცვლეობაც იჩენს თავს და ესაა მთავარი.

სიტყვას „მოწოდება“, როდესაც მას ძველი წრთობის ინტელექტუალი წარმოსთქვამდა თავის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ყოველთვის დაჰკრავდა მეტ-ნაკლებად ვაცნობიერებული რწმენის შეგრძნება, რომ ამ წინასწარმეტყველივით ყველა საიდუმლოს ნაზიარებსა და ქურუმივით გამორჩეულ ადამიანს ეს წოდება ზეგარდმო მომადლებული ნიჭის წყვლობითა თუ შინაგანი ხმის ბრძანებით, ზემთაგონებით გაწეული ღვაწლის ხარჯზე ჰქონდა მოპოვებული. ამგვარი განწყობის გამო კულტურის დარგში გაწეული შრომა — მათ მიერ, ვინც ამ შრომას ეწევა, — ჩვეულებრივ გულახდილად ან, უფრო ხშირად, ანგარიშმიუცემლად განიხილება, როგორც წუთისოფლის მარადული მეტაფიზიკური განგების წარმომადგენლობა ამქვეყნიურ, წარმავალ ისტორიულ ცხოვრებაში. თავის დროზე ინტელიგენციის „არამქვეყნიურობის“ მგზნებარე ქადაგმა, მწერალმა ჟიულიენ ბენდამ სხვა ვითარებაში ოდენ საგულისხმო ეს თვალსაზრისი ბოლომდე გამოთქვა (ინტელიგენცია მას შუა საუკუნეების სწავლულ ღვთისმსახურთა საერო მემკვიდრეებად ესახებოდა. „კლირიკოსთა ღალატი“ — ასეთი გამოძვრევი სათაურია მისცა მან თავის

ნარკვევ-ბამფლეტების წიგნს ინტელიგენციის შესახებ):

„ინტელიგენტი იმითაა ძლიერი, რომ... გულახდილად უცხადებს ადამიანებს — ჩემი მეუფება მიწიერი არ არისო. ინტელიგენტის მიერ გადაცემული გაკვეთილების სიდიადე სწორედ ის განსაზღვრავს, რომ მათ არ გააჩნიათ გამოყენებითი ღირებულება. მიწიერი მეუფების უზრუნველსაყოფად კეისრის მორალია ვარგისი, და არა ის, მეორე — კლირიკოსი რომ აღიარებს და ერთადერთია და ჭეშმარიტი“.

ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად უგულვებელყოფილი. დაახლოებით ამავე აზრს ანვითარებს გაზეთის ფურცლებზე კათოლიკე ჟურნალისტი და კულტუროლოგი ჟან ფაბიერვი:

„ინტელიგენტმა თუ უარი თქვა წინასწარმეტყველებაზე და ყოველდღიური ცხოვრების საქმეებში ჩარევასა და ამ საქმეების შეფასებას მიჰყო ხელი, ეს მომაკვდინებელი იქნება თვით აზროვნების განვითარებისთვისაც და იმისთვისაც, რასაც ჩვეულებრივ სულს უწოდებენ“.

იგივე თვალსაზრისი ჟონავს საგანგებო მაგიდის სხვა მონაწილის, პოლიტიკური მიმომხილველის კრისტიან პერუს მოწოდებებშიც:

„გულახდილად ვთქვათ, რომ პოლიტიკა მეცნიერებაა და ზნეობასთან მას ისევე არა აქვს არავითარი კავშირი, როგორც ბიოლოგიას, ფიზიკას ან ასტრონომიას; რომ თანასწორობა არ ნიშნავს სამართლიანობას და უთანასწორობა უსამართლობას. განა შეიძლება სამართლიანი იყოს წრე ან კვადრატი?“

არ შეიძლება, და ამიტომ ყველა ინტელიგენტმა, უმჯობესი იქნება, თავის საქმეს მიხედოსო:

„მწერალმა წეროს, მუსიკოსმა იმუსიკოს, მკვლევარმა იკვლიოს, მასწავლებელმა კი ასწავლოს“.

მიწიერ ცხოვრებას განრიდებული „ქურუმობა“ ანაზღად, საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაიძვერა კაცის ცხოვრებისეულ სიბრძნედ იქცა — მართლაც, რომ მოსისხლე მტერიც კი ვერაფერს მოიგონებდა ამაზე უარესს თავის თავში აგრე რიგად დარწმუნებული და გაყოფილებული ადამიანის საწინააღმდეგოდ. რა გაეწეობა — ასეთია, როგორც ჩანს, ზვედრი დრომოჭმული მოთანის მოყვარული ადამიანებისა, რომელთა დაგვიანებული ძხარის ამბმელიც დღევანდელ ვითარებაში, სულ რამდენიმე სტრიქონის შერე, თვითონვე აბათილებს თავისავე ნათქვამს:



„ას წელიწადს ითმინა ფრანგულმა უნივერსიტეტმა ფარისევლური ჩაურევლობა და აი, ექვსი წლის წინ (1968 წლის მაისში) ბოლოს და ბოლოს მიაგნო თავის პოლიტიკას, აღმოაჩინა, რომ წიგნი არის ქვეყანაზე და არა ქვეყანა — წიგნი“.

ამ გამომაფხიზლებელი აღმოჩენის ნაძალი იყო სწორედ, რომ მაღალფარდოვანი „მოწოდება“ და „მისია“ ვანდევნა სავსებით ჩვეულებრივმა და უბრალო სიტყვებმა: „დანიშნულებამ“ და „ფუნქციამ“, რაც უთუოდ დასავლელი ინტელიგენტის მსოფლადქმაში და თვითადქმაში. მომხდარი არსებითი გარდატეხის მაუწყებელია. ამიერიდან იგი უკვე აღარ ცდილობს დაუმალოს თავის თავს, რომ მონაწილეა მიმდინარე ისტორიისა და, უნდა თუ არა, დაკავშირებულია იმ ადამიანებთან და მათ საქმეებთან, მისწრაფებებთან და საზრუნავთან, ვინც გარს არტყია. მის თვალში უკვე იმას, რაც მას ამოძრავებს, თავისთავადი მნიშვნელობა კი აღარა აქვს მხოლოდ, არამედ საზოგადოებრივიც და ამდენად იზრდება მისი პასუხისმგებლობაც: მეორეს მხრივ კი იგი იმასაც ხედავს, რომ თვით მისი საქმიანობა საჭიროა და დიდად მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, აუცილებელიც ცხოვრების უკეთ ასაწყობად, თუნდაც რომ არ იყოს უშუალო და ყოველთვის ვერ ჰპოვებდეს ნივთიერ გამოხატულებას ის სარგებელი, რასაც საზოგადოება ნახულობს მისგან და რაც დიდად ფასეულია ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანებისათვის.

„ინტელიგენტი ერთსა და იმავე დროს ანალიტიკოსიც უნდა იყოს და უტოპისტიც, უნდა შეძლოს არსებული სიმწიფეების გამოვლენაც და უგონო ოცნებაც მომავალზე; იგი უნდა ისწრაფოდეს იქითკენ, რომ იყოს აწმყოს მოწმე, იყოს ერთსა და იმავე დროს ისტორიკოსიც და ფილოსოფოსიც.“

რა ფასი ექნებოდა ან რას დაემსგავსებოდა საზოგადოება, რომელიც უარს იტყოდა გარედან, სხვისი თვალთ შეეხვდა თავისი თავისათვის“. (რ. ბარტი).

ეგ არის მხოლოდ, რომ ეს გაურკვეველი და ბუნდოვანი „უგონო ოცნება“—წინასწარმეტყველის კოშკურა, საიდანაც ივარაუდება ცუდად მოწყობილი ცხოვრების მიმოხილვა, განსჯა და ფილოსოფიურ-ისტორიული შეფასება, არცთუ მაინცდამაინც მყარი ნაგებობაა, იგი ვერც კრიტიკული შემეცნების ნაყოფიერებას უზრუნველყოფს და არც ხვალისდელი დღისკენ მიმავალი გზების სათანადო დაზვერვის საშუალებას იძლევა.

ჯერ კიდევ მარქსმა დაუსახა ინტელიგენტს

ეს მიზანი, რომლის თანახმადაც გარემოცველი სინამდვილის შეცნობა თავისთავად უკვე სამართლიანი გარდაქმნების იარაღად გვევლინება:

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად ხსნიდნენ სამყაროს, საქმე კი იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო უნდა გარდაქმნილ იქნას“.

ასზე მეტი წელი გავიდა ამის შემდეგ და მოაზროვნე პიროვნების მიერ ასეთი კარჩაკეტილობისა და განყენებული ჭვრეტის დაძლევა, მიმდინარე ისტორიაში ქმედითი ჩარევა სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა არა მარტო ერთეულებისათვის, არამედ მრავლის უმრავლესი ინტელიგენტისათვის და კომუნისტების მოღვაწეობის წყალობით მყარი აღვილი დაიკავა საფრანგეთის სულიერ ცხოვრებაში. მათი თვალსაზრისით, რაიც საგაზეთო პუბლიკაციის აშკარა ხარვეზის შესავსებად აქვე უნდა მოგახსენოთ:

„კულტურის მოღვაწე უბრალოდ კი არ გვიხსნის და გულვრილად კი არ გვიხატავს სინამდვილეს, მას თავისი წვლილი შეაქვს ამ სინამდვილის კანონზომიერებათა დადგენაში და ამით ქმნის მისი გარდაქმნის წინაპირობას; მისი შემოქმედება ნაწილია იმ მიღწევებისა, რომელთა წყალობითაც კაცობრიობა მიდის წინ, იმორჩილებს ბუნებას და გარდაქმნის თავის ყოფას“.

აგრე გავებული ამოცანა ინტელიგენტისა და არსი მისი შრომისა არათუ ანთავისუფლებს მას კრიტიკული აზროვნებისაგან, არამედ პარიქით — მყარ ნიადაგს უქმნის მის მოღვაწეობას და, რაც მთავარია, ხელს უწყობს მას გამოვიდეს ისტორიის სარბიელზე. ამგვარი თვითშეგნება, სხვათა შორის, იცავს ინტელიგენტს საფრანგეთის სულიერი ცხოვრების ისეთი ჭირიხაგანაც, როგორიც არის გაქანებული ვადაჯიშება დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანების სიმართლის მაძიებლობისა უსაგნო სიტყვების რახარუხად. „ტერორიზმი“ პარიზის ინტელექტუალური მოღის გაქნილი და უტიფარი კანონმდებლისა, იმის შიშით, მოკვეთილნი არ აღმოვჩნდეთო, გამუდმებით რომ ახშობენ დამოუკიდებელი აზროვნების სულ მცირე გამოვლენასაც კი, თუ ღმერთი გაუწყრა და იგი იმ დღეს გაბატონებული და აღიარებული რწმენის (ხვალ რომ აუცილებლად შეიცვლება) წინააღმდეგია, იმდენად აუტანელია და ბოროტისმყოფელი, რომ „მონდის“ კორესპონდენტთა უმრავლესობა იძულებულია აღნიშნოს — ერთი შეხედვით პარადოქსალური — განსხვავება, რაც თითქოსდა გააჩნიათ სი-

ტყვეებს „ინტელიგენტი“ და „ინტელიგენცია“. ინტელიგენციის წრიდან ამჯობინებენ ნებაყოფლობით გამოირიცხონ თავიანთი თავი მსოფლიოში ცნობილი ეთნოლოგი კლოდ ლევი სტროსიცი და ცნობილი პუბლიცისტიც ალბრედ ფაბრლეისიცი, და თითქმის ყველა სხვა მონაწილეს ამ დისკუსიისა, რადგან მათი აზრით ინტელიგენცია — ეს არის ვითომმეცნიერულ აბდაუბდაზე მოლაყებ, ამაო სიბრძნისმეტყველი ვიწრო წრე ადამიანებისა, ლათინური კვარტალის ნამდვილი მაფია, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა ტირანიით არის შეპყრობილი და თავს ახვევს ამას ყველას როგორც უკანასკნელსა და უდიდეს აღმოჩენებს.

სახჯელი, რასაც ეს გაყოფონებული კასტა მიაგებს ხოლმე წინდაუხედავ მოღალატეს, მეორე მხარეა ოფიციალური „სწორაზროვნების“ დამცველთა განაჩენისა: სულ მცირე ეჭვიც საკმარისია, რომ ამ ახირებულ ადამიანს ზნედაცემულობა დასწამონ, იდეური ორპირობა და სხვა არანაკლებ სამარცხვინო ყველა სიავე.

„ინტელიგენტების წრე, ჩვეულებრივ „ინტელიგენციას“ რომ უწოდებენ,— განმარტავთ თავის პასუხში პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ჟილბერ სესბორნი,— როგორც ჩანს აერთიანებს იმ ადამიანებს, ვინც გამოხატავს რა თავის თავს, იმასაც ახერხებს, რომ შეითვისოს ყოველგვარი გადახრა და დამახინჯება: უპასუხისმგებლობა, სნობიზმი, ზერელობა და განახორციელოს რაღაც გონებრივი და პოლიტიკური ტერორის მსგავსი რამ, თუ კი საერთოდ შეიძლება ასეთი ტრაგიკული ელერადობის სიტყვა ასეთ უსაფუძვლო მოღვაწეობას მიესადაგოს.... ეს „ინტელიგენცია“ არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა დიდ შთაბეჭდილებას კი ახდენს, რადგან ძალიან ხმაძალდა გაპყვირის თავის შეხედულებებს და უმთავრესად პარიზშია თავმოყრილი... მე მგონია, რომ ის სულაც ვერ ასრულებს იმ დანიშნულებას, ინტელიგენტებს რომ აკისრიათ, მას აკლია ყველაზე მთავარი და არსებითი — შემოქმედებითი წარმოსახვა, რის გარეშეც ხელისუფლებისა და „მანდარინებისათვის“ წინააღმდეგობის გაწევა სხვა არაფერია თუ არა ბუტილობა და ბუზღუნი“.

ლათინური კვარტალის ამ ნამდვილი მაფიის („რომელიც არ ერიდება თვითრეკლამის კაპიტალისტურ ხერხებს, რათა სასაცილოდ აიგდოს კაპიტალიზმის ჭეშმარიტი მამხილებლები“) გონებადამახვილურ სურათს გვიხატავს პროფესორი ეტიამბლიცი:

„ეს ინტელიგენტები გაურბიან ამ სახელს სწორედ სნობიზმის გამო... ისინი მართლა ტერორისტები არიან, სექტების დამაარსებელი, ერთი მეორის გამო საყოველთაო აღფრთოვანების მომწეობნი. მოღური ინტელექტუალები იმდენადვე მძიმედ ირჯებიან, რამდენადაც მსუბუქნი არიან სინამდვილეში. მძიმეა მათი გაუგებარი ჟარგონი, მათი უნარი თავბრუ დაახვიონ ლათინურისა და გერმანულის უცოდინართ, თუმცა თარგმნით თუ არა მათ ნაშრომს ფრანგულად, მაშინვე თვალში გეცემათ წყალ-წყალა და უაზრო, ხშირად დრომოჭმული და თითქმის ყოველთვის ფრთხილი მსჯელობა (ფსევდომეცნიერული განსჯანი „ფორმის“ გამო მარტოლენ საბაბია, რათა შინაარსზე ფეხი არ წაიკრან)... ეს „გონდაუნჯებული“ თავქარიანობა სამწუხაროდ ძალიან იზიდავს ზოგიერთ ჩვენს სტუდენტს, სუსტი მომზადების გამო აქეთ-იქით რომ აწყდება, ერთი ჟარგონიდან მეორე ჟარგონისკენ, ერთი ორთოდოქსიიდან მეორე ორთოდოქსიისკენ... ჩვენი „ინტელიგენციის“ წარმომადგენლები მხოლოდ თავიანთთვის სწერენ, თავიანთთვის და თავიანთი მესუფრიებისთვის, და კიდევ ერთი მუჭა წარჩინებულებისთვის ყველა სიახლის პირველმხილველებად რომ მოაქვთ თავი, სიახლისა, რომელიც ისეა დაობებული, როგორც დიდი ხნის წინათ აჭრილი რძე“.

გონებრივი შრომის შედეგებზე დღევანდელ განსაკუთრებულ მოთხოვნილებას კვალში უდვას მისი გამაუხამსებელი და გამომფიტველი მთელი ეს მექანიზმი, რომელიც, სხვათაშორის, — გუშინ და გუშინწინ არ არის მოგონილი და ახალმოღურ კილოზე უკვე ათასჯერ თქმულის გაუთავებელი გამეორებით უკიდურესობამდე ზრდის თავის გამანადგურებელ ზემოქმედებას თვით ინტელიგენტზეც კი. ინტელიგენტს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდება მახე, ვაკეთებული მის მიერვე მოპოვებული, მოძიებული, აღმოჩენილი და შემდეგ განსხვისებული მასალისაგან, ნაკადური წესით რომ გაუმრავლებიათ, როგორც ბურჟუაზიის სულიერი ცხოვრების ფართო მოხმარების საგანი. შესძლებს თუ არა ინტელიგენტი კვლავაც გააგრძელოს თავისი შემოქმედება, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძალუძს მას გაუმკლავდეს თავისივე პირველწყაროსაკენ მიმართული ამ დაშტამპული ნაფალბევის დაწოლას. გაუძლავდე ფსევდოკულტურის ამ მეწყერს, რომელიც ამახინჯებს, მაგრამ სამაგიეროდ მრეწველობაში იყენებს შენსავე წვლილს კულტურაში — ერთობ ძნელი საქმეა. მაგრამ

დღესდღეობით ეს ერთადერთი და აუცილებელი პირობაა ყოველი თავმოყვარე დასავლელი ინტელიგენტისათვის, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს იმ საზოგადოების წყობასა და ფასეულობებს, სადაც ცხოვრობს.

„საფრთხის თავი და თავია უგონო თავყანისცემა ამა თუ იმ თეორიული მოდისა, დღენიადაგ რომ იცვლება და ძალე იყინება ერთ წერტილზე სტერეოტიპთა სიმრავლის გამო. — ამ კუთხით უდგება ინტელიგენტის დანიშნულების საკითხს ფილიპ სოლერსი. — მეცნიერი, მკვლევარი იქნება ის, პოლიტიკური მოღვაწე, ფსიქოანალიტიკოსი, მუსიკოსი თუ მწერალი — ინტელიგენტი დღეს უპირველეს ყოვლისა უნდა ერიდოს ამ თითქმის იმავდროულ განმეორებით „დუბლიაჟს“, მის მიერვე აღრე შექმნილის მინამსგავსი რომ არის მხოლოდ“.

თუმცა თავად სოლერსისათვის ამ სახეცვლილი და ფერგამკრთალი აჩრდილისაგან თავის დაღწევის საწინდარი მარტოოდენ გამალებული სწრაფვაა — რაღაც არ უნდა დაუჯდეს. დღეს არ იყოს ისეთი, როგორიც გუშინ იყო. ამგვარი მეცადინეობა კი საერთოდ ცოტა არ იყოს ძვირი ჯდება, და ეს დაადასტურა თვით მისმა თავბრუდამხვევმა ნახტომმაც „სტრუქტურულ-სემიტიკური“ ძიებებიდან რევოლუციონარისტულ ყოვლისგამარტივებისკენ, — „კულტურული რევოლუციის“ ჩინური მოდელის მიხედვით.

უფრო საგულისხმოა რჩევა „ინტელექტუალური შრომის ჰიგიენის“ თაობაზე, რასაც კ. ლევი-სტროსი იძლევა — უმჯობესია „ერ-

თხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას მივსდითო — და თავი დავანებოთ:

„არაფრის მაქნის კითხვებზე პასუხის გაცემას, შეგონებათა ფირმანების წერას, ხუთ წუთში „გონდაუნჯებულად“ მოფიქრებული რჩევების მაღალფარდოვნად დაღაღს, საქმეში ჩაუხედავად, მასალის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას და მოტყუებას იმ ადამიანებისა, ვინც პატივს გვცემს იმის გამო, რომ საფუძვლიანად გვესმის ჩვენი საგანი და ამიტომ უკრიტიკოდ იღებს ყოველ ჩვენს აზრს“.

ამგვარი ვითარება მაინც ვერ უშლის ხელს თავიანთ თავსა და მოვალეობაზე დაფიქრებულ იმ ფრანგ ინტელიგენტებს, ვისთვისაც თვითგამორკვევა ისტორიის ამჟამინდელ გზაჯვარედინზე არ ნიშნავს თბილი და გამოსაჩენი ადგილის ძიებას.

არჩევანი რაღა თქმა უნდა ყოველთვის არ არის ერთნაირი, ეს დამოკიდებულია თვითეული მათგანის მიღრეკილებაზე, საქმიანობაზე, შეხედულებებზე, მაგრამ რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყვნენ, დამოუკიდებლად მოაზროვნე ფრანგ ინტელიგენტებს დღეს აკავშირებთ ერთმანეთთან რწმენა, რომ ისინი მონაწილენი არიან საზოგადო ყოფისა და მათი ეს მონაწილეობა, უნდა ითქვას, სულაც არ უმაგრებს ზურგს ამ საზოგადოების უკვე გვარიანად შერყეული საფუძვლების დამცველთ.

რუსულიდან თარგმნა მამუკა ცაცხლაძემ



ლევან ბრეგვაძე

„სამგროშიანი ოპერა“ ქართულად

ამ ათიოდე (თუ ცოტა მეტი) წლის წინ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ბერტოლტ ბრეჰტის „სამგროშიანი ოპერა“ იდგმებოდა, პიესის ტექსტი კი ახლახან გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ წლევიანდელ მეოთხე ნომერში. იგი გერმანულიდან ჯორჯანუაშვილმა თარგმნეს. ამჟამად იმავე თეატრში უდიდესი წარმატებით მიდის მათ მიერვე თარგმნილი ბ. ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრეც“. წიგნად კი იგი უფრო ადრე გამოიცა.

XX საუკუნის უდიდესი დრამატურგის, თეატრის რეფორმატორის პიესების გამოჩენა ქართულ ენაზე (და ქართულ სცენაზე) უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ ბერტოლტ ბრეჰტის მიმართ ერთგვარი მოკრძალება თუ შიში კარგახანს იგრძნობოდა ჩვენში.

ეს „უცნაური“ პიესები, რომელთა ავტორიც თამამად არღვევს ამ უანრის ნაწარმოებთა აგების ტრადიციულ წესებს, ამკვიდრებს ახალ გამომსახველობით საშუალებებს, ფართოდ იყენებს პირობითობებს, ოპერეტულ

ელემენტებს, სარკაზმს, გროტესკს, პარადოქსს და ა. შ., უთუოდ დიდ სიძნელეებს უქმნის მთარგმნელს, მით უმეტეს, როცა არ არსებობს ამგვარი ნაწარმოებების თარგმნის რაიმე ტრადიცია.

ამიტომ ძალზე საინტერესოა განვიხილოთ ახლახან გამოქვეყნებული „სამგროშიანი ოპერის“ ქართული თარგმანი და ვნახოთ როგორ მოხერხდა იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რაც ამ უაღრესად თავისებური შემოქმედის მთარგმნელს ელობება წინ. ბ. ბრეჰტის მთარგმნელობა დიდად საპატიო, მაგრამ ამავე დროს დიდად საპასუხისმგებლო საქმეცაა.

ყველაზე მეტ სიძნელეს „სამგროშიანი ოპერის“ თარგმნისას, რასაკვირველია, ამ პიესის „სონეტების“ (სიმღერების) ქართულად გადმოღებისას წავაწყდებით. ბ. ბრეჰტი თავის იდეებს ძირითადად ამ სიმღერებში გადმოსცემს. შინაარსობრივად ისინი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ავტორი „სონეტებში“ მეტად თამამად, პირდაპირ, ყოველგვარი ეჭვფემიზმისა და მიკიბგ-მოკიბვის გარეშე მსჯელობს მწვავე სოციალურ და ზნეობრივ პრობლემებზე. ისეთ



საკითხებს ეხება, რომლებზეც, ჩვეულებრივ, არ ლაპარაკობენ ხოლმე, და ამის გამო ხშირად ობივატელის, მორალის ყალბი, ფორმალური დამცველის თავშეუკავებელ აღშფოთებასა და პროტესტს იწვევს.

ბ. ბრეჰტი ამ „სონგებს“ ქალაქური ფოლკლორის ყაიდაზე წერს, იმ სიმღერების მსგავსად, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანები ქმნიან. ასეთ ლექსებში თამამი, ვულგარული, ზოგჯერ უხამსი შინაარსი უაღრესად დახვეწილი, კულტურული სალექსო ფორმითაა მოწოდებული, ხშირად საქმე გვაქვს ვერსიფიკაციულ შედევრებთანაც კი (შინაარსის მიმართ უაღრესად კონტრასტულ ამ ფორმას საინტერესო ფუნქცია აკისრია: ამით მათი ავტორები თითქოს ამბობენ: „ჩვენ ხომ შეგვეძლო სულ სხვანაირნიც ვყოფილიყავით!“). ერთადერთი ამგვარი პოეტის შემოქმედებას გაულო კარი ლიტერატურის ისტორიამ: ეს არის XV საუკუნის ფრანგი რეციდივისტი და გენიალური პოეტი ფრანსუა ვიიონი. ბ. ბრეჰტი დიდად არის დავალებული მისგან. „სამგროშიანი ოპერის“ შენიშვნებში იგი მიუთითებს, რომ „სონგებში“ ფრანსუა ვიიონის სტრიქონები აქვს გამოყენებული და გადამუშავებული.

ამ ლექსებს თარგმანშიც უნდა გადაჰყვებს ბუნებრივი, თითქმის სასაუბრომდე მისული მეტყველება, მდიდარი რითმა და რიტმი და, რაც მთავარია, ისინი ადვილად უნდა იმღერებოდეს. ასე რომ, სხვა სიკეთესთან ერთად მთარგმნელს აქ დიდი პოეტური ნიჭიც მოეთხოვება.

ვფიქრობ წინამდებარე თარგმანი ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. საქმე გვაქვს ორიგინალის ღრმა გაგებით, ქართული ენის შესაძლებლობების და სალექსო ტექნიკის უაღრესად გონივრული გამოყენებით შესრულებულ ნამდვილად რეალისტურ თარგმანთან. ვნახოთ წინასწარ ორიოდ ნიმუში:

ნამირალა ჯენის სიმღერა

ასე მკაცრად რატომ კიცხავთ,
ბატონებო, გარყვნილ ქალებს
და რად ფიქრობთ, რომ ამისთვის
მათ პასუხი უნდა აგონ?
უმჯობესი არ იქნება,
სასუსნავი მოგვცეთ რამე,
ზნეობრივი ცხოვრება კი
უკვე შემდეგ გვიქადაგოთ.
თქვენ, რომელნიც ალერსსა და
დროსტარებას ვერ ელევით

და მხურვალედ მოგვიწოდებთ
წმინდა სათნოებისაკენ,
რაც არ უნდა იქადაგოთ,
იმას ვერსად გაექცევით,
რომ მთავარი საჭმელია
და შემდეგ კი სისპეტაკე.
სჯობს ჯერ იმას მიადწიოთ,
თუ შეგტკივათ ჩვენზე გული,
საცოდავებს სანატრელი
არა გვექონდეს ლუკმაპური.

ცხოვრებაში ადამიანს
მხოლოდ იმით გააქვს თავი,
რომ სხვებს ჩაგრავს, სულს უხუთავს,
აწამებს და იხდის მონად,
და სრულიად ავიწყდება,
ბატონებო, რომ მათსავით
ადამიანს წარმოადგენს
ამა ქვეყნად ის თვითონაც.
(გვ. 102, 11)

უფრო მოკლე სტრიქონიც ვნახოთ. ყურადღება მივაქციოთ ბუნებრივი მეტყველები-სა და დახვეწილი სალექსო ფორმის ჰარმონიას. არც ერთის პრიმატი არ იგრძნობა, ერთი მეორის მიერ არ იჩაგრება:

ბოროტია კაცი? მერე
შენც ეგ მუშტი მზადა ვქონდეს;
ერთი ყბაში მოაკერე,
ნახავ, როგორ გამოსწორდეს!
(გვ. 104—105)

მეტად საინტერესოა ბრეჰტის ლექსები რიტმულ-მეტრული თვალსაზრისით. მას უყვარს ლექსის ჰეტერომეტრული ფორმა. ხშირად მისი ტაქტის კენტი და ლუწი სტრიქონები მეტისმეტად განსხვავებული საზომით იწერება. ესეც ქმნის მისი პოეზიის თავისებურ მელოდიას. მთარგმნელები ახერხებენ ანალოგიური ლექსის შექმნას ქართულ ენაზე, რაც ხშირად დიდ ვერსიფიკაციულ ოსტატობას მოითხოვს:

იმის ნაცვლად,
რომ შინ ისხდნენ
ლამლამობით ჩვენი ქალიშვილები,
რა ქნას კაცმა,
დროსტარებას მოითხოვენ
სიყვარულის საღერღელაშლილები.
(გვ. 89, 1).

თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის ინტონაცია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ამ თარგმანთა რიტმულ-ინტონაციური სიახლე:



ისინი არ იწვევენ რომელიმე ნაცნობი სალექსო მელოდიის ასოციაციას, მათ ერთგვარად უცხოური ელფერიც კი დაჰკრავთ, ეს კი მეტად საჭიროა, რადგან, როცა ასე უზვად გვიხდება ქართული ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების გამოყენება, შეიძლება ლექსი ზედმეტად გაგვიქართულდეს, რაც ბრეჰტის ნაწარმოებისათვის უალრესად საზიანო იქნებოდა.

ხშირად გაცვებით ის შინაარსობრივი სიზუსტე, რომლითაც თარგმანი ორიგინალს მისდევს, და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იგი თითქმის ბწკარედია, ეს ოდნავადაც არ მოქმედებს ლექსის მხატვრულ ღირსებაზე. ვნახოთ ერთი ადგილი. ორიგინალშია:

Das Recht des Menschen ist's auf dieser
Frden
Da er doch nur kurz lebt, glücklich zu sein
Teilhaftig aller Lust der welt zu werden
Zum Essen Brot zu kriegen und nicht
einen Stein.

სიტყვასიტყვით ეს ასე იქნება: ადამიანს უფლება აქვს ამქვეყნად ბედნიერი იყოს, რადგან იგი ცოტახანს ცოცხლობს, (უფლება აქვს) ყველა ამქვეყნიურ სიამეს ეზიაროს, საჭმელად ჰქონდეს პური და არა ქვა.

თარგმანში ვკითხულობთ:

ადამიანს უფლება აქვს
იყოს ქვეყნად ბედნიერი,
რადგან ასე ხანმოკლეა
დღენი მისი სიცოცხლისა;
ქვის მაგივრად ხელთა ჰქონდეს
მუდამ ლუკმა გემრიელი,
მოზიარე იყოს ყველა
ამქვეყნიურ სიამისა.

(გვ. 95, II).

ცხადია, აბსოლუტურ სიზუსტეს ლექსის თარგმნისას ვერ მივალწევთ. ამას არც არავინ მოითხოვს მთარგმნელისაგან. ოღონდ ეს კია, რომ ყოველი ცვლილება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს, ლექსი არსებითად იგივე უნდა დარჩეს.

მგვის უკანასკნელი სიმღერის ერთი სტროფის სიტყვასიტყვითი თარგმანი ასეთია: წვიმა გაგვრეცხავს და გაგვასუფთავებს, გარეცხავს ჩვენს სხეულს (ხორცს), რომელსაც ჩვენ მეტისმეტად კარგად ვკვებავდით, ხოლო თვალებს, რომლებმაც ბევრი რამ იხილეს, მაგრამ უფრო მეტის ნახვა სწყურიათ, ყორნები ამოგვკორტნიან.

ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა:

წარღვნა წაგვლეკავს
და ჩვენს სხეულს გაასუფთავებს,
მოვლა-პატივს რომ არ ვაკლებდით,
როგორც მონები.
ამოგვკორტნიან სადაცაა
შავი ყორნები
მრავალი რამის მნახველ,
მაგრამ მაინც ხარბ თვალებს.

ხაზგასმული სიტყვები ორიგინალში არ არის. როდესაც მთარგმნელებს ქართული ენის და ლექსის საჭიროების გამო დედანში არარსებული სიტყვის, გამოთქმის ან სახის მოხმობა დასჭირდებათ, ამას აკეთებენ დიდი გემოვნებით, ორიგინალის განწყობილების გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევაში ესენი მოცემული კონტექსტისათვის სავსებით ნეიტრალური სიტყვებია, როგორც, მაგალითად, ახლახან მოყვანილ მაგალითში „სადაცაა“ და „შავი“. აქვე არის შედარება „როგორც მონები“, რომელიც ორიგინალში არ არის, მაგრამ ისიც სრულ თანხმობაშია დედანთან: იქ ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებიც საკუთარი სხეულის მონებად ქცეულან.

ზოგჯერ ორიგინალში ცალკეულ, კონკრეტულ მოვლენებზე ან საგნებზეა საუბარი, მაგრამ იგულისხმება არა მხოლოდ ეს კერძობითი მოვლენა, არამედ მთელი წყება, მთელი გვარი ანალოგიური მოვლენებისა. უალრესი კონკრეტულობის მიუხედავად მკითხველს არ უჭირს ამ კონკრეტულს მიღმა ზოგადი ტენდენცია დაინახოს. მაგალითად, „ჯარისკაცების სიმღერაში“, რომელშიც კოლონიალურ მეზობლთა გაჭირვებული ყოფაა აღწერილი, ვკითხულობთ: ჯონის ვისკი თბილი ეჩვენებოდა, ჯიმის არასოდეს არ ჰყოფნიდა საბნები, მაგრამ ჯორჯი ორივეს ამხნევებდა და ამბობდა: არმია არ შეიძლება წახდეს, დაიღუპოს.

ერთს ვისკი არ მოსწონდა, მეორეს საბანიო, ამბობს ავტორი, მაგრამ ცხადია, აქ მართო ვისკი და საბანი არ არის საქმე: სრულიად აშკარაა, რომ ჯარისკაცები არმიაში ყოფნით არიან უკმაყოფილო.

ამგვარ შემთხვევაში მთარგმნელს შეუძლია თავი აარიდოს კონკრეტულობას და ორიგინალის ერთგვარი ინტერპრეტაცია მოახდინოს: გადმოსცეს არსი და არა სიტყვა. ხშირად იგი ვალდებულიც არის ასე მოიქცეს, რათა აცილოს ბუნდოვანება და ზოგჯერ უაზრობაც კი, რაც შეიძლება ამ დროს ორიგინალის ლექსიკის პედანტურმა ერთგულებამ გამოიწვიოს. „სამგროშიანი ოპერის“ მთარგმნელები კარგად გრძნობენ ამას და ასეთ შემთხვევა-

ში ხშირად წარმატებით ცვლიან ორიგინალის „კონკრეტულს“ ზოგადით, სიტყვას — არსით. მოყვანილი ადგილი „ჯარისკაცების სიმღერადან“ თარგმანში ასეა:

რადგან ჯონი წუწუნებდა ყველაფერზე,
ბნელ ფიქრებმა ჯიმიც აიყოლიეს;
ჯორჯი დარჩა მოწოდების სიმალლეზე,
მეგობრულად ამხნევებდა ორივეს.

(გვ. 93, I).

ახლა სხვაგვარი მაგალითი განვიხილოთ. დედანში ერთგან ვკითხულობთ:

Der Teller, von dem du issest dein Brot
Schau ihn nicht lang en, wirf ihn fort!
Die Liebe dauert oder dauert nicht
An dem oder jenem Ort.

სიტყვასიტყვით ეს ქართულად ასე იქნება: თეფშს, საიდანაც შენ პურსა ჭამ, დიდხანს ნუ უყურებ, გადაავდე! სიყვარული გაგრძელდება ან არ გაგრძელდება ამ ადგილას ან იმ ადგილას.

სტროფი აგებულია ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელი პარალელიზმის პრინციპით. ბოლო ორ სტრიქონში გამოხატულია თავისუფალი, აგებული, მსუბუქი დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ, პირველ ორ სტრიქონში კი ანალოგიისათვის ხატოვანი გამოთქმის მოხმობილი.

სრულიად აშკარაა, რომ შინაარსის ზუსტად გადმოცემით აქ თარგმანში დედნის ანალოგიურ ეფექტს ვერ მივაღწევთ (შეიძლება უაზრობაც გამოგვივიდეს). აქ მთარგმნელის წინაშე ასეთი ამოცანა დგას: შეინარჩუნოს პარალელიზმის პრინციპი და შინაარსობრივად კი აგებული დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ. უფრო მეტ ფორმალურ სიახლოვეს დედანთან იგი ამ დროს ვერ გამოეკიდება, მაგრამ ეს არც არის საჭირო: აქ იმგვარი ვითარება გვაქვს, რომ, თუკი აღნიშნული ორი მომენტი შევინარჩუნეთ, სავსებით განსხვავებული ლექსიკური შედგენილობის მიუხედავად ეფექტი უმჭველად დედნისეული იქნება. ეს ამოცანა ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი:

ვარდს სურნელი თუ წაუვა დროზე მალე,
სიბრიყვეა კვლავ რომ მკერდზე ვატაროთ;
სიყვარულს კი სიცოცხლეს ნუ ვანაცვალებთ,
ვიგემოთ და შემდეგ ქარს გავატანოთ!

(გვ. 94, I).

აქ საქმე გვაქვს დედნის ღრმა, შემოქმედებით წაკითხვასთან. ამგვარი ადგილების თარგმნისას გამოიცდება ნამდვილი ხელოვანი მთარგმნელი.

საინტერესოა ვნახოთ როგორ არის ეს ადგილი ს. აპტის რუსულ თარგმანში. იქ ვკითხულობთ:

На все у меня один ответ:
Не этим любовь живет.
В любви существуют лишь «да» и «нет»,
А всё остальное не в счет.

რუს მთარგმნელსაც, სრულიად სამართლიანად, უარი უთქვამს ორიგინალთან ფორმალურ სიახლოვეზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ყველა სიძნელისათვის წარმატებით ვერ გაურთმევია თავი (ალარა გვაქვს პარალელიზმი, ხატოვანი მეტყველება შეცვლილია ჩვეულებრივით...).

საუცხოოდ გამოსულა თარგმანში უმწიო მოსამსახურე გოგონას სიმღერა („მეგობრე ჯენის ბალადა“), რომელშიც „პოეტურად აისახა არა ერთი და ორი საუკუნის სოციალური პროტესტი“ (ბ. რაიპი). ლექსის ყოველი კომპონენტი, რიტმიც და ინტონაციაც გვაგრძნობინებს, რომ აქ ბოლმით აღსავსე ჩაგრული და უძლური ადამიანი მეტყველებს, ვისაც შურისძიების დაუოკებელი, მაგრამ უტოპიური სურვილი მხოლოდ ოცნებაში შეიძლება აუცხადდეს. აი ამ ოცნება-ბალადის დასასრული (მეოთხე ნაწილი):

შუადღისას ხომალდიდან მეზღვაურნი
გადმოვლენ და ჩრდილში ჩამწკრივდებიან,
სათითაოდ დაიჭერენ ყოველ თქვენგანს
და შემდეგ კი ბორკილგაყრილთ მოგრეკავენ
ჩემს წინაშე უმოწყალოდ.

და მეტყვიან: — აბა, ჩვენო დედოფალო,
გვიბრძანეო თავი რომელს წავაცალოთ?
ნავსადგურში სიჩუმე რომ ჩამოდგება

გულსახეთქი,
მე ღიმილით ვბრძანებ მაშინ: ყველას-მეთქი!
და თავები პანტაპუნტით რომ დაცვივა,
იქვე მყოფი შემოვძახებ „ვამას“ მაშინ.
და ხომალდი ორმოცდაათ ზარბაზანით,
ზედ რვა აფრა ამვებული, ზათქით-ზარით
ჩემთან ერთად შეცურდება ისევ ზღვაში.

(გვ. 92, II).

ბ. ბრეჰტი თავის თხზულებებში ხშირად იყენებს სიტყვის თამაშს, რისი თარგმნაც ერთი შეხედვით შეუძლებელიც კი ჩანს, არადა მათი უგულვებელყოფა ძალზე გააღარიბებდა



ნაწარმოებს. ასეთ დროს მთარგმნელმა უთუ-
ოდ რაღაც უნდა იღონოს. არ არის სავალდე-
ბულო ზუსტად ის სიტყვა „ათამაშდეს“ თარ-
გმანში, რომელიც ორიგინალში „თამაშობს“,
მთავარია ამ ადგილას თარგმანშიც იყოს
ოხუნჯობა, ოღონდ, რა თქმა უნდა, შინაარ-
სი არსებითად არ უნდა შეიცვალოს. ბევრ
შემთხვევაში დიდი ოსტატობით ახერხებენ
ამას მთარგმნელები. ვნახოთ რამდენიმე მა-
გალითი:

პიჩემი პოლიციის შეფს ბრაუნს ასე
აფრთხილებს: ლონდონის უღარიბეს კაცს ფე-
ხის თითებზე ნუ დააბიჯებთ, თორემ haben
Sie ausgebrocht, Herr Brown. „აუსგებ-
რაუნთ“ — ამგვარი სიტყვა, რომლის ბოლო
ნაწილი ზუსტად იმეორებს პოლიციის შეფის
გვარს ბრაუნს, არ არსებობს, მაგრამ ძალიან
ახლოა უღერადობით სიტყვასთან „აუსგე-
ბრანთ“, რაც გადაწვას ნიშნავს, იწვევს
აგრეთვე ასოციაციას სიტყვისას „ბრაუნგე-
ბრანთ“ (მზეზე გაშავებული, მზეზე დამწვარ-
ი). ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:
„... მაგრამ ლონდონის უღარიბეს კაცს ფეხის
თითებზე ნუ დააბიჯებთ, თორემ მაშინვე გა-
დაბრაუნდებით, ბატონო ბრაუნ“ (გვ. 104, II).
ოხუნჯობის აზრი ისაა, რომ თუ სხვა ადამი-
ანი „გადაბრაუნდება“, ბრაუნი „გადაბრაუნ-
დება“.

პიჩემი ემუქრება ბრაუნს, თუ მეკის არ
დაიჭერ, მთელი ლონდონის მათხოვრებს თავს
მოვუყრი, დედოფლის კურთხევაზე მოვიყვან
და ზეიმს ჩავშლიო. ეს ავადმყოფი ხალხია,
საშინელი შესახედაობა აქვთო და დაუსახე-
ლებს ერთ-ერთ დაავადებას, რომელსაც გერ-
მანულად Gesichtrose ჰქვია (სიტყვასი-
ტყვიით: „სახის ვარდი“). ეს არის გადამდები
სნეულება, რომელიც პირისახეს აწითლებს.
შემდეგ პიჩემი ამბობს: „ახალგაზრდა დედო-
ფალი ვარდებზე უნდა იწვეს და არა სახის
ვარდებზეო“ (სიტყვასიტყვითი თარგმანი).
დაავადება Gesichtrose ქართულად ყოფილა
„წითელი ქარი“, ე. ი. სიტყვა „ვარდი“ თარ-
გმანში ვეღარ ათამაშდება. სამაგიეროდ ათა-
მაშლა ის სიტყვა, რომელიც ვარდის ფერს
გამოხატავს: „იცით, რა არის წითელი ქარი,
ბრაუნ? მაშ, აბა წითელი ქარით შემკული
ასოცი სახე წარმოიდგინეთ! ახალგაზრდა დე-
დოფალს წითელ ვარდებზე აქვს თვა-
ლი შეჩვეული და არა წითელ ქარზე“
(გვ. 104, II).

„ადამიანის მისწრაფებათა ამოცების“ სიმ-
ღერის პირველი ტაეპის სიტყვასიტყვითი
თარგმანი ასეთია: „ადამიანი ცხოვრობს თა-
ვისი თავის საშუალებით („თავი“ აქ ნიშ-

ნავს ჭკუას, გონებას — ლ. ბ.), მაგრამ მარტო
თავი არ არის საკმარისი, აბა, სცადე: შენი
თავით შეგიძლია მხოლოდ მკბენარები
აცხოვრო“ (აქ კი უკვე შეიცვალა სიტყვა „თა-
ვის“ მნიშვნელობა: ამჯერად იგი ადამიანის
სხეულის ნაწილს ნიშნავს — ლ. ბ.). თარგმან-
ში ასეა:

მარტო თავის თავით აბა
ქვეყნად კაცი რას გააწყობს,
მარტო თავის თავით ალბათ
მკბენარებს თუ გამოადლობს.
(გვ. 104, I).

სიტყვის თამაში შენარჩუნებულია: პირველ
შემთხვევაში „თავი“ აქაც ნახმარია ამ სი-
ტყვის არაპირითადი მნიშვნელობით („მარტო
თავის თავით აბა ქვეყნად კაცი რას გა-
აწყობს“ — ნიშნავს: მარტოხელა კაცი სხვის
დაუხმარებლად, მარტო თავისი ჭკუით რას
გააწყობს), მეორედ კი უკვე ძირითადი მნიშ-
ვნელობით. თანაც სიტყვის თამაში ქართულ-
ში გაძლიერებულია ომონიმური გამოთქმით
„თავის თავით“.

იმავე სიმღერის თარგმანში ვკითხულობთ:

და ან განა ბედის დევნას
კაცი რამეს გამორჩება?
ჰგონია, რომ ბედს ეწვევა,
მაგრამ ბედი უკან რჩება.

ქართულ ენაში გვაქვს ილიომა „ბედს
ეწია“, მომავალში — „ბედს ეწვევა“, სადაც
„ეწვევა“ გამოდევნებას და დაწევას, რა თქმა
უნდა, არ ნიშნავს. მაგრამ მეოთხე სტრიქო-
ნის წაკითხვის შემდეგ მოულოდნელად თავს
იჩენს ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობაც —
„დაწვევა“ (მანამდე მისი ომონიმურობა შე-
ნიღბულია). ესე იგი, გვაქვს ეფექტური სი-
ტყვის თამაში, რაც ძალზე აძლიერებს სურა-
თის კარიკატურულობას (ადამიანი მისდევს
ბედს, ჰგონია საცაა წამოეწვევა, მაგრამ უცებ
აღმოაჩენს, რომ ასცდა მას: თვითონ წინ
გარბის, ბედი კი უკან რჩება). ამ სტროფის
სიტყვასიტყვითი თარგმანი ასეთია: „ჰო, გა-
მოედევნე ბედს, მაგრამ ძალიანაც ნუ მოიკ-
ლავ თავს სირბილით! რადგან ყველანი მის-
დევენ ბედს, ბედი კი მათ უკან მირბის“.

ერთგან თარგმანში ვკითხულობთ:

ჩვენ ჭეშმარიტად მუდამ
მალლა მივისწრაფოდით
და ქედმალლობის გამო
კიდევ ვკიდევართ მალლა.
(გვ. 109, I).

ე. ი. სახრჩობელაზე ვკიდევართო. სიტყვის თამაში აქაც უფრო გაძლიერებულია ორიგინალთან შედარებით:

Wir haben wahrlich uns zu hoch verstiegen
Jetzt hängen wir hier wie aus Übermut.

ბ. ბრეგაძე მეტყველების სხვადასხვა მანერის პაროდირებას ახდენს. ესეც ქმნის ზისი ნაწარმოებების თავისებურ კოლორიტს. მოულოდნელად გამოურევს ხან ძალზე ვულგარულ გამოთქმას, ხან საგაზეთო ენისთვის დამახასიათებელ შტამებს და ა. შ. მაგალითად:

გაიღვიძე, ცოდვის შვილო!
ბნელ საქმეებს მიჰყე ხელი,
შეჯიბიდან გავარდნილო,
ფიქრობ შეგრჩეს ყველაფერი?

ან:

ჯორჯი დარჩა მოწოდების
სიმალღეზე,
მეგობრულად ამხნევებდა ორივეს.

ასეთ შემთხვევებში არ არის სავალდებულო ისეთივე ყაიდის გამოთქმა გქონდეს ორიგინალის ზუსტად იმ ადგილზე. მთავარია, რომ ამგვარი გამოთქმები საერთოდ დამახასიათებელია ბრეგაძისათვის და სადაც ქართული თარგმანი მოიხდენს, იქ უნდა ვიხმაროთ ისინი. როგორც ამბობენ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

ძალიან საინტერესოა დაკვირვება თარგმანში გამოყენებულ ქართულ იდიომებზე. ისინი ერთბაშად არც კი გეცემათ თვალში, ისე გემოვნებით არიან შერჩეული, არსად მეტიხმეტად ქართულ იერს არ ანიჭებენ ტექსტს. მათი გამოყენებასას მთარგმნელები მუდამ შინაარსიდან, სიტუაციიდან, პერსონაჟის ხასიათიდან გამოდიან. სწორად არის მონახული გერმანული იდიომების ქართული შესატყვისები. რამდენიმე მაგალითი:

... ის თქვენი პათიოსანი ვაჟბატონი მეკპითი ისევ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის...“ (გვ. 103, I). დედანშია: in alle winde verstreut ist (სიტყვასიტყვით: „ყოველ ქარში გაიფანტა“. ამ სახით მისი გადმოტანა თარგმანში, რა თქმა უნდა, უაზრობაა).

დედანშია: Dem können Sie nicht das Wasser reichen. ამ იდიომის აზრი ასეთია: თქვენ იმის ღირსიც კი არა ხართ, რომ იმას წყალი მიაწოდოთო, ე. ი. თქვენ იმას რას შე-

ედრებითო. მთარგმნელებს იდიომა იდიომითვე გადმოაქვთ: „თქვენ იმის ფრჩხილადაც არ ღირხართ“ (გვ. 103, I).

დედანშია: Und wer von dieser Ausbeutung seinen Brocken abbekommen will... თარგმანშიც შესაბამისი იდიომაა: „... ვისაც უნდა ამ ექსპლოატაციით ხელი მოითბოს“ (გვ. 104, I).

დედანშია: Jetzt mache ich reinen Tisch. სიტყვასიტყვით: მე ახლა სუფთა მაგიდას ვაკეთებ. იდიომის აზრი ასეთია: გულახდილად ვიტყვი ყველაფერს, საბოლოოდ მოვფენ საქმეს ნათელს. თარგმანის შესაბამის ადგილას აგრეთვე იდიომა გვაქვს: „ახლა ვუდას პირი უნდა მოვხსნა და ყველაფერი პირწმინდად ამოვალაგო“ (გვ. 106, I).

პიესას ლაიტმოტივად გასდევს ანდაზა: Wie man sich bettet, so schläft man. სიტყვასიტყვით: როგორც დაიგებ ლოგინს, ისე დაგეძინება. თარგმანში ყველგან მისი ქართული შესატყვისია: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.

ზოგჯერ იქაც, სადაც ორიგინალში იდიომა არ არის, მთარგმნელები მარჯვედ იყენებენ ქართულ სატოვან გამოთქმებს. მაგალითად: დედანში მეკი უბრალოდ ამბობს ერთ-ერთ ბანდიტზე: შოვნით შოულობს, მაგრამ უნამუსოაო. თარგმანშია: „შოვნით შოულობს, მაგრამ ნამუსის ბეწვი გაცვენილი აქვს“ (გვ. 96, II).

ორიგინალში პოლის მჭევრმეტყველებით აღფრთოვანებული უოლტერი უბრალოდ ამბობს: ფრაუ კეპტენს არ უჭირს ზუსტი სიტყვის მონახვაო. თარგმანშია: „ყოჩაღ, მისის კეპტენს ენაზე ჭალი არ წამოედება!“ (გვ. 97 I).

ვიმეორებ: თუმცა ამ ადგილებში დედანში იდიომები არა გვაქვს, მაგრამ, რაკი ეს გამოთქმები გემოვნებითა და კონტექსტის გათვალისწინებით არის შერჩეული, ეს არ ჩაითვლება ორიგინალის სტილზე ძალადობად. პირიქით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა გერმანულ იდიომას ქართული შესატყვისი ვერ მოეძებნება და ორიგინალის ზოგი სატოვანი გამოთქმა ქართულად უბრალოდ არის გადმოტანილი, მაშინ აქაც მხოლოდ შესაკრებთა გადანაცვლებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: იმის ანაზღაურება, რაც ერთგან იკარგება, სხვა ადგილას ხდება და მთელი ნაწარმოების საერთო სტილური ელფერი შენარჩუნებულია. ოღონდ დასანანია, რომ პიესის ბოლოს მეკის მიერ ნათქვამი გართიმული ანდაზა — wo die Not am größten, ist die Hilfe am nächsten — მეტად უფერულად გამოსულა



თარგმანში: „... სადაც გაჭირვება დიდია, იქ გზაც ზოგჯერ ხსნილია“ (გვ. 109, II). აქ აზრიც მთლად სწორად არ უნდა იყოს გადმოტანილი.

კიდევ რამდენიმე შენიშვნა.

ორიგინალში პოლი ეუბნება მეკის: Kein Wort, Mac? Kein Blick? თარგმანში ვკითხულობთ: „ხმა არ გაიღო, მეკი, და ნურც ეგრე მიყურებ!“ (გვ. 100, II).

ორიგინალში კითხვის ნიშნის მაგივრად ძანლის ნიშანი რომ იყოს, მაშინ ეს თარგმანი სწორი იქნებოდა. მაგრამ რაკი შეკითხვაა, ასე უნდა ითარგმნოს: „ხმასაც არა მცემ, მეკი? არც კი მიყურებ?“ მეკი რომ თვალს არიდებს პოლის, ეს იქვე პოლის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „აბა თვალეში შემომხედე, განა შენი ცოლი არა ვარ?“

ჯარისკაცების სიმღერის წინა რემარკაში ვკითხულობთ: „ორივენი მაგიდას მიუსხდებიან“ (გვ. 93, I). უნდა იყოს: „ორივენი მაგიდაზე სხდებიან“.

პიჩემი ესალმება პოლიციელებს. პოლიციის შეფი ბრაუნი მიუბრუნდება თანმხლებთ და ვკითხება: „მე მეუბნება, თუ თქვენ გიცნობთ

რომელიმეს? არა მგონია, რომ გიცნობდეთ“. (გვ. 103, II). იგი გულისხმობს: არა მგონია რომ გიცნობდეთ მე თქვენ (ახლა უკვე პიჩემს მიმართავს). მაგრამ ორზროვნება იქმნება: ისე ჩანს თითქოს ბრაუნი გულისხმობდეს: არა მგონია გიცნობდეთ ის თქვენ. ამიტომ მოყვანილ ციტატაში ხაზგასმული ადგილი ასე უნდა გასწორდეს: „არ მაქვს პატივი თქვენი ნაცნობობისა“. ეს სტილურადაც დედანთან უფრო ახლოს იქნება.

98-ე გვერდზე, პირველ სვეტში ქვემოდან მეშვიდე და მერვე რეპლიკებს შორის გამოტოვებულია ჯენის რეპლიკა. ასევე 107-ე გვერდის პირველ სვეტშიც, ზემოდან მეორე და მესამე რეპლიკებს შორის მეკის სიტყვებია გამორჩენილი.

კარგი იყო პიესის ტექსტს თან დართვოდა ბ. ბრეჰტის შენიშვნები და მოქმედ პირთა მისეული დახასიათება.

თარგმანის ღირსებაზე ეს შენიშვნები, ცხადია, გავლენას ვერ ახდენენ. ჩვენს წინაშეა ისეთი თარგმანი, რომელსაც მით უფრო დიდი სიამოვნებით წაიკითხავს კაცი, რაც უფრო კარგად იცნობს ორიგინალს.

□

ტყვენი

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი გერმანელი მწერალი პაულ ჰეიზე ხალხით გაჭედებულ ტრამვაიში ავიდა. ტრამვაი რომ დაიძრა, ერთმა ახალგაზრდამ მას შემთხვევით ფეხზე ფეხი დაადგა, მაგრამ აღარ კი მოაცილა. მწერალმა ჭაბუკს მხარზე ხელი წაწად მოუთათუნა და ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, რამდენი წლისა ხართ?

ჭაბუკმა გაკვირვებით შეხედა და მიუგო:

— ოცისა გახლავართ.

— ვფიქრობ, თქვენს ასაკში ადამიანი საკუთარ ფეხზე უნდა იდგეს, — უთხრა ლიმილით მწერალმა.

*

იტალიელი კომპოზიტორი როსინი ნაცნობი ქალის ოჯახში სადილობდა. ქალმა სუფრა ისე მომჭირნედ გააწყო, რომ სადილის შემდეგ სტუმარი ისევ მშვიდი დარჩა.

— გთხოვთ კიდევ მობრძანდეთ ჩემთან სადილად, — სთხოვა ქალმა.

— სიამოვნებით, — მიუგო როსინიმ, — თუნდაც დღესვე.

*

სახელგანთქმული გერმანელი ღირიჟორი ჰანს ფონ ბიულოვი კონცერტზე მიიჩქაროდა. ერთმა ახალგაზრდამ მოულოდნელად გზა გადაუჭრა. ღირიჟორმა თავი ვერ შეიმაგრა და ახალგაზრდას ფეხი დაადგა.

— აქლემი! — წამოიძახა ახალგაზრდამ.

ღირიჟორმა შლიაპა მოიხადა და თავაწიანად მიუგო:

— მე კი ღირიჟორი ბიულოვი გახლავართ.

*

ენრიკო კარუზოს ახალგაზრდა მომღერალმა უთხრა:

— არ მიაქციეთ ყურადღება, გუშინ ჩემმა ხმამ როგორ აავსო დარბაზი?

— როგორ არა, ისიც კი დავინახე, ხალხის დიდი ნაწილი როგორ წამოდგა სკამებიდან და ადგილი დაუთმო თქვენს ხმას, — მიუგო კარუზომ.

*

ერთმა მუსიკოსმა სიმფონია დაწერა და თავის „შთამაგონებელსა და მაგალითის მიმცემს“, კომპოზიტორ ჯაკომო მაიერბერს მიუძღვნა. მერე თავისი ნაწარმოები კომპოზიტორს გაუგზავნა და მისწერა, თუკი საჭიროდ მიიჩნევთ, მზად ვარ ზოგიერთი რამ შევცვალო.

კომპოზიტორმა ავტორს ნაწარმოები უკანვე გამოუგზავნა. სთხოვა, გეთაყვა, მიძღვნა შევცვალეთო.

*

ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი ერთხელ სასამართლოში მოწმედ იყო.

— ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ნახეთ და არა ყურმოკრული ამბები, — განუმარტა მოსამართლემ.

მოწმემ თავი დაუქნია.

— მაშ ასე. როდის დაიბადეთ, ბატონო ვალენტინ?

— მე ეგ გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლე, — აღიარა გულწრფელად მსახიობმა.

*

ერთ საზოგადოებაში ბერნარდ შოუ შეხვდა უცნობ მწერალს, ვინც თავის ლიტერატურულ წარმატებებზე ყველას განუწყვეტლივ ეტრებახებოდა.


იგი დიდ ინგლისელ დრამატურგსაც გამოელაპარაკა:

— ოცი წლის რომ ვიყავი, ექიმმა თამბაქოს წვევა ამიკრძალა, ვაითუ ტვინი დაგიზიანდესო.

— მერე და რატომ არ დაუჭერეთ! — უთხრა თანაგრძნობით შოუმ.

*

ფრანგი მწერალი დიუმა გერმანიის პატარა ქალაქს ეწვია. იმ დღეს წვიმიანი ამინდი იყო. სადილობისას რესტორანში შევიდა, სოკო უნდა ეჭამა, და რადგან გერმანუ-



ლი ენა არ იცოდა, ოფიციანტს ქალაღზე
სოკო დაუხატა. ორიოდე წუთის შემდეგ
ოფიციანტმა ქოლგა მოუტანა.

*

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი შოტლან-
დიელი ქირურგი იონ აბერნეტი ფრად
სიტყვაძუნწი გახლდათ. მას ძალიან მოსწონ-
და ისეთი ავადმყოფი, ვინც მოკლედ და
სხარტად ეტყოდა ხოლმე თავისი დაავადე-
ბის ამბავს.

ერთხელ მასთან ქალი მივიდა, ავადმყოფს
ხელი ჰქონდა შესიებული.

— დაიწვიოთ? — ჰკითხა ექიმმა.

— წავიქეცი.

— კომპრესი!

ავადმყოფი მეორე დღეს კვლავ ეწვია
ექიმს.

— უკეთესად? — ჰკითხა ექიმმა.

— უარესად.

— ისევ კომპრესი!

ქალი ორი დღის შემდეგაც ეწვია.

— უკეთესად?

— მომირჩა, რამდენი?

— არაფერი. ჩემს სიცოცხლეში პირველად
ვხედავ ასეთ სიტყვაძუნწ ავადმყოფს, — წა-
მოძახა აღტაცებით ექიმმა.

*

ერთ თეატრში ფრანგი მწერლის სუმეს
პიესა იდგმებოდა. ავტორთან ერთად ლოჟა-
ში ალექსანდრე დიუმაც იჯდა.

დიუმამ პარტერში ჩაძინებულ მაყურე-
ბელს მოჰკრა თვალი და ავტორს უთხრა:
აი, შენი პიესის შედეგო.

მეორე დღეს დიუმას კომედია დაიდგა.
ავტორი და სუმე ისევ ერთად ისხდნენ ლო-
ჟაში. სუმემ ავტორს მძინარე მაყურებელ-
ზე მიუთითა და სიხარულით შესძახა:

— აი თურმე შენს პიესაზეც შეიძლება
ჩაძინება.

დიუმა მაყურებელს დააკვირდა და კო-
ლეგას მიუგო:

— ეგ გუშინდელი მაყურებელია, მას ჭე-
რაც არ გაუღვიძნია.

*

ერთმა არისტოკრატმა ალექსანდრე დიუ-
მას ერთხელ დაცინვით ჰკითხა:

— თუ არ ვცდები, თქვენი შთამომავლო-
ბა დიდად წმინდა სისხლისა არ უნდა იყოს.
მამათქვენი გენერალი დიუმა, მგონი, მულა-
ტი გახლდათ?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— პაპათქვენი?

— ზანგი, იყო.

— თქვენი წინაპარი მაინც ვან იყო?

— მაიმუნი, — მიუგო დიუმამ და დახ-
ძინა: — ჩემი შთამომავლობა იმისგან მოდის,
ვისითაც თქვენმა შთამომავლობამ თავისი
განვითარება დაასრულა.

*

ცნობილი მევიოლინე ფიუქსტემპსი სტუმ-
რად იყო მიპატიუებული ჩაიზე.

— რატომ ვიოლინოც არ წამოიღეთ? —
ჰკითხა დიასახლისმა.

— ჩემი ვიოლინო ჩაის არ ხვამს, მო-
წყალეო ქალბატონო, — მიუგო სტუმარმა.

*

თეოდორ ფონტანეს, ბერლინის ერთი დე-
დი გაზეთის რედაქტორს, ერთმა უნიჭო და
უმეცარმა პოეტმა თავისი ლექსი გაუგზავნა.
თან მისწერა:

„უფალო რედაქტორო! ვინაიდან ლექსში
სასვენი ნიშნების დასმას არსებით მნიშვ-
ნელობას არ ვანიჭებ, გთხოვთ, წერტილ-
მძიმეები თქვენ თვითონ ჩაუმატოთ, სადაც
ამას საჭიროდ დაინახავთ.“

ფონტანემ პოეტს ლექსი უკან დაუბრუნა
და მისწერა:

„შემდეგისათვის, გეთაყვა, გამოგზავნეთ
მხოლოდ წერტილ-მძიმეები, ლექსს თვითონ
ჩავწერთ შიგ, სადაც ამას საჭიროდ დაფი-
ნახავთ.“

*

გოეთე ვაიმარის პარკში სეირნობდა.
ვიწრო ბილიკზე, სადაც მხოლოდ ერთ ადა-
მიანს შეეძლო გავლა, კრიტიკოსი შემოხვ-
და. კრიტიკოსი ვერ იტანდა გოეთეს. ამე-
ტომ სიძულვილით შესძახა:

— მე სულელებს გზას არ ვუთმობ.

— მე კი პირიქით, — მიუგო დიმილით
პოეტმა და განზე გადგა.



კ ა ნ ა მ ა

ა ლ ი ბ ა ნ დ ი — ყველაზე დიდი კუნძულია სან-ბლასის არქიპელაგის სამას სამოცდახუთ კუნძულს შორის. იგი პანამის სანაპიროს სულ რაღაც კილომეტრნახევრით არის დაცილებული. აქ კუნას ტომის ინდიელები ცხოვრობენ. ისინი მიწვეულები არიან უკვე მოგზაურებს, რადგან კუნძულის ეკონომიკა ამაზეა დამოკიდებული. ეგ არის, თუ ვინმეს ღამის გათევა უნდა კუნძულზე, საჭიროა უხუცესთა „საბჭოს“ თანხმობა. კუნას ტომის ინდიელები ძალიან უფროხიან უცხოელთა თაოსნობას, მას შემდეგ რაც რამდენიმე წლის წინათ ერთმა ამერიკელმა საქმოსანმა ალიგანდიზე „კურორტი“ გააშენა გართობისათვის. აღშფოთებული ინდიელები ტომაპავეებით (პატარა ნაჯახი) შეიარაღდნენ — და მიწასთან გაასწორეს ცივილიზაციის პირველი ხიდი.

უხუცესთა საბჭოს ბელადები საგანგებოდ აშენებულ ხის სახლებში ცხოვრობენ. კუნას ტომის წინაპრებმა, საშუალო სიმაღლის კუნთმაგარმა ხალხმა 1500 წელს მიატოვა მთები და კუნძულზე გადმობარგდა, რათა თავი დაეცვა კონკისტადორებისაგან, რომლებმაც განადგურების პირას მიიყვანეს ეს ოდესღაც მრავალრიცხოვანი ტომი. მას შემდეგ მათი ცხოვრების წესი მაინცდამაინც არ შეცვლილა. ესენი ისევ ძველებურად იჭერენ თევზს, აგროვებენ ქოქოსის კაკლებს და გულმოდგინედ ასრულებენ თავიანთ ანიმისტურ წესჩვეულებებს. კუნას ინდიელები

მოკრძალებული და ამავე დროს დიდსულოვნები არიან.

ინდიელების ნაწილი მატერიკზე, ქოქოსის კაკლის პლანტაციებში მუშაობს, ესენი ევროპულ ტანსაცმელს ატარებენ, მეორენი ფეხშიშველები, ტილოს შარვლებსა და ნაოჭასხმულ ბლუზებში დადიან. კუნას ტომის ქალები ყოველდღე გადიან ნავმისადგომში, ეგებებიან ქმრებს და მატერიკიდან გადმოტანილი ქოქოსის კაკლის წამოღებაში ეხმარებიან. ბოლო დროს ინდიელები მიწვივნიან არახისის ზეთს და განსაკუთრებით კოკა-კოლას.

კუნძულზე არის სასტუმრო „ლას-პალმერასი“. იგი თვითონ ინდიელებმა ააშენეს ქოქოსის კაკლის გაყიდვაში აღებული ფულით. სასტუმრო კოლექტიური საკუთრებაა და კოლექტიურად მართავენ. ასეთი ადათ-წესებია სან-ბლასის არქიპელაგზე, სადაც მცხოვრებლები ეხმარებიან ერთმანეთს სასურსათო, საოჯახო და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. ერთადერთი კერძო საკუთრება არის ქოქოსის პალმის ნაკვეთები; ეს ნაკვეთები ყოველ ოჯახს მემკვიდრეობით აქვს მიღებული.

სალამობით იმართება კუნას ტომის ძველთაძველი მუსიკალური ცერემონიალი. სალამურების, ხის დასარტყამი ინსტრუმენტების აკომპანიმენტზე ქალები მღერიან და ცეკვავენ თავიანთ წინაპართა ცეკვებს.

შმართველობა ინდიელებს დემოკრატიული აქვთ. მაგალითად, ერთ დღეს „უხუცესთა საბჭო“ არჩევდა ტომის რიგითი წევრის საჩივარს. უხუცესმა მომჩივანზე მიუთითა გრძელი ყალიონით. იგი წამოდგა, მტკიცე ხმითა და

* * *

გამომცემლობა „დელაკორტ პრეს“-მა ახლახან გამოსცა ცნობილი ამერიკელი მწერლის ირვინ შოუს ახალი რომანი „ლამის მორიგე“.

...დუგლას გრაიმსი პროფესიონით მფრინავია, მაგრამ მხედველობა გაუუარესდა და იძულებული შეიქნა ახალი სამსახური ეძებნა. როგორც იქნა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ოტელში პორტიედ მოეწყო. ერთხელ, მისი მორიგეობის დროს სასტუმროში კაცი გარდაიცვალა. მიცვალებულის ნომერში გრაიმსმა ფულით სავსე ჩანთა იპოვნა, და მაშინვე გადაწყვიტა მიეთვისებინა. ევროპის ერთ-ერთ აეროპორტში, სადაც დუგლას გრაიმსი გაემგზავრა, მას შეცდომით სხვისი ჩემოდანი მისცეს, ხოლო ფულით სავსე მისი ჩემოდანი ვინმე ფებიენს ერგო, შესანიშნავი გარეგნობის თაღლითს, კარგად რომ შეუსწავლია უსაქმური მდიდარი ადამიანების ჩვევები და ათასი ხერხი აქვს შემუშავებული მათ გასაყვლეფად. მოლაპარაკების შემდეგ ფებიენმა ხელშეკრულება გააფორმა გრაიმსთან, ფულის ერთი ნაწილი შვეიცარიის ბანკებში მოათავსა და ბირჟაზე რთული თამაში წამოიწყო, ამავე დროს

იგი თამაშობს დოღზე და ბანქოს სახლებში. ხოლო გრაიმსი რივერის კურორტებზე ატარებს დროს. იგი ხომ წესიერი, საშუალო ამერიკელი იყო, ყოველკვირას ეკლესიაში დადიოდა და არასოდეს კანონსაწინააღმდეგო რამ გულში არ გაუვლია. ფებიენი თვლიდა, რომ საჭირო იყო მას მოგებით განებევრებული თანამედროვე საქმოსანის ჩვევები შეეთვისებინა.

„ლამის მორიგე“-ს ირვინ შოუს საუკეთესო ნაწარმოებების ღირსებები ახასიათებს — მწვავე სიუჟეტები, გემოვნებით შედგენილი დიალოგები, მსუბუქი სტილი.

„ლამის მორიგეში“ ირვინ შოუ ეთიკის პრობლემებს ეხება, ისევე როგორც თავის წინა რომანში „სალამო ბიზანტიაში“. მწერალი აანალიზებს წუთიერი ბედნიერების ციებცხელებიან წყურვილს, „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაში“ ყოველგვარ ზნეობრივ გრძნობას რომ ახშობს და სულიერი სიცარიელისაკენ, პიროვნების დაღუპვისაკენ უბიძგებს. სწორედ ამიტომ ირვინ შოუს ახალი რომანი მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურულ ცხოვრებაში.

□



საქართველოს
წიგნების კავშირი

ბეზი ავტორიანი

იური ვალენტინის ძე ტრიფონოვი რუსი მწერალია. დაიბადა მოსკოვში 1925 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საავიაციო ქარხანაში. 1949 წელს დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. პირველი ნაწარმოები გამოქვეყნდა 1947 წელს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაწერა რომანი ომის შემდგომი წლების უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდობაზე. 1951 წელს ამ რომანისათვის „სტუდენტები“ ავტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. „მზის ქვეშ“ — ასე ერქვა ტრიფონოვის მოთხრობათა პირველ კრებულს.

მისი შემდგომი დიდი ტილო გახლავთ რომანი „წყურვილის დაოკება“.

წიგნში „კოცონის ანარეკლი“ ტრიფონოვმა გააცოცხლა თავისი მამის, ცნობილი მხედართმთავრის სახე, სადაც დოკუმენტური სიზუსტით დახატა ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ნაკლებად ცნობილი თუ დავიწყებული ამბები.

ტრიფონოვის საყვარელი თემაა სპორტი, რასაც მრავალი მოთხრობა და ნარკვევი მიუძღვნა: „სეზონის დასასრულს“, „თამაშობანი შებინდებისას“, და სხვა. მისი სცენარის მიხედვით შეიქმნა ფილმი „პოკეისტები“.

ყურნალ „ნოვი მირში“ ერთი მეორის მიყოლებით ბეჭდავს მოთხრობებს „გაცვლა“ (1969), „წინასწარი შედეგები“ (1970), „ხანგრძლივი გამოთხოვება“ (1971).

ყოფითი წვრილმანების საგულდაგულო ცოდნამ, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთდამოკიდებულების ზუსტმა შესწავლამ ავტორს შეაძლებინა მწვავედ დაესვა თანამედროვე ინტელიგენციის ზოგიერთი წრის მორალური პრინციპების საკითხი. ტრიფონოვის ბოლო ნაწარმოებები გამოირჩევა თხრობის თავისებურებით. მისი გმირები ფსიქოლოგიური ანალიზისა და საკუთარი თავის განკიცხვის უნარით ხასიათდებიან. მარჯვე, შეკრული წერის წყა-

ლობით ავტორი შედარებით მცირე ზომის ქმნილებებში ახერხებს სხვადასხვაგვარი ბედის მქონე ადამიანთა სახეების შექმნას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი რომანი „მოუთმენლობა“.

1975 წელს გამოვიდა ტრიფონოვის ახალი წიგნი „ხანგრძლივი გაკვეთილები“.

ტრიფონოვმა საკუთარი მოთხრობის „გაცვლის“ მიხედვით დაწერა პიესა და იგი სულ ახლახან დადგა ტაგანკის თეატრმა.

ტრიფონოვის ნაწარმოებები მრავალენაწეა თარგმნილი.

არკო ვალტონი დაიბადა 1936 წ. დაამთავრა ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ერთხანს მუშაობდა ინჟინრად. 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიული ინსტიტუტის კინოდრამატურგიის ფაკულტეტი. მისი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა 1960 წელს. 1968 წლიდან პროფესიონალი მწერალია. ამჟამად შვიდი წიგნის ავტორია. თარგმნილია: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ფინურ, უნგრულ, ლატვიურ და სხვა ენებზე.

პარლან ფუინტისი—მექსიკელი მწერალი, დრამატურგი, ესსეისტი. დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი რომანი „წმინდა ალაგი“ (1967) და ესსეების კრებული, „სახლი ორი კართ“.

საბჭოთა მკითხველი მას იცნობს იმ ნაწარმოებებით, რომლებიც ყურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ დაიბეჭდა — პიესა „ვეელა კატა ნაცრისფერია“ (1972 წ. № 1) და რომანი „არტემიო კრუსის სიკვდილი“ (1965 № 7-8).

ნოველა „თოჯინა-დედოფალი“ აღებულია კრებულიდან „ბრძათა ხიმღერები“.





«САУНДЖЕ»

**литературно-художественный
альманах**
(на грузинском языке)

1976

№ 5

Издательство «Мерани»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.



გადაეცა წარმოებას 18/VIII-76 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 5/X-76 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₁₆.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,279. ნაბეჭდი
თაბახი 21. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 698.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი **ლევან ცუცქერიძე**
მხატვარი **აპაკი თევზაძე**
ტექნიკური რედაქტორი **ივანე ივანიშვილი**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-
თა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სა-
ხელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Со-
вета Министров Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.